კვირის პალიტრა

ფიქრი

N2(31) . 11/I. - 17/I.2001 .

ფასი 60 თ.

1168
2001

ჯაკომო კაზანოვა — დიდი პრშიუის „შემოდგომა“

ინტერვიუ გურამ დოჩანაშვილთან

ეპილაციური რჩევები ქალებს

ვინ ესროლა იოსებ ორჯონიკიძეს?

ნადირობა მოსკოვის მაშებზე



მასხარებმა რა ვქნათ?!
მთვლი ქვეყანა ისედაც
ცირკად აქციეს ჩვენმა
მასხარა პოლიტიკოსებმა...

№3.14

ქვირის პალიტრა
ვეა
№2 (31)
11 - 17 იანვარი 2001
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ჩემნაირებს! 3
ვერსიები
ვინ ესროლა იოსებ ორჯონიკიძეს? ნადირობა მოსკოვის პატრონებზე 4
პერსონა
მინდა გამოვისყიდო უწინდელი გულგრილობა 6
მედიცინა
„ოღონდ ეს ჯაგარი არ მქონოდა...“ 8
ტესტი
ერთგული მკითხველი 10
შემოქმედი
გურამ დოჩანაშვილი: „სულ „დავანგრიე“, რაც აქამდე დამიწერია!“ 11
ადამიანი
ჯამბაგები „პოსტ-საახალწლო პერიოდში“ 14
რჩევები
ბრძენკაცის დარიგებები 15
კრიმინალური არქივიდან
ბანდის მეთაურმა საკუთარი მშობლებიც „გაპარსა“ 16
სპორტსმენი
ორი ქვეყნის ჩემპიონი ქართველი მორაგბე 18
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაგე 19
ნამდვილი ამბავი
კუჩხი ბედინერი კახურად 20
გადახრა
ბრძოლაში ყველაგე სასტიკი იმარჯვებს 22
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 23.
მსახიობი
დიქტორთა კონკურსგე მთელი ქალაქის ლამაზმანები მოვიდნენ 24
პირველი სიყვარული
ფერადი ბუშტები და ახდენილი სიზმარი 27
სპორტის ლეგენდები
იშვიათი შავი პეპელა 28
შეჩერებული ნავი
გარინდებულები შევცქეროდით ცოცხალ ლეგენდას 31
საკუთარი
მრავალგზის გამოგონილი ველოსიპედი 32
ტრადიციები
„წელწად წუხრა“ ხევსურეთში 34

სულ „დავანგრიე“, რაც აქამდე დამიწერია

ჭაბუა ექვსჯერ გამოიქცა სტალინური ბანაკებიდან. ექვსჯერ! მაგრამ თავის რომანში, სადაც დაწვრილებით აქვს ყველაფერი აღწერილი, არასოდეს არ წუწუნებს ბანაკების პირობების გამო. სოლჟენიცინი? – მაპატიეთ, და ნამდვილი...

11

იშვიათი შავი პეპელა

– მისტერ დანდი, მე კასიუს კლეი მქვია. თქვენ უნდა მავარჯიშოთ. ორი წლის შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი გავხდები.

მოგვიანებით დანდი ამბობდა, რომ „თავხედი ლაწირაკისთვის“ ყურმილის დაკიდება უნდოდა, მაგრამ „ღვთის ნებით წამოსცდა“:

– ხვალ მოდი.



28

„ოღონდ ეს ჯაგარი არ მქონოდა...“

მორალი აქ არაფერ შუაშია: გოგონა თავის ქალწულობას როდი იცავს ასე შეუპოვრად – შეყვარებულის მოსალოდნელი რეაქცია აფრთხობს; თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ მისი შიში ერთობ გაზვიადებულია.

8

ბანდის მეთაურმა საკუთარი მშობლებიც „გაპარსა“

პირველი „გასვლითი საქმე“ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, ხოსტაში ჰქონდა: დაიჭირეს და თვე-ნახევარი „ჩააყუდეს“. რომ გამოუშვეს, დედა სადგურზე საჩუქრებით დახვდა. გათამამებულმა გურამმა, რომელიც სულ სხვა რამეს მოელოდა, მშობლებს ახალი გამოცდა მოუწყო.

16

პაროდია
- ედგარ ალან პო. წითელქუდა 35
- არტურ კონან დოილი. წითელქუდა 36

ბედოვლათები
თაგვმა თხარა, თხარაო... 38

წმინდანები
„კეთილმორწმუნეო მეფეო თამარ“ 41

ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 42

ლანდები
ჯაკომო კაზანოვა – დიდი არშიყის „შემოდგომა“ 42

საფრთხე
ჩვენ არაერთხელ ვიყავით სამყაროს დასასრულის გღურბლგე 44

ათასწლეულის ალმოჩენები
კანალიზაცია, რომელმაც წინ წასწია ცივილიზაცია 46

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 47

საჩუქარი სატრფოსათვის
სიყვარულით – ახალ ათასწლეულში (რჩევები მამაკაცებს) 48

ესკიზები
საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი 50

ვარსკვლავი
XXI საუკუნის ამერიკელი მსახიობი 52

საახალწლო მინიატურები
დაჩი ბრძელიშვილი.
- გაუგებრობა 54
- სიყვარული 54
- ხელოვნება და საგზაღოებრივი წესრიგი 55

ავტო 56

მაქინატორი
ინტრიგების უგვირგვინო მეფე 58

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი
კვირის (15-21 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი
ხართ თუ არა ემოციური? 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

თაგვმა თხარა, თხარაო...



ჯეფრი არჩერმა გაზეთს ცილისწამებისათვის სასამართლოში უჩივლა... არადა, ჯეფრი არჩერს ხუმრობაში რომ გაეტარებინა პრესის 13 წლის წინანდელი თავდასხმა ან სულაც გაჩუმებულიყო, ცოტა ხანში ყველა დაივიწყებდა მის თავგადასავალს.

38

დიქტორთა კონკურსზე მთელი ქალაქის ლამაზმანები მოვიდნენ

კადრში ვარ, ვლაპარაკობ და ამ დროს სტუდიაში ბუზი შემოფრინდა. წამყვანები მკაცრად ვიყავით გაფრთხილებულნი – რაც არ უნდა მომხდარიყო, რეაქცია არაფერზე მოგვეხდინა. იმ საზიზღარმა ბუზმა იფრინა, იფრინა და... პირში შემიფრინდა.

24

ჭრელ-ჭრელი ამბები

სიუზანს მართლაც კარგი გამოგონება ეკუთვნის: მისი „ქმარი“ ჭამას არ ითხოვს, არც ხმას იღებს, თუ მასზე წამოწექი, და რამდენიც არ უნდა უყვირო, არ შეგეპასუხება.

47

ცვლილებები

... წკრიალა პირველმა სივრცე გაკვეთა. მეორე ფოლადად მიჰყვა. ბანი, მოგუგუნე ბანი, „ნისლად“ მიჰყვებოდა „ჩაკრულოს“. – ღმერთო, რა მაგრად მღერიან!..“ – ჩაიჩურჩულა ხნიერმა ქალბატონმა და პირჯვარი გადაიწერა.

54

ჩემნაირებს!



„მრავალნაირი“ ბედნიერება არსებობს – ოჯახური ბედნიერება, შემოქმედებითი ბედნიერება, ფინანსური ბედნიერება და ა.შ.

ოჯახურსა და შემოქმედებით „ბედნიერებებში“ გმადლობთ, აქამდეც კარგად და აწიც იმედი მაქვს, ფინანსურადაც არა უშავს – ღვთისა და რედაქტორის წყალობით, მაგრამ არის ბედნიერების კიდევ ერთი „სახეობა“ – პროფესიული ბედნიერება, რომელსაც ყოველი ახალი ნომრის გამოსვლის შემდეგ განიცდის ყველა ჩემი თანამოკალმე და მე კი – ვიყავი დაჩაგრული და „პროფესიულად უბედური“.

თავად განსაჯეთ – დღე ისე არ გავა, რედაქციაში რამდენიმე გამოხმაურება მაინც არ მოვიდეს ყოველ გამოქვეყნებულ მასალაზე, კონკრეტული აღრესატის – მისი ავტორის სახელზე. ზოგი ლანძღავს, ზოგი აქებს, ზოგი რჩევას ეკითხება და ზოგი მადლობას უხდის, ზოგიერთები ემუქრებიან კიდეც. ჯანდაბას, გინდ ყოველდღე „დამიპადიეზდონ“ და მირტყან, ოღონდ ვიცოდე, რომ ჩემს „პროვოკაციებს“ ვიღაც კითხულობს და მოსწონს ან არ მოსწონს.

№1

№2

და აჰა, გამითენდა დღე ბედნიერი – პირველი წერილი მივიღე მკითხველისაგან. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარა ამ პატარა ბარათმა და არ შემიძლია თქვენც არ გაგაცნოთ იგი, მერე კი, როგორც „კარგად აღზრდილ ბიჭს“ შეჰფერის, პასუხსაც გავცემ:

„ჩემო ძვირფასო პროვოკატორო!

გამოგიტყდები, ძალიან მომწონს შენი „პროვოკაციები“, მაგრამ ბოლო პროვოკაციამ მაგრა დამაშინა. ერთი ანეკდოტი გამახსენდა. ერთ კაცს, ხან აქეთ რომ გადაიხარა და ხან იქით, ჰკითხეს, ბოლოს და ბოლოს, ვის მხარეზე ხარო. მე ჩემი ცოლ-შვილის მხარეზე ვარ, ერთის ასე და ისე და მეორისაცო, მიუგო იმ პატიოსანმა კაცმა. a – შენც ისე ხომ არ მოგდის? b – პრეზიდენტმა და შენ ხანჯლით ხომ არ გაიჭერით თითები? როგორც ვიცით, ერთი სისხლისმიერი ძმა უკვე შეუძენია. (ისე, მშვენიერი ძირძველი ქართული ტრადიცია კი არის, არა?!) ახლა გაგვარკვიე: იმ სისხლისმიერი ძმებიდან, როგორც რუსები იტყოდნენ „ხუ იზ ხუ?“ 4 შესაძლებელი პასუხის შედგენა შენთვის მოგვინდვია!

გწერს შენი სეხნია პროვოკატორი N2“

როგორია?! არ უნდა ვიამაყო?!

გესმით? – „ძალიან მომწონსო“! თანაც „პროვოკატორი N2“ – ე.ი. მიმდევრები გამიჩნდა, შემდეგ „პროვოკატორი N3“ „გაიჩითება“, N4, N5 და „მერე ჩვენ ვიქნებით მთელი სოფელი, შემდეგ მთელი ქალაქი და ბოლოს მთელი ქვეყანა...“ ვივლით, ვიპროვოკატორებთ და ეს ქვეყანაც პროვოკაციად გადაიქცევა... ბოდიშს ვიხდი ხშირი პაუზებისათვის – სიხარულის ცრემლები და ყელში გაჩრილი გორგალი მიშლის წერას...

ახლა ცოტა დავწყნარდეთ და წესიერ შეკითხვას წესიერი პასუხი გავცეთ! ოღონდ ჩემს „სულიერ ძმას“ თუ არ ეწყინება – ბოლოდან დავიწყებ:

ერთობ საინტერესო კითხვაა: „ხუ იზ ხუ?“ მაგრამ ვფიქრობ, აქ შესაძლებელი პასუხების ვარიანტებად მხოლოდ ოთხის მიჩნევა ძალიან ცოტაა. ის, რასაც „პრო N2“ (ბოდიში შემოკლებისათვის) გულისხმობს ამ „შეკითხვაში“, საქართველოში ოთხიც არის და ოთხასი ათასიც – სამწუხაროდ!

ახლა ძმობას, „ფიცვერცხლსა“ და „თითების გაჭრას“ რაც შეეხება – ჯერ ერთი, მე იშვიათი ჯგუფის სისხლი მაქვს და სხვას არ ერევა, სასიკვდილოა – ერს ვერ დავაობლებ, და მეორეც – რატომ გგონია N2-ო, ჩემი წინა „პროვოკაცია“ პრეზიდენტის ხოტბა-დიდება? ალბათ იმიტომ, რომ ვთქვი, ძნელად აღსაზრდელი და გონებაჩამორჩენილი ბავშვების სკოლის დირექტორია-მეთქი. არის და რა ვქნა! თუ ის გეწყინა, რომ ჩვენი „ცუნცულა-რეფორმატორები“ ვიგულისხმე ჩვენ რომ ვიცით, იმ სკოლის მოწაფეებად, ძალიან ნუ ინერვიულებ, არც თვითონ იკლავენ ჩვენზე ნერვიულობით თავს და არც მათი მასწავლებელი.

მივყვეთ წერილს, ისევ ქვემოდან ზევით: „a – შენც ისე ხომ არ მოგდის?“ – მეკითხები და დიდი სიამოვნებით გიპასუხებ: ეგ არი! საღოლ! გაარტყი! სწორედაც რომ „ეგრე მომდის“, როგორც შენ მიერ მოყოლილ ანეკდოტშია, სწორედაც რომ „ერთის ასე და ისე, და მეორისაც!“ (ამ „ასე და ისე“-ში – „Каждый понимает по мере своей испорченности“). მით უმეტეს, რომ „ერთსაც“ და „მეორესაც“, ჩემო ძმაო და მიმდევარო (თუ მომდევარო – როგორ ითქმის?), შენც, მეც და კიდევ ბარე ორიც ძალიან მაგრად „ვკიდივართ“!

ასე რომ, „პროვოკატორო ნომერო ორო“, ჩვენ არავის მხარეზე არ უნდა ვიყოთ და რადგან ანეკდოტით დაიწყე შენი წერილი, მეც ანეკდოტით დავამთავრებ: გურულს ჰკითხეს – შენ ზვიადისტი ხარ, შევარდნაძისტი, ჯაბაისტი, ჟვანიისტი თუ – მოკლედ, „ვისისტი“ ხარო?! აფერისტი ვარ, ძაძა, მეო! – უპასუხა გურულმა („აფერი“ გურულად „არაფერს“ ნიშნავს). აი, ასეთი „აფერისტი“, ანუ „არავისტია“ პროვოკატორი და ძალიან სთხოვს ყველას, ნურც აწი მოსთხოვენ ვინმესთვის გუნდრუკის კმევას!

P.S. „ჩემნაირებს“ უმორჩილესად ვთხოვ, მომავალშიც ნუ დამამადლიან ორიოდე სტრიქონით გამოხმაურებას. იქნებ მომავალში „პროვოკატორთა პროფკავშირიც“ შევქმნათ!

პროვოკატორი

ვინ ესროლა იოსებ ორჯონიკიძეს?

ნადირობა მოსკოვის პატრონებზე

როგორც ცნობილია, შარშანდელი წლის დამლევს მოსკოვში მორიგი ტერაქტი მოხდა, რომლის მსხვერპლი ამჯერად არა რომელიმე ცნობილი ბიზნესმენი ან მაფიოზური სამყაროს წარმომადგენელი, არამედ რუსეთის დედაქალაქის მთავრობის ვიცე-პრემიერი იოსებ ორჯონიკიძე აღმოჩნდა. თავდასხმა დილით, დაახლოებით 9 საათსა და 15 წუთზე მოხდა — მაშინ, როცა სამსახურში მიმავალი ორჯონიკიძის „ნისან-მაქსიმა“ მერიის შენობას უახლოვდებოდა. ვიცე-პრემიერი დაიჭრა, მისი მძღოლი კი დაიღუპა. ორჯონიკიძის თქმით, თავდამსხმელებს შავი ნაქსოვი ნიღბები ეკეთათ, დანაშაულის ადგილს ფეხით გაეცალნენ. მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ტერაქტი შეკვეთილი იყო — რადგან ბოროტმოქმედებმა კარგად იცოდნენ ვიცე-პრემიერის გადაადგილების დრო და მერიისკენ მგზავრობის მარშრუტი, — თუმცა სავარაუდო დამკვეთთან დაკავშირებით კომენტარს არავინ აკეთებს.

სამაგიეროდ, შესაძლო ვერსიებზე აქტიურად მსჯელობენ ჟურნალისტები, რომლებიც ტერაქტს იოსებ ორჯონიკიძის სამოღვაწეო ასპარეზსა და მისი თაოსნობით დაწყებულ ბოლოდროინდელ პროექტებს უკავშირებენ. რამდენად საფუძვლიანი და მართებულია წამოყენებული ვერსიები, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, როგორც წინამდებარე წერილის გაცნობისას დარწმუნდებით, რუსულ მასმედიას იმაშიც ეპარება ეჭვი, რომ ამ ტერაქტთან დაკავშირებულ გარემოებებს ოდესმე მოეფინება ნათელი.

მოსკოვის მთავრობის ვიცე-პრემიერზე — იოსებ ორჯონიკიძეზე თავდასხმა დღემდე საიდუმლოებით არის მოცული და, როგორც ჩანს, ამ ამბავს ნათელი ბოლომდე არც არასდროს მოეფინება. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ საქმის გახსნა, თვით დაზარალებულისა და მისი უშუალო ხელმძღვანელის — მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის გარეშე შეუძლებელია. გამომძიებლებს კი მათი დახმარების იმედი, წესით, არ უნდა ჰქონდეთ.

განგსტერული ფილმებიდან მაინც ხომ კარგად ვიცით, რომ ისეთ რადიკალურ ზომას, როგორიცაა მკვლელობა, კრიმინალური სტრუქტურები მხოლოდ უკიდურეს სიტუაციაში მიმართავენ. როგორც ჩანს, ეს შემთხვევა სწორედ ამგვარ ბინძურ საქმეს უკავშირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძიების პროცესში საშკარაოზე გამოვა მოსკოველ ჩინოსანთა ისეთი ქმედებები, რომელიც, შესაძლოა, სამართალდარღვევად არ ჩაითვალოს, მაგრამ სამეწარმეო ეთიკით ყოვლად დაუშვებელია.

ზოგიერთი ამგვარი ქმედება, რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალით ჩანს. ყველაზე გამოუცდელ გამომძიებელსაც არ გამოეპარება იოსებ ორჯონიკიძის, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური გადაწყვეტილებები, რამაც უკიდურესად რთულ სიტუაციაში ჩააყენა მოსკოვის მთავრობის პარტნიორები. მაგალითად, სწორედ ბ-ნი ორჯონიკიძის ხელი ურევია სასტუმრო „რედისონ-სლავიანსკაიას“ ერთ-ერთი მეპატრონის, პოლ ტეიტუმის ბიზნესიდან გაძევებაში. უფლებაშელახული ამერიკელი საქმოსანი კარგა ხანს აპროტესტებდა უსამართლობას, მაგრამ ცოტა ხანში, იმ ავადსახსენებელი სასტუმროს მახლობლად „გააგორეს“ (მკვლელები ჯერაც არ უპოვიათ). ბევრი ჭორის საფუძველი გახდა ვიცე-პრემიერის მეორე გადაწყვეტილება — რამდენიმე მოსკოვური კაზინოს დახურვის თაობაზე. კომპენსაციის სახით, სამორინეების მეპატრონეებს სათამაშო ქალაქ ნაგატინოში შენობების გაცემას შეჰპირდნენ, მაგრამ ეს ქალაქი არა და არ ააშენეს. ახლა ბ-ნი ორჯონიკიძე იქ „ფორმულა-1“-ის ტრასის მშენებლობას გეგმავს.

ეს ფაქტები მხოლოდ ნაწილია უცნაური გადაწყვეტილებებისა, რისი მიჩქმალვაც უკვე აღარ ძალუძთ. საიდუმლოდ კი, გაცილებით მეტი რამ რჩება.

როცა მაისის ბოლოს, მოსკოვის მთავრობა საქალაქო სათათბიროს დეპუტატების წინაშე, 1999 წელს არასაბიუჯეტო სავალუტო ფონდიდან თანხების ხარჯვის ანგარიშით წარდგა, ყველაზე ლოიალურმა დეპუტატებმაც კი პრეტენზიები წაუყენეს მომხსენებელს — საგარეო ურთიერთობების დარგში მოსკოვის პრემიერის პირველ მოადგილეს იოსებ ორჯონიკიძეს. დეპუტატების აზრით, ფონდის საქმიანობა მეტისმეტად დაფარული და საიდუმლოებით არის მოცული. მათ, მერია, ფულის უკანონო ხარჯვაშიც კი დაადანაშაულეს. მართლაც, ვიცე-პრემიერის

ქალაქის თავი სიძნელეებს არ ეპუება

მოხსენებიდან გამომდინარე, ჯანდაცვას გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 15% მოხმარდა, ხოლო საქმიანი ცენტრის — „მოსკვა-სიტის“ შშენებლობაზე, დაგეგმილთან შედარებით 37%-ით მეტი თანხა დაიხარჯა. მაგრამ ყველაზე მეტად დეპუტატები იმან აღაშფოთა, რომ საინვესტიციო პროექტებს გეგმური თანხის მხოლოდ 4% მოხმარდა, ხოლო „ვოსტინი დვორის“ რეკონსტრუქციას — თითქმის 100%.

დეპუტატების ყველა შეკითხვას გაღიზიანებული ორჯონიკიძე ერთნაირად პასუხობდა: „თუ საჭიროდ ჩათვლით, პროკურატურას მიმართეთ“.

სამაგიეროდ, დღეს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის გამომძიებლებს საშუალება აქვთ, აუჩქარებლად და გულდასმით შეისწავლონ ქალაქის მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე გაუმჭვირვალე სტრუქტურის დოკუმენტები და გაარკვიონ, თუ ვის აძლევდა ხელს ბ-ნი ორჯონიკიძის თავიდან მოშორება. გამორიცხული არ არის, რომ მათ კითხვები არა მარტო დაზარალებულთან, არამედ თავად ქალაქის მერთანაც გაუჩნდეთ.

მით უმეტეს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა მერს ერთხელ უკვე ურჩია მოსკოვის მთავრობიდან ზედმეტად ოდიოზური ფიგურების მოშორება, მათ შორის ორჯონიკიძისაც. მაგრამ ლუჟკოვმა მაშინ პრეზიდენტის რჩევა ყურად არ იღო.

იური ლუჟკოვის მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ მას არცთუ ისე სახარბიელო ურთიერთობა აქვს შინაგან საქმეთა მინისტრთან, რომელმაც იოსებ ორჯონიკიძის საქმე პირად კონტროლზე აიყვანა და მისი გამოძიება თავის ძველ მეგობარსა და ამჟამინდელ მოადგილეს ვლადიმირ კოზლოვს დაავალა.

საერთოდ, ამ ბოლო ხანებში მოსკოველი ჩინოსნები ხშირად ხდებიან თავდასხმათა მსხვერპლნი. უახლოესი წლების ისტორიას თუ გადავხედავთ, ასეთი სურათი დაიხატება:

1994 წლის თებერვალში სასიკვდილოდ სცემეს რუსეთის დედაქალაქის აღმოსავლეთ რაიონის პრეფექტის მოადგილე ალექსანდრ ალეშინი, რომელიც რაიონის ეკონომიკას, მეწარმეობასა და საბინაო საკითხებს განაგებდა. 1995 წელი კი, შეიძლება ითქვას, ამ მიმართულებით რეკორდული იყო. გაზაფხულზე ორჯერ დაესხნენ თავს ალექსეი ჩისტილინიკს, რომელიც მოსკოვის განათლების დეპარტამენტის კუთვნილი შენობების ექსპლუატაციას განაგებდა; შემოდგომაზე საკუთარი სახლის სადარბაზოში მოკლეს „ტვერსკაიას“ ტერიტორიული სამმართველოს პრეფექტის მოადგილე სვეტლანა ზარუბინა (კურირებდა საცალო ვაჭრობას, ხელს აწერდა ნებართვებს მუნიციპალური შენობების იჯარაზე და სამმართველოს ტერიტორიაზე არსებულ ბაზრებს აკონტროლებდა); ზამთარში კი სიცოცხლეს გამოასალმეს მოსკოვის მერიის ტრანსპორტის დეპარტამენტის განყოფილების გამგე ალექსეი ბარიშნიკოვი, რომელიც, გამომძიებელთა აზრით, დედაქალაქის ავტოფარეხებისა და მანქანის სადგომების მაკონტროლებელ კრიმინალურ სტრუქტურებს დაუპირისპირდა.

შემდგომი ორი თავდასხმა წინამორბედებისგან ცოტათი განსხვავდება, რადგან მათში მოსკოველი სამართალდამცავები პოლიტიკურ მოტივებსაც ხედავენ. 1996 წელს თავს დაესხნენ მოსკოვის სამხრეთ რაიონის პრეფექტს ვალერი შანცევს, რომელიც იმხანად მოსკოვის ვიცე-მერის არჩევნებში იყრიდა კენჭს. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, მკვლელობის დამკვეთებს ამით მოსკოვის მერის არჩევნების ჩაშლა სურდათ.

ერთი წლის შემდეგ კი, მოსკოვის მერიის განათლების დეპარტამენტის უფროსს, რუსეთის განათლების მინისტრის მოადგილეს ლუბოვ კეზინას ესროლეს. ის მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა. იმ დროს განათლების კომიტეტის გამგებლობაში შედიოდა სკოლამდელი დაწესებულებები, სკოლები, საშუალო სპეცსასწავლებლები, ყოფილი პიონერთა სასახლეები და მოსკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი.

კომიტეტს ეკუთვნოდა გამომცემლობა „მოსკოვსკი უჩებნიკ“. ლუბოვ კეზინამ ებრაული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების გამოცემა მოინდომა. ამასთან დაკავშირებით, მას არაერთხელ დაემუქრნენ „პატრიოტული გაერთიანებების წარმომადგენლები“ და ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ მათ სცადეს კეზინასთან ანგარიშის გასწორება.

1998 წლის ნოემბერში ქალაქის ცენტრალური ადმინისტრაციული რაიონის პრეფექტის მოადგილის პიოტრ ბირიუკოვის ავტომანქანის გვერდით ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. მისდა საბედნიეროდ, ბირიუკოვი არ დაშავებულა.

ბოლოს წინა თავდასხმა 2000 წლის აპრილში მოხდა. მაშინ პისტოლეტით დაცხრილეს იოსებ ორჯონიკიძის თანაშემწისა და მეგობრის — ვიაჩესლავ ბორულნიკის მანქანა. ბორულნიკი იმხანად სათამაშო ბიზნესის პრობლემებზე მუშაობდა და ვიცე-პრემიერის უწყებაში ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე აგებდა პასუხს. ჩინოვნიკი, წინათ სპეცსამსახურებში მუშაობისას მიღებული გამოცდილების წყალობით, ტყვიას გადაურჩა, მაგრამ მისი მძღოლი მძიმედ დაიჭრა.

არც ერთი ზემოთ აღწერილი დანაშაული არ გახსნილა — დაჭრილთა და მოკლულთა კოლეგები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აცხადებდნენ, რომ მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ, რის გამო შეიძლებოდა თავს დასხმოდნენ ამ კრისტალურად სუფთა ადამიანებს...

სავარაუდოა, რომ სამართალდამცავები ყველა ღონეს იხმარენ იოსებ ორჯონიკიძეზე განხორციელებული ტერაქტის გასახსნელად. მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ არაფერი გამოუვათ. იური ლუჟკოვმა (ისევე როგორც მერიის სხვა თანამშრომლებმა) ხომ უკვე განაცხადა — იოსებ ორჯონიკიძე კრავივით უცოდველიაო და მერს ვერც კი წარმოუდგენია, ვის შეიძლებოდა აღემართა ხელი ასეთ წესიერ ადამიანზე. ასე რომ, სულ ცოტა, მერიის დახმარებაზე მაინც, გამოძიებამ არც უნდა იოცნებოს...

მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ ბესო ჯუღელს ახალი ათასწლეულის დამდეგს ვესტუმრე. ჩვენი ქვეყნის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო ბატონი ბესოც სხვების მსგავსად საზეიმო განწყობილების არქონას უჩივის და საუბარიც წარსულის გახსენებით დავიწყეთ.

მინდა გამოვისყიდო უწინდელი გულგრილობა

ეკა ლომიძე

— სტუდენტობის დროს, 31 დეკემბერს ღამისთევით ერთ ოჯახში ვიყავი მიწვეული. ვიცოდი, სტუმრად ულამაზესი გოგონები იქნებოდნენ და მათთან შესახვედრად საფუძვლიანად ვემზადებოდი. მთელი დღე შუაღამის მოლოდინით ვცხოვრობდი. ახლა არ მახსოვს, სადღაც გავედი სახლიდან და რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდი. საღამოს 7 საათი იქნებოდა. ჩემი თანაკლასელი მერაბ ყურაშვილი შემხვდა. სახინკლის პირდაპირ აღმოვჩნდით გაჩერებულები. ერთმანეთის ნახვა გაგვიხარდა და მერაბმა სახინკლეში მიმიპატიჟა — თითო ჭიქით დამდეგი ახალი წელი მივულოცოთ ერთმანეთსო. შევედით, შევუკვეთეთ ხინკალი, ქაბაბი, ლუდი და არაყი. ისე შევყევით — არ მახსოვს, როგორ და როდის მივედი სახლში. დილის ცხრა საათზე გამეღვიძა და მივხვდი, რომ წინა დღის სამზადისი წყალში ჩამეყარა. მაშინ გული დამწყდა, ახლა კი სხვანაირად ვფიქრობ, რახან ქეიფს შევყევით, ე.ი. სიტუაცია ორივესთვის საინტერესო და სასიამოვნო იყო.

— ბატონო ბესო, ახლა რა განწყობაზე ბრძანდებით? თქვენი ბიზნესი თუ გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს? საერთოდ, როგორ მიდის საქმე, რაიმე სიახლეს ხომ არ შესთავაზებთ 2001 წელს ხალხს?

— იტალიელ ინვესტორთან მაქვს მოლაპარაკება უახლესი ტექნოლოგიების შემოტანაზე. მაგრამ ეკონომიკური არასტაბილურობის გამო ინვესტორები თავს იკავებენ ჩვენს საქმეში თანხის ჩადებაზე. ფალსიფიცირებულ და უკანონოდ შემოტანილ პროდუქციას მიაქვს ბაზარი და დიდ კონკურენციას უწევს ჩვენს ნაწარმს. ბაზარი რომ დაიპყრო, უახლესი ტექნოლოგიები უნდა დანერგო. ერთი თვე ისხდნენ ჩვენთან მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები და საწარმოს მდგომარეობას სწავლობდნენ. თუ საქმე ნორმალურად არ მიგდის და დისტრიბუციის ქსელი აწყობილი არ გაქვს, ინვესტიციას არავინ მოგცემს. მსოფლიო ბანკს მოეწონა, რომ ჩვენი პროდუქცია ექსპორტზე მიდის — აზერბაიჯანში, სომხეთსა და უზბეკეთში და ამ ქვეყნებში ჩვენი წარმომადგენლებიც გვყავს.

— 21-ე საუკუნეში თქვენი პროდუქციის ასორტიმენტი ხომ არ გაფართოვდება?

— კი, საპნის, შამპუნის, კბილის პასტის და სხვა ნაწარმის გამოშვებას ვაპირებთ... კარგა ხანია, მოლაპარაკებას ვაწარმოებ შემოსავლების მინისტრთან, მიხეილ მაჭავარიანთან იმაზე, რომ უკანონო პროდუქციის შემოტანა შეზღუდოს. ვითხოვ კანონის დაცვას და მერე, ჩვენი საქმით ვიტყვით სათქმელს. კანონიერი კონკურენციის პირობებში არც ერთი ინვესტორი არ გვეტყვის უარს თანამშრომლობაზე.

— გავიგე თქვენთან ახალგაზრდები იკრიბებიან ყოველ ოთხშაბათს, რაზე ბჭობენ თქვენთან სტუდენტები და ვისგან წამოვიდა ეს ინიციატივა?

— ინიციატივა თვითონ ახალგაზრდებისგან მოდის. მათთან ურთიერთობამ ბევრ რამეში კარგად ჩამახედა და ახალი თაობების პრობლემების არსში გამარკვია. ახალგაზრდებს შესანიშნავი იდეები აქვთ. პროგრამებს ადგენენ, რომელსაც გარკვეულწილად ჩვენ ვაფინანსებთ და ეს ბავშვებიც სრულფასოვან პიროვნებებად გრძნობენ თავს!

— რაიმე პარტიის შექმნას ხომ არ აპირებენ?

— არა, მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა უნდათ და კონსულტაციებს ჩემგან იღებენ.

— ეი. მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისას ახალგაზრდა ელექტორატიც გეყოლებათ.

— დიახ, ეს ჩემთვის სასიამოვნო ფაქტია, ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. მათი გულახდილი საუბარი ზოგიერთ შემთხვევაში საქმის უკეთ წარმართვაში გვეხმარება.

— ისეთი შემთხვევა თუ ყოფილა, რომ მათი მცდელობით დანახული პრობლემის შემდეგ თავი უხერხულად იგრძენით — რატომ მეტი ყურადღება არ მივაქციეო?

— კი, როგორ არა. ახალგაზრდებს ძალიან უნდათ გამოფენების, საინტერესო შეხვედრების მოწყობა. ეტყობა, მათ შორისაც ბევრია ხელოვანის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ბავშვები სათავისოდ კი არ ფიქრობენ — ერთმანეთის წარმოჩენა უნდათ. როცა მათ პრობლემებზე პრესაში ვკითხულობდი, გულთან ახლოს არ მიმქონდა და რეაქციაც არ მქონდა. ახლა მეტ ყურადღებას ვაქცევ მათ. გვერდით დგომითა და დახმარებით მინდა გამოვისყიდო უწინდელი გულგრილობა.

— ბატონო ბესო, სახელმწიფოს პოლიტიკაზე, ეკონომიკურ სიტუაციაზე, მის იდეოლოგიურ საფუძველზე რას იტყვით?

— საერთოდ, დღეს არანაირი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია არ არსებობს. პარლამენტში ყოფნის დროს პრეზიდენტს მივმართე კითხვით — ბატონო ედუარდ ამიხსენით, რა სახელმწიფოს აშენებთ, რომ ვიცოდე, რაში დაგეთანხმოთ და რაში შეგეწინააღმდეგოთ. რას ვაშენებთ — როგორ სახელმწიფოს, კლასიკური საბაზრო ეკონომიკის ქვეყანას, სოციალიზმს, ველურ კაპიტალიზმს თუ რას, რა მოდელი გვინდა — გერმანული, შვედური თუ რომელიმე სხვა-მეთქი? მსოფლიომ ვერ გაიგო, რა გვინდა, უცხოეთშიც დაიბნნენ ჩვენთან დამოკიდებულებაში: ვერ ხვდებიან, საგარეო პოლიტიკის რა კურსს ვირჩევთ, პროდასავლურს თუ პრორუსულს. თოჯინების სახელმწიფო ჰქვია ამას, რაც ჩვენ გვაქვს.

— განცხრომა დანაშაულია კაცობრიობის წინაშე, სანამ ერთ კაცს მაინც უჭირსო — უთქვამთ და ეს ნათქვამი ჩვენს სინამდვილეში, საქართველოში მხოლოდ ფრთიან ფრაზად რჩება...

— კარგი რამ გამახსენეთ. ერთ-ერთი დიდი ბრძოლის შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელი უდაბნოში წყურვილით დაოსებულ ლაშქართან ერთად იდგა. უძლიერეს სარდალს, სწორუპოვარ მებრძოლს, მუზარადით მიართვეს წყალი. ჯარი ცახცახით შეჰყურებდა მბრძანებელს. ალექსანდრემ მუზარადი გამოართვა და წყალი გადაღვარა — არ დალია. უძლიერესი იყო მეომართა შორის, ეკუთვნოდა ის, რაც მიართვეს, მაგრამ წყურვილის მოკვლაზე მეტს მისთვის ის ნიშნავდა, რომ ჯარისკაცებს

ეგრძნოთ – როგორც მეომარი თქვენგან თავს არაფრით განვასხვავებო. სხვათა შორის, ისტორიოგრაფებმა დღემდე არ იციან, ეს ამბავი ნამდვილად მოხდა თუ ხალხმა ალექსანდრე მაკედონელის დაფასებისა და პატივისცემის ნიშნად შეთხზა. მაგრამ რა ჰქვია იმას, როცა დამარცხებული ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ხარ, ტიტველი, შეუიარაღებელი გყავს ჯარი, რომელიც შიშშილობს, შენ კი ექვსი ჯიპით დადიხარ, დაცვის უზარმაზარი ამალის თანხლებით?! სულ არ ვეხები დავით თევზაძის პიროვნულ ღირსებებს, მაგრამ მაინტერესებს – ვისგან იცავენ, რატომ ემსახურება ექვსი მანქანა? მაშინ, როცა მის ჯარს შია, მანაც არ უნდა იშიმშილოს? ქვეყანაზე ხომ უნდა იფიქროს ვინმემ. ავიღოთ აჭარის მაგალითი. ბათუმს პორტიდან აქვს დიდი შემოსავალი. ფოთს რა, არა აქვს შემოსავლები? საქართველოში ხომ ორი პორტია ფოთის და ბათუმის. ჩემი მინისტრობის დროს ბათუმის პორტში გემების 15% შედიოდა, ფოთში კი 85%. ეს არასწორი მართვა იყო. აჭარას ბევრი შემოსავალი რომ არ ჰქონოდა, ამიტომ ექცეოდნენ ასე... არ მინდა, ვინმემ ასლან აბაშიძის ქომაგად ჩამთვალოს, მაგრამ, გახსოვთ, ფინანსთა სამინისტროს და აბაშიძეს შორის დიდი დავა რომ იყო – გარკვეულ თანხას არ ურიცხავსო ბიუჯეტს? ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, ერთი რეგიონისთვის დაწესებული შეღავათები სწორი არ არის, მაგრამ აბა დაფიქრდით – რა მოხდებოდა, აბაშიძეს თანხები რომ გადმოერიცხა – სულ ჩინოსნები შეჭამდნენ. ამიტომ, პრაგმატული თვალსაზრისით, ბატონი ასლანი მართალია: ჩვენი მთავრობა საქართველოს ბიუჯეტს სადილ-ვახშმის მეთოდით ჭამს. კონტრაბანდისტი, არგადამხდელი ერთი მჭამელია, ბიუჯეტიდან ფულის მომპარავი – მეორე. უფრო სწორად, ეს ორი მეთოდია ჭამის, მჭამელი კი ხელისუფლებაში ზის.

— ... მერე კი სხვაგან „ზის“: ხელისუფლებიდან ზოგჯერ პირდაპირ გადაინაცვლებს ხოლმე იქ...

– ერთ საინტერესო რამეს გეტყვით. ოღონდ იმ კაცის დასახელება არ მთხოვოთ.. გავიგე, ასეთ მდგომარეობაში მოხვედრილ კაცს 30 ათასი დოლარი გადაუხდია და მალევე გარეთ გამობრძანდა. მე კი, მაინც მეცოდებოდა ციხისთვის – მიუხედავად მისი დანაშაულისა. ეს აზრი გამოვთქვი ერთგან და დამცინეს. მაშინ მითხრეს – რად გეცოდება, გარეთ არისო. ასეა, შეგიძლიათ მოიკვლიოთ და ვინაობასაც დაადგენთ. მასზე ცოტა ხნის წინ დიდი ხმაური იყო ატეხილი ტელევიზიაში, პრესაში... აი, ეს არის თქვენი კორუმპირებული საზოგადოება.

— რატომ ჩვენი?! სამწუხაროდ, თქვენმა თაობამ გვისახსოვრა მთელი გულუხვობით...

– პირობას გაძლევთ – ისე არ წავალ ამქვეყნიდან, რომ „დაწყობილ“ სახელმწიფოში არ დაგტოვოთ. მთელ ჩემს წილ ენერგიას, ცოდნას და გამოცდილებას გამოვიყენებ ამ საქმისთვის და სინდისის წინაშეც სუფთა ვიქნები.

— როდის დაიწყებთ მაგ საქმეს და ახლა ხელს რა გიშლით?

– ეს ხელისუფლება, რომელიც 2001 წლიდან დასამარდება.

— პრეზიდენტობის ახალ კანდიდატზეც იფიქრებდით ალბათ.

– რა თქმა უნდა. ამას წინათ, რამდენიმე კაცი ვისხედით. ჯერ ვიმსჯელეთ და ჩამოვთვალეთ ყველა ის თვისება, რითაც დაჯილდოებული უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი. მერე შესაძლო კანდიდატურებიც შევარჩიეთ. თავიდან 33 კაცი დასახელდა. ვისაც საზოგადოება იცნობს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ საკმარისი სულაც არ არის. პლეხანოველი კიკა იყო ერთი – მთელი თბილისი იცნობდა, მაგრამ სულელი იყო... იმ 33 კაციდანაც კიკას ჰგავს ზოგი... ბოლოს 8 კაცამდე დავიდა ჩვენი სია. მათი ვინაობა არ მკითხოთ. ეს კი არა და – ქაღალდის ფურცელიც, რომელზეც მათი გვარები იყო დაწერილი, დავწვით: რომ გამოაშკარავდეს ვის ისურვებდა ხალხი პრეზიდენტად. იმ ადამიანებს ხომ დევნა არ ასცდებათ.

— ეი. შეიძლება ეს ფაქტი შეთქმულებადაც ჩაგეთვალოთ?

– ეგეც არის. თუმცა ამ 8 კაცში არც ერთი არ არის ტალეირანი ან ნაპოლეონი, მაგრამ თვალი თუ დაადგეს, არ გაახარებენ.

— ნაპოლეონობას და ტალეირანობას სანაპოლეონო და სატალეირანო გარემოც ხომ უნდა?

– რასაკვირველია. მე კიდევ მინდა ვიცოდე, ვის და რატომ დავუდგე გვერდით, ააშენებს თუ დააქცევს ჩემი რჩეული საქართველოს. სამწუხაროდ, საქართველო დემოკრატიული აზროვნების ქვეყანა არ არის და ყველა, მათ შორის მეც, პირველ პირზე ვფიქრობთ.

ავსტრიაში გამოკითხვა ჩაატარეს და საზოგადოების 43%-მა არ იცოდა კანცლერის გვარი. ნეტავი საქართველოშიც ასე იყოს – რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პრეზიდენტი?! სისტემა იყოს ვარგისი და ხალხმა ნორმალურად იცხოვროს. ყველამ კარგად ვიცით, რომ თუ პოლიტიკური ნება იქნება, საქართველო 7-8 თვეში შვებას იგრძნობს. ეკონომიკის ლიბერალიზაცია უნდა მოხდეს. დღეს, საქართველოში უამრავი გაჩერებული საწარმოა. ამუშავდება თუ არა, მაშინვე ახრჩობენ გადასახადებით და ისევ ჩერდება. მიეცეს მათ ნულოვანი განაკვეთით ამუშავების ნება. ორი წელი საერთოდ არ მოსთხოვო გადასახადი, გაძლიერდეს, ათი კაციც რომ დაასაქმოს თითოეულმა, სახელმწიფოც შვებას იგრძნობს, ერთი პატარა ტვირთი მოეხსნება.

თავის დროზე, პარლამენტში ვთქვი – მცირე ბიზნესზე გარკვეულ დარგებში ფიქსირებული გადასახადები დავაწესოთ-მეთქი. მარტო ერთმა წესიერმა კაცმა – მიშა ჩიქვილაძემ დამიჭირა მხარი, მაგრამ უწესოებს ეს ხელს არ აძლევთ: სახელმწიფოს შემოსავლები გაიზრდება, მათ ჯიბეს კი დააკლდება. ლენინმაც კი, დაინახა, მის ხელში იღუპებოდა რუსეთის ეკონომიკა, კერძო საკუთრება დაუშვა – „ნეპი“ შემოიღო. რამდენიმე თვეში რუსეთმა სუნთქვა დაიწყო. ათი წელია საქართველოში საბაზრო ეკონომიკაა – გაიძახიან – და ყოველწლიურად უფრო და უფრო უჭირს ქვეყანას. ენერგეტიკა 10 თვეში შეიძლება წელში გაიმართოს, თუ ისურვებენ, მაგრამ ამათგან რას უნდა ელოდო, როცა ქალაქის მერი პრეზიდენტს მთავრობის სხდომაზე ეუბნება – გიპატაკებთ, ბატონო პრეზიდენტო, და ვულოცავ სრულიად საქართველოს – მე-10 ბლოკი ამუშავდაო, სახელმწიფო მინისტრი კი მთელ საქართველოს ულოცავს – საახალწლოდ, 3 დღე ყველას ექნება სინათლეო?! არ რცხვენიათ? შუბლის ძარღვი აქვთ გაწყვეტილი? შეიძლება ასეთი მენტალიტეტის ხალხის ხელისუფლებაში ყოფნა?! შეიძლება, ხალხს ის დაამადლო, რაც ეკუთვნის?! ■

„ოღონდ ეს ჯაგარი არ მქონოდა...“

მედეა გოგსაძე

ჭარბთმიანობა უხსოვარი დროიდან უმწარებს სიცოცხლეს მშვენიერი სქესის მრავალ წარმომადგენელს. რას აღარ მიმართავდნენ ქალები საძულველი ბეწვების გასანადგურებლად: გაპარსვას და ამოწიწკნას, გაუფერულებას და ქიმიურ „შეწამვლას“, ბალახ-ბულახს და შელოცვას, მაგრამ ყოველივე ამაო იყო აფროდიტეს სასტიკი განაჩენის წინაშე – ნებისმიერი პროცედურა, უკეთეს შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ ეფექტს იძლეოდა.

ჭარბთმიანობა მხოლოდ კოსმეტიკური დეფექტი როდი გახლავთ: „უადგილო“ ადგილას „ამობიბინებული“ თმა ქალს არასრულფასოვნების მტანჯველ კომპლექსს უყალიბებს. ზღვაზე დასვენება, აუზში ცურაობა, ვარჯიში, სასიამოვნო დროს ტარების ნაცვლად ტანჯვად ექცევა. სასოწარკვეთილი, სხვადასხვა რადიკალურ საშუალებას მიმართავს და მძიმედ განიცდის, როდესაც არცთუ ისე ესთეტიკურად გამოიყურება. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ არასრულფასოვნების განცდით დათრგუნვილი ქალი მეტ-ნაკლებად (ხშირად კი, უკიდურესად) შებოჭილია პარტნიორ მამაკაცთან ურთიერთობაში, რაც ხელს უშლის მის ქალურ თვითრეალიზაციას და უარყოფითად აისახება სექსუალურ ცხოვრებაზე.

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები“

17 წლის გოგონა, ჯანსაღი, ლამაზი აღნაგობის, საკმაოდ ენერგიული და უშუალო, თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის I კურსის სტუდენტი; ჰყავს მეგობარი ვაჟი, რომელთანაც ძალზე ახლო ურთიერთობა აკავშირებს, მაგრამ ახერხებს „დროულად დამუხრუჭებას“. პურიტანულად განწყობილი მშობლებისა და პედაგოგების გულის გასახეთქად, იმასაც ვიტყვით, რომ ტრადიციული მორალი აქ არაფერ შუაშია: გოგონა თავის ქალწულობას როდი იცავს ასე შეუპოვრად – შეყვარებულის მოსალოდნელი რეაქცია აფრთხობს; თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ მისი შიში ერთობ გაზვიადებულია.

– ერთმანეთი უზომოდ გვიზიდავს. განმარტოებას არც ისე ხშირად ვახერხებთ, მაგრამ თუ სურვილია, მოგეხსენებათ... ერთ ხელსაყრელ მომენტსაც არ გაუშვებს, რომ არ მაკოცოს. ერთხელ ჩემთან სახლში „თითქმის ყველაფერი“ მოხდა, მაგრამ უცებ გონს მოვეგე და გავაჩერე. მაშინ მივხვდი, რომ მართლაც ძალზე ვყვარებივარ – თორემ თავს ვერ შეიკავებდა. არ ვიცი, ასე როდემდე გაგრძელდება, მაგრამ სანამ ამ პრობლემას არ მოვაგვარებ, ვერაფერს გავბედავ.

— რატომ გგონია, რომ ბეწვიანობა ასე დააფრთხობს? შესაძლოა, ეს მისთვის სიურპრიზი არც იყოს — მოკლე კაბაში, შორტებში არც ისე ძნელია ნაპარსის თვალით შემჩნევა...

– ვცდილობ, შორტი ან მოკლე კაბა, მხოლოდ შემოდგომაზე ან გაზაფხულზე ვატარო. წინდაში ყველაფერი საიმედოდ იმალება. ნაპარსსაც გააჩნია – კანი ბატის კანივით ხორკლიანი მიხდება, თანაც მუწუკებსაც მაყრის. ვიცი, ვუყვარვარ, შეიძლება, არც შეიმჩნიოს, მაგრამ ქვეცნობიერად ხომ მაინც იმოქმედებს?! „შავი შურით“ მშურს, როდესაც რეკლამებზე სინდის ან ნაომის პრიალა კანს ვუყურებ. რას არ მივცემდი, ოღონდ ეს ჯაგარი არ მქონოდა... გაგეცინებათ და, მრცხვენია, როდესაც მეუბნება – კოხტა ფეხები გაქვსო. ვფიქრობ – ერთი, გაუპარსავზე, შიშველი განახვა-მეთქი. ისე, ამ ბოლო დროს ვცდილობ, სულ ფორმაში ვიყო, ერთხელაც ვეღარ მოითმენს და...

— როგორც ვხედავ, ეგ ბუსუსები რომ არა, არც გაუძალიანდებოდი.

– არა კი არა – ვერ: ძალიან მიყვარს. ეპილაცია გამატყავებს, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

„ცეცხლითა და მახვილით!“

რესპონდენტის პრობლემა სრულებითაც არ არის უნიკალური. ჭარბთმიანობა სამხრეთში ერთობ გავრცელებული მოვლენაა, რასაც მზის გაძლიერებული აქტიურობა და ამასთან დაკავშირებული კლიმატოლოგიური ფაქტორები განაპირობებს. ბეწვიანობა ქალისთვის ყოველთვის მძიმე ნაკლად ითვ-



ლებოდა. ამდენად, საუკუნეების მანძილზე, მის წინააღმდეგ ბრძოლის უამრავი მეთოდი იქნა შემუშავებული. მრავალ მათგანს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ქალები რეგულარულად იწიწკნიდნენ ბალანს, რის შემდეგაც იცხებდნენ სპეციალური ბალახ-ბულახით დამზადებულ მალამოს, რომელიც თმის ზრდას აფერხებდა. როგორც აზიაში, ისე შუა საუკუნეების ევროპაში, ფართოდ იყო გავრცელებული გამდნარი ცვილით ან წებოვანი სალბუნებით ბეწვის აგლეჯა, რასაც სერვანტესიც კი მოიხსენიებს თავის „დონ კიხოტში“.

„ლამაზი რომ გახდე, უნდა დაიტანჯო!“ – ღაღადებს ფრანგული ანდაზა, მაგრამ სილამაზისთვის მაზოხისტური თვითგვემის იდეა, როგორც ჩანს, ზოგადსაკაცობრიო გახლავთ. ეპილაციის ისტორიული ხერხები ამის თვალსაჩინო დადასტურებაა.

ამ მეთოდმა ტრანსფორმირებული ფორმით დღემდე მოაღწია. არსებობს მისი უამრავი ვარიაცია, რომლებსაც აერთიანებს საერთო თვისება – ბეწვის განადგურება უშუალოდ მასზე ზემოქმედებით ხორციელდება, ცვილის ნიღბებით ან საეპილაციო ნემსებით, აგრეთვე ლაზეროთერაპიის გამოყენებით. ცვილის ნიღბის მეთოდი მათ შორის უძველესია და დღესაც მდგრადი პოპულარობით სარგებლობს.

ოლღა გოცირიძე, კოსმეტოლოგი:

– ნიღბის დასამზადებლად გვაქვს ესპანური, იტალიური, ისრაელის მასალა, რომელსაც, ძირითადად, მზა სახით ვყიდულობთ. ეპილაციის წინ კანს სპეციალური კრემებით ვამუშავებთ. ამის შედეგად, ფორები ფართოვდება და ბეწვიც უფრო ადვილი ამოსაღები ხდება, ანთებაც ნაკლებმოსალოდნელია. ამის შემდეგ ვუსვამთ გამდნარ მასას. წვის შეგრძნება გამორიცხულია – დნობის ტემპერატურა სწორედ ისეთია, რომ კლიენტმა დისკომფორტი არ იგრძნოს. გაცივების შემდეგ, ნიღაბს სპეციალური ერთჯერადი ხელსახოცებით ავაძრობთ. პროცედურა მეტ-ნაკლებად მტკივნეულია. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში ვხმარობთ ლიდოკაპს, რომელსაც აქვს გაყინვის ეფექტი. დეპილირებული უბანი მუშავდება სპეციალური ეთეროვანი ზეთებით (ლავანდის, ჩაის ხის), რომელიც თრგუნავს თმის ზრდას. რეციდივი ერთ თვეშია მოსალოდნელი, მაგრამ გათმიანების ფართობი 30-50 პროცენტით მცირდება. ბეწვი ნაზდება და ნაკლებად შესამჩნევი ხდება. პროცედურათა აუცილებელი რაოდენობა – 30-50-ია, შედეგების მიხედვით.

თამარ ლომიძე, კოსმეტოლოგი:

– ვმუშაობ კონტაქტური ლაზერული თერაპიის მეთოდით, რომელიც ორ მეთოდს აერთიანებს: თმის ძირის სპეციალური „ნემსით“ განადგურება და კანის ზედაპირის ლაზერული დამუშავება. ამ ორი პროცედურის შეთავსება ზრდის მეთოდის ეფექტურობას. მტკივნეული არ არის, მაგრამ ზოგიერთი კლიენტი ბუნებით მფრთხალია და გვიწევს გარკვეული ფსიქოთერაპიული მიდგომა, რათა მოეშვას და მუშაობაში ხელი არ შეგვიშალოს. ერთ წუთში 8-15 ბეწვს ვიღებ – თმის სირთულეზეა დამოკიდებული. თხელი ბეწვი ერთი პროცედურითაც ადვილად ნადგურდება, უხეშისთვის 7-8-10 ხდება საჭირო. უხეში თმა, საშუალოდ, სამ კვირაში ამოდის, გადარჩენილი თხელი – 2-3 თვეში, მაგრამ პროცედურების მიზანმიმართული განმეორება ნელ-ნელა ამცირებს გათმიანების ფართობს. მქონია შემთხვევა, როდესაც ერთი პროცედურით თმიანობა 30-60 პროცენტით შემცირებულა. სრული გათავისუფლება, ცხადია, ნაკლებრეალურია, მაგრამ ყოველთვის ვახერხებთ ბეწვების საგრძნობლად გამეჩხერებას. თანაც, ამოსული ბეწვი სუსტი და გამჭვირვალეა. ამდენად, არ ჩანს.

ტკივილი – ტკბობის წყარო?!

25 წლის ქალბატონი, ელიტის წრიდან, ჰუმანიტარული განათლებით, ლექციებს კითხულობს ერთ-ერთ კომერციულ კოლეჯში. ალბათ უკვე მიხვდით, რომ შემოსავლის პრობლემა ნაკლებად აწუხებს. სამსახურიც მისთვის უებარი დოპინგია მოწყენილობის საწინააღმდეგოდ. კოსმეტოლოგთან რეგულარულად დადის და ამ ვიზიტების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ეპილაცია გახლავთ, თანაც ძალზე „ეგზოტიკურ“ ადგილზე.

– ოთხი წელია, გათხოვილი ვარ. ჭარბთმიანობა ჩემი პრობლემა არასოდეს ყოფილა, მაგრამ ბავშვის გაჩენის შემდეგ, როგორც ჩანს, ჰორმონალური ბალანსი დამერღვა. ძუძუს თავზე საკმაოდ ხშირი ბეწვი ამომივიდა, რაც, ცოტა არ იყოს, მაკომპლექსებს.

— კი, მაგრამ, განა ასე ძნელია ამ უმნიშვნელო პრობლემასთან საკუთარი ძალებით ბრძოლა? არსებობს მამაპაპური გზა — პინცეტით ამოღება. რა ძალა გადგათ, რომ თავს ასე იტანჯავთ? ძუძუს თავი ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ადგილია და დენის განმუხტვა, წესით, საკმაოდ მტკივნეული უნდა იყოს.

– შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ, ჯერ ერთი, ტკივილი უმნიშვნელოა და მეორე – გარკვეულ სიამოვნებასაც მანიჭებს...



ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გეგახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. კინოკარიერის დაწყებამდე ადრიანო ჩელენტანო მუშაობდა:

ა) მესაათედ;
ბ) დურგლად;
გ) ფოსტალიონად.

2. სირაქლემების ოჯახებში კვერცხს ჩეკენ:

ა) მამლები;
ბ) დედლები;
გ) ორივენი.

3. იპოლიტე ხვიჩიას ნამდვილი გვარი იყო:

ა) ხვიჩაძე;
ბ) ყვინჩია;
გ) ხიჩია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— ფიზიოლოგიური თვალსაზრისით?

— დიახ. ცოტა არ იყოს, ეროტიკული ელფერის განცდაა. ამდენად, ტანჯვა არაფერ შუაშია. თანაც, პერსპექტივაში, ბეწვებს საბოლოოდ მოვიშორებ. სიარული ნამდვილად არ მეზარება.

ჰორმონების „კაპრიზი“

ჭარბთმიანობას შესაძლოა განაპირობებდეს ჰორმონალური დარღვევები. მსუბუქ ფორმებში საგანგაშო არაფერია, მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, დარღვევა რაიმე დაავადების ფონზე ყალიბდება. ასეთ დროს კოსმეტოლოგია უძლურია და ასპარეზს მედიცინას უთმობს.

ჯენარო ქრისტესაშვილი, გინეკოლოგი-ენდოკრინოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— ჭარბთმიანობას განაპირობებს ანდროგინიზაცია, რომელიც, თავის მხრივ, ჰორმონალური დარღვევების ფონზე ვითარდება. მძიმე შემთხვევებში, ეს შეიძლება მოხდეს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების, საკვერცხის, თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის დარღვევის ან სიმსივნის, ფერმენტული სისტემის თანდაყოლილი დარღვევის ფონზე.

ასეთ დროს, უნდა ჩატარდეს სამედიცინო გამოკვლევა, რათა დადგინდეს მიზეზი და შემუშავდეს მკურნალობის სტრატეგია. როცა ძირითად მიზეზს აღმოვფხვრავთ, ჭარბთმიანობასაც უფრო ეფექტურად მოევლება.

რაც შეეხება ეპილაციას, იგი დასაშვებია მხოლოდ ისეთ დროს, როდესაც არ გვაქვს სერიოზული დარღვევა, რომელიც სწორედ მიზეზობრივ მკურნალობას საჭიროებს: ეს არის დამხმარე საშუალება, რომელიც ებრძვის მხოლოდ შედეგს, ხოლო შინაგან მიზეზს ვერაფერს უხერხებს.

გაჭირვება მიჩვენე და...

როგორც ვხედავთ, სიტუაცია არც ისე უიმედო ყოფილა. ჭარბთმიანობას მოევლება, მთავარია იყოს სურვილი, ნებისყოფა და... ფული!

მაგრამ რა ვიღონოთ, როდესაც სურვილი გვაქვს, არც ნებისყოფას ვუჩივით, ფული კი არ გაგვაჩნია?

არც ისე ძნელია სახლის პირობებში კანიფოლისა და სანთლის ნაერთით (დაახლოებით 1:3) ნიღბის გაკეთება და ბეწვის დამოუკიდებლად ამოწიწკნა. გულითადი დაქალი სიამოვნებით შეასრულებს კოსმეტოლოგის ფუნქციას, განსაკუთრებით, თუ თქვენ მიმართ ფარული აგრესია აწუხებს — ასეთ შემთხვევაში მოგება ორმხრივი იქნება. დეპილირებული უბნის დასამუშავებელი ეთეროვანი ზეთების მაგივრობას ჩინებულად გაგიწევთ პარსვის შემდეგ სახმარი კრემი.

კიდევ ერთი მომენტი: ანდაზა — ზოგი ჭირი მარგებელიაო, ზედგამოჭრილია ჭართბმიანობის შემთხვევისთვის. სექსოლოგთა მტკიცებით, ქალის სექსუალობა ორგანიზმში მამაკაცურ ჰორმონთა რაოდენობაზე ყოფილა დამოკიდებული. თურმე ყველაზე ვნებიანი ქალი — „ულვაშა“ ქალია! იქნებ ამიტომ უყვართ მგზნებარე ლათინოამერიკელ მაჩოებს ზომიერად ბალნიანი ლამაზმანები?

გარკვეულ ფარგლებში, ბუნების ეს სასჯელი თურმე წყალობა ყოფილა, თანაც ზოგან მოწონებითაც სარგებლობს. როგორც იტყვიან, კაცია და გუნება!!

გურამ დოჩანაშვილთან „მეორე ათასწლეულშიც“ ვიყავი, მაგრამ მაშინ მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ინტერვიუ ვერ დავასრულეთ.

მეორედ შობა დღეს ვესტუმრე ქართველ მწერალს — მეგობრები ჰყავდა სტუმრად და ზუსტად იმ დროს მივედი, როდესაც მათი თხოვნით ლამაზ მელოდიას ასრულებდა ვიოლინოზე...

გურამ დოჩანაშვილი:

„სულ „დავანგრიე“, რაც აქამდე დამიწერია!“

ვეიად გურული

„დედამიწას სიყვარული ატრიალებს!“ – გურამ დოჩანაშვილის ბრწყინვალე რომანის „სამოსელი პირველის“ ეს ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) „აღმოჩენა“ რომ თვით მისი ავტორის ცხოვრებისეული კრედოც არის, ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა მის მეგობრებთან საუბარმა.

გურამ დოჩანაშვილი თავის მეორე რომანს ამთავრებს – „ლოდი, ნასაყდრალი“, ფრაგმენტები ქვეყნდება ჟურნალ „XXI საუკუნეში“, მაგრამ, ცხადია, ცხრაასგვერდიანი წიგნის შესახებ წარმოდგენის შექმნა ამ ფრაგმენტებით ძალზე ძნელია.

ჩემი იქ ყოფნის დროს ბატონ გურამს მეგობარმა დაურეკა და ასეთ ფრაზას მოვკარი ყური: „ათ დღეში დავამთავრებ, კიდევ ერთი ათი დღე გადაბეჭდვას დასჭირდება და პირველად შენ უნდა წაგაკითხო. იცი რა არის?! – სულ „დავანგრიე“, რაც აქამდე დამიწერია!“

ჯერ „კეთილი შურით“ შემშურდა მწერლის მეგობრისა, რომელსაც ყველაზე ადრე ხვდებოდა წილად „პირველად წაკითხვის ბედნიერება“ (დოჩანაშვილის ერთ-ერთი მოთხრობის გმირსაც ხომ ასე შურდა ხოლმე მათი, ვისაც ჯერ კიდევ წინ ჰქონდა რომელიმე დიდი ნაწარმოების წაკითხვის ბედნიერება და ასეთ ხალხს „მისალოცებს“ ეძახდა), შემდეგ კი სხვა „პრობლემა“ გამიჩნდა:

— ბატონო გურამ, მე, როგორც თქვენი ნაწარმოებების ერთ-ერთ ერთგულ მკითხველს, შემეშინდა — როგორ თუ „ყველაფერი დაანგრიეთ?“

– თუ გახსოვთ, ჩემი ერთი მოთხრობის პერსონაჟი (ისე, საშინლად არ მიყვარს ეს სიტყვა) ამბობს: „ყოველი კარგი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, ადამიანი უნდა გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე მის წაკითხვამდე იყო“. მე, შეიძლება ითქვას, ბუნებით „მშიშარა“ ვარ, როდესაც საქმე ახალ ნაწარმოებს ეხება – ყოველთვის ვღელავ იმის გამო, გამოვა თუ არა იგი ისეთი, რომ ადამიანი „გააუკეთესოს“. ახლა ამ შიშისთვის მეტი მიზეზი მაქვს – ჯერ ერთი, რომ რომანი მაინც რომანია და მას უფრო მეტის „პრეტენზია“ უნდა ჰქონდეს, ვიდრე მოთხრობას. მეორეც – მე ისეთი პერიოდი გამოვიარე ბოლო წლებში, როდესაც მიჭირდა ახალი პერსონაჟების „მოგონება“ და ისევ ძველები მოქმედებდნენ ჩემს ბოლოდროინდელ მოთხრობებში. ეს არ იყო „ხალტურა“, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არც შემოქმედების მწვერვალი იყო. „ლოდი, ნასაყდრალი“ კი, ამ მხრივაც გამორჩეული უნდა იყოს. ასე რომ, „დანგრევაში“ ეს ვიგულისხმე და თქვენი, როგორც მკითხველის „შიში“, ჩემთვის სასიამოვნო და საამაყოა, მაგრამ მე მგონი – უსაფუძვლო.

— „სამოსელი პირველზე“ თაობა გაიზარდა, ყოველ შემთხვევაში — ჩემი თაობა, რომელსაც უკვე შვილები ჰყავს იმ ასაკისა, მალე თვითონ რომ იქნებიან „მისალოცები“. გახდება მათთვის „ლოდი, ნასაყდრალი“ იგივე, რაც ჩვენთვის „სამოსელი პირველი“ იყო?

– ღმერთმა ქნას! მაგრამ „სამოსელი პირველი“ ხომ „ცოცხალია“ ჯერ. რაც თქვენ მითხარით, სხვებსაც უთქვამთ და როდესაც ხელიდან ხელში მრავალჯერ გადასული და დაფლეთილი ჩემი რომანი მინახავს, ეს იყო ჩემი – როგორც მწერლის ყველაზე დიდი ბედნიერება. ცხადია, მინდა, რომ „ლოდი, ნასაყდრალიც“ ასეთი იყოს და ამ „თავხედური ოცნების“ გასახორციელებლად ყველა შესაძლებლობა გამოვიყენე. ყოველ შემთხვევაში ვეცადე, რომ თუ რამე დააკლდა „სამოსელი პირველს“, აქ ამენაზღაურებინა. თუმცა არ ვაპირებ, ეს ორი რომანი ერთმანეთს „შევაჯიბრო“.

ახლა უფრო სხვა რამის მეშინია, რისი პრობლემაც ადრე არ ყოფილა – სამწუხაროდ, დღევანდელი დუხჭირი ყოფა ყველაფერში ვლინდება – არავითარი იმედი არა მაქვს, რომ ცხრაასგვერდიანი წიგნის დაბეჭდვას ვინმე ითავებს და ასეც რომ მოხდეს, ალბათ იმდენი დაჯდება თითო ეგზემპლარი და მისი ფასიც ისეთი იქნება, რომ ჩემს მკითხველს, სამწუხაროდ, წიგნში ამდენი ფულის გადახდის საშუალება არა აქვს. ასე რომ, შეიძლება წიგნი არ გაიყიდოს და ამით ის გამომცემელიც ცუდ დღეში ჩავარდეს, რომელიც, კეთილ ნების გამო იქნება ეს თუ პატარა მოგების მიღების სურვილით, ამ საქმეს წამოიწყებს.

— დღევანდელი ყოფა ახსენეთ და ამიტომ გკითხავთ — თქვენზე, მწერალზეც მოქმედებს უშუქობა, უგაზობა და სხვა ათასი უბედურება, რომელიც გვჭირს?

– ახლა შეიძლება თქვენ ჩემგან პა-

სუხად ელით, რომ „მთავარი ეს არ არის ჩემთვის და ოღონდ ქაღალდი და კალამი მქონდეს და ა.შ.“, მაგრამ მინდა თუ არა, უნდა ვაღიარო, რომ თუნდაც ჩემი ამ რომანის ამდენ ხანს დაუმთავრებლობა, სწორედ უშუქობისა და სიცივის ბრალიცაა. არ შემიძლია ამ ლამპის შუქზე გაყინული თითებით წერა და რა ვქნა. თქვენ რომ გენახათ, რა ბრძოლა მჭირდებოდა საკუთარ თავთან ყოველი სიტყვის დაწერისათვის, გამიგებდით (როგორც ბატონი გურამის მეგობრებმა მითხრეს, მათ უთხოვიათ „თელასის“ რაიონული განყოფილების „შეფებისთვის“, რომ მწერლისთვის ცალკე ხაზი შემოეყვანათ, რა თქმა უნდა — მრიცხველის „გავლით“, მაგრამ ამაოდ. არადა, მე თვითონაც ნანახი მყავდა წინა სტუმრობისას ხელთათმანებსა და სხვა „ზამთრის ამუნიციაში“ გამოწყობილი ბატონი გურამი. ჰოდა, სირცხვილი და თავის მოჭრა იმ სახელმწიფოს, რომელიც ელემენტარულ სამუშაო პირობებს ვერ შეუქმნის თავის ერთ-ერთ საუკეთესო მწერალს. — ავტ.). ისე, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ — ნათქვამია, ამას წინათ ფეხი რომ მოვიტეხე, ახლობლებს ვეცოდებოდი. არადა, ამ ამბავმა სახლში „დამაბა“, თორემ კიდევ კარგა ხანს ვერ დავამთავრებდი ახალ რომანს.

მე უფრო სხვა პრობლემის გამო მტკივა ეს დრო — ხალხი წიგნს აღარ კითხულობს, იმიტომ კი არა, რომ არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ არც წიგნის ყიდვის საშუალება აქვს და არც კითხვის ხალისი.

— თქვენ თვითონ თუ გრჩებათ კითხვის დრო, სურვილი და ხალისი? ახალგაზრდა ქართველ მწერლებზე მინდოდა მეკითხა...

— იცით, მე ვერ ვიტან ე.წ. „პროფესიონალ კრიტიკოს-ლიტერატორებს“. მე მომწონს ახალგაზრდა ქართველი მწერლები, ეს ჩემი აზრია და არა მაქვს პრეტენზია აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. ამ ჭეშმარიტებას დრო გამოაჩენს და მწერალსა და მკითხველს შორისაც არავითარი „შუამავალი“ არ არის საჭირო.

— მაშინ „მარტივად“ გკითხავთ: რა არის მწერლობა და ვინ არის კარგი მწერალი?

— მწერლობა, მხატვრული ნაწარმოები, პირველ რიგში, შვება უნდა იყოს მკითხველისთვის. არ მიყვარს ღვარჭნილი პროზა — ხომ დიდი მწერლები არიან მიუზილი და თომას მანი, მაგრამ რა ვქნა — არ მომწონს. მეორე მხრივ, მარტო ამისთვის არ „შევიძულებ“ მწერალს, ისევე „ძნელად“ იკითხება მარკესი, მაგრამ დოდოსტატია, თუმცა მას ერთი მთავარი რამ აკლია — რწმენა. მახსოვს „მარტოობის ასი წელიწადის“ პირველივე სტრიქონებით ჩემში გამოწვეული ეფექტი. თანაც მარკესი პირველი იყო ლათინოამერიკელი მწერლებიდან, რომელიც წავიკითხე. შემდეგ კი ეს ლიტერატურა უსაყვარლესი გახდა ჩემთვის — ლიოსა, კორტასარი...

— ძალიან ბევრი საყვარელი მწერალი გყავთ?

— ჩემი „საყვარელი მწერლები“ ქართველი მწერლები არიან — პირველ რიგში, გურამ რჩეულიშვილი და რეზო ინანიშვილი. პირველისაგან მე, როგორც მწერალმა, გამბედაობა ვისწავლე და მეორისაგან კი — ქართული სიტყვის მადლი შევიგრძენი. გინდ ჩემი „მასწავლებლები“ უწოდეთ მათ და გინდ „წინამორბედები“ — ჩემს მწერლად ჩამოყალიბებაში კი, დიდი როლი ითამაშეს. როგორც მკითხველი, ამ ორთან ერთად ჯემალ ქარჩხაძესა და ჭაბუა ამირეჯიბს დავასახელებდი და დანარჩენებზე ნუღარ მკითხავთ — არავინ გამომრჩენია.

ეს — პროზაში. საერთოდ კი, ვაჟა, გალაკტიონი და ფიროსმანი — ეს ჩემთვის ყველაფერია, ჩემი სინდის-ნამუსი და მსოფლმხედველობა.

— ესე იგი, თქვენთვის მაინც ჰქონია მნიშვნელობა, ვინ არის მწერალი, ხელოვანი — როგორი ადამიანია.

— იცით, რა არის, ეს მაინც გამოჩნდება მათ ნაწარმოებებში. გალაკტიონი ბუმბერაზი იყო, თვითონვე უწოდებდა თავს გენიას, მაგრამ ხანდახან სერიოზული ეჭვი იპყრობდა და სრულიად გულწრფელად კითხულობდა: „ალიო მირცხულავა ხომ არ მჯობიაო“.

დღეს ვისაც უნდა, ის ბეჭდავს თავის „ნაწარმოებს“, ოღონდ ფული ჰქონდეს, ადრე სხვა რამე უშლიდა ხელს კარგ მწერალს და კარგ ადამიანს, მაგრამ იყვნენ გამონაკლისები, რომლებსაც ვერც დრო აღუდგებოდა წინ და ვერც ბიუროკრატია — სწორედ ასეთები იყვნენ გურამ რჩეულიშვილი და რეზო ინანიშვილი.

კაცობაზე რომ ვლაპარაკობ, თუნდაც ჭაბუა ამირეჯიბისა და ალექსანდრე სოლჟენიცინის მაგალითი ავიღოთ. ჭაბუა ექვსჯერ გამოიქცა სტალინური ბანაკებიდან. ექვსჯერ! მაგრამ თავის რომანში, სადაც დაწვრილებით აქვს ყველაფერი აღწერილი, არასოდეს წუწუნებს ბანაკების პირობების გამო. ის, როგორც მწერალი, ნამდვილი კაცი და ნამდვილი ქრისტიანია! სოლჟენიცინი? — მაპატიეთ და ნამდვილი... არა, ვერ ვიტყვი ამ სიტყვას, თვითონ წარმოიდგინეთ ყველაზე ცუდი სიტყვა და ეგ არის სოლჟენიცინი. „ბანაკში ჭუჭყი იყო, ციოდა, თავები გვეყინებოდაო“ — სლუკუნებს. თუ გციოდა, დაგეხურა — რა თავს გვაცოდებ. სამაგიეროდ მას უსმენენ. რას იზამ, მოვა დრო და აღარ მოუსმენენ. ეს ყოველთვის ასე იყო და ასეა დღესაც. შეიძლება იყოს აღიარებული მწერალი, მაგრამ არ იყოს კაცი, ადამიანი და, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი სწორდება.

— ქართულ მწერლობაშიც ასეა?

— ქართული მწერლობა მართლა უდიდესი მწერლობაა, მაგრამ, სამწუხაროდ დღეს ბევრს აღარ ახსოვს ეს და მაიმუნებს უსმენენ.

— ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ — მწერალი მხოლოდ მწერალი უნდა იყოს და „ერის მამის“ ფუნქციას არ უნდა ეპოტინებოდესო. ილიასეული „ფორმულაც“ — „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგან-

მა“-ც უარყოფილია. თქვენ რას იტყვით მწერლის საერო მისიაზე?

— თუ ჩემს ერს სჭირდება, რომ გამოვადგე, უნდა გამოვადგე, მაგრამ არა მინისტრობით და პარლამენტარობით, არამედ მართალი და წმინდა სიტყვით. თუმცა, თუ მწერალს იმისი ნიჭი და დროც აქვს, რომ სხვაგან იღვაწოს, ცუდი რატომ უნდა იყოს. თუმცა ვეჭვობ, რომ ამით თავის მთავარ საქმეს ავნებს.

— **მკითხველის, ხალხის აზრს თუ აქვს თქვენთვის მნიშვნელობა?**

— ყველა წესიერი მწერლისა და წესიერი ადამიანისათვის, ნებისმიერ ჰონორარსა და პრემიაზე მნიშვნელოვანი, მკითხველის აზრი და დაფასებაა. ამას წინათ ერთმა გოგონამ დამირეკა და მითხრა: მე მუსიკოსი ვარ და თქვენს ნაწარმოებებშიც ულამაზეს მუსიკას ვხედავ და ვისმენო — ეს არის ბედნიერება ჩემთვის. ჩემი მოთხრობები და რომანები ხომ უფრო „თქვენია“ — მკითხველის, ვიდრე ჩემი.

— **რადგან თქვენ არ უარყოფთ „მწერლის მისიას“, მაშინ გვითხარით — „რას გვეტყვით, რით გაგვახარებთ?“ დიდი ილია ხომ ასე მიმართავდა ერს ახალი წლის წინ. ახლა კი ახალი წელი, ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული ერთად „დაგვატყდა“ თავს.**

— ილია, ილია იყო და მკრეხელობაა მის მაგივრად ერის დამოძღვრა. მე უფლება არა მაქვს, ერს ჩემი მოთხრობებისა და რომანების გარდა, საჯარო გამოსვლებითა თუ მიმართვებითაც „ჭკუა დავარიგო“, თუმცა ერთი კი ვიცი და მტკივა — ქართველები არა ვართ ისეთი ცუდი ხალხი, რომ დღეს ასეთ დღეში ვიყოთ, სულიერების მხრივ ვამბობ, ცხადია. სამწუხაროდ, ბევრი ცოდვა დაგვიგროვდა და მათ შორის მთავარი და დამღუპველი არა მკვლელობა, ძარცვა და ყაჩაღობა, არამედ ამ ყველაფრისადმი შემგუებლობაა — ამიტომ ვერ გავხდით ლაღები და დამოუკიდებლები და სანამ ამ უმთავრეს ცოდვას არ მოვინანიებთ, ე.ი. სანამ ყველაფერზე თვალის დახუჭვასა და ხელის ჩაქნევას არ გადავეჩვევით, არც ვიქნებით დამოუკიდებლობის ღირსნი.

— **პირადად თქვენ, რას ვერ აპატიებთ ადამიანს?**

— მაცხოვრის ათ მცნებაში იდეალურად არის ჩამოყალიბებული, თუ რა უნდა აკეთოს ადამიანმა და ნებისმიერი მათგანის დარღვევა — ძნელად საპატიებელი ცოდვაა. მაგრამ პირადად მე, ყველაფრის პატიება შემიძლია, გულგრილობის გარდა — შეიძლება, შეცდეს ადამიანი, ძალიან მაგრადაც შეცდეს, მაგრამ ის ბოროტი და შეცდენილი რაღაცას მაინც წარმოადგენს — ცუდი, მაგრამ მაინც ადამიანია. გულგრილი კაცი კი არაფერი არ არის — ქვა, საგანი, არარაობაა.

— **წელან მუსიკა და მუსიკოსი ახსენეთ. ნებისმიერმა თქვენმა მკითხველმა იცის, რომ მუსიკა თქვენი და თქვენი გმირების განსაკუთრებული სიყვარულია (მთელი ჩვენი საუბარიც ვერდის „აიდას“ ჰანგების ფონზე მიმდინარეობდა).**

— მუსიკა საოცრებაა. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომელი უფრო მეტია ჩემთვის — მუსიკა, მწერლობა თუ მხატვრობა. არა მგონია, წესიერი კაცი არსებობდეს, რომელსაც მუსიკა არ უყვარს.

— **რომელი საუკუნის მწერალია გურამ დოჩანაშვილი — მეოცესი თუ ოცდამეერთესი?**

— ეგ თქვენი გადასაწყვეტია. ახალი რომანი რომ მეოცე საუკუნეში ვეღარ დაიბეჭდება, ფაქტია, მაგრამ წეღანაც გითხარით — ოცდამეერთეში დაბეჭდვაც თუ მოესწრო, დღევანდელი ყოფის გამო, ეგეც მეეჭვება. ასე რომ, „სამოსელი პირველის“ იმედად უნდა ვიყო (იცინის). მე ძალიან მიყვარს „სამოსელი პირველის“ გმირები, მისი „ხუთი დიდი კანუდოსელი“ ჩემი შვილები არიან და ბედნიერი ვარ, როდესაც თქვენ, მკითხველი მეუბნებით ხოლმე, რომ თქვენც ასევე გიყვართ ისინი. ასმაგად ბედნიერი ვიქნები, თუ ისინი ოცდამეერთე საუკუნეშიც არ „დაბერდებიან“.

„დიდი კანუდოსელები“ სხვადასხვანაირი და ამავე დროს ერთნაირად დიდებული ადამიანები იყვნენ: ჟოაო აბადო, უჟმური და უგემური, თბილი და ალერსიანიც იყო იმავე დროს; მოხუცმა სანტოსმა, რომელმაც არაერთი ღამე გატეხა უძილოდ თავისი ცოლ-შვილის მკვლელისადმი შურისძიებაზე ოცნებით, როგორც მათხოვარი და არარაობა — შეხვედრისას ცოცხლად გაუშვა მოსისხლე; მანუელო კოსტამ, რომელსაც სულ სხვანაირად უყვარდა სიცოცხლე, საერთო საქმისთვის უფრო საჭირო მეგობრის გათავისუფლებას შესწირა იგი; ამ მეგობარმა — ზე მორეირამ, პირიქით — როდესაც ძალიან უნდოდა სიკვდილი, მისთვის ყველაზე ძნელი რუბიკონი — სირცხვილიც კი გადალახა და სხვებისთვის სასიკეთოდ ცოცხალი დარჩა. იგი, „უხეში მწყემსი“ — ვაკეირო ერთი სიტყვით ეფერება ცოლს: „გვირილა“ და ამით ის პოეტიც არის; დაბოლოს — დონ დიეგო, არტისტი, მექალთანე, მოქეიფე და გიჟმაჟი, მოხერხებული და მხიარული — ყველაფერს გადარჩენილი თავს იკლავს, როდესაც აღარავინ ჰყავს ცოცხალი, მაგრამ „თვითმკვლელობა“ შეურაცხმყოფელი სიტყვაა მისთვის და მიუტევებელი ცოდვა. ასეთები თავს არ იკლავენ და დიდოსტატმაც ზუსტი სახელი დაარქვა მის გარდაცვალებას: „ეს არ იყო თვითმკვლელობა, ეს ძმათა ხათრით სიკვდილი იყო...“

გურამ დოჩანაშვილი დიდი მწერალი და დიდი ადამიანია, ის ხუთივე კანუდოსელს ჰგავს... ■

ჩვენში ყველაზე დიდი ჭიპყლოსანია ცოცხალი და ზოჭანური ხანგრძლივობა ხოლმე. ზოჭანურისა ეს მოგახსენოთ _ ლომები და ბეჭემოთები „ხიდყვაძყნწობით" გაძოლაჩეკვენ, ანიკომ ხახაყშიდ ოხევ ცოცხალ და ეიხი ყველაზე ჭიპყლოსანული მხახიობები _ ჯაშაზები ავლაჩეთ.

ლეგენდა „პოსტ-საახალწლო პერიოდში"

_ დაჩი გრძელიშვილი

როგორც ყოველ სეზონში, მის მისადგომებთან – ბილეთების სალაროებთან ახლაც ხალხმრავლობა იყო. დიდი გაჭირვებით ავათავე კიბე. უამრავ ტაქსის მძღოლს, ვირებისა თუ ცხენების პატრონსა და წითელ-ყვითელი ბუშტების გამყიდველს შორის გზას მივიკვლევ და ცირკის შესასვლელთან, კონტროლიორის წინ გაჭიმულ რიგში ვდგები. ისე ენერგიულად ხევს გაწვდილ ბილეთებს, შემეშინდა, ჩემი საბუთიც არ მიაყოლოს-მეთქი... სათადარიგო შესასვლელისკენ მიმითითა.

ცირკის კულისებში პირველად მყოფს, ისეთივე იდუმალების გრძნობა დამეუფლა, როგორიც ყველა ჩვენგანს ჰქონია ბავშვობაში – არენაზე დაშვებული ფარდის მიღმა რომ ვიჭყიტებოდით. „კლოუნებზე" ყოველთვის ჩემი, ცოტა განსხვავებული წარმოდგენა მქონდა – მათ გამოსვლებში კომიკურს მიღმა აუხსნელი ტრაგიკულობა იგრძნობოდა. საგრიმიოროს კარი რომ შევაღე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი – ბავშვური ინტუიცია არ მღალატობდა.

დასის ძირითად ნაწილს რუსეთიდან ჩამოსული მსახიობები წარმოადგენენ და მათი უმრავლესობა ცირკში გაჩაღებულ, გაცხოველებულ აღებ-მიცემობაშია ჩართული – ვინ ჭრელა-ჭრულა ნიღბებს და ბუშტებს ყიდის, ვინ ფოტოსურათებს იღებს პატარებთან ერთად. ცხენოსნები თითო ლარად მაყურებლებს ასეირნებენ. ამ იმპროვიზებული „ბაზრობის" ფონზე თვალში საცემია წარმოდგენის დაწყების მოლოდინში, საგრიმიოროში მსხდომი ქართველი ჯამბაზების სევდიანი იერი. ერთი ზორბა ტანის, ჩასკვნილი კლოუნი, სახეზე ღიმილი რომ ეხატა (გრიმით), ძლიერ მოწყენილი, კუთხეში მიმჯდარიყო და ღრმა „ნაფაზებით" სიგარეტს ეწეოდა.

ზორბა ჯამბაზის – მერაბ დანელიას გარდა, საგრიმიოროში მაღალი და გამხდარი – ალიოშა ჩქოტუა და ჩია ტანის – ანზორ ხოჯაშვილი იყვნენ. ეს უკანასკნელი მოწოდებით, ლაპარაკითა და მიხვრა-მოხვრითაც ყველაზე მეტად შეეფერება ჯამბაზის როლს. რომ ლაპარაკობდა, სულ მეგონა – აი, ახლა დააძრობს ჯიბიდან კურდღელს, ან ახლა გამოიღებს პირიდან ბურთს-მეთქი...

– ოცდაათი წელია, ვჯამბაზობ, – თხრობა დაიწყო ქართველ მასხარათა დასის ხელმძღვანელმა ანზორ ხოჯაშვილმა – თავიდან მე და ალიოშა აკრობატები ვიყავით. მერე, რატომღაც ჯამბაზობამ უფრო გაგვიტაცა.

– მე მასხარობა აზრადაც არ მომსვლია, – ჩაგვერთო მერაბ დანელია. – ცირკში მთავარ ადმინისტრატორად ვმუშაობდი, მერე დაცვის უფროსი ვიყავი. ახლა რომ მკითხო, აქ ჯამბაზობაზე კარგი პროფესია არ არსებობს – რა სჯობს, ამდენ გაცინებულ ბავშვს რომ ხედავ...

ანზორ ხოჯაშვილი:

– დღეს ისეთი დუხჭირი ცხოვრებაა, ხალხი უნდა ვაცინოთ, რომ პრობლემები ოდნავ მაინც გადავავიწყოთ, ხვალინდელი დღის იმედი ჩავუსახოთ...

— თქვენ? თქვენ თუ გაქვთ ხვალინდელი დღის იმედი? — სხვებისთვის პრობლემების გადავიწყებას კი ნამდვილად კარგად ახერხებთ...

– რა ვქნათ – უნდა მოვახერხოთ. ჯამბაზისა და მასხარის საქმე ეგ არის – უნდა იმასხრო, იცინო და ხალხიც გააცინო. როდესაც მანეჟზე გავდივარ, ყველა ჩემს პრობლემას კულისებში, ფარდასთან „ვტოვებ". მაყურებელმა ისეთი უნდა დამინახოს, როგორიც სჭირდება – ჭკუამხიარული და გულუბრყვილო ჯამბაზი...

აქ საუბარში ალიოშა ჩქოტუაც ჩაგვერთო – მაღალი და გამხდარი ჯამბაზი:

– ჩვენ ეს უკვე სისხლში გვაქვს გამჯდარი. მანეჟზე რომ გავდივარ, თითქოს ხელახლა ვიბადები – ყველაფერი მავიწყდება და მაყურებლის სიცილით ვცოცხლობ – ყველაზე მთავარი მისი რეაქციაა. რომ

დაეცემი და ეს დიდ მხიარულებას გამოიწვევს, უნდა გაიმეორო და კიდევ დაეპერტყო...

მერაბ დანელია:

— ... მერეა ძნელი — სევდა მოგეძალება, დარბაზი რომ დაცარიელდება. სანამ წარმოდგენა მიმდინარეობს, სხვა კაცი ხარ — სხვა, ფერად სამყაროში ცხოვრობ. იქ, სადაც დახატული ჯამბაზები და მოკისკისე ბავშვები არიან. წარმოდგენა რომ დასრულდება — ცარიელ დარბაზში, ჩემი პრობლემებისა და გაჭირვების პირისპირ ვრჩები და დახატულ ღიმილს აი, ამ ბამბით ვიწმენდ.

— ცირკის „ფერადი ცხოვრების“ მილმა, რეალური ყოფა როგორი გაქვთ? ოჯახს რითი არჩენთ?

მერაბ დანელია:

— რა გითხრათ? როგორც ადმინისტრატორს, მეორე ხელფასიც მაქვს და მეხმარება. ალიოშას „მალიარი“ ჰყავს მეგობარი და თავისუფალ დროს მასთან მუშაობს ხოლმე.

— მე ოჯახი სამტრედიაში მყავს გაშვებული, — *ამოიოხრა ანზორ ხოჯაშვილმა..* — იქ უფრო იოლია თავის შენახვა. მეც რაღაც-რაღაცებს „ვჩალიჩობ“ ჩემთვის და ასე გავდივართ იოლას...

ამ დროს მესამე ზარიც დაირეკა, წარმოდგენაზე გასვლის მაუწყებელი.

— ჩვენი გასვლის დროა, — ჩაილაპარაკეს ჯამბაზებმა, სარკეში ჩაიხედეს, მოიწესრიგეს თავი და გამომემშვიდობნენ. მეც გავყევი. ყოველთვის მაინტერესებდა, წარმოდგენის პროცესში ფარდის მიღმა რა ხდებოდა.

„ახლა კი, არენაზეა ქართველ მასხარათა ჯგუფი ანზორ ხოჯაშვილის ხელმძღვანელობით!“ — რიხიანად გამოაცხადა კონფერანსიემ. მისასალმებელი ტუში რომ ჩამთავრდა, ჩია კლოუნმა პანჩურებით გაიგდო წინ ზორბა და გამხდარი ამფსონები.

ფარდასთან, კუთხეში, ჯამბაზების აქსესუარები — წყლით სავსე „ტაშტი“ და ჭიქები ეწყო. ცოტა ხანში მანეჟიდან გაწუწული, გამხდარი კლოუნი შემოვარდა. ქუდი გაიწურა და ერთ-ერთ ჭიქას დასწვდა. ის იყო, კვლავ მანეჟზე უნდა გასულიყო, რომ ჭიქას დახედა და ცოტა წყალი გადააქცია — ამდენი რომ დამასხას, ხომ გავიყინებიო, — ჩაილაპარაკა და გავიდა.

...რას იზამ, ძნელია ჯამბაზობა...

„თოვლის ბაბუა“ მომიახლოვდა — ჭარმაგი, მხცოვანი, თოვლივით თეთრი წვერით, ჩოხა-ახალუხში ჩაცმული და ნაბადმოხვეული.

— მომიკიდე ერთი, თუ ძმა ხარ... — საიდანღაც „ასტრა“ დააძრო... ჩემი ვინაობა და მოსვლის მიზეზი რომ გაიგო, ამოიოხრა:

— ჯამბაზობა, ჩემო კარგო, ცირკში ყველაზე რთული პროფესიაა — აკრობატიც უნდა იყო, ილუზიონისტიც და ცხენოსანიც. თან, ყველაფერთან ერთად ხალხიც უნდა აცინო.

ცოტა ხანში მანეჟიდან ზორბა კლოუნი — მერაბ დანელია გამოძუნძულდა:

— თქვენ რა გიჭირთ, ჟურნალისტებს — თუ რამე არ მოგწონთ, თქვენი პროფესიაც ეგ არის — დაწერთ და გულს მაინც მოიფხანთ... მასხარებმა რა ვქნათ?! მთელი ქვეყანა ისედაც ცირკად აქციეს ჩვენმა მასხარა პოლიტიკოსებმა... ისე, დაწერეთ — მოვიდნენ ჩვენთან, ტაკიმასხარობაში დავახელოვნებთ. ეს მაინც გამოუვათ კარგად, თორემ სხვა რამის იმედი მათგან არც გვაქვს... ■

ბრძენყაცის დარიგებები

● ნურასოდეს დარჩებით პირისპირ უსიამოვნებასთან. გაიხსენეთ, რომ გყავთ ერთგული მეგობრები, რომლებიც ყოველთვის მხარში ამოგიდგებიან.

● ტოტალიზატორის თამაშისას მაქსიმალურად გამოიყენეთ საჭირო ინფორმაცია, მაგრამ ინტუიციასაც ნუ დაივიწყებთ: წინათგრძნობა ხშირად სჯობნის ანალიტიკურ გამოთვლებს.

● ნორმალურ ადამიანს, დახარჯული ენერგიის აღსადგენად, 8 სთ-იანი ძილი სჭირდება, ამიტომ ძილსაც ნუ დაიკლებთ.

● ხშირად გამოხატეთ ლამაზი სიტყვებით მეუღლისადმი სიყვარული — ამით მასაც გაუხალისებთ ცხოვრებას და თქვენც სიამოვნებას მიიღებთ.

● სერიოზულ ნაწარმოებში კარგად გასარკვევად, აუცილებლად წაიკითხეთ იგი, თუნდაც ეკრანიზაცია გქონდეთ ნანახი და მისი შინაარსი ამოწურული მოგეჩვენოთ.

● თუ სამსახურში იმის საშუალება არა გაქვთ, რომ შვილების ფოტოსურათი მაგიდაზე გქონდეთ, ჯიბით ატარეთ და ხანდახან მაინც დახედეთ: ძლიერ გაბრაზებულიც რომ იყოთ, აუცილებლად კარგ გუნებაზე დადგებით.

● ნუ მოიტყუებთ თავს იმედით, რომ შუქი მუდმივად გექნებათ: გახსოვდეთ, რომ დენის გამორთვა ქართველი ენერგეტიკოსებისგან ყოველ წამს არის მოსალოდნელი და თუ ეს მოხდა, ხმამაღლა თქვით — ასეც ვიცოდიო! — და ჩვეული „მოკითხვა“ გააგზავნეთ შესაბამისი მისამართით.

● თუ სმენა არა გაქვთ და ხმაც არ გიწყობთ ხელს — საახალწლო დღეებში სხვების სიმღერებით დატკბით, რადგან კარგი მსმენელი ცუდ მომღერალს ათი თავით სჯობს. ■

პოდპოლკოვნიკი სერგო მამულოვი

XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში მთელი თბილისი, რომ იტყვიან, ფეხზე დადგა: ქალაქი ზედიზედ მომხდარმა რამდენიმე ბინის ქურდობამ შეძრა. დაყაჩაღებულთა უმეტესი ნაწილი მაშინდელი ორჯონიკიძის (ვაკე-საბურთალო) რაიონის მცხოვრები იყო.

ბანდის მეთაურმა საკუთარი მშობლებიც «გაპარა»

გალაქტიონ ტაბანაშვილი

... 20-ოდე წლის ქალიშვილს ფეხი ფეხზე აქვს გადადებული და გამომწვევად აბოლებს პაპიროსს, სახის დახვეწილ ნაკვთებს განგებ უშნოდ მანჭავს, ცდილობს, რაც შეიძლება უზრდელი ჩანდეს, უხვად აფრქვევს ჟარგონულ სიტყვებს. დროდადრო, თავისი განწყობის გამოსახატავად, ხელებსაც იშველიებს — ლამის თვალებში შესჩხიროს საწერ მაგიდასთან მჯდომ ორმოციოდე წლის შავგვრემან მამაკაცს, რომელსაც ეშმაკურად ეღიმება.

— ფაქტები! ფაქტები, უფროსო! — ნიშნის მოგებით ეუბნება ქალიშვილი. ჩვენ ამ საკენკით თავს არ მოვიტყუებთ. თუგინდ ფეხებით დამკიდოთ, ხმას აღარც ამოვიღებ!

ხუთი წუთის შემდეგ მსგავსი დიალოგი ნაცრისფერპალტოიან, შავგვრემან ახალგაზრდა კაცთან მეორდება. ისიც უხეშობს, ყვირის, იმუქრება, მუშტსაც კი დაჰკრავს მაგიდაზე ერთი-ორჯერ. საწერ მაგიდასთან მჯდომი მამაკაცი კი კვლავ ეშმაკურად იღიმება. თუმცა მას — ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს, პოდპოლკოვნიკ სერგო მამულოვს სახუმაროდ ნამდვილად არ ჰქონდა საქმე. უკვე მერამდენედ მოსდიოდა ცნობა ახალი ყაჩაღობის შესახებ.

... ოპერატიულმა მორიგემ კიდევ ერთი შეტყობინება მიიღო. სამიოდე წუთიც და წითელზოლებიანი „პობედა“ ადგილიდან მოწყდა და გეზი მითითებული მისამართისკენ აიღო.

სახლის შესასვლელთან ცნობისმოყვარე ადამიანებს მოეყარათ თავი. მათ შორის ბავშვიც მრავლად იყო, იმ ბავშვებში კი მეც ვერიე, რადგან იმ უბანში ვცხოვრობდი და გამომძიებლის დღიურში აღწერილი ეს აჟიოტაჟიც მახსოვს (რას წარმოვიდგენდი, თუ 40 წლის შემდეგ, საარქივო მასალების წყალობით გავიხსენებდი ამ საქმეს?!). მილიციის მუშაკების დანახვაზე ხალხი მიიწ-მოიწია. კოლეგებისათვის, მილიციის სარაიონო ქვეგანყოფილების უფროსს, კაპიტან ვახტანგ ჩხიკვიშვილს დაესწრო და უკვე ბინის შესასვლელთან ელოდა.

დაიწყო შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ქურდებს კარი რაღაც ხელსაწყოების მეშვეობით გაეხსნათ. მათ ნამუშევარს, ამ საქმეში გამოცდილი ადამიანების ხელი ეტყობოდა. სამაგიეროდ ოთახს ნაჩქარევი მოქმედების კვალი აჩნდა: ბევრი ძვირფასი ნივთის წაღება ვერ მოესწროთ. უფროსი ლეიტენანტი შოთა პოდაროვი და კაპიტანი ვახტანგ ჩხიკვიშვილი მეზობლებთან გავიდნენ. როგორც უთხრეს, სახლის წინ მანქანა არ შეუმჩნევიათ, საერთოდ, საეჭვო არაფერი უნახავთ, ქურდობის შესახებ კი დაზარალებული დიასახლისის მოსვლის შემდეგ გაუგიათ... მეზობლები აშკარად აღელვებულები იყვნენ — მილიციასთან კონტაქტი დიდად არავის სიამოვნებდა.

პოდაროვმა და ჩხიკვიშვილმა ახლომდებარე სახლების მცხოვრებნიც დაჰკითხეს, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთმა ქალიშვილმა გაიხსენა ორი ახალგაზრდა, რომელთაც ხელში თითო ჩემოდანი ეჭირათ, მხიარულად ლაპარაკობდნენ, მერე ტაქსი გააჩერეს და წავიდნენ. „როგორც მახსოვს, ერთს — მაღალს, შავგვრემანს, ოდნავ გამხდარს, ნაცრისფერი პალტო ეცვა, მეორე — ჩასკვნილი და დაბალი იყო. მოშორებით, ასე, ორმოცდაათიოდე მეტრიც არ ექნებოდათ გავლილი, ვიღაც ქალს გაუჩერეს მანქანა, ჩასვეს და გზა განაგრძეს“.

თეთრად გათენებულ ღამეებს, მთელი დღეების დაძაბულ მუშაობას ახალი არაფერი მიუცია გამოძიებისთვის. ქურდობათა სერია კი გრძელდებოდა და საქმე კონტროლზე პარტიის ცკ-ის პირველ მდივანს, ამხ. ვასილ მჟავანაძესაც აუყვანია...

ცოტა ხანში გაჩნდა სხვა ჩვენებებიც, რომლებშიც იმ პირველის მონათხრობის მსგავსად, მხიარულად მოსაუბრე ორი ჩემოდნიანი ახალგაზრდა ფიგურირებდა.

„სანამ მეზობლის გაქურდვა მოხდებოდა, ჩვენს კარზე დააკაკუნეს, — იგონებდა ერთი ქალბატონი. — ორი სიმპათიური ახალგაზრდა იდგა — ერთი მაღალი, შავგვრემანი, ნაცრისფერი პალტოთი, მეორე — უფრო დაბალი, ჯმუხი. ზრდილობიანად იკითხეს, ოთახს ხომ არ აქირავებთო“.

პოდპოლკოვნიკმა სერგო მამულოვმა ხელქვეითები შეკრიბა. მათემატიკური სიზუსტით შეისწავლეს ორჯონიკიძის რაიონში მომხდარა ყველა ქურდობა. როგორც გაირკვა, ბოროტმოქმედები გასაქურდად ახალ, სტანდარტული ტიპის სახლებს ირჩევდნენ, სადაც ყველა ოჯახი იზოლირებულ ბინაშია გამოკეტილი და იშვიათად ეკონტაქტება ერთიმეორეს. საინტერესო ის იყო, რომ ქურდები დღისით მოქმედებდნენ. ერთი და იგივე იყო კარის გაღების მეთოდიც. ორ, მსგავსი აღწერილობის ახალგაზრდა მამაკაცს ზოგიერთ ჩვენებაში მიმზიდველი ქალიშვილიც ემატებოდა. ეჭვს

ქურდები გ. კვანტრიშვილი და ნ. ვასილიევა

აღარ იწვევდა, რომ დანაშაულს ერთი და იგივე ჯგუფი სჩადიოდა.

სერგო მამულოვმა თავის არქივს გადახედა. კიდევ ერთხელ დაინტერესდა უკანასკნელ წლებში ჩადენილი ბინის ქურდობებით. ერთი ჯგუფი, რომლის მოქმედება ძალზე ჰგავდა უკანასკნელ ხანებში მომხდარ საიდუმლოებით მოცულ ამბებს, სასჯელს იხდიდა. ხომ არ შეიძლებოდა, მათ ახალბედა ამფსონებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება? აუცილებლად უნდა დაზუსტებულიყო, რეციდივისტთაგან ვინ გათავისუფლდა ბოლო დროს.

საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ გაანაწილა ფუნქციები. მის ერთ ნაწილს თვალყური უნდა ედევნებინა ნაქურდალი საქონლის ვაჭრობაში ეჭვმიტანილი პირებისათვის, მეორეს, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი შოთა პოდაროვი და კაპიტანი ვახტანგ ჩხიკვიშვილი ხელმძღვანელობდნენ, ორჯონიკიძის რაიონის ოპერატიული ინფორმაციის სრული თავმოყრა და საჭიროების შემთხვევაში, მყისიერი რეაგირება დაევალა.

დილაადრიან ერთმა ოპერატიულმა მუშაკმა ძალზე საგულისხმო ცნობა მოიტანა: წინა ღამით, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ტაქსომოტორების ერთ-ერთი პარკის სასადილოში მძღოლი უცნაურ ამბავს უყვებოდა ამხანაგებს. „შუადღეზე ვეძისში ორმა ახალგაზრდამ გამაჩერა, სადგურში წაგვიყვანეო. ძალიან ეჩქარებოდათ. სადგურთან რომ მივედით, ჯიბეები მოიქექეს, მაგრამ ფული არ აღმოაჩნდათ“. თავიდან დაბნეულან, შემდეგ ერთერთს უეცრად ჯიბიდან ქალის ოქროს საათი ამოუღია და მძღოლისთვის გაუწვდია – თუ ძმა ხარ, ფული დამკარგვია, დამიჯერე – ეს საათი ათას მანეთზე ნაკლები არ ღირს, ხურდად სამასი მომეცი და ბარიბარში ვიქნებითო...

მძღოლი სამძებრო განყოფილებაში დაიბარეს, მგზავრების აღწერილობა გაქურდული ბინების მეზობლების მონაყოლს დაემთხვა. ოქროს საათი კი ერთერთმა დაზარალებულმა ამოიცნო – ეს ნივთი ჩემი სახლიდან არის მოპარულიო.

მეორე დღეს ქალაქში პოდაროვი და ჩხიკვიშვილი მორიგეობდნენ. ლენინისა (ახლანდელი კოსტავას) და მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე ორი ახალგაზრდა შენიშნეს: მაღალი, ოდნავ გამხდარი, ნაცრისფერპალტოიანი და დაბალი, ჯმუხი, ჩამოფხატული ქუდით. ერთ მათგანს ხელში ჩემოდანი ეჭირა, ტაქსიში ჩასხდნენ და წავიდნენ.

მილიციელები აედევნნენ. საეჭვო წყვილმა მანქანა მძღოლს მარჯანიშვილის ქუჩაზე, უნივერმაღთან გააჩერებინა, გადმოვიდა და ჩქარი ნაბიჯებით ხალხის ნაკადს შეერია. ტაქსი ადგილიდან არ იძვროდა, მძღოლი არხეინად იჯდა და თავისთვის ღიღინებდა. მილიციის მუშაკების დანახვაზე შეიშმუშნა, კითხვაზე – ჩართული მრიცხველით რატომ დგახარო, უპასუხა – მგზავრები ერთი წუთით გადავიდნენ, ეს ჩემოდანი დამიტოვეს და ახლავე დაბრუნდებიანო. ჩემოდანში ქალისა და კაცის პალტოები აღმოჩნდა...

რეციდივისტ გურამ კვანტრიშვილის სხვენიდან კაპიტან ვ. ჩხიკვიშვილს და უფრ. ლეიტენანტ შოთა პოდაროვს ნაქურდალი ნივთები ჩამოაქვთ

სამძებრო სამუშაოს შედეგად დადგინდა, რომ მოწმეების მიერ აღწერილი – მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი ახალგაზრდა, ბარნოვის ქუჩაზე მცხოვრები გურამ კვანტრიშვილი უნდა ყოფილიყო. ინტელიგენტური ოჯახის, ექიმის შვილს „ქურდული“ ცხოვრება, თანატოლებთან ერთად შენობის სახურავზე კარტის თამაშით დაუწყია. პირველი „გასვლითი საქმე“ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, ხოსტაში ჰქონდა, სადაც მეგობართან ერთად წავიდა, გზაში იარაღი შეიძინეს. რად უნდოდათ? ალბათ თვითონაც გაუჭირდებოდათ პასუხის გაცემა, მაგრამ ხოსტაში დაიჭირეს და თვე-ნახევარი წვრილი ხულიგნობისთვის „ჩააყუდეს“. რომ გამოუშვეს და თბილისში დაბრუნდა, დედა საგზურზე საჩუქრებით დახვდა. გათამამებულმა გურამმა, რომელიც სულ სხვა რამეს მოელოდა, მშობლებს ახალი გამოცდა მოუწყო: უბედურად დატრიალდა ჩემი საქმე, ბანდაში ჩამითრიეს და თავის გამოსასყიდს თუ არ მივიტან, ვერ ჩამოვშორდები – თავს მომაჭრიანო. დაუჯერეს, ოთხი ათასი მანეთი შეუგროვეს და გურამი ისევ ხოსტაში წავიდა...

იქიდან მოყოლებული, სულ ქურდობდა და დროსაც მხიარულად ატარებდა. დაიჭირეს, 10 წელი მიუსაჯეს. გაქცევა სცადა – ისევ შეიპყრეს. სასჯელი რომ მოიხადა, მაინც ძველ საქმეს და ძველებურ დროსტარებას მიჰყო ხელი. „საერთო საქმემ“ „დაბალ, ჩასკვნილ“ რეზო ნამიჩეიშვილთან დააახლოვა და განუყრელ მეგობრებად იქცნენ.

გურამი ხშირად დადიოდა სვანეთის უბანში. ერთ სახლში რამდენიმე ახალგაზრდა თურმე მორფის კეთებით ირთობდა თავს. იქ გაცნობილ დევსუროვს გურამმა შალის ძვირფასი ქსოვილი მორფში გაუცვალა. გ. კვანტრიშვილი ბევრჯერ უნახავთ აგრეთვე ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში – სამრეცხაოს გამგე ვარვარა ნაზაროვასთან, რომელთანაც თურმე მოპარულ ნივთებს ინახავდა... დევსუროვმა დაკავებისთანავე აღიარა – ნაცრისფერი ქსოვილი გასაყიდად გურამმა მომცაო. ნაზაროვა ჯერ ჭირვეულობდა, მაგრამ ბოლოს ისიც ალაპარაკდა, მის სახლში აღმოჩენილმა ნაქურდალმა კი, ფაქტობრივად, წერტილი დაუსვა ამ საქმეს!

იმავე ღამეს დააპატიმრეს გურამი და მისი საყვარელი და თანამონაწილე ნინა ვასილიევა, რეზო ნამიჩეიშვილმა კი მიმალვა მოასწრო...

უცხო ადამიანი იფიქრებდა, საკომისიო მაღაზიაში მოვხვდიო – მაგიდებზე ათასგვარი საქონელი იყო გამოფენილი: შალის ძვირფასი ქსოვილები, კოსტიუმები, პალტოები, ოქროს საათები, სამკაულები, ძვირფასთვლიანი ბეჭდები, ხალიჩები... პატარა აბრებს, ფასების ნაცვლად, ქაღალდის პატარა ფურცლები ჰქონდა დამაგრებული, რომლებზეც ეწერა: „ამოცნობილია დაზარალებული ივანიშვილის მიერ“, „ამოცნობილია დაზარალებული პეტრიაშვილის მიერ“, ზოგს წარწერა არ ჰქონდა და მოქალაქეები გულდასმით ათვალიერებდნენ საქონელს, დროდადრო კი ვინმე წამოიძახებდა – „ჩემია, ჩემი პალტოა!“ ან – „მადლობა ღმერთს, ეს ხომ ვანოს ოქროს საათია...“ ■

დაკარგული ნივთები პატრონს უბრუნდება

ორი ქვეყნის ჩემპიონი ქართველი მორაგბე

კობა ბრეგვაძე

შარშან თბილისის „ლოკომოტივის“ მორაგბეთა გუნდმა დუბლი გააკეთა — ქვეყნის თასიც მოიპოვა და ჩემპიონობაც. გადამწყვეტი მატჩი სტუ-ის „ყოჩებთან“ ჩაატარა, რომლის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა, საბოლოოდ კი ამ დრამატული შეხვედრის ბედი გატანილი ლელოების რაოდენობამ გადაწყვიტა. ყველაზე მეტი ლელო, „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ნაკრების წევრმა ბობა კვინიხიძემ გაიტანა, რომელიც იმავე სეზონში, საქართველოს გაჩემპიონებამდე ორი თვით ადრე, რუსეთის უმაღლესი ლიგის გუნდის — კრასნოიარსკის „იარში“ კონტრაქტით თამაშისას, რუსეთის ჩემპიონიც გახდა.

— ბობა, ორი ქვეყნის ჩემპიონი გახდი, თასიც აიღე. ახალ სეზონში რა გეგმები გექნება?

— ახალი სეზონი აპრილში იწყება. ნაკრებში კი გუნდიდან ხუთ კაცს: მე, ალანიას, ბუგიანაშვილს, ანდღულაძეს და უდესიანს დაგვიძახეს. იანვარში შეკრება საფრანგეთში გვექნება. მსოფლიო პირველობის თამაშები, B ჯგუფის ექვსი ქვეყნის ნაკრებთა ტურნირი თებერვალში, წრიული სისტემით ჩატარდება. ეს გუნდებია: საქართველო, რუმინეთი, რუსეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია.

— ერთ სეზონში ორი ქვეყნის ჩემპიონობა იშვიათი შემთხვევაა, რომ არ ვთქვათ — კურიოზული. რუსეთში როგორ მოხვდი?

— კონტრაქტით კრასნოიარსკში ერთი სეზონი ვითამაშე. წელის ტრავმა მქონდა საქართველოში მიღებული, მაგრამ დავმალე. პირველივე თამაშში ნემსით გამიყუჩეს ტკივილი. შევედი თუ არა შეცვლაზე, ნახევარ წუთში ლელო გავიტანე (თურმე ამ გუნდისთვის სეზონში პირველი ლელო ყოფილა), მერე ჯარიმაც გავიტანე და ანგარიში გავათანაბრე.

რუსები ძალიან დაინტერესებულები იყვნენ ჩვენი ტაქტიკით (ქართველები ორნი ვიყავით — მე და აჩიკო კობახიძე). ჩვენც ყველაფერი არ გავანდვეთ, „ხეზე ცოცვა არ ვასწავლეთ“, თუმცა ჩვენმა რჩევებმა გაამართლა და თამაშის დროს ხშირად იყენებდნენ. მოკლედ, ყველა შემდეგი თამაში მოვიგეთ და ჩემპიონებიც გავხდით. წელიც მალე მომირჩინეს. რუსებს ჩვენთან შედარებით, უკეთესი პირობები აქვთ — საკუთარი მოედანი, კლუბი, რესტორანი, სასტუმრო... თამაშით ჩვენზე ოდნავ სწრაფად თამაშობენ, თუმცა ტექნიკაში მოიკოჭლებენ. ისე, საქართველომ რუსეთს ბოლო დროს ყველა თამაში მოუგო.

— მსოფლიო გუნდებიდან რომლებს გამოყოფდი?

— ავსტრალიისა და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებებს.

— განვლილი სპორტული ცხოვრებიდან რომელი ეპიზოდები იყო შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი?

— ძალიან დასამახსოვრებელი იყო შარშანდელი ფინალური მატჩი „ყოჩებთან“. პირველად გავხდი საქართველოს ჩემპიონი. კიდევ გამოვყოფდი საქართველოს იუნიორთა ნაკრების გამოსვლას მსოფლიო ჩემპიონატზე ჩილეში, განსაკუთრებით ფინალურ მატჩს ჰოლანდიის ნაკრებთან, რომელიც ასევე მოვიგეთ და მსოფლიო ჩემპიონები გავხდით.

— რაგბის თამაშის დროს ალბათ ბევრი კურიოზი ხდება...

— იშვიათად ხდება, რომ რაგბის მოთამაშემ ძელს მოარტყას ბურთი საჯარიმო დარტყმიდან. რუსეთში ერთ-ერთი თამაშის დროს საჯარიმოდან, 4-ჯერ მოვარტყი ძელს და ტრიბუნების მქუხარე ტაში დავიმსახურე.

საქართველოში მომხდარ ერთ კურიოზსაც გავიხსენებ. 1995 წელს ქუთაისში გვქონდა მატჩი. იქ ყოველთვის ჭირდა თამაში, გულშემატკივრები ძალიან აგრესიულად იქცეოდნენ, მოკლედ, ბოთლებს ისროდნენ — თბილისურ გუნდებს ვერ იტანდნენ. იმ თამაშს ვიგებდით, როცა მორაგბეებს შორის ჩხუბი ატყდა: მაყურებელი მოედანზე გადმოვიდა ჩვენს საცემად. ერთ-ერთი ჩვენი მოთამაშე — ახლა არ დავასახელებ — მოედნიდან გავარდა, მალე ავტომატით ხელში მობრუნდა და რამდენჯერმე ჰაერში გაისროლა. მერე, რა თქმა უნდა, დასაჯეს — დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ის რომ არა, რა მოხდებოდა, ღმერთმა უწყის... რაგბიში ხულიგნობა მიუღებელია. შეიძლება მოედანზე იჩხუბო, მაგრამ ეს გარეთ აღარ უნდა გაგრძელდეს: ასეთია

მორაგბეთა დაუწერელი ჯენტლმენური კანონი.

— საერთოდ, როგორ დაიწყე რაგბის თამაში?

— თერთმეტი წლის ვიყავი, მამაჩემმა ძალით რომ შემიყვანა (ისიც მორაგბე იყო ახალგაზრდობაში). მანამდე ფეხბურთს ვთამაშობდი, დავდიოდი ცურვაზე, ჩოგბურთზე, ჭადრაკზეც კი... რაგბის გუნდში ყველაზე პატარა ვიყავი. პირველსავე ვარჯიშზე ერთ-ერთი მოთამაშე დამეჯახა და მიწაზე დამაგდო. ძალიან დავიბოღმე და იმის ჯინაზე მთელი მონდომებით დავიწყე ვარჯიში. ერთი წელი „დინამოში“ ვითამაშე, შემდეგ „ლოკომოტივის“ მწვრთნელს, ბენდიაშვილს ჩემი თამაში მოეწონა და თავის გუნდში გადამიყვანა (უმაღლეს ლიგაში), სადაც უკვე ხუთი წელია ვთამაშობ.

— შენი ყოველდღიური რეჟიმი როგორია?

— საქართველოში ძნელია, საკუთარი რეჟიმი ააწყო. რუსეთში რომ ვთამაშობდი, მართლა რეჟიმში ვიყავი — კვება, ვარჯიში, დასვენება — ერთი სიტყვით, ყველაფერი თავის დროზე იყო. აქ კი... ერთია — ვარჯიშებს არ ვაცდენ. სიგარეტს არ ვეწევი, იშვიათად და ცოტას ვსვამ — ისიც დღესასწაულებზე.

— მათთვის, ვინც კარგად არ არის გათვითცნობიერებული რაგბიში, რამდენიმე სიტყვით გვითხარი, რომელ მოთამაშეს რა როლი ეკისრება გუნდში?

— გუნდში 15 კაცი თამაშობს. მე-15 ნომერი მცველია, მე-11-დან მე-14-ის ჩათვლით ნახევარდაცვაა („ტრიოშკები“). შერკინებაში (თავდასხმა) 1-8 ნომრების მოთამაშეები მონაწილეობენ. 9 ნომერი შიდა გამთამაშებელია, 10 — ნახევარმცველი (მე ვთამაშობ ამ ნომრით). ფიზიკურად, შერკინების მოთამაშეები უფრო მასიურები და ზანტები არიან, ნახევარდაცვის მოთამაშეები უფრო სწრაფები და ტექნიკურები უნდა იყვნენ.

— დღეს, გუნდურ სახეობებში ყველაზე დიდი წარმატებები საქართველოს რაგბიში აქვს, არა?

— კი, რაგბიში საკმაოდ ძლიერი ნაკრები გვყავს. გარდა ამისა, ტარდება ე.წ. „შვიდკაცა“ (მინი-რაგბი) საერთაშორისო ტურნირი. ჩვენი გუნდი ფინალში გავიდა და იანვარში არგენტინაში იასპარეზებს.

— ფეხბურთელები ხშირად ჩივიან — მორაგბეები მოედანს აფუჭებენო. რამდენად მართალია ეს?

— ეს არის სრული აბსურდი, რაგბის წინააღმდეგ გასროლილი ტყვია. ერთადერთი კვალი, რომელსაც რაგბი ტოვებს, იმისგან მოდის, რომ საჯარიმოს დროს, ბურთი რომ დამაგრდეს, სპეციალური პლასტმასის სამაგრს იყენებენ ან ქვიშას ყრიან იმ ადგილზე.

რაც შეეხება ლაპარაკს მოედნის გადათხრის შესახებ, ტყუილუბრალოდ გვაბრალებენ. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში რაგბისა და ფეხბურთს ერთ სტადიონზე თამაშობენ — „უემბლი“ იქნება ეს, „პარკ დე პრენსი“ თუ სხვა ცნობილი სტადიონები.

■

იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონის — საქართველოს ნაკრების წევრები. ჩილე, 1997 წელი

ტესტი მრუდიციაზე

1. სანტა-კლაუსის სამშობლო, გამოგონილი ძვეყანა ლაპლანდია „მდეგარეოგს“:

ა) ფინეთში;
ბ) შვედეთში;
გ) ჰოლანდიაში.

2. მუსიკალური ნაწარმოების დინჯ, მედიდურ ტემპს ეწოდება:

ა) გრავე;
ბ) პიანო;
გ) ალეგრო.

3. სახელმწიფო ენა ინდოეთში არის:

ა) ჰინდი;
ბ) ინგლისური;
გ) ორივე.

4. გალეტში წყვილის ცეკვას ჰქვია:

ა) პადედე;
ბ) დუეტი;
გ) პირუეტი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მამუკა ხუციშვილი

ყოველი ზედიზედი ყვავილი

ნამპით განათებული პატარა ოთახის ერთ კუთხეში რკინის ღუმელი გიზგიზებს და კარგად გამომშრალ წიფლის შეშას საამო ტკაცატკუცი გაუდის. ღუმლის გვერდით მდგარ დაბალ ხის ტახტზე შალიკო გულაღმა წამოწოლილა და საკმაოდ ხმამაღლა ხვრინავს. იქვე მოფუსფუსე თავშალწაკრულმა ქეთომ თაფლში აზელილი ნიგვზის ნათალით სავსე ალუმინის ქვაბი ღუმლიდან გადმოიღო, მაგიდაზე სპეციალურად გაშლილ თეთრ ქაღალდზე წამოაპირქვავა, ხის კოვზით ჩამოფხიკა და გრძელი, მრგვალი ჯოხით გაბრტყელებას შეუდგა. — მხარი მაინც იცვალე შე მუცელგასახეთქო, დავყრუვდი ქალი — ხმამაღლა დაუტატანა ქმარს ხვრინვისგან შეწუხებულმა ქეთომ. შალიკო კი, რომელსაც ყოველ ჩახვრინვა-ამოხვრინვაზე ამობურცული ღიპი სასაცილოდ აუდ-ჩაუდიოდა, ცოლისთვის ყურიც არ უთხოვებია და იმავე მდგომარეობაში აგრძელებდა ძილს. ღუმლის გვერდით მხართეძოზე წამოწოლილმა კარგად ჩასუქებულმა ფისომ ფეხები გაჭიმა, თავი უკან გადააგდო, პირი გააღო, ერთი გვარიანად გაიზმორა, თვალები მოჭუტა და ისევ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა. ამასობაში კედლის საათმა თერთმეტჯერ ჩამოჰკრა. ქეთო გოზინაყის დაჭრას მორჩა, შალიკოსთან მივიდა, მხარზე მუჯლუგუნი წაჰკრა და კვლავ საყვედურის კილოთი უთხრა: — შალიკო, ბიჭო შალიკო, ადექი ქა, რა ძილქუში გეტაკა, არ გესმის? აბა, მამხედე...

— ჰა, რა გინდა — შეუღრინა ქმარმა, ისე რომ თვალიც არ გაუხელია.

— ადექი ბიჭო, აგე უკვე თერთმეტი საათია, ნაშლამას მიხედე მოიხარშებოდა, როდემდე უნდა იწვე... ძილში ხო არ უნდა შეხვდე ახალ წელს? — დაუყვავა ქეთომ შალიკოს, როგორც კი მისი ხმა გაიგონა. ცოტა ხანში შალიკო ტახტზე წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა და დაამთქნარა. — დედაჩემი და მამაჩემი სულ ძილში არა ხვდებიან ახალ წელს, რა უშავდებათ? — იხუმრა შალიკომ.

— მაგრე შეხვდნენ ჩვენი მტრები, როგორც ისინი ხვდებიან, — უთხრა ქეთომ და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა: — დილაადრიან რო არ გამომთვრალიყავ, ვითომ რამე დაგიშავდებოდა?

— მე რა შუაში ვარ დედაკაცო, მიტოსა სწყუროდა ძალიანა და მხარ ხო არ მოვტეხდი? თანაც ღორს რო დაკლავ, იქვე ცეცხლთან აშიშხინებულ მწვადებს სულ სხვა გემო აქვს. ეს არაყიც რა მაგარი გამამივიდა, კაცო... სიმართლე გითხრა, სამზე მეტის დალევა არ მინდოდა, მაგრამ მიტომ, მოდი მეოთხეცა ვკრათო და უარ ხო ვერ ვეტყოდი... მერე ხო იცი, თუშმა რო გაილანძღა, ვინც სამზე ნაკლები დალიოსო და წყვილზე გაჩერდესო, ჰოდა, სამს ხუთი მოჰყვა, ხუთს — შვიდი, მერე ცხრა, თერთმეტი და ჩვენც მიგვიღო უფალმა...

ბარკალში ჩანგალი ჩაურჭო, შემდეგ ფეხები ერთმანეთთან მიზიდა, ესეც მზად არიო — თქვა და თავის ქვაბიანად იატაკზე ჩამოდგა. ქეთომ ორი ცალი დიდი ლანგარი შემოიტანა და შალიკომაც ნაშლამის ამოლაგება დაიწყო. ქეთომ კი ინდაური ამოიღო, მარილი მოაყარა და ლანგრით გასაცივებლად გარეთ გაიტანა. შალიკოს გულმა ვერ მოუთმინა, ერთ საკმაოდ მსუქან ნაჭერს მარილი მოაყარა და თავის კოტიტა თითებით პირისკენ გააქანა. იმდენად ეგემრიელა, რომ სიამოვნებისგან ლამის კვნესა აღმოხდა.

— კარგი, კარგი, დააბრალე ეხლა ყველაფერი მიტოს, შენც კი მუცლის მონა ხარ, ვინც არ გიცნობს — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ქეთომ და ქმარს ნაშლამის შემოწმება შეახსენა. შალიკო წამოდგა, ერთხელ კიდევ გვარიანად გაიზმორა, თვალები მოისრისა, ღუმელზე მდგარ მოთუხთუხე ქვაბს თავსახური მოჰხადა. იქვე მდგარი ტაბურეტიდან ქაფქირი აიღო, ქვაბიდან ნაშლამის ერთი დიდი ნაჭერი ამოიღო, თითები მოუჭირა, ეყოფაო — ჩაილაპარაკა, ნაჭერი ისევ შიგ ჩააგდო და ქვაბი გადმოდგა. მაშინვე მეორე ქვაბს მოჰხადა თავსახური ფეხებამოშვერილ ინდაურს

— დედაკაცო, ნიორი არ დანაყე? — ჰკითხა ქეთოს ისე, რომ არც კი გაუხედავს მისკენ.

— „შკაფში“ დგა, მიდი და გამაიღე... კაცო, ველარ მოგითმენია, სადაცაა მოვა ახალი წელი, გავშლი სუფრას და ერთადა ვჭამოთ... — უსაყვედურა ქეთომ.

— შენ ნუ გეშინია, უმადობას როდი ვუჩივი, მერეც შევჭამ... მიდი პური შამაიტა, — მიუგო შალიკომ, ისე რომ ჭამა არ შეუწყვეტია. ჭურჭლის კარადიდან გამოღებული ჭიქიდან კოვზით ნიორი ამოიღო, ნაშლამის ნაჭერს წაუსვა და გემრიელად ჩაკბიჩა. ქეთომ რაღაცა ჩაიბუტბუტა თავი-

სთვის, გარეთ გავიდა და თასით შოთის პურები შემოიტანა.

— კაცო, ხო ამხელა ღორი იყო არა, იგეთი გემრიელი ხორცი აქვს გეგონება ბურვაკიაო, ამის „ვიჩინა“ გამოვა, იმის დედა ვატირე, რა, სუ თითებ ჩაიკვნეტავ... ქალაქში რო გავუგზავნი ჩვენ ბალღებს, ნახე როგო დაყლაპავენ... — დაიქადნა შალიკომ.

— ეჰ, ნეტავი აქა ყოფილიყვნენ და ერთად შევხვედროდით ახალ წელს, ბაბო ენაცვალოთ იმათა, — სინანული გამოთქვა ქეთომ და თან საათს შეხედა. უკვე თორმეტის ოცი წუთი იყო. შალიკომ ჭამა დაამთავრა, ტუჩები გაილოკა, ულვაშებზე ხელი ჩამოისვა და ღუმელში შეშის შესაკეთებლად დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

— ბიჭო, სადაცაა თორმეტი გახდება, მიდი ღვინო ამაიტა, — დააჩქარა ქეთომ ქმარი.

— ღვინო თორე, შენც ეხლა ერთბაშად არ დამილიო, — წააქეზა შალიკომ ცოლი.

— რატომაც არა ერთი ჭიქით მაინც დავილოცები... ეგეც რომ არ იყოს, დილაუთენია მეკვლე რო მოგივა, მარანში გასვლა აღარ დაგჭირდება, — მიუგო ქეთომ ნიშნის მოგებით.

— ჰოო, გიორგასთვის უნდა გავემზადოთ მა რაა, — თქვა შალიკომ და ფეხზე წამოდგა. კართან მისული შეჩერდა, თითქოს რაღაცა გაახსენდაო და ხმამაღლა გაეცინა. — შარშან, ზაურაანთა, რთველში არ იცი, რა უქნა სტუმრებს გიორგამ? — ჰკითხა ქეთოს და პასუხს არც დალოდებია ისევ გააგრძელა: — თამადა იყო და თავისი ფეხის სადღეგრძელო დაალევინა ხალხსა, ჯერ ერთი წელი არ გასულა, რაც მე ამ ოჯახის მეკვლე ვარ, ერთი ქალიშვილი უმაღლესში მოგიწყვეთ და მეორე კიდენა გაგითხოვეთო, ამიტომა ჩემ ფეხებ გაუმარჯოსო, თან ისიც ზედ დააყოლა, ვინც ეს სადღეგრძელო არ დალიოს ფეხი მოტყდესო. ზაურას ქალაქიდან სტუმრები ჰყავდა ჩამოსული და იმათაც — ძია გიორგი, თქვენს ფეხს გაუმარჯოსო და სულ სიცილ-ხარხარით გადაყლურწეს — თქვა შალიკომ, კიდეთ ერთხელ გადაიხარხარა და გარეთ გავიდა. ქეთო სუფრის გაშლას შეუდგა. გარედან გაგრილებული ინდაური შემოიტანა და დაჭრა დაიწყო. მერე ტკბილეულით, ხილით და ჩირ-ჩურჩხელებით დაამშვენა სუფრა. ამასობაში შალიკოც შემოვიდა და ორი დიდი ხელადით წითელი ღვინო შემოიტანა, მაგიდაზე დადგა და ტახტზე ჩამოჯდა. ცოტა ხანში უხასიათოდ შეიქნა. საათს შეხედა. თორმეტს ათი წუთი აკლდა. უცბად წამოდგა, კართან კედელზე ჩამოკიდებული „ტელეგრეიკა“ ჩამოხსნა, მხრებზე მოისხა და გარეთ გასვლა დააპირა.

— სად მიხვალ ქა... — ჰკითხა გაკვირვებულმა ქეთომ.

— რაღაცა, მუცელი მიყურყუტებს და ვიდრე ახალი წელი მოსულა, გავალ მოვიშორებ... — მიუგო შალიკომ.

— რა უდროო დროს აგიტყდება ხოლმე, ეხლა გარეთ გასვლის დროა? სადაცაა თორმეტი გახდება — შეიცხადა ქეთომ:

— შენ საქმეს მიხედე დედაკაცო, მა გაჭირვებული ხო არ შევხვდები ახალ წელსა, — შეუღრინა შალიკომ და გარეთ გავარდა.

— უპრაგონოთ რო ჭამ და ზომაწონა არ იცი იმან გიყო... ჩაგისკდეს მუცელი აჰა, — ქოქოლა დაადევნა ქეთომ.

ამასობაში კი სოფელში სროლის ხმა გახშირდა. მოულოდნელად ელექტროენერგიის შუქმა ლამპით მბჟუტავი სახლები ერთიანად გაანათა, რასაც აქა-იქ სიხარულის გამომხატველი შეძახილები მოჰყვა. მკრთალ გამოსახულებიან, ძველისძველ შავ-თეთრ ტელევიზორში პრეზიდენტის საახალწლო მილოცვას გადმოსცემდნენ. თორმეტი საათის შესრულებას ორიოდე წუთიღა აკლდა. ქეთოს ნერვიულობისგან აღარ იცოდა, რა ექნა. ერთხანს გარეთ გასვლაც დააპირა შალიკოსთვის დასაძახებლად, მაგრამ სწორედ ამ დროს მათ შორიახლოს მდგარი მენაბდიანთ მიხას აივნიდან ორლულიანმა თოფმა ზალპი დასჭექა და ქეთოც შეშინებული ისევ შინ შემოვარდა.

— აგრემც შენი გაჩენის დღე დაიქცეს ჰაა, შე უკუღმართად დაბადებულო, — ხმამაღლა აღმოხდა ქეთოს შალიკოს მისამართით და თან კალთაზე ხელები შემოირტყა. ტელეეკრანიდან უკვე ქართული მრავალჟამიერი გუგუნებდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ახალმა წელმა და ახალმა საუკუნემ შემოაბიჯა. კედლის საათიც უკვე პირველის ხუთ წუთს უჩვენებდა. კარს იქით ფეხის ხმა მოისმა. ქეთო კარს ეცა, გამოაღო და შალიკოს მიაძახა: — დაიცა ფეხი არ შემოდგა შე ფეხდასამიწებელო, ტკბილს მოგცემ რამეს, — თან მაგიდისკენ შემოტრიალდა, გოზინაყით გაწყობილი პატარა ლანგარი აიღო და კარს იქით გახევებულ შალიკოს შეაჩეჩა ხელში. — რა არის დედაკაცო, უკვე მოვიდა ახალი წელი? — ჰკითხა გაკვირვებულმა შალიკომ.

— არა, შენ დაგელოდებოდა, როდის მაისაქმებდი, — შეუბღვირა ქეთომ.

შალიკო უხალისოდ შემოვიდა ოთახში, ლანგარი მაგიდაზე დადგა და იქვე მდგარ ტაბურეტზე ნირწამხდარი ჩამოჯდა. — მერე ვერ დამიძახე, მე შენი დედა კი..., — შეუკურთხა შალიკომ და მაგიდაზე მუშტიც დააბრახუნა. — მინდოდა დამეძახა, ქა მაგრამა იმისთანა თოფის სროლა ატეხეს, რო, ეზოში რა გამამიყვანდა... ან შენ ვერ უნდა მიმხვდარიყავი ამოდენა ბათქაბუთქი რო იყო? — აქეთ შეუტია ქეთომ გაბრაზებულ ქმარს. — მე რა ვიცი, ნაადრევათაც ხო ისვრიან ხოლმე — სცადა თავის მართლება შალიკომ. — კარგი ეხლა, რაღა ეშველება, რაც იყო, იყო... სადღეგრძელო ვთქვათ და დავილოცოთ, — დაუყვავა ქეთომ და დოქიდან ჭიქებში წითელი ღვინო ჩამოასხა. ცოტა ხანში შალიკოც მოლბა. ხელი ჩაიქნია, ჭიქა აიღო და ახალი წლის შემობრძანება დალოცა. დალევა რომ დაუპირა, ისევ ქეთოს შეუღრინა: — დილაზე გიორგასთან არაფერი წამოგცდეს დედაკაცო, თორე ხო იცი, მთელი წელი სალაპარაკოდ ეყოფა, მაგის ყბაში ჩემი მტერი ჩავარდეს, — თქვა შალიკომ და ჭიქა ორ ყლუპზე გამოცალა. ისევ სკამზე ჩამოჯდა, ინდაურის ბარკალს დასწვდა და კბილებით გაგლიჯა, თან შოთის პურს ერთი ბოლო მოაგლიჯა.

— ეს რა მარცხი მამივიდა კაცო, ეს სად შევხვდი ახალ წელსა... — ბრაზობდა შალიკო საკუთარ თავზე და უგერგილოდ იღეჭებოდა. ქეთოს ამ სიტყვებზე ჩუმი, თავშეკავებული სიცილი წასკდა. შალიკომ სცადა შეებღვირა თავისი ცოლისთვის, მაგრამ ვერ გამოუვიდა, თავი აქეთ-იქით გააქნია და იმანაც ხითხითი გაბა...

■



მას უხარია თუ წაიქცევით, ან თუნდაც ფეხი გადაგიბრუნდებათ. სიამოვნებისგან ცახცახებს, როცა ტრაგიკულ ამბავს მოუთხრობენ. ის მხოლოდ ცუდს გისურვებთ, თუმცა ზიანს არ მოგაყენებთ. მისთვის ბოროტება — სიამოვნებაა. რა ჰქვია ამ მოვლენას, ანომალია თუ პათოლოგია, ღმერთმა უწყის.

ბრძოლაში ყველაზე სასტიკი იმარჯვებს

ეკა ლომიძე

ჩემი რესპონდენტი ერთ-ერთ საზოგადოებრივ შეკრებაზე ვნახე. ახალგაზრდა, სიმპათიური, ელეგანტური მამაკაცი მკაცრი სახითა და ცივი გამომეტყველებით დარბაზის ერთ კუთხეში იდგა და ყველას უცნაურად აკვირდებოდა. მის კუშტ სახეზე საოცარი სიხარულის სხივი აკიაფდა ერთი უსიამოვნო შემთხვევის გამო (რომელსაც შეგნებულად არ ვასახელებ). სახტად დავრჩი მისი რეაქციით. მერე როგორღაც მის გვერდით აღმოვჩნდი... ჩვენ შორის დიალოგი შედგა, რომელსაც აღსარებას ნამდვილად ვერ ვუწოდებ.

— როდის იგრძენი პირველად, რომ ვიღაცის მარცხი გიხაროდა?

— არა მარტო ვიღაცის — ჩემი მარცხიც მსიამოვნებს. ამას სადიზმს ან მაზოხიზმს ეძახიან, მაგრამ ცდებიან. შენ რომ არ მოგწონს, მე ის მომწონს. ჩემთვის ტკივილი სხვაა, შენთვის — სხვა და ვიღაცა სულ სხვა რამეს არქმევს ამ სახელს. შენს თვალებზე ცრემლები სიამოვნებას მომგვრის, მაგრამ არა იმიტომ, რომ ლამაზად იტირებ, არამედ იმიტომ, რომ შენი ტირილი შენს ტკივილს ნიშნავს. მე კი, როცა ამას ვიგრძნობ, მსიამოვნებს. ეს ჩემი „კაიფია“, რაც პირველად საბავშვო ბაღში ვიგრძენი. ბავშვებთან თამაში არ მიყვარდა, ყოველთვის ჩემთვის ვიყავი და ვაკვირდებოდი სხვებს. მომწონდა, როცა ბავშვები ერთმანეთს სცემდნენ. მასწავლებელსაც მისი სისასტიკის მიხედვით ვცემდი პატივს.

— შენ რას ეძახი ტკივილს, უსიამოვნო შეგრძნებები რაზე გიჩნდება?

— ალბათ ბევრ რამეზე ვღიზიანდები, ახლა მაგის ჩამოთვლას რა აზრი აქვს?! არ მიყვარს გამარჯობის თქმა: როცა ვინმე ქუჩაში მხვდება, ვცდილობ, თვალი ავარიდო და ხმა არ გავცე. არ მესმის, რა საჭიროა სალამზე ვუპასუხო. თუ იმაში დარწმუნება უნდა, რომ ნამდვილად დავინახე, ჯანდაბას მისი თავი, თავს დავუქნევ, ეს კი იმის ნიშანი იქნება, რომ მისი არსებობა დავაფიქსირე.

— რა გახალისებს ყველაზე მეტად?

— რომ არა ადამიანთა შეწუხებული სახეები, რა გამახალისებდა?! ასე ხომ ყველაფერი ერთფეროვანი იქნებოდა. რამდენი ადამიანიც არსებობს, წუხილიც იმდენი სახისაა. მდიდარს „მდიდრულად“ სწყინს, ღარიბს „ღარიბულად“. იდიოტებს ვერ ვიტან, სწორედ იმის გამო, რომ ყველაფერი უხარიათ.

— როცა ცუდ ამბავს იგებ, ალბათ სიხარულისაგან ჭკუაზე აღარა ხარ.

— ამას წინათ, შუაღამისას ქალის კივილმა გამაღვიძა. მთელ სხეულში სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა. რაღაც, ჩვეულებრივი ადამიანისთვის ცუდი მოხდა. აბა შუაღამისას ისე არ აკივლდებოდა. მერე გავიგე, ვიღაც მეშვიდე სართულიდან გადმომხტარიყო. კვახივით გაუსკდა თავი. როცა ვნახე, უშნო სანახავი კი იყო მკვდარი, მაგრამ მოკვდა, გესმის? ეს საინტერესო პროცესია. მან უარი თქვა იდიოტურ ყოფაზე და ჩვეულებრივი ცხოვრების წესს სიკვდილი დაუპირისპირა.

— ეი. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და შენ ეს მოგწონს?

— რა თქმა უნდა, აღვფრთოვანდი. ვისაც საამისოდ ძალა არ ჰყოფნის, ის ეძახის ამ ამბავს თვითმკვლელობას. სინამდვილეში კი ასეთი ადამიანი სრულყოფილების ზღვარზე გადავიდა. მან ის გასინჯა, რაც აკრძალული ჰქონდა და როცა მოუნდა, მაშინ გაუგო სიკვდილს გემო. იტყვიან — სული ეშმაკს მიჰყიდაო. რა ეშმაკი, რის ეშმაკი — ესეც ვიღაცის მოგონილი სისულელეა, ვის შეუძლია, გაიგოს რა არის სიკეთე და რა — ბოროტება?! არ მესმის საყოველთაო დოგმების. მე ჩემი დოგმა მაქვს, ჩემი სამყარო და რასაც მინდა და როგორც მინდა, ისეთ სახელს დავარქმევ.

— ნუთუ ასე ცხოვრება არ გიჭირს? შენ ხომ ყოველდღე უამრავ ადამიანთან ერთად გიწევს ყოფნა, ნუთუ მათ არ ესაუბრები, არ ხუმრობ, არ იცინი?

— სულაც არ ვგრძნობ თავს ცუდად. მე ჩემი სარკმლიდან ვიცქირები, იქიდან ვუგდებ ყურს ყველას. აბა დაუკვირდი, მოისმინე, რას ჰყვებიან დღის განმავლობაში ადამიანები, როგორ ლანძღავენ და სამარეს უთხრიან ერთმანეთს. გული ბოღმით აქვთ სავსე. რამ უნდა დამღალოს?! მე ადამიანების ტკივილი მინდა ვიგრძნო, ის კი უხვადაა ჩვენთან, თანაც ფართო „ასორტიმენტით“.

— შენ ალბათ არც უშუქობა, უფულობა და საერთოდ, არაფერი გაწუხებს. ეს ქვეყანა სულ რომ დაიქცეს, არ გენაღვლება.

— არა, საყოფაცხოვრებო პირობები ჩემზეც მოქმედებს. ძალიან მიყვარს ცხელი წყალი და კომფორტი. სხვათა შორის, ეს ქვეყანა სხვანაირი იქნებოდა, სულ ბოროტი ადამიანებით რომ იყოს სავსე. ბოროტი მომთხოვნია და მიზანდასახული. რაც მას სურს, იმის კეთებას აიძულებს სხვებს. ჩვენს ქვეყანაში ბოროტები უფრო ცოტანი არიან, ვიდრე კეთილშობილები. ბოროტებმა ხელისუფლებაში მოიყარეს თავი. მათ თავიანთი საქმე გაიკეთეს, კარგადაც არიან და პასუხს ვერც მოსთხოვ. პირიქით რომ მოხდეს, კეთილების ხელისუფლებამ რომ მოინდომოს ბოროტების საზოგადოების მართვა, არაფერი გამოუვა. ბევრ ბოროტს ცოტა სიკეთე ვერაფერს

დააკლებს. რას იგებ შენ, კეთილი თუ ხარ? სახეში გთხლეშენ, წამოდგები და ისევ სიფათს მიუშვერ? აი მაშინ კი გექნებათ თქვენი სანაქებო ღვთის მადლი.

— ასეთ ულმერთოს ნუთუ ოჯახში გიტანენ?

— ჩემი მშობლების ოჯახთან დიდი ხანია ურთიერთობა არა მაქვს. არც მაინტერესებს მათ შესახებ არაფერი. ჩემს ოჯახში კი მე, ჩემი ცოლი და 3 წლის ბიჭი თავს კარგად ვგრძნობთ და შესანიშნავადაც გვესმის ერთმანეთის. ბავშვისათვის „ცოცხალ სათამაშოს“ ვქირაობთ ხოლმე — გოგონას, რომელსაც თვეში 100 დოლარს ვუხდი. რატომღაც, ერთი თვის შემდეგ არც ერთ „სათამაშოს“ აღარ სურს ჩვენს შვილთან თამაში.

— ეს „ცოცხალი სათამაშო“ რაღას ნიშნავს?

— მნიშვნელოვანს არაფერს. ჩემს ბიჭს ძლიერი, სათანადო აღზრდა სჭირდება. თუმცა ამისთვის მარტო ჩემი და დედამისის თეორიები არ კმარა. ბიჭს საგანი სჭირდება, რითაც გაერთობა, აღეგზნება და ადამიანებთან ურთიერთობის პრაქტიკას ისწავლის. „ცოცხალ სათამაშოს“ ჩხვლეტს, ავტომატით ან სხვა იარაღით „კლავს“. რა თქმა უნდა, სათამაშო იარაღებით, მაგრამ თავის დროზე ნამდვილი იარაღის გამოყენება აღარ გაუჭირდება. „ცოცხალი სათამაშოს“ მოვლეობაა, მოკვდეს, დაეცეს, დაიმტვრეს და მერე აღდგეს. როცა უბრძანებენ, უნდა იტიროს და ა.შ. თუ ასე არ მოიქცევა, სამსახურიდან გავათავისუფლებ. თუმცა, არც ერთ გოგონას არ მოსწონს ეს თამაში. გარბიან. არადა, მათ კარგად ვკვებავ, რომ ძალა ჰქონდეთ და მათი სისუსტის გამო არ მოიწყინოს ბიჭმა.

— შვილს ეფერებით ხოლმე?

— რად უნდა მოფერება?! მან მხოლოდ სიამოვნების მიღება უნდა ისწავლოს. სიამოვნებით იმეორებს, რასაც ვასწავლი და მიხარია. ვგრძნობ, რომ ღირსეული მემკვიდრე მეზრდება.

— ცოლი როგორ შეირთე და რატომ? გიყვარდა? სიყვარული შეგიძლია?

— არ გაგიგია, სტენდალმა რომ თქვა? — ქორწინება ბოროტებაა, მაგრამ აუცილებელი ბოროტებაო. მეც აღვასრულე ჩემი მოვალეობა, ცოლად იმიტომ შევირთე ჩემი მეუღლე, რომ ერთმანეთი არ გვიყვარდა.

— საშინელი ადამიანი ხარ. როცა სხვისი ტკივილით ტკბობა გაგივლის, სინდისი არ გქენჯნის ხოლმე?

— რა სინდისი, რაზე მელაპარაკები?! საკუთარი თავის საწინააღმდეგოს არაფერს არ ჩავდივარ, არ ვთვალთმაქცობ. ნიღბით არ დავდივარ. ყველა გრძნობს, რომ ჩემგან დისტანცია უნდა დაიჭიროს. ეს ძალიან მსიამოვნებს. დაუკვირდი, რომელია უფრო ძლიერი — ძაღლი, რომელსაც ყველა ერიდება, თუ ადამიანი, რომელსაც დაბმული ძაღლისაც კი ეშინია? რომელ სინდისზე მელაპარაკები, ნუთუ ნაკლი ნახე ჩემში?

— ამაზე დიდი ნაკლი რაღა გინდა — სული ბოროტებით გაქვს სავსე! შენი სიტყვები ავადმყოფის ბოდვას უფრო ჰგავს. ნუთუ იოტისოდენა წუხილიც არ გაგაჩნია შენი ხასიათის გამო? ადამიანის მოკვლაზე თუ გიფიქრია? ეს ხომ უდიდესი ბოროტებაა.

— არ შემიძლია ვინმე მოვკლა, ვინმე კი არა, სულ პატარა არსებაც კი. ჭიანჭველას ფეხს ვერ დავადგამ, მეშინია. სხვას ხომ არა აქვს უფლება, რომ მომკლას, ასევე ვერ მოვკლავ მეც ვერავის.

— შვილს კი მკვლელად ზრდი.

— მომავალი სწორედ ეგეთების იქნება. ჩემს შვილს ის ნაკლი არ უნდა ჰქონდეს, რაც მე მაქვს. მან შიში არ უნდა იცოდეს. ბრძოლაში ყველაზე სასტიკი იმარჯვებს. ახლა კი უსასტიკესების ერა მოდის. ნახავ, რაც მოხდება.

— რა მოხდება?

— სამყაროს უძლიერესი ელემენტები გაძლიერდებიან. რომ არა „შავი“ ენერგია, ცხოვრება საშინელება იქნებოდა, რადგან ჩვენ ვაწონასწორებთ სამყაროს.

— აქამდე არაფერი მიკითხავს შენთვის ღმერთზე, ისედაც გეტყობა, რომ უღმერთო ხარ, მაგრამ ამ საშინელი ფიქრებისა და სურვილების გამო, ნუთუ სულ არ გეშინია ღმერთის?!

— რატომ უნდა მეშინოდეს — მე ხომ ტკივილის გრძნობა არ მაწუხებს. თუმცა, წინასწარ ვინ იცის, რა მოხდება. ეგ კია — ჩემს შვილს რომ რამე მოუვიდეს, ამისი მეშინია.

— ეგ კი იმას ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს უფლის ხატის წინ მუხლებზე დაემხობი და აღსარებას იტყვი.

— „ჩათვალე, რომ შენგან გადმომედო და ეს შენდამი ბოროტ სურვილად მიიღე...“



ადამიანური ქცევა



ვერ მოიპოვებ ძალადობით კეთილგანწყობას.

ანდრეას გრიფიუსი

ადამსა და ევას რომ გმობ, დაუფიქრდი, ძმაო, ცოტა:
მათზე ადრე უყოყმანოდ ჩაიდენდი იმავ ცოდვას

ანგელუს სილეზიუსი

ყოველ კაცში იმდენი პატივმოყვარეობაა, რამდენიც ჭკუა აკლია.

ალექსანდრე პოპი

დროის შერჩევა — დროის მოფრთხილებაა. უდროოდ გაკეთებული საქმე ფუჭია.

ფრენსის ბეკონი

სადაც კვდება იმედი, იქ იწყება სიცარიელე.

ლეონარდო და ვინჩი

დედის სიყვარულზე წმინდა და უანგარო არაფერია.

ბესარიონ ბელინსკი

სალამ-ქალამ ცუდია,
როცა გულია ქვისა:
თუ კაცი თავად ქურდია,
მას ხიბლავს მხოლოდ ქისა.

ჰაგანი —

იბრაჰიმ ალი ოღლი

სასიამოვნო ადამიანთან საუბარი საინტერესო რომანივით არის — ფურცელ-ფურცელ მიჰყვები და უფრო და უფრო გიზიდავს.

ეს შეგრძნება დამეუფლა ქალბატონ ლია მიქაძესთან საუბრისას. ერთი ეპიზოდის მოსმენის მერე, მეორეს გახსენებას ვითხოვდი, მეორეს მესამე მოჰყვა და „აიკინძა“ მთელი ჯაჭვი... თუმცა ზოგი რამ ვერ მოვაყოლე — შევატყვე, ტკივილს ჰგვრიდა: ქალბატონი ლიას თვალებში ცრემლი აუკიაფდა. შემდეგ, ისევ მან მომიბოდიშა თავაზიანად და მითხრა: ნება მომეცით, „რაღაც“ ჩემთვის დავიტოვო და სამზეოზე არ გამოვიტანოო.

პირველი ტელევიზიის პირველმა დიქტორმა თავისი ადრეული წლების ლამაზი „ფურცლები“ გადამიშალა და ნელ-ნელა დღევანდლამდეც მოვიდა. ეს მოგონებები, მიუხედავად ბევრი სასიამოვნო წუთისა, მაინც სევდანარევია, თუმცა, სჯობს, თავად ქალბატონ ლიას მოვუსმინოთ:

დიქტორთა კონკურსზე

მთელი ქალაქის ლამაზმანები მოვიდნენ

მარინა ბაბუნაშვილი

— დედა ექიმი მყავდა, მამა კი ხელოვანი კაცი იყო, რომელიც 1936-1937 წლებში ოპერის დირექტორი გახლდათ. დიდხანს არც დასცალდა ამ თანამდებობაზე ყოფნა, რადგან, როგორც „საეჭვო პირი“, დააპატიმრეს. დედაც ყოველდღე ელოდებოდა დაპატიმრებას, ამიტომაც მეორე შვილი, რომელიც უნდა ჰყოლოდა, აღარ გააჩინა. მოხდა სასწაული და დედა დაპატიმრებას გადაურჩა, მე კი დედისერთა გოგოდ დავრჩი. მამა აღარ მახსოვს, რადგან, როცა ეს უბედურება გვეწვია, მე ერთი წლისაც არ ვიყავი.

ჩვენს ოჯახში მუდამ ხალხმრავლობა იყო. მეგობრები დედაჩემს მარტო დიდხანს არ ტოვებდნენ. ჩვენთან იზრდებოდა ჩემი დეიდაშვილიც — ნათელა ურუშაძე. მისი მშობლებიც 37 წელს დააპატიმრეს. ნათელას თავიდანვე იზიდავდა თეატრალური სამყარო. მასთან ხშირად მოდიოდნენ ამხანაგები — მიშა თუმანიშვილი და კაკო დვალიშვილი. ასე რომ, მე პატარაობიდანვე ორ წრეში — სამედიცინოსა და თეატრალურში აღმოვჩნდი.

ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი. დღენიადაგ მუხლები გადატყავებული მქონდა და ხშირად ქირურგიული განყოფილების პაციენტიც გახლდით. დროთა განმავლობაში თეთრი ხალათი, ბინტი, ბამბა და სხვა სამედიცინო „ატრიბუტები“ ისე შევისისხლხორცე, რომ „ექიმობანას“ გარდა, სხვა თამაში აღარც არსებობდა ჩემთვის.

მე-8 რკინიგზის ქალთა სკოლაში ვსწავლობდი. როგორც აქტიური ბავშვი, ჩაბმული ვიყავი „კულტურულ ღონისძიებებში“. სკოლაში არსებობდა არაჩვეულებრივად კარგი მხატვრული კითხვის წრე, რომლის მუდმივი წევრიც გახლდით. ამასთან ერთად, ვცეკვავდი და მხატვრულ ტანვარჯიშზეც დავდიოდი. სხვათა შორის, კონკურსზე ორივეში პირველი ადგილი დავიკავე.

გუშინდელი დღესავით მახსოვს 7 ნოემბრისა და 9 მაისის აღლუმები. ციოდა თუ თბილოდა, ამას არსებითი მნიშვნელობა არასოდეს ჰქონდა. მე ტრადიციულად ამასკუპებდნენ მორთულ-მოკაზმულ მანქანაზე და ტანმოვარჯიშის ფორმით ერთ პოზაში ვიდექი ერთი (თუ მეტი არა) საათის განმავლობაში. აღლუმის მერე ასე, საცურაო კოსტიუმში „გამოწყობილი“ მოვივლიდი ქუჩებს, მივიდოდი ჩემი დეიდაშვილების სახლში, ჯავახიშვილის ქუჩაზე და სიცივისგან აძაგძაგებული იქ ჩავიცვამდი. კარგად მახსოვს ჩემი ფიზკულტურის მასწავლებელი მაკო ახვლედიანი (ელენეს და), რომელიც დღევანდელებს სულ არ ჰგავდა: სულიერ და ფიზიკურ განვითარებას ისე ლამაზად უხამებდა ერთმანეთს, რომ მოსწავლეები ვაღმერთებდით.

როდესაც ცხოვრებაში დამიდგა მომენტი, როცა ჩემი ცხოვრების შემდგომი გზა უნდა ამერჩია, დაუფიქრებლად გადავწყვიტე სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება. მაგრამ დედაჩემმაც და მისმა დიდმა სამეგობრომაც აქტიური წინააღმდეგობა გამიწიეს და მითხრეს: მთელი ცხოვრება გაჭირვებულს და შეწუხებულს უნდა უყურო, შენი ემოციურობის ამბავი რომ ვიცით, დაიტანჯებიო. მეც დავუჯერე მათ და თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე. სხვათა შორის, ნათელა ურუშაძე იმ დროს უკვე ლექციებს კითხულობდა. ასე აღმოვჩნდი საკუთარი დეიდაშვილის სტუდენტი.

— ლექტორი-დეიდაშვილი მკაცრი იყო თქვენ მიმართ თუ „წყალობის“ თვალით გიყურებდათ?

— ზოგჯერ ისე უსაშველოდ მკაცრი იყო, მარტო დარჩენილს მიბოდიშებდა კიდეც: არ გეწყინოს, რა, ყველაზე მეტად შენთან რომ ვარ მომთხოვნიო. აბა, ლმობიერად რომ მოგექცე, სხვაც გათამამდებაო... ჩემი პედაგოგები იყვნენ: მიშა თუმანიშვილი, ლილი იოსელიანი, ბაბულია ნიკოლაიშვილი, სერგო ზაქარიაძე.

— ქალბატონო ლია, თეატრალური სამყაროს ასეთ კო-

1957 წლის საახალწლო ტელეპროგრამის შემდეგ

რიფეებთან ტრიალებდით და ნუთუ, ამ გადასახედიდან გული არ გწყდებათ, რომ, როგორც მსახიობი, ბოლომდე ვერ დაიხარჯეთ?

— მე იმდენად დავიხარჯე ტელევიზიაში და ისეთი დიდი სიყვარულით ვაკეთე ჩემი საქმე, რომ გული ნამდვილად არ მწყდება.

— **როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?**

— პირველ კურსზე ვიყავი, როცა რეჟისორი მერაბ ჯალიაშვილი თეატრალურ ინსტიტუტში მოქაქანდა (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით) და მიხეილ თუმანიშვილს სთხოვა, ლამაზი და კოხტა გოგონები მჭირდება ტელეარხისთვის და შემირჩიეთო. თავდაპირველად ბატონმა მიშამ გადაჭრით უთხრა უარი. რამდენიმე დღის მერე ავთო გაჩეჩილაძემ (მაშინ რადიოს საბავშვო განყოფილების რედაქტორი, ბოლოს კი ტელევიზიის პროგრამების დირექციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო) დარეკა ინსტიტუტში და ამჯერად, თუმანიშვილმა მე მითხრა — წადი და გაეცანი ტელეარხის ინიციატორებს, მგონი, მართლაც საინტერესო იდეა აქვთო. მეც წავედი ფუნიკულიორზე. მთელი ქალაქის ლამაზმანები დამხვდნენ კონკურსზე მისულები: თურმე, კონკურსი გამოეცხადებინათ სატელევიზიო პროგრამის წამყვანის შესარჩევად. ისე დავიბენი, გამოპარვა გადავწყვიტე და ასეც მოვიქეცი. დარბაზიდან გამოსულს, კვლავ მერაბ ჯალიაშვილი წამომეწია და ძალით, დამაბრუნა დარბაზში.

წამყვანთა ანუ დიქტორთა შესარჩევი კონკურსი მთლიანად გავიდა ეთერში. მაშინ, თბილისში თითო-ოროლა ოჯახს ჰქონდა ტელევიზორი. ნეტავ, გენახათ, რა ხდებოდა! მთელი უბანი იმ ერთ ოჯახში იკრიბებოდა კონკურსის საყურებლად. მერე იყო სტუდიაში რეკვა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა: იმას ის სჯობს, ეს მოგვეწონა, ის ძალიან კარგი იყო და ა.შ.

კონკურსის ბოლოს 300 ახალგაზრდა ქალიდან 9 დაგვტოვეს, კონკურსს ხელმძღვანელობდა კაკო ძიძიგური (რადიოკომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელი, — ავტ.). ეს იყო ადამიანი, რომელმაც შექმნა ქართული ტელევიზია, იმ არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელსაც დიდი ორგანიზატორობა და ადამიანების ურთიერთდაკავშირება ჰქვია. კონკურსის ბოლო ეტაპისათვის ბატონი კაკო ცენტრალურ კომიტეტში წავიდა, რათა იქიდან მიეღო საჭირო მითითებანი. გადაწყდა, რომ დარჩენილი იყო ორი წამყვანი, 9 ქალიდან კი გამარჯვებულის გამოსავლენად ყველას უნდა წაგვეკითხა მხატვრული ნაწარმოებები. მე წავიკითხე ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და გალაკტიონის „გურიის მთებს“.

მართალი გითხრათ, ვღელავდი. თავდაპირველად ინერციით მივედი ფუნიკულიორზე, მაგრამ მერე „როლშიც შევიჭერი“, მით უმეტეს, რომ მთელი საზოგადოება თვალს ადევნებდა ამ კონკურსს და რაღა გასაკვირია ჩემი ემოციები? გამარჯვებულებად გამოგვაცხადეს მე და შურიკო მაჭავარიანი.

ახლაც მახსოვს ის დღე — 1956 წლის 30 დეკემბერი და პირველი ჩვენი გადაცემა. ტელევიზიის პროგრამა, რომელიც საღამოს დაიწყო (დილის გადაცემები დიდხანს არ იყო), მე გავხსენი. მერე სიტყვა გადავეცი კაკო ძიძიგურს, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძეს და ინსტრუმენტული ქარხნის მუშას — ზავალოდსკის. შემდეგ კონცერტი დაიწყო. ბოლოს ფილმი „აბეზარა“ უნდა გაეშვათ. ჯალიაშვილმა დააჭირა ღილაკს ხელი, რის შემდეგაც ფირი უნდა წასულიყო, მაგრამ პირველივე გადაცემაზე პირველი წუნი მოხდა — ფირი არ წავიდა. ისევ ლეილა აბაშიძემ „გვიხსნა“. თავიდანვე დაგეგმილი იყო, რომ ფილმის წინ „აბეზარას“ სამოსში გამოწყობილ ლეილა აბაშიძეს ორიოდე სიტყვა უნდა ეთქვა, მერე თავისი განუყრელი „კეპი“ უკან შეეტრიალებინა და დაეძახა: „აბა, წავედით!“ ეს ყველაფერი შეასრულა, ფილმი კი არ დაიწყო, მაგრამ ლეილა ზურგით იმდენ ხანს გაჩერდა, სანამ ფირი არ ჩაირთო... ასეთი ხარვეზები შემდეგშიც იყო.

ტელევიზიაში მუშაობდა ნიჭიერი მხატვარი თენგიზ სამსონაძე, რომელმაც ასეთი რამ მოიგონა: დახატა ორი გაწყვეტილი ფირი, რომელიც „ბულავკით“ იყო გადაბმული. იმდენად ორიგინალური იყო მაშინ, რომ ტელევიზიას დიდხანს შემორჩა და ალბათ თქვენც გემახსოვრებათ... იცით, რაზე მწყდება გული? ვიდეოფირი არ იყო, ტელევიზიის პირველი გადაცემები რომ ჩაეწერათ...

— **დღეს კიდევ რაზე გწყდებათ გული?**

— იმაზე, რომ ისეთი ურთიერთობა, რაც მაშინ ტელევიზიის თანამშრომლებს შორის სუფევდა, დღეს აღარ არის. ფუნიკულიორზე 11 წელი ვმუშაობდით და ჩვენთვის არ არსებობდა „ჩემი“ და „შენი“. ხშირად, საბაგიროსთან მის-

სატელევიზიო სტუდიაში ლუჩია ბოზესთან და მის მეუღლესთან ტორეადორ ხოსე დომინგოსთან ერთად

იური ლევიგანთან ერთად

ულებს, ტრამვაი გაჩერებული დაგვხვედრია და ფეხით ავსულვართ. დასანანია, რომ მაშინ უფრო მეტი სიყვარული იყო საქმის მიმართ, ვიდრე დღეს. საქართველოს ტელესტუდია დიდი ხნის განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა მთელ საბჭოთა კავშირში და მეამაყება, რომ სწორედ ასეთი ზენიტის დროს მეც იქ ვმუშაობდი. რამდენჯერმე Голубой огонёк-ის გადაცემა წავიყვანე რუს კოლეგებთან ერთად. მაშინ შემომთავაზეს კიდეც რუსეთის ტელევიზიაში მუშაობა, მაგრამ უარი ვთქვი. ჩემი სტუდია ისევე მიყვარდა, როგორც დედას – თავისი პირმშო. მოსკოველებსაც ეს ვუთხარი: განა, შეიძლება დედამ თავის შვილს უღალატოს-მეთქი?!

— პირდაპირი ეთერი დღესაც სირთულეს წარმოადგენს და მაშინ მით უმეტეს, ძნელი იქნებოდა წეღანაც პირველი გადაცემის დროს მომხდარი წუნი ახსენეთ. თქვენი მუშაობის ადრეულ წლებში იყო ისეთი შემთხვევები, რომლის გახსენებისას ახლაც გულიანად გეცინებათ?

– ახლა კი მეცინება, მაგრამ მაშინ სიმწრისგან რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. ერთხელ, კადრში ვარ, ვლაპარაკობ და ამ დროს სტუდიაში ბუზი შემოფრინდა. წამყვანები მკაცრად ვიყავით გაფრთხილებულნი – რაც არ უნდა მომხდარიყო, რეაქცია არაფერზე მოგვეხდინა. ეს გაფრთხილება მუდამ მახსოვდა და ჯარისკაცული სიბეჯითით ვასრულებდი კიდეც. იმ საზიზღარმა ბუზმა იფრინა, იფრინა და... პირში შემიფრინდა. როგორია, რეაქცია არ გქონდეს ამაზე? წარმოიდგინეთ, ვაჟკაცურად გავუძელი, წარბიც არ შემიხრია და სანამ ტექსტს ჩავამთავრებდი, ის ბუზიც უკან გამოფრინდა. სტუდიაში ხალხი სიცილისგან დავარდნილი იყო, მე კი – ცრემლებამდე გამწარებული. ერთხელ, გადაცემის დროს დეკორაცია დამეცა თავზე, მაგრამ ვითომც არაფერიაო, ისე გავაგრძელე ჩემი საქმე. არასოდეს დამავიწყდება ერთი კურიოზიც. ჟურნალისტმა ვახტანგ მამალაძემ ვახუშტი ბატონიშვილზე გააკეთა გადაცემა. მახსოვს, გადაცემის დროს, თვალი მოვკარი, როგორ აიფარა ვახტანგმა სახეზე ხელები. ვიფიქრე, ყველაფერი კარგად მიდის და ალბათ, ისვენებს-მეთქი. ბოლოს, როცა გადაცემა დამთავრდა და ვკითხე: ვახტანგ, როგორ მოგეწონა გადაცემა? მან მითხრა: ყველაფერი კარგი იყო, ჩემო ლია, მაგრამ ერთი ეს მითხარი, გეოგრაფის მაგივრად რამ გათქმევინა ქორეოგრაფიო. ელდა მეცა. მართლაც – სად გეოგრაფი და სად ქორეოგრაფი?! ასე „გადავაქციე“ ვახუშტი ბატონიშვილი ქორეოგრაფად...

— პირადად თქვენზე რას მეტყვით?

– პირადულზე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს. 21 წლის გავთხოვდი. პირველმა „გაბედნიერებამ“ დაღი დამასვა, ავად გავხდი და იმ ქვეყნიდან ძლივს მომაბრუნეს. ჩემი მეორე მეუღლე ლევან თოფურიძე გახლდათ. ის ცოცხალი აღარ არის... მყავს ქალიშვილი ნინო და 16 წლის შვილიშვილი ლუკა მიქელაძე, რომელიც ჩემი გაზრდილია და საოცრად მიყვარს. ნინო, როგორც ახალგაზრდების უმეტესობა, უმუშევარია. დღეს ძალიან ჭირს საქართველოში ცხოვრება, მაგრამ რა ვქნათ, როგორმე უნდა გავუძლოთ ამ გაჭირვებას. წარმოუდგენელია, რომ მომავალში არ გამოანათოს.

— დღევანდელ ჟურნალისტებს, ტელეგადაცემების წამყვანებს კოლეგიალურად რა რჩევას მისცემდით?

– არ შეიძლება ინგლისური ენის ინტონაციის გადმოტანა ქართულ ენაში. ზოგიერთს ჰგონია, რომ ჩქარი, ამოუსუნთქავად ლაპარაკი მის პროფესიონალიზმს უსვამს ხაზს. მე თუ მკითხავთ, პირიქით – ეს დაბალ დონეზე მეტყველებს. მაყურებელსა და მსმენელს ფრაზიდან ფრაზამდე აღქმის საშუალება თუ არ მიეცი და ინფორმაცია სეტყვასავით დააყარე, განა ამით წამყვანად ჩაითვლები?! ქართულ მეტყველებაში ხომ ყოველთვის არსებობდა ლოგიკური მახვილი და სიტყვათა დარბაისლური წარმოთქმა, რაც უფრო კარგად და საფუძვლიანად წარმოაჩენს სათქმელის შინაარსს? ვფიქრობ, ამაზე ღირს დაფიქრება... კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ. – ეს რჩევა კი არა, თხოვნაა ახალგაზრდა თაობის მიმართ. ის, რაც მას არ შეუქმნია და უკვე გამზადებული დახვდა, უფროსი ხალხის ნაღვაწია, რომელსაც გაფრთხილება ესაჭიროება. არ შეიძლება ხელაღებით მოიხსენიო ის, ვინც წარმავალია, რადგან მისი წლოვანებისა თვითონაც მოიყრებიან და დარწმუნდებიან, რა ძნელია, როცა ნაამაგარს, ნაშრომს არ დაუფასებენ. მინდა, ახალგაზრდებმა მეტი პატივი მიაგონ უფროსებს, რომლებმაც ლხინითა და ჭირით სავსე ცხოვრებისეული გზა განვლეს და დამსახურებულად ელიან ელემენტარულ ადამიანურ სითბოსა და სიყვარულს, რომელიც ამ გაუსაძლის ყოფაში, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ არ იყიდება...

■

სტუდიაში, ცოცხალი გადაცემისთვის მზადების დროს

ფერადი ბუშტები და ახდენილი სიზმარი

სახალხო პარტიის გენერალური მდივანი გია კობახიძე თავიდანვე სიამოვნებით დამთანხმდა ამ რუბრიკისათვის მოგონების გაზიარებაზე და პირველ სიყვარულზე საუბარი თავისი ცხოვრების რამდენიმე ემოციური მომენტის გახსენებითაც გაამდიდრა.

ნინო შევარდნაძე

— ბავშვობიდან ძალიან კარგად დამამახსოვრდა ერთი პირველი სექტემბერი. მაშინ 127-ე სკოლიდან 68-ე სკოლაში გადამიყვანეს. მახსოვს, ბებიას მივყავდი და უცებ, ქუჩის მეორე მხარეს შევნიშნე გოგონა, რომელიც თავის ბებიას მიჰყვებოდა. გავიფიქრე, ნეტავი ჩემს კლასში იყოს-მეთქი. ეს სურვილი ამისდა: ჩემს კლასში შემოიყვანეს და ერთად დაგვაყენეს. ეს იყო ჩემი პირველი დადებითი განცდა, რომელიც მარტო პირველი სექტემბრით არ შემოიფარგლა. პირველი სიყვარულიც ალბათ, მაინც რამდენიმეა ადამიანის ცხოვრებაში — გარკვეული თვალსაზრისით ვამბობ ამას: ვთქვათ, 10 წლის ბავშვის სიყვარული ვერ შეედრება 14 წლის მოზარდის სიყვარულს, სულ სხვადასხვა საწყისი აქვს. არადა, ისიც პირველი სიყვარულია. ე.ი. რიგითობით პირველი სხვაა და განცდით პირველი — სხვა.

— ბატონო გია, მაშინ თქვენ, განცდით პირველ სიყვარულზე მოგვიყევით.

— ეს 26 წლის წინ, ჩემი სტუდენტობის დროს იყო. მეც უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და ისიც, ოღონდ 3 წელი იყო ჩვენ შორის სხვაობა. ჩემთვის გაცნობა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე სიყვარულის ახსნა. პირდაპირ ხომ ვერ მივეჭრებოდი — გამარჯობათ, მე გია ვარ და ა.შ... მოკლედ, დიდხანს „ვტკეპნიდი“... ის სულ წიგნებში იყო თავჩარგული, ბევრითად სწავლობდა: ლექცია — სახლი, სახლი — ლექცია... ვერ მამჩნევდა და ჩემკენ არც იყურებოდა. შემდეგ, როგორც იქნა, მოვახერხე რაღაცა. გაცნობის დეტალები არ მახსოვს, იმდენად დამაბნეველი იყო ის წუთები ჩემთვის... ამის შემდეგ, შემთხვევით თუ დავემგზავრებოდი და სახლამდე თუ მივაცილებდი. ერთხელაც, არ ვიცი, რამ მაფიქრებინა — ვიყიდე ბევრი ფერადი, მფრინავი ბუშტი, ხელში ძლივს ვიჭერდი. ბუშტები ლამაზი ლენტებით იყო შეკრული. დავდექი მის სახლთან, მეგობარი მახლდა და ასძახა. რომ გამოიხედა ფანჯრიდან, ბუშტები ცაში გავუშვი. ამის შემდეგ ითვლებოდა, რომ შეყვარებულები ვიყავით, რადგან იმ დღიდან უკვე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. როგორც აღმოჩნდა, ზუსტად გამოვიცანი, რაც უნდა გამეკეთებინა, — რომ იტყვიან, მის გულში ვმჯდარვარ...

— ამ გოგონას ვინაობას არ გაგვიმხელთ?

— სანამ ამას გაგიმხელდეთ, ერთ საინტერესო დეტალს გავიხსენებ. ჩვენს გაცნობამდე მას თურმე სიზმარი ჰქონია ნანახი: გველს უკბენია მკერდზე და შიშით გაღვიძებია. ამ სიზმარს ვერაფრით ხსნიდა. ერთ-ერთ ლექტორს მოუყოლია ამბავი, რომელიც ზუსტად იმეორებდა ამ სიზმარს. სიზმრის ახსნა ასეთი იყო: გოგონამ გაიცნო ვაჟი, რომელიც შეუყვარდა და ცოლადაც გაჰყვა... ჰოდა, აი იმ ლექციიდან რომ გამოდიოდა, მაშინ მოხდა ჩვენი გაცნობა. რა თქმა უნდა, არც ამ სიზმარზე და არც იმ ლექციაზე მე არავითარი წარმოდგენა არ მქონდა.

— სიზმარი როგორც იყო ახსნილი, ისე დამთავრდა ყველაფერი?

— ზუსტად ისე მოხდა, როგორც სიზმარი იყო ახსნილი. თამარი დღეს ჩემი მეუღლეა. გვყავს 23 წლის ვაჟი — ირაკლი და 14 წლის ქალიშვილი — ქეთევანი. ნეტავი, ყველას ისე აუხდეს სიზმარი, როგორც ჩვენ... ■

მეუღლესთან ერთად

იშვიათი შავი ვეველა

ᲛᲘᲐᲓ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ეს იყო ბუნების უცნაური, მაგრამ შესანიშნავი ქმნილება, რომელიც ქვეყნად 1942 წლის 17 იანვარს გაჩნდა კენტუკის შტატის ქალაქ ლუისვილში და სახელად კასიუს მარცელიუს კლეი დაერქვა – შემდგომში მუჰამედ ალი. თუ მის სტილს გავიხსენებთ, ეს იყო რაღაც დახვეწილი, მსუბუქი და სხვათათვის მიუღწევლად ლამაზი, რადგან ალი მსუბუქი წონის მოკრივის მოქნილობას ფლობდა, მაშინ როდესაც 192 სმ სიმაღლისა იყო და თითქმის 100 კილოს იწონიდა. მისი ცნობილი საკრალური გამონათქვამი: „დავფარფატებ, როგორც პეპელა, ვნესტრავ – როგორც ფუტკარი“ – შედარებით მორიდებულ გამონაკლისად იქცა იმ ბაქიბუქიდან, რაც საერთოდ ახასიათებდა ამ „ტრაბახსა“ და ჩხუბისთავს“.

მან სულ სამი ბრძოლა წააგო (ოცი წლის მანძილზე!), მაგრამ არც ამ ეპიზოდებში ეკიდა „შავი ელვა“ მოწინააღმდეგის მხრებზე მომჩვარული. არა, ალის ბრძოლა ყოველთვის პათოსური იყო, ყოველთვის თვალში საცემი იყო მისი „სარინგო განათლებულობა“, ხოლო მისი ფეხების მოძრაობა – უკვე მხოლოდ ეს „ცეკვაც“ აღაფრთოვანებდა კრივის „ესთეტიკოსებს“. ის, რა თქმა უნდა, გენიოსი იყო თავის საქმეში, სრულიად გამოკვეთილი ფიგურა. თუმცა არა მარტო რინგზე.

რა თქმა უნდა, ყოველთვის იგრძნობოდა ანჯელო დანდის – მისი მწვრთნელის ხელი, ვისთან ერთადაც ალიმ თითქმის მთელი გზა განვლო კრივში. დანდი ყოველთვის მადლს სწირავდა უფალს, რომ ყურმილი არ დაკიდა, როდესაც მასში უცნობი ჭაბუკის მთრთოლარე ხმა გაიგონა:

– მისტერ დანდი, მე კასიუს კლეი მქვია. თქვენ უნდა მავარჯიშოთ. ორი წლის შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი გავხდები.

– მართლა?

– მერე კი მსოფლიოს საუკეთესო პროფესიონალი.

– რამდენი წლისა ხარ?

– თექვსმეტის.

მოგვიანებით დანდი ამბობდა, რომ „თავხედი ლაწირაკისთვის“ ყურმილის დაკიდება უნდოდა, მაგრამ „ღვთის ნებით წამოსცდა“:

– ხვალ მოდი.

როდესაც „კასი“ პირველად მივიდა ანჯელოს დარბაზში, მწვრთნელი რამდენიმე წუთში მიხვდა – ის სასწაული იყო!

ჭაბუკს შესანიშნავი აგებულება ჰქონდა, ურთულეს საკრივო ილეთებს თამაშ-თამაშით ითვისებდა, განსაცვიფრებელ ინტუიციას ფლობდა და პირველსავე ბრძოლებში დაამარცხა გაცილებით უფროსი ბიჭები.

კლეი მაშინდელი ზანგების უმრავლესობისგან განსხვავებით, ღარიბი ოჯახის შვილი არ ყოფილა. მისი მშობლები ინტელიგენტი ადამიანები იყვნენ, დედამ მას ხატვა ასწავლა, მამამ კი – პოეზია შეაყვარა. ერთხელ „კასის“ მშობლებმა ველოსიპედი უყიდეს, მაგრამ „ცუდმა ბიჭმა“ იმ დღესვე „დააწერა“ და თვალიც ჩაულურჯა. აღრიალებულმა პოლიციელს მიმართა, მან კი მთქნარებით უპასუხა: „შეიძლება ვიპოვოთ კიდეც,მაგრამ რას გეტყვი, იცი? – უკეთესია, ჩხუბი ისწავლო“. ეს პოლიციელი ჯო მარტინი აღმოჩნდა, რომელიც რჩევა-დარიგებას არ დასჯერდა და თვითონვე დაუწყო ქუჩური მუშტი-კრივის სწავლება. ის, ცხადია, არ იყო ანჯელო დანდი, მაგრამ 12 წლის კლეის მთავარი მაინც შეასწავლა: „კრივში ყველაფერს სისწრაფე წყვეტს. ასეთები იყვნენ დემპსი, ლუისი და ყველა სხვა დიდი მოკრივე“.

კასიუსმა თავის ეზოში ქვების გროვა დააყენა და თავის უმცროს ძმას დაავალა ათიოდე მეტრის მანძილიდან მთელი ძალით დაეშინა მისთვის ეს „ნაღმები“. ორი-სამი თვე დალილავებული დადიოდა, მაგრამ შემდეგ ადვილად იცდენდა ქვის სროლაში უკვე საკმაოდ „დაოსტატებული“ ძმის ნასროლს. ამგვარი ვარჯიშებით კიდევ უფრო განვითარებული თანდაყოლილი სისწრაფე და მოქნილობა მას მოგვიანებით დაეხმარა, რომ ბევრი სხვა მოკრივისაგან განსხვავებით, თავისი „პირვანდელი სახის ნაკვთები“ ბოლომდე შეენარჩუნებინა. ხშირად ხდებოდა, რომ ალი ისე ჩაათავებდა მთელ ბრძოლას, ერთ დარტყმასაც კი არ მიიღებდა. მის ორგანიზმს ერთი „უცნაურობა“ ახასიათებდა, რასაც ვერაფრით ხსნიდნენ ექიმები – მისი პულსი 55-56 დარტყმას არ აჭარბებდა წუთში, როდესაც დასვენებული იყო, მაგრამ მცირედი დატვირთვაც კი 120-მდე უწევდა, ხოლო სისხლის წნევა საერთოდ სიცოცხლისთვის საშიშ ზღვარს – 190-ს აღწევდა. როდესაც დანდიმ პირველად გაასინჯა ექიმს, ამ უკანასკნელმა მისი სასწრაფოდ ჰოსპიტალიზაცია მოითხოვა. გულდაწყვეტილმა მწვრთნელმა ჰკითხა: „რა ვქნათ, ბიჭი?“ კლეიმ კი აუღელვებლად უპასუხა: „მაგას უთხარით, ისტერიკებს ნუ აწყობს, მე ყველაფერს შევწირავ ჩემპიონის ქამარს“.

1959 წელს კლეიმ უპრობლემოდ მოიგო სამოყვარულო ტურნირი – „ოქროს ხელთათმანი“ და ის აშშ-ის ოლიმპიურ გუნდში შეიყვანეს. ერთი წლის შემდეგ კი, 18 წლისა, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა.

ლუისვილმა უკვე იცოდა, რომ მისი თანაქალაქელი გამორჩეული ნიჭის მოკრივე იყო და „ქალაქის მამებმა“ გადაწყვიტეს, მისი დაოსტატებისთვის ფული შეეგროვებინათ. თერთმეტმა მდიდარმა კაცმა გაიღო თანხა და მათ შორის იყო, განსაკუთრებული სიმუნწით გამორჩეული მილიონერი, ვინმე უილიამ ფავერჰემი. მოგვიანებით კლეი ღიმილით ამბობდა: „ის ჩემს ვარჯიშებზე მოდიოდა და დაეჭვებული ათვალიერებდა ყველაფერს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ფული მომგებიანად დაბანდა. ჩემთვის ყველა გაზეთი მოჰქონდა, სადაც კი ნახსენები ვიყავი, მაგრამ მათში ყოველთვის ფულს მახდევინებდა“.

როგორც წესი, ოლიმპიური ჩემპიონობა, პროფესიონალთა რეიტინგში მეცხრე-მეათე ადგილს კი ნიშნავდა, მაგრამ მას, ჯერ არ ჰქონდა შესაბამისი ავტორიტეტი. ამიტომ საჩემპიონო ბრძოლამდე არავინ მიუშვებდა და მანაც ასეთი ხერხი მოიგონა: ტრაბახობდა, ილანძღებოდა, იმუქრებოდა, რომ „ყველას გადაუვლიდა“, ლისტონს კი (მაშინდელ ჩემპიონს) „ავი ცხოველი“ უწოდა და დაამატა, რომ მას განსაკუთრებული სიამოვნებით დაასამარებს რინგზე. ამასთან, ტელეკამერების წინ, რაღაც პანტომიმის მაგვარიც გაითამაშა – როგორ აჭედებენ ლურსმნებს

სონი ლისტონის კუბოზე.

აი, ჟურნალისტებისთვის ნათქვამი მისი „ტირადა“: „მე ყველაზე ჭკვიანი და განათლებული ვარ, ყველაზე მამაცი, კულტურული და მხიარული. მე უნაკლო ვარ. შემიძლია ინტერვიუ მანამ მოგცეთ, სანამ მელანი გეყოფათ. მე ყველამ უნდა მომბაძოს — მე დიდებული ვარ!“

კლეი პოპულარული, მაგრამ ცოტა ანეკდოტური ფიგურა ხდებოდა.

ლისტონი ჯერ არც იკადრებდა მასთან ბრძოლას, მაგრამ კლეის გაუმართლა — ლისტონს ყველა პრეტენდენტი უკვე რამდენჯერმე ჰყავდა ნაგვემი და „პრეტენზიაც“ არავის ჰქონდა, მხოლოდ ეს „ლუისვილელი ლაწირაკი“ ტლიკინებდა. კლეის მიერ თვით არჩი მურის (ყოფილი ჩემპიონის) დამარცხებამაც ვერ შეაშინა ლისტონი — მური ხომ უკვე „ბებერი“ იყო, კლეიზე თითქმის ორჯერ უფროსი...

... „ლაწირაკმა“ საშინლად „დაანგრია“ ლისტონი, მაშინ 22 წლისა იყო, მაგრამ მას მხოლოდ ჩემპიონობა აღარ ჰყოფნიდა — ყურადღების ცენტრში ყოფნა სურდა და მიაღწია კიდეც: სკანდალურად ცნობილ „შავ მუსულმანთა“ სექტაში შესვლითა და სახელის შეცვლით, ყველას პირი დააღებინა. სულ მალე კი ისეთი სკანდალი „ააგორა“, რომ ამ „სფეროშიც“ პირველობა დაიმსახურა — პირდაპირ კრივის მსოფლიო ასოციაციას (WBA) „დაეჯახა“. ასოციაციის ბოსები კლეის (უკვე ალის) მოწინააღმდეგედ თავიანთ კანდიდატურებს სთავაზობდნენ, როგორც მიღებული იყო, მაგრამ ალის ფეხებზე ეკიდა წესები — მან ასოციაციას განუცხადა, რომ მხოლოდ ლისტონს ეჩხუბებოდა ხელმეორედ, რადგან უკანასკნელს უთქვამს, რომ ალისთან მხოლოდ ტრავმის გამო წააგო. ალი ლისტონისთვის მატჩ-რევანშს ითხოვდა. ასოციაციის ხელმძღვანელობამ, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ჩემპიონს ქამარი ჩამოართვა. თუმცა, ამანაც არ გაჭრა: „ყველამ იცის, რომ უძლიერესი ვარ, ხოლო, ჩემპიონის ქამარი მხოლოდ ბრჭყვიალა ნივთია და მისი დაკარგვა ბავშვს თუ დასწყვეტს გულს“.



„ვაკანტური ადგილი“ ერნი ტერელმა დაიკავა — ორმეტრიანმა ახმახმა, რომელმაც ედი მაჩენს, WBA-ს კანდიდატს მოუგო ქულებით — ის, ფაქტობრივად, „დანიშნული ჩემპიონი“ გახდა და რომ სცოდნოდა, როგორ დაიბოღმა მასზე მუჰამედ ალი, ალბათ უარს იტყოდა ტიტულზე.

ალიმ მეორედ სძლია ლისტონს (ოღონდაც სხვა — WBA-ის ვერსიით), ხოლო შემდეგი წლინახევრის მანძილზე ზედიზედ დაამარცხა მართლა ძლიერი მოკრივეები — ფლოიდ პატერსონი, ზორა ფოლი, კანადელი ჯორჯ ჩუვალო, ინგლისელები — ჰენრი კუპერი და ბრაიან ლონდონი და ყველა მატჩი საოცარი სიმსუბუქით მოიგო. საბოლოოდ, „საცოდავი“ ერნი ტერელის რიგიც მოვიდა — 1967 წლის 6 თებერვალს, ჰიუსტონში, გაცოფებულმა ალიმ, როგორც იტყვიან, „კატლეტი გააკეთა“ მეტოქისაგან. ყოველი რაუნდის დაწყებისას, იგი მიდიოდა ერნისთან და ტკბილი ხმით ეკითხებოდა: „რაო, პატარა სულელო, კიდევ გახსოვს ჩემი სახელი?“ და ერნიც, ტკივილისა და უიმედობისაგან დატანჯული, მორჩილად პასუხობდა: „ალი“. ამის შემდეგ მთელი რაუნდის განმავლობაში „შავი მუსულმანი“ უღმერთოდ სცემდა ტერელს, მაგრამ ისე, რომ საქმე ნოკაუტამდე არ მისულიყო. ტანჯვა-წამება XV რაუნდამდე „გაწელა“ ალიმ და საფინალო გონგამდე ერთი წუთით ადრე მოუთავა მეტოქეს ხელი.

მაგრამ „დიდებული“ (ახლა არა მარტო თვითონ, არამედ ყველა ასე მოიხსენიებდა) არ დამშვიდდა. ახალი სკანდალი — მან უარი თქვა სამხედრო სამსახურზე. ფსიქიატრიულ კომისიაზე თავი გაიდებილა — შექსპირი ამერიკის პრეზიდენტად „გამოაცხადა“, ხოლო სიდნეი კანადაში „გადაიტანა“. მაშინ ვიეტნამში „გაგანია ომი“ იყო და სამხედროფორმიანი ალი შესანიშნავი „პატრიოტული აგიტაცია“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ალიმ უარი თქვა. ამერიკელებს ეს არ მოეწონათ და WBA-მაც დრო იხელთა და ძველი წყენა გაიხსენა. მას მეორედ ჩამოართვეს ჩემპიონის ქამარი, ხოლო ერთი თვის შემდეგ ალი გაასამართლეს და 5 წელი ციხე და 10 ათასი დოლარი ჯარიმა მიუსაჯეს. თუმცა, არც ერთი არ განხორციელდა. მის „გამოხდომებს“ შორის 1978 წელს მოსკოვში ვიზიტიც არის. „ცივი ომი“ მძვინვარებდა, რუსები ოლიმპიადისთვის ემზადებოდნენ და დიდი ამერიკელი სპორტსმენის ჩასვლა მათთვის უზარმაზარი პლუსი იყო — „იმპერიალისტები“ ხომ ბოიკოტს უცხადებდნენ მოსკოვის ოლიმპიადას.

ალიმ რუსებს გული გაუხეთქა, როდესაც დილის ექვსის ნახევარზე, სასტუმრო „მეტროპოლიდან“ გამოვიდა ტრუსებსა და მაისურში გამოწყობილი, წითელ მოედნამდე ირბინა, იქ ლენინის მავზოლეუმის წინ ყარაულის შეცვლის ცერემონიალს უყურა, შემდეგ კი შიგნითაც შეალაჯა. ასეთი რამ მანამდე არ მომხდარა — ნახევრად შიშველი ზანგი „წმინდა ადგილას“.

ალი თვით ბრეჟნევმა მიიღო და ძვირფასი საათითა და „თავისი“ წიგნით — „მცირე მიწით“ დაასაჩუქრა. შემდეგ იგი ცოლთან — ვერონიკასთან ერთად ტაშკენტში გაემგზავრა, სადაც ქალბატონმა ალიმ ყოველი სადილ-ვახშმის შემდეგ „უხვი მოსავალი მოიმკო“ — თურმე დიდ ჩანთაში აგროვებდა სუფრის ძვირფას ვერცხლეულს და უბედური უზბეკებიც ხმას ვერ იღებდნენ. თუმცა ამ ქალმა მოგვიანებით ალიც გაძარცვა, მაგრამ ეს ბევრი მდიდარი ამერიკელის ხვედრია განქორწინებისას.

ალიმ საჩვენებელი მატჩებიც გამართა რუს მოყვარულებთან... საბჭოთა პრესა მას სპორტსმენის იდეალად სახავდა, მაგრამ ეს იდილია მალე დასრულდა — რუსები ავღანეთში შეიჭრნენ და ალიმ ამ აქციას ბარბაროსული და დამპყრობლური უწოდა.

როგორ მიდიოდა მისი საქმეები პროფესიულ რინგზე?

სულ მუჰამედ ალიმ 25 ტიტულის დასაცავი და საპრეტენდენტო ბრძოლა


„ფრეზერ, მე შენ დაგასამარებ!“

გამართა და მხოლოდ ერთით ჩამორჩა ჯო ლუისს. ხოლო პირველი დამარცხება მან 1971 წლის მარტში იწვნია ნიუ-იორკში, ჯო ფრეზერისაგან, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ძალისმიერი სტილის გამო, „შავ მარჩიანოს“ ეძახდენ.

წლინახევრის შემდეგ ჯო იამაიკაზე შეხვდა ჯორჯ ფორმენს, „კეთილი ძიას“ სახიან მომავალ პასტორს. მაგრამ ფორმენი ყველგან კეთილი იყო, რინგის გარდა — უკვე მეორე რაუნდში ფრეზერი რინგზე ეგდო და კარგა ხანს ასულიერებდნენ.

ახლა მთელი მსოფლიო ფორმენ-ალის მატჩს ელოდა. ეს ბრძოლა განსაკუთრებით აღსანიშნავია — სპეციალისტები მას „ყველაზე დიდსა და ყველაზე დაუვიწყარს“ უწოდებდნენ. ამ ბრძოლის „მოტივებზე“ შეიქმნა ცნობილი ფილმი „ქუხილი ჯუნგლებში“ და ჰიტი ამავე სახელწოდებით.

მათი შერკინება 1974 წლის 30 ოქტომბერს აფრიკაში — კინშასაში გაიმართა და იქაურები დღესაც აღმერთებენ ალის, რადგან სწორედ მან მოითხოვა ზაირის დედაქალაქი. რა თქმა უნდა, ეგზოტიკაც უხვად იყო — წარმოიდგინეთ ტროპიკული საღამო, ვარსკვლავები და პროექტორები რინგის თავზე, რომელიც ერთადერთი თეთრი ლაქა იყო დიდ შავ ფონზე. მაყურებელი კი აღტაცებული იყო — ასეთი გულწრფელი ინტერესი და ენთუზიაზმი, ალბათ ამერიკაში ჩატარებულ არც ერთ მატჩს არ ღირსებია — თვით კრივის საქმოსნებმაც შეუქეს ბოლოს ალის არჩევანი. შვიდი რაუნდის განმავლობაში ალი დაუნდობლად მიათრევდა ფორმენს კვანძის ეფექტურად გახსნისაკენ. ოპონენტი ვერაფერს უპირისპირებდა. მერვე რაუნდის შუაში ალიმ ცრუ მოძრაობაზე „დაიჭირა“ მეტოქე და მკვეთრად მოსცხო მარჯვენა ყბაში. ფორმენი უცნაურად დატრიალდა, ორი-სამი ნაბიჯიც გადადგა, რინგზე დაენარცხა და ვეღარ ადგა... და ეს დაემართა ფორმენს, რომელიც ორიოდე წლის წინ, 42 წლის ასაკში კვლავ დაუბრუნდა აქტიურ სპორტს და ბევრი სახელოვანი მოკრივე დაამარცხა.

კიდევ ერთი დიდი ბრძოლა გამართა ალიმ, რომელიც „მანილის მღელვარების“ სახელით შევიდა კრივის ისტორიაში. 1975 წლის 1 ოქტომბერს 33 წლის ალი ჯო ფრეზერს შეებრძოლა ტაილანდის დედაქალაქში. მატჩის წინა ერთობლივ პრესკონფერენციაზე ალიმ სათამაშო ფრეზერი მოიტანა და სულ თავში უჩაჩქუნა, თან ამბობდა — რინგზეც ასე იქნებაო. ფრეზერი უილაჯოდ იღიმებოდა. გასახდელიდან ალი ძვირფას, თეთრ ხალათში გამოწყობილი გამოვიდა და მთელი დარბაზის გასაგონად ღრიალებდა, რომ მალე „ვიღაცას“ ექიმი დასჭირდება, შემდეგ კი — მეკუბოვეო.

მთელი 14 რაუნდის მანძილზე ალი „მეორე ნომრობით“ კმაყოფილდებოდა. ეს მისი ტაქტიკა იყო, უფრო დაბალი (182 სმ), ფართობეჭიან და ძლიერფეხება ფრეზერთან ჩვეულ სტილში „ცეკვა“ არ გამოდგებოდა — ალი უკვე დამძიმებული და „ბებერი“ იყო, მაგრამ სამაგიეროდ — შეძენილი ჰქონდა გამოცდილება და კრივის „ცოდნა“.

ალიმ მანილაში ფანტასტიკური ბრძოლა ჩაატარა — ეს იყო ნებისმიერი მოკრივისთვის უგუნური, თვითმკვლელობის ტოლფასი გეგმა, მხოლოდ არა ალისათვის.

ის თითქოს ზანტად დადიოდა რინგზე. ფრეზერს გაშლილი ხელით აჩერებდა, რამდენჯერმე საერთოდ კუთხეში მიიკუჭა და ხელებით იფარავდა სახეს, რითაც პრეტენდენტს ყველაფერის საშუალებას აძლევდა, რაც უნდოდა და შეეძლო. ფრეზერიც ურტყამდა, ურტყამდა და ვერ ხვდებოდა, რომ მისი ახალგაზრდული ძალები ილეოდა და მალე „ბებერი ალის“ ძალებს გაუტოლდებოდა, შემდეგ კი — დაიქუხებდა!

როდესაც ფრეზერი დასასვენებლად იხევდა უკან, ალი მას ხელს უქნევდა და ისევ იწვევდა. ფრეზერს ეს აცოფებდა — ისევ გიჟივით იქნევდა ხელებს. მას აქტივობაში დიდი უპირატესობა ჰქონდა, მიზანს მიღწეულ დარტყმებში კი — დიდი ვერაფერი.

ალი ბებერი ლომივით იქცეოდა — ითმენდა, ითმენდა — უცებ, გრიგალისებური დარტყმების სერია და ყველა მიზანში ხვდებოდა. კრივში გაუთვითცნობიერებელი მაყურებელიც მიხვდა ჩემპიონის ტაქტიკას — პასიურობის მიუხედავად იგი წარმართავდა ბრძოლას. მერვე რაუნდი გარდამტეხი გახდა — ალიმ გადაწყვიტა, რომ ძალები გათანაბრდა და შეტევაზე გადავიდა. მაგრამ მეტოქის გვემა მე-13-ში დაიწყო. ალიმ „ღია კრივს“ მიმართა და რინგი სასაკლაოს დაემსგავსა. მხოლოდ ერთი რამ იყო საოცარი — როგორ იდგა ფეხზე ფრეზერი. მე-14 რაუნდშიც ისეთივე სურათი იყო... მაგრამ გონგის შემდეგ სეკუნდანტმა და ექიმმა ხელები გაშალეს: ჯო ფრეზერს აღარ შეეძლო ბრძოლის გაგრძელება.

ეს დიდი მატჩი იყო. შეიძლება, ყველაზე დიდიც კი, პროფესიული კრივის მთელი ისტორიის მანძილზე. მეტოქეთათვის ეს დღე საბოლოო მწვერვალად იქცა — ფრეზერი საერთოდ გამოეთხოვა რინგს, ალი კი ცოტა ხანს კიდევ ივჯდა „ტახტზე“, მაგრამ მაღალხარისხოვანი კრივი მას აღარ უჩვენებია. 1980 წლის შემოდგომაზე, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ალიმ ლას-ვეგასში იჩხუბა ლარი ჰოლმსთან და ათრაუნდიან ბრძოლაში დამარცხდა...

■

ქალიშვილთან...



მამასთან...



დედასთან...

ბარინდულები შევსქეროდით ცოცხალ ლეგენდას

— 1969 წლის ზაფხული იდგა, ჰაერს ივნისის მცხუნვარე მზის სხივები ათბობდა. მაშინ მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, ეს კი ის ბედნიერი ხანაა, როდესაც ყველაფერი ლამაზად გეჩვენება და სიცოცხლე გიხარია, — იგონებს პროფესიით მასწავლებელი ქალბატონი ნაისი ქობლიანიძე.

— ზაფხულის ბოლო გამოცდა ჩავაბარეთ. რადგან არდადეგებზე ერთმანეთს ვეღარ შევხვდებოდით, გადავწყვიტეთ, ის დღე მთელ ჯგუფს ერთად გაგვეტარებინა. ვაკის პარკში წავედით. მხიარულად ვიგონებდით განვლილ სასწავლო წელს, ერთად გატარებულ დღეებს... უცებ ერთ-ერთი ჩვენგანი უცნაურად გაირინდა. მის მზერას ყველამ თვალი გავაყოლეთ და — საოცრება: მეგობართან ერთად, ნელი ნაბიჯით, სერგო ზაქარიაძე გვიახლოვდებოდა... მაშინ ეს ზღაპრის ტოლფასი იყო — ვერ წარმოგვედგინა, რომ ქართული სცენისა და ეკრანის ცოცხალი ლეგენდა, სხვებივით ფეხს ადგამდა მიწას...

საოცრად თბილი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ისე დავიბენით, თითქოს რაღაც აუცილებლად უნდა მოგვემოქმედებინა და არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. არადა, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ გვინდოდა... რომ მოგვიახლოვდა, თითქოს ჩვენი გულის წადილი ამოიკითხაო — ალბათ სახეზე გვეწერა, — ჩვენ წინ გაჩერდა და ძველი ნაცნობივით მოგვესალმა.

— ალბათ სტუდენტები ხართ... სად სწავლობთ?

— უცხო ენათა ინსტიტუტში, გერმანული ენის ფაკულტეტის სტუდენტები ვართ.

— ძალიან კარგი. ძალიან მიყვარს ახალგაზრდები... — ჩვენი დაუფარავი აღფრთოვანების პასუხად, რაღაც სითბო უნდოდა გამოეხატა. ამით შინაგანი დაძაბულობა და დაბნეულობა მოგვიხსნა და მასთან გასაუბრების საშუალებაც მოგვცა.

ბევრი რამის კითხვა მოვასწარით, ბევრიც უკითხავი დაგვრჩა, ბოლოს კი ერთერთმა ჩვენგანმა — გავკადნიერდებით და, თქვენთან სურათის გადაღებას გთხოვთო.

— როგორ არა, ჩემო კარგებო! სიამოვნებით, — ისე გამოეხმაურა ამ თხოვნას, თითქოს ამით მას გავაბედნიერებდით და არა პირიქით... სასწრაფოდ ვუხმეთ ფოტოგრაფს, ბატონი სერგო შუაში ჩავაყენეთ და ეს დაუვიწყარი მომენტი ფოტოზე აღვბეჭდეთ.

გამომშვიდობებისას კიდევ ერთხელ მოგვეფერა, ბედნიერი მომავალი გვისურვა და გზა განაგრძო. ფოტოსურათიც, რა თქმა უნდა, რამდენიმე დღეში ვაახლეთ. თუმცა მაშინ აღარ შევხვედრივართ — შინ არ დაგვხვდა.

მორენა მერკვილაძე





ველოსიპედით მგზავრობა ადამიანს ერთ ძალზე მნიშვნელოვან წესს აჩვევს: ვერტიკალურ მდგომარეობას მანამ ინარჩუნებ, სანამ მოძრაობ. და კიდევ: წონასწორობის შესანარჩუნებლად ძალისხმევაა საჭირო.

მრავალმზის ველოსიპედი





ყველაფერი კი, აწ უკვე წასულ ათასწლეულში დაიწყო. 1680 წელს ნიურნბერგელმა შტეფან ფარფლერმა ააწყო სამთვლიანი თვითმოძრავი მოწყობილობა, რომელსაც ხელის ბერკეტი ჰქონდა. 1690 წელს საფრანგეთში შეიქმნა მისი მსგავსი მანქანა, რომელსაც „სელერიფერს“ უწოდებდნენ. სიტყვა „ველოსიპედი“ კი, საფრანგეთშივე, XVIII საუკუნის დამლევს გაჩნდა.

და მაინც, თანამედროვე ველოსიპედის ნამდვილ მამად გერმანელი ბარონი, კარლ ფონ დრეისი მიაჩნიათ: ბადენის ჰერცოგის სამსახურში მეტყველად მყოფ ბარონს, პირველს მოუვიდა აზრად, თვითმგორავისთვის საჭე გაეკეთებინა. ის იმდენად გაიტაცა „სათამაშომ“, რომ 1817 წელს, 50 კილომეტრიანი გზა კარლსრუედან კელამდე ოთხ საათში დაფარა, რაც სავსებით კარგი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ველოსიპედს“ ჯერ პედლები არ ჰქონდა.

თუმცა რეკორდსმენს ეს საქციელი, ბარონისათვის შეუფერებელ აშჩატებაში ჩაუთვალეს და... მეტყველის თანამდებობიდან გადააყენეს. ფონ დრეისი მანჰაიმში გადავიდა და პროფესორი გახდა, თვითმგორავს კი ხელის ბერკეტი შეჰმატა, რითაც თავისი სახელი უკვდავყო: სწორედ მის პატივსაცემად ამ მანქანას „დრეზინა“ დაარქვეს. თუმცა, ბარონის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი ქონება აუქციონზე გაიყიდა, ორთვლიან მანქანაში კი სულ რაღაც 5 მარკა გადაიხადეს, რომელიც ახლა მუნხენის გერმანულ მუზეუმში ინახება.

თვითმგორავებით გატაცების მოკლე პერიოდი XIX საუკუნის 20-იან წლებში ინგლისმა აიტაცა. ერთხანს ის ლონდონელი დენდების საფირმო ნიშნადაც იქცა. სწორედ ინგლისში, 1818 წელს გაიცა პირველი პატენტი ველოსიპედის გამოგონებისთვის.

ჭეშმარიტად რევოლუციურ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს შოტლანდიელი გევინ დალზელის გამოგონება: 1836 წელს მას პედლების შექმნის იდეა გაუჩნდა. ამ მომენტიდან მოყოლებული, წინა ბორბლის სწრაფი ზრდა შეინიშნებოდა – იმ ზომამდე, სანამ ადამიანის სიმაღლეს არ მიუახლოვდა. ცხადია, ასეთი კონსტრუქცია არამდგრადი იყო, განსაკუთრებით მანამ, სანამ მუხრუჭები არ გამოიგონეს. ეს კი XIX საუკუნის შუა პერიოდში, გერმანიაში და საფრანგეთში ერთდროულად და ერთმეორისგან დამოუკიდებლად მოხდა. ქალაქ ობერნდორფის მკვიდრი, ზეინკალი ფილიპ ფიშერი ღრმა მოხუცებულობამდე დადიოდა თავის კლიენტებთან საკუთარი ხელით შექმნილი ველოსიპედით, რომელსაც მან მუხრუჭებიც გაუკეთა. თუმცა თავისი გამოგონებით ვერანაირი ბიზნესი ვერ შექმნა და მხოლოდ მისმა შვილმა ფრიდრიხმა 1884 წელს გახსნა პატარა ფაბრიკა, რომელიც ველოსიპედებს აწარმოებდა.

ფიშერისაგან განსხვავებით, ფრანგმა პიერ მიშომ, რომელმაც მუხრუჭიანი ველოსიპედი

კუს სახელი „ბურატინოს თავგადასავალიდან“	განგსტერული ორგანიზაცია აშშ-ში	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება	სიტყვებიანი თამაში-ჯამოცანა	ღვთაებრივი მხსნელი ქრისტ. რელიგიაში	მრავალწახნაგა ფორმის სხეული	სიდ
ერთგული ნამცხვარი	...ალი	სრული მარცხი, კრახი	თამარ მეფის ვაჟი ...გიორგი	„აიდას“ პესონაჟი	მიწის საგზაო ერთ. ინგლისში	საშუალო ბალი

შესაძლოა, სწორედ ამ ღრმა ფილოსოფიამ განაპირობა მარტივი სატრანსპორტო საშუალების უკვდავება და ის, რომ ადამიანი ისევ და ისევ უბრუნდება, ერთი შეხედვით აბსურდულ იდეას — ველოსიპედის ხელახალ გამოგონებას...



გამოგონილი ველოსიპედი

1855 წელს შექმნა, თვითონვე წამოიწყო თავისი „ძიშოლინების“ წარმოება, თითოს 500 ფრანკად ყიდდა და ისტორიაში პირველი ადამიანი გახდა, ვინც ამ გამოგონების წყალობით გამდიდრდა.

1858 წელს ინგლისელმა ჯონ შერჰილდმა ველოსიპედის ჯაჭვი გამოიგონა. ამის წყალობით, „მხედარს“ საშუალება მიეცა, აღარ ყოფილიყო მიჯაჭვული ბორბალს და უნაგირმაც ველოსიპედის შუაში გადაინაცვლა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ველოსიპედის სრულყოფისკენ მიმართულ გამოგონებათა მთელი კასკადი წამოვიდა. ყოველი მათგანი სულ უფრო მეტად აახლოებდა მას ველოსიპედის დღევანდელ სახესთან. ის თანდათან სცილდებოდა ეგზოტიკის ფარგლებს. 1869 წელს პარიზში უკვე 1300 ველოსიპედი არსებობდა, 30 წლიწადში კი ეს რიცხვი 500-ჯერ გაიზარდა.

და მაინც, რჩებოდა ერთი ნაკლი, რომელსაც ჯერ ვერაფერი მოუხერხეს. 1885 წელს შოტლანდიელი ექიმი დანლოპი, რომელმაც

შვილს „ბიციკლეტი“ უყიდა, დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ჯაყჯაყის შესუსტება. მან ჩვეულებრივი სარწყავი შლანგი აიღო და ბორბლებზე წამოაცვა. თავდაპირველად, ის შლანგს წყლით ავსებდა, შემდეგ კი დაბერვის აზრიც მოუვიდა და, ბოლოს, ნიპელის შექმნის იდეაც გაუჩნდა.

ველოსიპედთან დაკავშირებული ათასგვარი გამოგონება ულევად მიედინებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ შემდეგი ციფრები: 1892 წელს საფრანგეთში 1000 პატენტი გაიცა, ინგლისში — 2400, აშშ-ში — 4000. საბოლოოდ, პრაქტიკულად ამჟამინდელი სახე ველოსიპედმა, თითქმის ასწლოვანი გზის გავლით — XIX საუკუნის დამლევისთვის შეიძინა. ველოსიპედი იმდენად პოპულარული გახდა, რომ სახელმწიფოებმაც გადაწყვიტეს მისი წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობა. მას იყენებდნენ საკურიერო და საფოსტო სფეროებში, შემდგომ კი, ჯერ გერმანიაში, მერე სხვა ქვეყნებშიც ველოსიპედისტთა საჯარისო შენაერთებიც ჩამოყალიბდა. შემუშავდა სპორტული, სამონადირეო, ასაკეცი, საბავშვო, სადაზვერვო თუ საგანგებოდ ქალებისათვის განკუთვნილი მოდელები.



რასაკვირველია, ველოსიპედის პროზაულობის შესუსტება საავტომობილო წარმოებამ გამოიწვია. „თვითმგორავთა“ ახალი პოპულარობის ტალღამ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გადაუარა ბევრ ქვეყანას — ახლა უკვე საპირისპირო, ანტისაავტომობილო პოზიციებიდან: ცხოვრების ჯანსაღი წესის და ეკოლოგიური იდეების გავრცელებამ ადამიანებს ეს მარტივი და, იმავდროულად, ღრმა ფილოსოფიური შინაარსის მატარებელი სატრანსპორტო საშუალება გაახსენა. ■

სიტყვის ნაწილი – კავშირშია აზოტთან	სუბტროპიკული ხილი	~~ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში~~	პატარა ზომის ნამცხვარი	~~ჰოლანდიელი ნათესავ ანუ ...~~	სამხედრო ხიდალღი მე-18-19 სს-ში	~~ჯურ-ის ყოფილი დედაქალაქი~~	
ნ ი ს ი	~~ნ ა ბ ა ნ ი ვ ი ნ ი~~		~~ს ი ნ ი ს ი ვ ი~~		~~ბ ო ლ ი ვ ი~~	~~ბ ო ნ ი~~	
...ადი	სამხედრო ნადავლი	მსახიობი გლადიატორიდან ... ფენიკსი	ძველ რომაელთა წამოსასხამი	~~ტოპ-მოდელი ... ჯასტა~~	~~თეთრი ფაქა თვალის ჯუგაზე~~	~~ადამიანისებრი მაიმუნი~~	

მოგზაურები ხევსურეთის მიმართ გადამეტებულ ინტერესს მხოლოდ ეგზოტიკური სანახაობით ტკბობისთვის არ იჩენდნენ. ისინი აქ გავრცელებული წეს-ჩვეულებების გაცნობის შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობას ჯვაროსანთა შთამომავლებად მიიჩნევდნენ და თავიანთი მოსაზრების გამყარებას მოპოვებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალით ცდილობდნენ. ხევსურეთის მეომრული ტრადიციები, სისხლის აღების წესი და ჯვრებით მოქარგული პერანგები მათი ფანტაზიისთვის ნოყიერ საკვებს წარმოადგენდა. უცხოელები განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ მთის საახალწლო რიტუალებით. გაოცებულები ჯერ იმით რჩებოდნენ, რომ საქართველოში ორი ახალი წელია — ძველი და ახალი სტილით. შემდეგ კი, 14 იანვრის სარიტუალო ცერემონიით, რომელიც მხოლოდ საქართველოს მთიანეთისთვის არის დამახასიათებელი.

„წელწად წუნკა" ხევსურეთში

ნანა ქიბიშაური

ხევსურეთის თემების მთავარ სარიტუალო ადგილად გუდანი იყო მიჩნეული. იქ ესვენა წმ. გიორგის ჯვარი და დროშა. იქ იხდიდნენ „საღმრთოს". იქვე იყო გუდანის ჯვრის ქადაგი, რომელიც ხალხს ლაშქრობისა თუ ზავის შესახებ აუწყებდა. ბრძოლის დროს გუდანის ჯარის სარდალი იყო და მისი ბორაყი ლაშქარს მუდამ წინ მიუძღოდა. სწორედ გუდანის ჯვარში სრულდებოდა ხევსურეთში ახალი წლის შესახვედრი რიტუალის პირველი ეტაპიც.

ხევსურეთში ხუცესებს დღესაც სწამთ უჩინარი ძალის არსებობა, რომელსაც ადამიანისთვის სიკეთის მოტანაც შეუძლია და ზიანის მიყენებაც. ამიტომ, მათი რწმენით, ამ უხილავ ძალთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, სხვადასხვა რიტუალი დღემდე სრულდება. წესების შესრულება ახალი წლის დადგომისთანავე იწყება. ახალი წლის ღამეს (14 იანვარს) ხევსურები „წელწად შამაე წუხრას" ეძახიან. შემოკლებით კი „წელწადად" მოიხსენიებენ. ის ათენგენობის შემდეგ, ყველაზე დიდ დღესასწაულად ითვლება. სამზადისი ძირითადად ხატში მიმდინარეობს. დასტურები „წელწადამდე" ერთი დღით ადრე იწყებენ ლუდის ხარშვას. დასახლისები სახნისის, ხარის, ძროხის, ცხენის, თავთავის გამოსახულებიან კვერებს აცხობენ. ისინი ცხობის პროცესს ყურადღებით ადევნებენ თვალს, რადგან ამ რიტუალს წინასწარმეტყველურ მისიასაც აკისრებენ. ცხობის პროცესში რომელი გამოსახულებაც ზევით აიწევს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და დოვლათიანი.

ახალი წლის საღამოს მეკვლეებს „ხატის კარზე" არაყი და სანთლები მიაქვთ. მათ დაბრუნებამდე ოჯახიდან არავინ გადის. „ჯვარში" (ასე უწოდებენ სალოცავ ადგილებს) ხუცესი მეკვლეების მიტანილ არაყს, სანთლებს და ქადებს ამწყალობნებს. შესაწირის დროს კი, „სადიდებელს" ამბობს, რომლის მოსმენის შემდეგ მეკვლეები ოჯახებში კვალის შესატანად ბრუნდებიან. ახალი წლის მეორე დღე კუმეტია (უქმე). ამ დღეს ოჯახის წევრებისა და საქონლის უზარალოდ ყოფნისათვის მარხულობენ.

ხუცესების მონათხრობით, ხევსურეთის ისტორიაში ყველაზე ცუდი „წელწად შამაე წუხრა" ზურაბ ერისთავის სახელს უკავშირდება. ხალხური თქმულებით, უბატონო ხევსურების ურჩობით განრისხებულ ზურაბ ერისთავს ლაშქარი შეუკრებია და გუდამაყრის გავლით ლიქოკის ხეობაში შეჭრილა. ზურაბს ლიქოკის ხეობა დიდხანს ვერ გაუტეხია. მაშინ გაბრაზებულ ერისთავს, ლიქოკელებზე შურისძიების მიზნით, მათ წმინდა ადგილზე „ხმალა ხატზე" მდგარი ალვის ხის მოჭრა განუზრახავს. ალვის ხე ბარისახოს ვაკეზე მდგარა. ხალხური გადმოცემით, მას თურმე მირონი სდიოდა და ხევსურები ყოველ ათენგენობას იქ ინათლებოდნენ. ზურაბის ლაშქარს ხე ვერ მოუჭრია, რადგან, ყოველ ცულის დარტყმაზე მისი მოჭრის მსურველს ხელიდან ღონე ეცლებოდა, ხე კი უფრო მაგრდებოდა და იზრდებოდა. მაშინ ერთ ღულელ კაცს თემისთვის უღალატია და ზურაბისთვის უსწავლებია — ალვის ხეს კატის სისხლი ან ვირმუტრუკას (ჯორი) სისხლი წაუსვით და მაშინვე წაიქცევაო. ზურაბიც ასე მოქცეულა და ალვის ხე მოუჭრიათ. ამის შემდეგ ლიქოკის ხეობას ადგილის ანგელოზი განშორებია და ზურაბ ერისთავს „წელწად" დღეს ლიქოკის ხეობა აუღია. მონათხრობს ხევსურები იმ დროს გამოთქმული ლექსით ამთავრებენ:

როშკას ატირდეს ციხენი,
ბლოს სახლნი ქვითკირისანი,
როშკის ხორხს ზურაბ ჩამოჯდა
შუქნ ჩამოუშვნა მზისანი".

მშვიდობიანი „წელწად შამაე წუხრა" დაჰკვებებოდეს საქართველოს მთიანეთს. ავის მოსურნე თვალ-გულისაგან ამ კუთხეს ღმერთი და ხუცესების „ჯვართად" აღვლენილი სამხვეწრო-სადიდებელი დაიფარავსო — ასე სწამთ გუდანის ჯვრის ყმებს, რომლებიც 14 იანვარს მუხლმოყრილნი მოისმენენ საახალწლო ლოცვას. როგორც ხუცესები ამბობენ, ამ სამხვეწრო-სადიდებლის მოსმენის და წაკითხვის დროს, უფლის მადლი და მთის სალოცავების ძალი ერთდროულად გადადის წამკითხავ-მომსმენზე და მთელი წლის განმავლობაში მფარველობს მას.

„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზსა. ძალო ღვთისაო, ძალო წმიდა გიორგი კოპალაისაო, შენ გეხვეწებიან, შენ გეძახიან ქუდოსან-მანდილოსანნი. დაეხმარიდი ავის დღისად, მწარის სიკვდილისად... ჯალაბობას უშველიდი, ქვეყანას უშველიდი, მეზღვნე-მლოცავთ უშველიდი, ავ საქმე კაზე და კეთილზე მაუქცევიდი, დაწუხებულს უშველიდი, შენთ ზღვენთა და ულუფათ მეემატების! კაცისა, საქონისა, ორფეხოთხფეხისა, ქუდოსან-მანდილოსნისა, მეშველი, მწყალობელი იქნები, ამინ!" ■

edgar alan po

ნიისლადა



მთელ ტყეში ხშირი ნისლი ჩამოწოლილიყო. უცებ აცივდა და თითქოს რძის თეთრი ორთქლი დაეფინა მიწას. ორ ნაბიჯზე არაფერი მოჩანდა. ბუნაგში შემცივდა და გარეთ გამოვედი. შორიდან რაღაც ხმაური ისმოდა, მაგრამ ვერ გავარჩიე კი რა: განწირულის ყვირილსაც ჰგავდა და მსხვერპლის ხელში ჩაგდებით კმაყოფილი ურჩხულის ბუბუნსაც. შორიახლოს რაღაცამ გაიშლიგინა, მხოლოდ ანთებულ თვალებსა და დაკრეჭილ კბილებს მოვკარი თვალი. საშინლად მშიოდა. ერთი კვირა იყო, არაფერი მეჭამა. უკანასკნელად მაშინ ვჭამე, როდესაც თორმეტი მოკლული ფერმერი ვიპოვე ხეობაში, ლოდებქვეშ.

ისევ მომესმა ფეხის ხმა და ნისლში რაღაც წითლად გამოჩნდა. შევშინდი, საოცრად შევშინდი. არ ვიცოდი, რა მელოდა, თუმცა ის უცნობი ამ ნისლში ალბათ ვერ შემნიშნავდა. ნელ-ნელა ახლოვდებოდა იგი და ხშირ ნისლში თორმეტიოდე წლის გოგონას სილუეტი გავარჩიე და რაც ყველაზე მთავარი იყო, გოგონას ხელში კალათი ეჭირა, კალათიდან კი საჭმლის სუნი მოდიოდა! თავგზა ამებნა, წინ გავიჭერი. გოგონამ შეჰკივლა, მაგრამ უმალ დავამშვიდე. ბებია მყავს ავად და მის სანახავად მივდივარო, მითხრა.

— რა სჭირს ბებიას?

— გუშინწინ ღამით საშინელი ველური კატა დაესხა თავს და დაგლიჯა. აი, საჭმელი მიმაქვს, თუ ცოცხალს მივუსწარი.

და აქ, ამ დროს, უეცრად თავში აზრმა გამიელვა. ვიცოდი, სადაც იყო ის სახლი. მოკლე გზა მიდიოდა იქამდე. ნისლში გავქრი და ბებიის სახლისაკენ გავწიე.

გზა ჭაობზე გადიოდა. ნისლში კარგად ვერ ვხედავდი, ფეხი ამიცდა და წელამდე ჩავეფლე ტალახში. ნელ-ნელა ვიძირებოდი. უკვე ყელამდე ჩავიძირე, უკვე პირი ტალახით ამევსო. ვგრძნობდი ტალახის მწკლარტე გემოს, ვგრძნობდი, როგორ მევსებოდა ტალახით საყლაპავი. უკვე ცხვირამდე ჩავეფლე და წყლით გაჟღენთილმა ბინძურმა მასამ ნესტოები ამომიჭედა. ცოტაც და ფილტვებს დამიცობს ტალახი. მერე ჩემს თავს ზემოთ შეიკვრება და მორჩა... სწორედ ამ დროს თითქმის ჩამქრალი მზერა ზედ ჩემ ზემოთ ჩამოშვერილ ტოტზე მომიხვდა და სწორედ იმ ტოტს ჩავაფრინდი. ამოვიწიე და ისე იოლად ამოვძვერი, თვითონაც გამიკვირდა. გზა განვაგრძე და უცებ ვეება აჩრდილი აღიმართა ჩემ წინ. ცარიელი, ცივი თვალებით შემომყურებდა. ფრთიანი ქუდი ეხურა, ხელში თოფი ეჭირა. გავქვავდი, გავშეშდი. აჩრდილი მომჩერებოდა, მერე შებრუნდა და ნელი სვლით გამშორდა. რაღაც ხმა ჩამძახოდა, რომ სწორედ ამ აჩრდილისაგან დამემართებოდა უბედურება იქ, სადაც მივდიოდი, მაგრამ იგივე ხმა წინ მეწეოდა, ველარ ვჩერდებოდი, მივდიოდი იქით. ბებიას სახლს რომ მივადექი, თითქოს მუხლი მომეკვეთა, მაგრამ იმ რაღაც იდუმალმა ძალამ ბებიას სახლში შემათრია და ბებია ჩამაყლაპვინა. მერე წითელქუდაც მოვიდა. რაღაცას მეკითხებოდა, რაღაცას ვპასუხობდი, არ მახსოვს რას. მერე კი პირი დავაღე და გადავყლაპე. არეული გამოვედი იქიდან. ვბარბაცებდი და უცებ შევჩერდი — აი ის, ის აჩრდილი! ოღონდ აჩრდილი კი არა, ხორციელი მონადირე იყო. თოფი გადმოიღო და მესროლა. მკერდში რაღაც ცხელი მომხვდა და დავეცი. მერე რაღაც ლაპლაპას მოვკარი თვალი და მუცელი ამეწვა, მეტკინა. ძლივს ავსებული კუჭი ისევ დამეცალა. სამი ბნელი ლანდი გამშორდა და ნისლში მიიკარგა.

ღმერთო, შენ მიშველე.

■

არტურ კონან დოილი

— აბა უოტსონ, რას იტყვით ამაზე? — მკითხა ჰოლმსმა ნოემბრის ერთ ცივ, ნისლიან დღეს შუაგულ ტყეში. — კარგად შეისწავლეთ ეგ კვალი?

— ჰოლმს, ჩემო ძვირფასო! — შევძახე აღტაცებით. — საიდან იცით, რომ კვალს ვაკვირდები?

— ღმერთო ჩემო, აბა სხვას რას შეიძლება დააკვირდეს კაცი მიწაზე, ისიც ამ შუაგულ ტყეში?

— დიახ, რა თქმა უნდა... მართალი გითხრათ, ხშირად მაოცებთ ხოლმე თქვენი დაკვირვებულობით.

— სულ უბრალო რამ არის, უოტსონ. აი, სოფლის ბოლოდან ბილიკების ამ გასაყარამდე რამდენი ხე იქნება ჩამწკრივებული?

— ჰმ... ხუთასამდე.

— ათას ორას ოცდაჩვიდმეტი, ჩემო მეგობარო. ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი მარჯვენა მხარეს, ექვსას ორმოცდაორი მარცხენა მხარეს.

— ეგ საიდანღა იცით?

— დავთვალე.

რაღა მეთქმოდა.

— აბა, — ისევ მკითხა ჰოლმსმა. — დააკვირდით წითელქუდიანი გოგონას კვალს?

— წითელქუდიანიო?

— დიახ, რა თქმა უნდა. ეს კვალი თორმეტიოდე წლის წითელქუდიანმა გოგონამ დატოვა.

— ჰოლმს, ვგონებ მეტისმეტი მოგდით...

— სრულიადაც არა. — მითხრა ჰოლმსმა. — აი, შეხედეთ კვალს. ხედავთ, რა გამოზომილი ნაბიჯებით დადის? ნახეთ, რა სწორი კუთხე გააკეთა მოხვევისას. აი, აქ კი, დგომისას ფეხები ერთმანეთზე მიატყუპა.

— მერე?

— უეჭველია, ამ გოგონას მამა ძველი სერჟანტია და სამხედრო ყაიდაზე გაწვრთნა შვილი. სოფელში კი მხოლოდ ბებერი ჰენდრიქსია ძველი სამხედრო. ჰენდრიქსს კი სწორედ თორმეტი წლის გოგონა ჰყავს.

— კარგით და, წითელი ქუდი?

— ღმერთო ჩემო, უოტსონ, განა თქვენ თვითონ არ აჩუქეთ ჰენდრიქსის გოგონას წითელი ქუდი გუშინწინ?

— რა იცით, რომ ეხურება?

— ასეთ ამინდში აბა რას იზამდა! ახლა კი თქვენი დაკვირვების შედეგი მითხარით.

— ის გოგონა... — დავიწყე მე. — ის გოგონა ამ ბილიკზე მოდიოდა. მოპირდაპირე მხრიდან კი დიდი ძაღლი მოჰყვებოდა ბილიკს. აი, აქ ერთმანეთს შეხვდნენ და ერთხანს იდგნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ. მერე კი ძაღლი დაფრთხა, ალბათ გოგონამ თუ შეაშინა და მეორე ბილიკზე გაიქცა. გოგონამ გზა განაგრძო.



— კარგით, მაგრამ რატომ ამ ბილიკს არ გაუყვა ისევ იქით, საითაც მიდიოდა?

— იმიტომ, რომ იქიდან ის გოგონა მოვიდა.

— მაშ, მეორე მხარეს გაქცეულიყო, საიდანაც თვითონ მოვიდა.

— იქით ის გოგონა აპირებდა წასვლას.

— საუცხოოა, უოტსონ! — შესძახა ჰოლმსმა, — საუცხოოა! ამჯერად კი მოლოცვის ღირსი ხართ, მეგობარო! მშვენიერი ვერსიაა!

— დიახ, ეს მართლაც ასე მოხდებოდა. — თვითკმაყოფილებით ვთქვი მე.

— პირიქით, უოტსონ! პირიქით! ვერსია მცდარია, მაგრამ რა წყობაა! რა ლოგიკა!

განაწყენებულმა პასუხის გაცემა ვცადე, მაგრამ უეცრად ჰოლმსმა შესძახა:

— ოჰ! ეს რა ამბავია!

— რა მოხდა?

— უნდა ვიჩქაროთ, უოტსონ! უნდა ვიჩქაროთ! მეტისმეტად მივუშვით ეს საქმე! თქვენ გოგონას ნაკვალევს გაჰყევით, მე კი — ამ ნადირისას გავყვები. იარაღი ხომ გაქვთ?

პასუხად ჩემი არმიული „ადამსი“ ვიძრე და წინ გავიჭერი. ერთი მილი გავიარე და ეზოს ჭიშკარს მივადექი. ეზოში პატარა სახლი იდგა. ჭიშკართან ჩია მოხუცი ატუზულიყო სანადირო თოფით. ჩემი მიახლოებისას შემომხედა და თეთრი წვერი ააცანცარა.

— სახლში მგელია, სერ!

— რაო?

სახლისკენ მიხედვაც ვერ მოვასწარი, რომ ხმაური შემომესმა და ვეება მხეცი ყმუილით მეძგერა. იმავ წამს მონადირემ თოფი მოიმარჯვა და ორჯერ გაისროლა. მგელი მიწაზე დაეცა და ჩემი რევოლვერი სამჯერ დავახალე. ალბათ კიდევ

ვესროდი, მაგრამ მონადირე ხელში მწვდა.

— ჩემო ძვირფასო უოტსონ! — მომესმა ნაცნობი ხმა. — ფრთხილად, მუცელი არ გაუხვრიტოთ: მის კუჭში ორი ადამიანია: მუცელს გავუჭრით და ამოვიყვანთ.

მოვიხედე. მონადირე წელში გამართულიყო და ღიმილით მომჩერებოდა. მის თვალებში ჰოლმსისეულმა ცეცხლმა იელვა და მსუბუქი თავბრუსხვევა ვიგრძენი.

— ეს ყველაფერი საკმაოდ იოლად გადაწყდა. — მითხრა ჰოლმსმა იმავე საღამოს, როცა სავარძლებში ჩავსხედით ჩვენს ოთახში, ბეიკერ-სტრიტზე. — ვგონებ, უკვე თქვენც ხვდებით, მეგობარო.

— ვერა ჰოლმს, ვერა და მთელი ყურადღებით გისმენთ.

— გახსოვთ, რომ გითხარით, სოფლიდან ათას ორას ოცდაჩვიდმეტი ხე დავთვალე, ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი ერთ მხარეს, ექვსას ორმოცდაორი — მეორე მხარეს-მეთქი.

— დიახ.

— ისიც ხომ გახსოვთ, გოგონას წითელი ქუდი რომ ეხურა?

— დიახ.

— ახლა ხომ ხვდებით ყველაფერს?

— ვერა.

— აი, რა: რახან სოფლიდან გამოსვლის შემდეგ იმდენი ხე დავთვალე, მაშ, ჩვენ შუაგულ ტყეში ვიდექით. სწორედ მაშინ დავეჭვდი პირველად: შუაგულ ტყეში ძაღლს რა უნდოდა? მერე კი, კვალს რომ დავაკვირდი, შევნიშნე, რომ ეს ნადირი, ერთ ადგილას დგომისას მთელი კორპუსით მობრუნებულიყო და ისე გაქცეულიყო. ეს კი მგლებს ახასიათებთ და არა ძაღლებს. თანაც, მგლის კლანჭი დუიმის მეასედით უფრო ღრმა კვალს ტოვებს მიწაში, ვიდრე ყველაზე დიდი ძაღლისა. ამის შესახებ პატარა შრომა მაქვს გამოქვეყნებული „ზუში“, გირჩევთ წაიკითხოთ.

— წითელი ქუდი რაღა შუაშია?

— ის გოგონა ხომ ჰენდრიქსის ქალიშვილი იყო, მეორე ბილიკი კი, რომლითაც მგელი გაიქცა, მოკლე გზა იყო ჰენდრიქსის სიდედრის სახლამდე, საითაც წითელქუდიანი გოგონა გრძელი გზით მიდიოდა.

— მაგას საიდან მიხვდით?

— ოჰ, ეს სულ ადვილი მისახვედრი იყო: გუშინ ჰენდრიქსმა გვითხრა, რომ მისი სიდედრი ავად გახდა და მეტყევის სახლში წევს. მგელი რომ ჰენდრიქსის ქალიშვილს შეხვდა, როგორც ჩანს, მათ ერთხანს ისაუბრეს, რადგან მგელმა რამდენჯერმე ლაშები მოილოკა — მიწაზე მისი ნერწყვი შევნიშნე, სამ ადგილას. რაზე უნდა ესაუბრა პატარა გოგონას? რა თქმა უნდა, იმაზე, რაც მას აწუხებდა ყველაზე მეტად, ანუ, ბებიის ავადმყოფობაზე. მშიერი მგელიც მოკლე გზით გაიქცა, რომ ჯერ ბებია ჩაეყლაპა, მერე შვილიშვილი. მე მოკლე ბილიკს გავუყევი, გზად გადავიცვი და აი...

— რატომ გადაიცვით, ჰოლმს?

— ორივენი რომ მივსულიყავით ჭიშკართან სხვადასხვა მხრიდან, ეს მგელს დააეჭვებდა. მონადირე კი, შესაძლოა, შემთხვევით აღმოჩენილიყო იქ. მართლაც, მონადირის ტყეში ყოფნა, აბა, რა გასაკვირია! ამიტომ, იყო, რომ მგელმა თქვენც შემთხვევით გამვლელად მიგიჩნიათ. მე რომ შევძახე, სახლში მგელია-მეთქი, იგი დაიბნა, შეკრთა და უცებ გამოვარდა.

— კარგით და, ის საიდან იცოდით, რომ ბებია და შვილიშვილი მგლის კუჭში იქნებოდნენ?

— რა დიდი მიხვედრა უნდოდა იმას, რომ მშიერი მგელი მათ ჩაყლაპავდა?

— რა იცოდით, რომ მგელი მშიერი იყო?

— მგელი ყოველთვის მშიერია, უოტსონ. მაძღარი მგლებისა არაფერი მსმენია.

— მაგრამ ჰოლმს! — შევძახე მე. — ეს შეუძლებელია! სტატისტიკა ამტკიცებს, რომ უკანასკნელი მგელი ინგლისში სამასი წლის წინ მოკლეს!

— ძვირფასო მეგობარო. — ღიმილით მითხრა ჰოლმსმა. — სტატისტიკას ჩვენნაირი მოკვდავი ადამიანები ადგენენ, ადამიანები კი ხშირად ცდებიან ხოლმე. ვინ იცის, იქნებ დღეს ისტორიული დღეა და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სწორედ მე მხვდა წილად ინგლისის უკანასკნელი მგლის მოკვლა. ეჰ, რას იზამ! ახლა კი, გეთაყვა, მომაწოდეთ ჩემი ვიოლინო!

თენგიზ თხილავა

თაგვია თხარა, თხარაო...

სასამართლოში საკუთარი ღირსებისა და პატივის დაცვა, რომლის დარღვევაშიც ხშირად ადანაშაულებენ მასმედიას, მორალური კომპენსაციის გარდა, დიდ მატერიალურ სარგებელსაც ითვალისწინებს. მაგრამ ისეც ხდება, რომ მომჩივანს ძვირად უჯდება ამგვარი „თამაში“ და სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხის სასარგებლოდ, თანხის გადახდა მასვე ეკისრება.

სიყვარული ნახევარ მილიონად

ათი წლის წინ ჯილიან ტეილფორსი პოპულარობით პრინცესა დაიანასაც არ ჩამოუვარდებოდა. 1985 წლიდან „ბი-ბი-სის“ მაღალ რეიტინგულ ტელესერიალში მთავარ როლს თამაშობდა და მისი ჰონორარი წელიწადში 80 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. მის გმირს, თავქარიან კეტი ბეილის, სერიალის მიმდინარეობისას ორჯერ აუპატიურებენ, ხოლო მრავალი გაუგებრობის შემდეგ, სიმდიდრის გამო უსიყვარულოდ თხოვდება და ზრდის ნაძირალა ვაჟიშვილს, რომელიც ახალ პრობლემებს უქმნის.

რაც შეეხება თვითონ მსახიობს, აღმოჩნდა, რომ მისი რეალური ცხოვრება ისეთი თავგადასავლებით იყო სავსე, სერიალის სცენარისტებს არც დაესიზმრებოდათ. ჯილიან ტეილფორსის ერთ-ერთ პიკანტურ თავგადასავალზე თავიდან გაზეთმა „სანმა“ ამცნო მკითხველს.

„სანი“ წერდა, რომ 1992 წლის 19 ივნისს, ჰერტფორშირის საგრაფოს ტრასაზე საეჭვოდ გაჩერებულ „ლენდ როვერის“ მარკის მანქანას პოლიციელი ტერი ტელბოტი იმ დროს მიადგა, როდესაც სერიალის ვარსკვლავი თავის ძველ მეგობართან, ბიზნეს-კონსულტანტ ჯეფრი ნაიტსთან ორალური სექსით ერთობოდა. პოლიციელმა წყვილს ჯარიმის ქვითარი გამოუწერა საზოგადოებრივ ადგილას ზნეობრივი ნორმების დარღვევის გამო და აქტზეც ხელი მოაწერინა.

ჯილიან ტეილფორსმა „სანს“ ცილისწამებისათვის სასამართლოში უჩივლა და მორალური კომპენსაციისათვის ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი მოითხოვა.

1994 წლის იანვარში ლონდონის უზენაეს სასამართლოში შედგა პროცესი, რომლის მიმდინარეობასაც მთელი ბრიტანეთი ინტერესით ადევნებდა თვალყურს.

მომჩივნის ვერსია ასე ჟღერდა: იგი თავის ძველ მეგობართან, ჯეფრი ნაიტსთან ერთად წვეულებიდან ბრუნდებოდა, სადაც ჯეფრიმ ზომაზე მეტი შამპანური მიირთვა. გზაში მას მუცლის არეში ჭვლეტი დაეწყო. ჯილიანმა მანქანა გააჩერა, ტკივილის შესამსუბუქებლად მასაჟი დაუწყო. კონსტებლი ტელბოტი კი უბრალოდ შეცდა და უხამსი რამ მოეჩვენა. მოსარჩლემ ასევე აღნიშნა, რომ ტელბოტი ძალიან აგრესიულად იქცეოდა და ემუქრებოდა წყვილს პოლიციის განყოფილებაში წაყვანით. კონსტებლის თავიდან მოსაშორებლად მათ წაუკითხავად მოაწერეს ხელი აქტს, რადგან ჯილიანს შინ ეჩქარებოდა.

პოლიციელმა კი სხვაგვარად აღწერა მომხდარი შემთხვევა: „გზის ნაპირას გაჩერებულ მანქანას მივუახლოვდი და დავინახე, რომ ქალბატონ ტეილფორსის თავი რიტმულად მოძრაობდა ბატონ ნაიტსის მუხლებთან. თვალმილულული ჯენტლმენი კი, გადაწოლილი იყო მანქანის სავარძელზე. მანქანის სარკმელზე დავაკაკუნე. დანარჩენი ძალიან სწრაფად მოხდა, მაგრამ მოვასწარი იმის დანახვა, თუ როგორ ცდილობდა ჯენტლმენი თავისი აღგზნებული

ინგლისელმა ტელევარსკვლავმა ჯილიან ტეილფორსმა და ბიზნესმენმა ჯეფრი ნაიტსმა შეურაცხყვეს საზოგადოებრივი მორალი იმით, რომ თავდავიწყებულ სიყვარულს მიეცნენ მსახიობის მანქანაში

მამაკაცური ღირსების შარვალში ჩატენვას“.

ტელბოტი მხოლოდ იმას ნანობდა, რომ ზნეობის დამრღვევები მაშინვე ვირის აბანოში არ მიაბრძანა.

სასამართლოზე დაიდგა საგამოძიებო ექსპერიმენტი, რომელსაც ტელევიზიის მეშვეობით, მთელი ბრიტანეთი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალყურს. სასამართლოს ეზოში ჯილიან ტეილფორსმა და ჯეფრი ნაიტსმა თავანთი ვერსიის ინსცენირება გაითამაშეს. შემდეგ ისინი შეცვალა „სანის“ ორმა ჟურნალისტმა, რომლებმაც, კონსტებლის რეჟისორობით, ნფიც მსჯულებს აჩვენეს ის, რაც, პოლიციის აზრით, მანქანაში ხდებოდა.

„სანის“ ადვოკატებმა მთავარი დარტყმა ბოლოსთვის შემოინახეს და სასამართლოს განუცხადეს, რომ ფლობენ ვიდეოფირს, რომელიც რედაქციაში ჯილიანის ერთ-ერთმა მეგობარმა მოიტანა. მომჩივანი მხარის ადვოკატები ეცადნენ, არ დაეშვათ ვიდეოფირის გაშვება, მაგრამ მოსამართლემ მათი პროტესტი უარყო. ვიდეოფირი ასახავდა 1988 წელს, ლონდონის ერთ-ერთი თეატრის 20 წლისთავთან დაკავშირებულ მხიარულ ღრეობას. ეკრანზე ჯილიან ტეილფორსი, მხიარული კომპანიის თვალწინ, სექსუალურად იხსნიდა საკინძეს და ჯერ ბოთლით, ხოლო შემდეგ სარდელით ორალური სექსის იმიტაციას ახდენდა.

ნფიცი მსჯულები 5 საათის თათბირის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გაზეთი „სანი“ მართალი იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჯილიან ტეილფორსი ვალდებული იყო სასამართლოსათვის 500 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაეხადა. ასეთი განაჩენის შემდეგ მსახიობი საავადმყოფოში მოხვდა. „მას შემდეგ, რაც ადამიანმა, რომელსაც 17 წლის განმავლობაში ჩემს მეგობრად ვთვლიდი, გაზეთ „სანს“ ვიდეოკასეტა მიჰყიდა, ქვეყანაზე აღარავისი მჯერა“, – განაცხადა უბედურმა ქალმა, რომლის დამარცხებით არა მხოლოდ „სანმა“, არამედ კომპანია „ლენდ როვერმაც“ მოითბო ხელი, რადგან სასამართლო შოუს მეშვეობით უფასო რეკლამა მიიღო.

მწვრთნელს პენალტი დაურტყეს

ტომი დოკერტი 50-იან წლებში წარმატებული ინსაიდი იყო – „პრესტონ ნორტენდსა“ და „არსენალში“ თამაშობდა. 1959 წლიდან კი თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა საფეხბურთო მენეჯერ-

გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდში ტომი დოკერტიმ (ჰალსტუხით) „მანჩესტერ იუნაიტედი“ მსოფლიო ფეხბურთის გრანდებში გაიყვანა. რამდენიმე წლის შემდეგ ყოფილმა შეგირდებმა იგი სასამართლოში კინაღამ გააკოტრეს

მა და ზედმეტ სახელად „დოკიც“ (ექიმი) შეარქვეს. ერთ სეზონში მან შეძლო, ძველი დიდება დაებრუნებინა „ჩელსის“ გუნდისათვის. შემდეგ კი „როტერჰერჰემ იუნაიტედს“, „კვინს პარკ რეინჯერს“, „ასტონ ვილას“ გუნდებში სცადა თავისი რეანიმატორული ტალანტი. ალბათ ამიტომ, იგი 1972 წელს „მანჩესტერ იუნაიტედში“ მიიწვიეს.

„მანჩესტერი“ დოკერტიმ ძველი, უკვე ნაცადი ხერხით მოარჩინა – გაზარმაცებული და გამდიდრებული ძველი ვარსკვლავები დაფერთხა და ახალი, პატივმოყვარე, ნახევრად მშიერი ახალგაზრდებისაგან დააკომპლექტა გუნდი. ოთხ წელიწადში „მანჩესტერი“ ჩემპიონი გახდა, მაგრამ დოკმა უამრავი მტერი გაიჩინა. ერთ-ერთი მათგანი, თავდამსხმელი ვილი მორგანი გახდა, რომელიც დოკერტიმ ჯერ „მანჩესტერის“ კაპიტნად დანიშნა, ხოლო შემდეგ, როდესაც ვილი მორგანმა თვალი დაიზიანა, 30 ათას გირვანქა სტერლინგად „ბერნლის“ მიჰყიდა. გამოჩენილი ფეხბურთელის ვარსკვლავი ჩაესვენა.

1977 წლის ივნისში, ვილი მორგანი, ტელეკომპანია „გრანადა ტელევიჟნმა“ გადაცემა KIEK OFF („მინდვრის ცენტრიდან“) მიიწვია. ინტერვიუს დროს მორგანმა განაცხადა, რომ „როდესაც დოკერტი „მანჩესტერიდან“ წავა, კლუბი დაიბრუნებს ჩემპიონის ტიტულს და დასძინა, რომ მას არასოდეს უნახავს „დოკერტიზე უფრო ცუდი მწვრთნელი“.

რა თქმა უნდა, ტომ დოკერტის თავის მისამართით უარესი რაღაცეებიც სმენია, მაგრამ მორგანის ნათქვამი გულზე მოხვდა. სწორედ ამ დროს „მანჩესტერში“ კონფლიქტი ღვივდებოდა: „დოკმა“ გუნდის ექიმს მეუღლე წაართვა. „კეთილისმყოფელებმა“ დოკერტის ცეცხლი შეუნთეს და მან სარჩელი შეიტანა სასამართლოში მორგანისა და „გრანადა ტელევიჟნის“ წინააღმდეგ, რეპუტაციის შელახვის მოტივით.

1978 წლის ნოემბერში შედგა სასამართლო და მორგანის გარდა, „მანჩესტერის“ ვეტერანთა ნახევარი, დოკერტის წინააღმდეგ გამოდიოდა. ამ დროისათვის „დოკი“ უკვე აღარ იყო „მანჩესტერის“ მწვრთნელი. კლუბმა იგი არჩევანის წინაშე დააყენა: ან ექიმის მეუღლე ან მთავარი მწვრთნელის ადგილი. 50 წლის „დოკმა“ ექიმის მეუღლე, მერი ბრაუნი, აირჩია, რომელიც ბრიტანული ყვითელი პრესის გულის გასახარად, ახალი მეუღლის სასამართლო პროცესს ერთგულად ესწრებოდა. ხოლო თვით შეყვარებული დოკერტი ლომივით იბრძოდა და ერთ მომენტში დაავიწყდა, რომ სასამართლოში იყო და ფიცი ჰქონდა დადებული – მან მოიტყუა: „მანჩესტერის“ ფეხბურთელი დენის ლოუ, სხვა გუნდში გადასაყვანთა სიაში, მისივე თანხმობით შევიყვანეო!

მორგანის ადვოკატებმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს და შეახსენეს მოსარჩელეს, რომ მან დაიფიცა სასამართლოში ეთქვა მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა. ამ ინციდენტმა სასამართლოზე ამოატივტივა დოკერტისათვის წამგებიანი ფაქტი: მან გასაყიდ ფეხბურთელთა სიაში შეიყვანა დენის ლოუ, თუმცა შეჰპირდა, რომ არ გაყიდდა. სხვა კლუბისათვის მიყიდვის ფაქტი დენის ლოუმ მაშინ გაიგო, როდესაც ავადმყოფი დედის სანახავად იყო წასული. ამდენად, დოკერტი სასამართლოს და ბრიტანული საზოგადოების წინაშე არა მხოლოდ მატყუარად, არამედ გულქვა ადამიანადაც წარმოჩინდა.

სასამართლომ გამოიტანა ვერდიქტი „გრანადა ტელევიჟნის“ და ვილი მორგანის სასარგებლოდ და სასამართლოს ხარჯებისათვის დოკერტის 30 ათასი გირვანქა სტერლინგი დააკისრა.

საქმე ამით არ დამთავრებულა. დაინიშნა ახალი სასამართლო. ამჯერად მოპასუხედ დოკერტი გამოდიოდა. მას ბრალად წაუყენეს სასამართლოზე ფიცის დადების შემდეგ ჩადენილი ცრუმოწმეობა.

საქმე განიხილეს 1981 წლის ოქტომბერში „ოლდ ბეილის“ სასამართლოში. ადვოკატებმა დოკის დაცვა მისი დანაშაულის სრულ აღიარებასა და ბოდიშის მოხდაზე ააგეს, რაც იმით ახსნეს, რომ მოთამაშეთა უმადურობითა და მის პირად ცხოვრებაში ჩარევით იყო გაოგნებული. ტაქტიკა სწორი აღმოჩნდა. სასამართლომ შეიცოდა მობერებული მწვრთნელი და ბრალდება მოუხსნა. მაგრამ ეს ფაქტი ტომი დოკერტისათვის ვერაფერი ნუგეში იყო. იგი სახალხოდ სწყევლიდა იმ მოკეთეებს, რომლებმაც, ოთხი წლის წინ, მას სასამართლოში ჩივილი და სიმართლის ძიება ურჩიეს.

კომპრომატს ვერც ლორდი დაემალება

ჯეფრი არჩერს მარგარეტ ტეტჩერი „ექსტრავერტებიდან ყველაზე დიდ ექსტრავერტს“ უწოდებდა, ხოლო ჯონ მეიჯორი მისით იმიტომ იყო აღტაცებული, რომ ჯეფრის ჩაძირვა შეუძლებელია.

მართლაც, ჯეფრი არჩერს თვითგადარჩენის უნარს და ნიჭს ვერ დაუწუნებთ. ოქსფორდის დამთავრების შემდეგ, 29 წლის ასაკში, იგი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი გახდა კონსერვატიული პარტიიდან. რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთ კანადურ კომპანიაში ნახევარი მილიონი გირვანქა ჩადო და გაკოტრდა, მაგრამ გული არ გაიტეხა და დაწერა რომანი – „არც ერთი გროშით მეტი, არც ერთი გროშით ნაკლები“, რომელიც ბესტსელერად იქცა და მწერალს მილიონები მოუტანა. რამდენიმე წელიწადში ჯეფრი არჩერი პარლამენტის ღირსეულ წევრად, ჭეშმარიტად ბრიტანელი კონსერვატორული აზროვნების ეტალონად და წიგნის მოყვარულ ბანოვანთა საფიცარ ჯენტლმენად გადაიქცა.

1986 წლის 26 ოქტომბერს გაზეთ NEWS OF THE WORLD -ის პირველ გვერდზე დაიბეჭდა დამაინტრიგებელი ამბავი. კონსერვატორმა ჯეფრი არჩერმა თავის თანაშემწეს დაავალა, მეტროს სადგურ „ვიქტორიას“ მე-3 ბაქანზე, 35 წლის მძღავს, მონიკა კოგლანს შეხვედროდა და გადაეცა ყავისფერ პაკეტში ჩადებული 2 ათასი გირვანქა სტერლინგი 50 გირვანქიანი კუპიურებით. თანაშემწეს ასევე უნდა ეთხოვა მძღავისათვის, ფულის მიღების შემდეგ, დროებით საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო.

ცნობილ რომანისტს, ლორდ ჯეფრი არჩერს ბრალი ედება იმაში, რომ შეაგულიანა თავისი მეგობარი, მიეცა ყალბი ჩვენებები

ჯეფრი არჩერმა არ უარყო ეს ფაქტი, მაგრამ აღნიშნა, რომ ასეთი ნაბიჯი მას დასჭირდა ოჯახის მყუდროების დასაცავად, რადგან ქალი, რომელიც მას თვალით არ უნახავს, შანტაჟს უწყობდა და ახლა არჩერი ნანობს, რომ სისუსტე გამოიჩინა და დაჰყვა მეძავის მოთხოვნას.

ასეთმა განცხადებამ მთელი ინგლისი გაამხიარულა. საზოგადოება იცინოდა პარლამენტის წევრზე, რომელიც უცნობ მეძავს 2 ათას გირვანქას აძლევდა...

მაგრამ ამ დროს სხვა გაზეთმა DEILY STAR-მა გამოაქვეყნა ამ ამბის მისეული ვერსია.

„1986 წლის 8 სექტემბერს, შუაღამემდე, ჯეფრი არჩერმა „მოხსნა“ წითელი ფარნების რაიონში, მეძავი მონიკა კოგლანი. მონიკა უკვე არჩერის მანქანაში ჯდებოდა, როდესაც მოვიდა მისი მუდმივი კლიენტი და კონსერვატორთა ლიდერს ქალი ცხვირწინ „აწაპნა“. უარყოფილი „ხვადი“ წყვილს მანქანით დაედევნა და სასტუმრო „ალბიონში“ მაინც მოახერხა მეძავი მესამე სართულის ნომერში ასვლაზე დაეყოლიებინა. მონიკამ „პატიოსნად გამოიმუშავა“ დაპირებული 50 გირვანქა და 20 გირვანქა „პრემიაც“. მაგრამ მონიკას მუდმივმა კლიენტმა იცნო არჩერი და სამაგიეროს გადახდის მიზნით ინციდენტი „დეილი სტარს“ შეატყობინა.

ჯეფრი არჩერმა გაზეთს ცილისწამებისათვის სასამართლოში უჩივლა. პროცესი 1987 წლის ივნისში გაიმართა. არჩერს „რკინის ალიბი“ ჰქონდა. მოწმეებმა დაიფიცეს, რომ 8 სექტემბერს არჩერი თავისი წიგნის რედაქტორსა და მის მეუღლესთან ერთად რესტორანში ვახშმობდა. ღამის პირველ საათამდე კი, რესტორნის ბარში სატელევიზიო აგენტთან ერთად იყო.

ნაფიცმა მსაჯულებმა მომჩივანის სასარგებლოდ „დეილი სტარს“ 500 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა დააკისრეს. ბრიტანეთის სამართლის ისტორიაში ეს იყო ყველაზე დიდი თანხა ცილისწამების კომპენსაციისათვის.

დრო გადიოდა. 1994 წელს ჯეფრი არჩერი უკანონო საფინანსო მაქინაციებში იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს.

1999 წელს ჯეფრი არჩერი უკვე ლორდი არჩერი გახლდათ, კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე და „ტორის“ (ამ პარტიის მოკლე სახელწოდება. – რედ.) კანდიდატი ლონდონის მერის პოსტის დასაკავებლად.

ბრიტანეთის პარლამენტის წევრი კონსერვატიული პარტიიდან რუპერტ ელასონი

როგორც ჩანს, გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს ხელს არ აძლევდათ ლორდი არჩერის ლონდონის მერად არჩევა და მეძავის ძველი ამბავი გაუხსენეს. არჩერის ძველმა მეგობარმა, თედ ფრენსისმა, რომელსაც გონების მოსაკრებად „ნიუზ ოფ ზი უორლდმა“ 20 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა, გაიხსენა, რომ 13 წლის წინ არჩერმა დახმარება სთხოვა ამ საქმეში.

„დეილი სტარმა“ ლორდ არჩერს სასწრაფოდ გაუგზავნა წერილი თხოვნით, – მის ანგარიშზე 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაერიცხა და გააფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში უჩივლებდა. 13 წლის შემდეგ გაზეთი, რა თქმა უნდა, ვეღარ დაამტკიცებდა ლორდი არჩერის მეძავთან ურთიერთობის წვრილმანებს, მაგრამ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა „სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მცდელობის გამო“ რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა.

საზრიანმა ლორდმა არჩერმა მოხსნა თავისი კანდიდატურა ლონდონის მერის არჩევნებზე და მის გარშემო ატეხილი სკანდალი თავისთავად ჩაცხრა.

არადა, ჯეფრი არჩერს ხუმრობაში რომ გაეტარებინა ყვითელი პრესის 13 წლის წინანდელი თავდასხმა ან სულაც გაჩუმებულიყო, ცოტა ხანში ყველა დაივიწყებდა მის თავგადასავალს.

სატირის მსხვერპლი

ბრიტანეთის პარლამენტის წევრი „ტორის“ პარტიისაგან, რუპერტ ელასონი ცნობილია, როგორც მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან შეუპოვარი მებრძოლი. პარლამენტის წევრობასა და გაზეთებთან საქმის გარჩევის გარდა ცნობილია, როგორც ლიტერატორი, რომელიც ნაჯელ უეტსის ფსევდონიმით, წერს.

1992 წელს, სასამართლოს ძალით მან „დეილი მირორისთვის“ 200 ათასი გირვანქის წართმევა შეძლო. გაზეთი ელასონის მხდალად მოხსენიების გამო დაისაჯა.

1993 წელს „მეილ ოფ სანდეის“ რედაქცია იძულებული გახდა საქვეყნოდ მოეხადა ბოდიში ელასონის ქორწილის უტაქტოდ აღწერისათვის.

1994 წელს „ინტეპენდენტის“ ჯერი დადგა, რომელმაც ბოდიში მოუხადა ელასონს მორალური ზარალის მიყენებისათვის.

როგორც ჩანს, ინგლისის მასმედიის კრიჭაში დგომა სახიფათო საქმეა და რუპერტ ელასონს მახვილგონივრული ოინი მოუწყვეს.

1997 წელს რუპერტ ელასონმა გადაშალა მორიგი სატირული კრებული, რომელსაც „ბი-ბი-სი“ ყოველწლიურად გამოსცემს, და თავის ფოტოს წაწყდა ასეთი კომენტარით:

„კონსერვატორებთან მიტმასნილი პარლამენტის წევრი. როდესაც იგი წერს თავის „ჯაშუშურ რომანებს“, მას ნაჯელ უესტი ჰქვია, ხოლო როდესაც იგი ხმას აძლევს თავისი პარტიის წინააღმდეგ, მას სახელს ვერც დაარქმევ. უკაცრავად და, ვერ დავარქმევთ ფუნას, რომელსაც, თუ გაქექავ, უფრო აყროლდება, რადგან ბატონ ელასონს მიდრეკილება აქვს, ცილისწამებისათვის სასამართლოში იჩივლოს“.

ელასონი სასწრაფოდ დაუკავშირდა „ბი-ბი-სის“ და „ჰეთ ტრიკ პროდაქშენს“ და პიროვნების შეურაცხყოფისათვის 50 ათასი გირვანქა სტერლინგი მოითხოვა. საპასუხოდ მას 50 გირვანქა შესთავაზეს და ურჩიეს ხუმრობაში გაეტარებინა სატირული კრებულის კომენტარი. მაგრამ პრესასთან ომში გამოწრთობილმა პარლამენტის წევრმა სასამართლოში იჩივლა.

1998 წლის იანვარში პროცესი დაიწყო. „ბი-ბი-სის“ გამოცდილ ადვოკატებს სასამართლო დარბაზის ორი რიგი ჰქონდათ დაკავებული. რუპერტ ელასონი კი მარტო იყო. ხელში ბურთულიანი კალამი ეჭირა და იღლიაში უებსტერის ლექსიკონი ჰქონდა ამოჩრილი. ის აშკარად პუბლიკაზე მუშაობდა. სასამართლო გამოძიების დროს კი გაირკვა, რომ კრებულში დაწერილი სიმართლეა, თუმცა თავისებურად ფორმულირებული. „ტორის“ პარტიის წევრი, რუპერტ ელასონი მართლაც კარიერის მისაღწევად გამხდარა, პარლამენტში კი, ხმის მიცემის დროს ხშირად ღალატობდა პარტიის ინტერესებს და ზედმეტად იყო გატაცებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სამართლებრივი დევნით.

მომჩივანისათვის ბოლო, მძიმე დარტყმა დიდი ხნის წინ ჩაწერილი ტელეინტერვიუს ჩვენება გახდა, სადაც კომენტატორი ეკითხება რუპერტს, თუ რისთვის ზარალდებიან და იხდიან სარჩელს გაზეთები? რუპერტი ურცხვად იღიმება კამერაში და პასუხობს „ჩვეულებრივ, სიმართლისათვის“.

მსაჯულებმა „ბი-ბი-სი“ გაამართლეს. მოსარჩლემ გაყინული სახით მოისმინა განაჩენი და სასამართლოდან გვერდითი კარიდან გაიპარა, რათა თავიდან აეცილებინა ჟურნალისტების კვიმატი კითხვები.

მოამზადა მანანა იაშვილმა

«კეთილმორწმუნეო მეფეო თამარ»

ნინო ტარყამვილი

1166 წელს მეფე გიორგი III-სა და დედოფალ ბურდუხანს ქალიშვილი — თამარი შეეძინათ. 12 წლის თამარი მეფე გიორგი III-მ სიცოცხლეშივე მეფედ გამოაცხადა. დიდებულებმა მუხლი მოიყარეს პატარა მონარქის წინაშე, რომელსაც განგებამ უბოძა მძიმე ჯვარი ერის წინამძღოლობისა. მამა-შვილი ხუთი წლის მანძილზე განაგებდა სამეფოს. 1184 წელს მეფე გიორგი გარდაიცვალა და საქართველოს ერთადერთ მბრძანებლად და პატრონად იქცა 18 წლის თამარი.

„ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარ-საქმეთაგან, ვის უნდა ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი სულტანთა სასხდომნი, მისგან ასხმულნი (აღებულნი, დაპყრობილნი — ავტ.)...“ — წერს მემატიანე.

ხელისუფლების სათავეში მოსვლა თამარმა საღმრთო საქმით აღნიშნა: მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებილ სასულიერო პირებს თავმდაბლურად მიმართა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი... ნუ თუალახუამთ მთავართა სიმდიდრისათვის, ნუცა გლახაკთა უდებ-ჰყოფთ სიმცირისათვის... ზოგად ხელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, რათა არა ზოგად ვიზღვივნეთ: თქვენ, ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე — ვითარცა მეფე, თქვენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა — ებგური“.

ქვეყანამ იგრძნო მმართველის ძლიერი ხელი. თამარმა სახელმწიფო თანამდებობებზე ზნეობრივად გამორჩეული პიროვნებები დანიშნა.

„სამღვდელოებამ და დიდებულებმა თამარს მოსთხოვეს დაქორწინებულიყო და სასიძოდ შეარჩიეს რუსი უფლისწული, თავად ანდრია ბოგოლუბსკის ძე გიორგი. მასთან განშორების შემდეგ თამარმა ყურად იღო მამიდის, რუსუდანის რჩევა და ჯვარი დაიწერა ოვსთა მეფის ძეზე, ბაგრატიონთა, კერძოდ გიორგი I-ის შთამომავალ დავით სოსლანზე.“

თამარ მეფემ დავით სოსლანთან ერთად გადაიხადა მრავალი ომი საქართველოს მტრებთან. ბრძოლების წინ იგი ფეხშიშველი მიუძღოდა და ლოცავდა ხოლმე ლაშქარს.

გამარჯვებებმა არათუ არ გააამპარტავნა მეფე, პირიქით — უფრო ღვთისმოსავი გახადა. დღისით იგი განაგებდა სამეფო საქმეებს, ღამით კი ლოცულობდა ან ხელსაქმეს ჰკიდებდა ხელს, რათა თავისი შეკერილ-მოქსოვილი გლახაკებისთვის დაერიგებინა.

ერთხელ ლოცვით და ხელსაქმით დაღლილ თამარს ჩაეძინა და სიზმარი ნახა: მდიდრულად გაწყობილ სახლში თვალმარგალიტით შემკული ოქროს ტახტი იდგა. თამარი გაემართა მისკენ დასაბრძანებლად, მაგრამ ნათლით მოსილმა კაცმა შეაჩერა და უთხრა: „შენი არ არის საჯდომი ისი“. გაოცებულმა თამარმა იკითხა: „ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომი?“ ნათლით შემოსილ კაცს უთქვამს: საჯდომი იგი შენი „მოჯალაბისა არს“, როდესაც წარდგება ღვთის წინაშე. რადგან მან თორმეტ მღვდელს სამოსელი შეუკერაო და თამარისთვის სხვა, ნაკლებბრწყინვალე ადგილი მიუთითებია.

გამოღვიძებულმა თამარმა თავისი ხელით დაიწყო რთვა და ქსოვა და თორმეტი მღვდელი შემოსა.

ისტორიამ აგრეთვე შემოგვინახა ამაღელვებელი ამბავი წმინდა მეფის ცხოვრებიდან. ერთხელ თურმე თამარ მეფე სადღესასწაულო წირვაზე აპირებდა წასვლას გელათში და ლალებს ამაგრებდა სამეფო შემოსაკრავზე, როცა მივიდნენ და უთხრეს: მონასტრის კომკის კართან მდგომი მათხოვარი ქალი ითხოვს წყალობასო. მეფემ ბრძანა, დაეცადა მათხოვარს. თუმცა როცა ის პალატიდან გავიდა და წყალობის გაცემა ინება, მათხოვარი ვეღარ იპოვეს. შეცბუნებული მეფე საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ამ ღარიბ-ღატაკი დედაკაცის სახით უარი უთხრა თვით უფალ იესოს, მოიხსნა ის, რამაც დააბრკოლა — სამეფო შემოსაკრავი — და ღვთისმშობლის ხატს შესწირა.

თამარის დროს აშენდა კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, რომლის მონასტერშიც დიდმარხვას ატარებდა მეფე (აქ დღესაც ამოდის მიწიდან მაკურნებელი თამარის წყალი), ფიტარეთი, ქვათახევი, ბეთანია... წმინდა მეფემ არა მხოლოდ საქართველოს ეკლესია-მონასტრები გაამდიდრა, არამედ უხვად შეამკო ლავრები და სავანეები პალესტინაში,კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, საბერძნეთში, ათონის მთაზე, პეტრიწონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში, კონსტანტინეპოლში.

გამუდმებულმა მარხვამ, ფეხშიშველა ლიტანიობამ და მონასტრის ქვის სარეცელზე წოლამ ჯანმრთელობა შეურყია ქართველთა სათაყვანებელ მეფეს. დიდხანს მალავდა იგი ავადმყოფობას, სხვის შეწუხებას ერიდებოდა, დღითი დღე დაუძიმდა ჭირი და როცა ტკივილი გაუსაძლისი გახდა, „მაშინ განაცხადა“.

ლოცვად დადგა მთელი საქართველო. დიდი თუ მცირე ევედრებოდა უფალ ღმერთს — ჩვენი სიცოცხლის წილ აცოცხლეო თამარ მეფე.

სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარმა თამარმა იხმო დარბაზი და მათთან ერთად ცხოველს მყოფელ ჯვარს შეავედრა საქართველო: „ქრისტე, ღმერთო, ჩემო მხოლოო. დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყნისაო! შენ შეგვედრე სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულთა და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ და მერმე სულსა ჩემსა“.

დღემდე საიდუმლოებით არის მოცული თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელი. ზოგიერთი ისტორიული წყარო წმინდა მეფის საძვალედ გელათს ასახელებს, ზოგი კი იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. თამარ დედოფლის მიმართ თავისი უსაზღვრო სიყვარული ქართველმა ერმა არაერთ ხალხურ ლექსში, სიმღერაში, თქმულებასა თუ ლეგენდაში გამოხატა. „თამარ ქალო, ქვეყნის თვალოო“ — ასე უმღერენ მას დღესაც კახელი ვაჟკაცები. „ყველაზე კარგო, თამარ დედოფალოო („ჩიდმან ჩენე თაიმარაი“)“ — ასე კი სვანები ესიყვარულებიან თამარ შვიდნათობიერს. საინგილოში დღესაც ყველაზე საიმედო ხიდს თამარისას ეძახიან, ხოლო ჩეჩნებს ლამაზი ყვავილისთვის უწოდებიათ თამარი. მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობის დროს აქაურებმა ერთი შთამბეჭდავი ლეგენდა მიამბეს: მომავალი დედოფალი ბიბასთან ერთად ასპინძა-ახალციხის მხარეს სწვევია. დამხვდურებს ცხენი ჩამოურთმევიათ და ძველი თოკით საბძელზე მიუბამთ. აუწყვეტია ცხენს ძველი თოკი, გაჭენებულა და ერთ ალაგას იდუმალად დამალულა. თამარი კი თურმე თავის ცხენს ამაოდ დაეძებდა ვარძიაში. თამარის სტუმრობის აღსანიშნავად ასპინძიდან ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე შეხვდებით სოფლებს: ძველი, თოკი, აწყვიტა, ქუნცა (დაქუცმაცებული თოკი), იდუმალა და დამალულა, რაც ზეპირად გადმოგვცემს ამ ლეგენდას...

„წმინდათა შორის საკვირველო, კეთილმორწმუნეო მეფეო თამარ, რომელმან კლდეთა ზედა მაღალთა აღაშენენ საყდარნი სავედრებლად ღმრთისა, ლოცვითა შენითა ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულისა ჩვენისათვის!“ ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. რომის პაპი, პიუს VII, ნაპოლეონს საპყრობილეში 5 წლის განმავლობაში ჰყავდა გამომწყვდეული.

2. სამოქალაქო გვირგვინს მუხის ფოთლებისგან წნავდნენ და თავზე იმ რომაელ ჯარისკაცს ადგამდნენ, ვინც ამხანაგს სიკვდილისაგან იხსნიდა.

3. საუკუნის დასაწყისში გამომავალ ყოველკვირეულ ქართულ იუმორისტულ ჟურნალს „ეშმაკის მათრახი“ ერქვა.

4. „რაეო“, „მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი“, „ქვედრულა მოდიდებულა“ და „რაშოვდა“ რაჭული სიმღერებია.

5. ქართულ ბგერებს – „ბ“, „ფ“, „პ“ – ლინგვისტურად ბაგისმიერი ხშულ-მსკდომი ბგერები ჰქვია.

6. ნემეის ლომი, ლერნული ჰიდრა, სტიმფალური ფრინველები, კერინიური ირემი, ერიმანთული ტახი, ავგიას თავლის გაწმენდა, კრეტული ხარი, დიომედეს ცხენები, იპოლიტეს სარტყელი, გერიონეს ძროხები, ცერბერი, ჰესპეროსის ვაშლები. – მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს სია ჰერაკლეს გმირობათა ჩამონათვალია.

7. იულიუს კეისარს პირველად კასკამ დასცა მახვილი.

8. ალბერტ აინშტაინი ბრწყინვალედ უკრავდა ვიოლინოზე.



9. ევროპაში პირველად პრაღაში შეიქმნა კონსერვატორია.

10. რომაელებს პირველი აპრილი სისულელის დღედ ჰქონდათ გამოცხადებული.

11. ათასგვარი ავადმყოფობა, უბედურება, შური, სიცრუე, მტრობა, სიძულვილი და ღალატი ეპიმეთეს მიერ გახსნილი პანდორას ყუთიდან ამოფრინდა. P.S. ყუთში დარჩა მხოლოდ იმედი.

12. ღვინის ღმერთ ბახუსის პატივსაცემად მოწყობილ დღესასწაულს ორგია ერქვა.

13. პირველი ოლიმპიადა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს გაიმართა.

14. ახალი ზელანდია სეისმურად ყველაზე აქტიური ზონაა.

15. ერთხელ სცენაზე გამოსულ ანდრეი გუბინს მიკროფონზე პრეზერვატივი დახვდა წამოცმული. ამის დანახვაზე მომღერალს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ სიმღერა ვეღარ შეძლო.

16. ჯონ სტაინბეკმა ახალგაზრდობა-

ბევრმა არ იცის, რომ „სიყვარულის ოსტატობის“ სახელგანთქმულმა ვენეციელმა უკანასკნელი დღეები მზიური იტალიიდან შორს დაასრულა. ქალების ლეგენდარულმა გულთამპყრობელმა, ურიცხვ თავგადასავალთა გმირმა, მაწანწალამ, მოთამაშემ და მოაზროვნემ სიცოცხლის 30 წელი კრუშნის მთების ძირას, ჩეხურ ციხესიმაგრე დუხცოვში, გრაფ იოზეფ კარლ ვალდშტაინ-ვარტენბერგის სამსახურში — ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე გაატარა.

ჯაკომო კაზანოვა: დიდი არშიყის «შემოდგომა»

მისი განთქმული ვნებიანობა ღორმუცელობამ შეცვალა

როგორც ჩანს, მათ ვენაში გაიცნეს ერთმანეთი. კაზანოვა მაშინ ვენეციელ დესპანთან, სპასტიან ფოსკარინისთან მსახურობდა. მრავლისმცოდნე და მახვილგონიერი მოსაუბრე მიღებებზე და მრავალი სხვა საჭიროებისას შეუცვლელი იყო. ლაღი საუბრის დროს, სუფრასთან, სიტყვა მაგიურ ციფრებსა და მათი მართვის საშუალებებზე ჩამოვარდა. კაზანოვა, რომელიც უამრავ გენიალურ მოგვსა და ყოველისშემძლე ყალთაბანდს იცნობდა, მცოდნე კაცის თავდაჯერებით ჩაერთო საუბარში. „თქვენ მართლაც საუცხოოდ ყოფილხართ ამგვარ ამბებში გარკვეული“ – აღფრთოვანება ვერ დამალა შორიახლოს მჯდომმა გრაფმა ვალდშტაინმა და მაშინვე მიიპატიჟა თანამოსაუბრე თავის მამულში – ხვალვე გავემგზავრითო.

კაზანოვას რიგიანი თანამდებობა ეკავა ვენის საელჩოში, მაგრამ ელჩ ფოსკარინის სიკვდილმა მისი მდგომარეობა ძალზე შეარყია. ასე რომ, იმ დროს უკვე თავადაც ფიქრობდა ახალი ადგილის გამოძებნაზე. დრეზდენში გადასვლას აპირებდა, სადაც სამხატვრო აკადემიაში მისი ერთ-ერთი ძმა, ჯოვანი სწავლობდა, ხოლო და – მარია-მაგდალინა, სამეფო თეატრის იღბლიან მოცეკვავეს ჰყავდა ცოლად.

დრეზდენის გზაზე კაზანოვამ კარლოვი ვარში შეიარა. თუმცა საუკეთესო ევროპული კურორტის დამსვენებელთაგან რომელიმესთან სამუშაოდ მოწყობის იმედი მალე გაუქრა და 1785 წლის ოქტომბერში კაზანოვა ჩავდა დილიჟანსში, რომელიც დრეზდენისაკენ და უფრო შორს, ბერლინისაკენ მიემართებოდა.

გზა იმ დროს მეორე ცნობილ კურორტზე, ტეპლიცაზე გადიოდა და კაზანოვას გრაფ ვალდშტაინის მიწვევა გაახსენდა. გრაფის სავგარეულო ბუდე, დუხცოვი, ტეპლიციდან ათ კილომეტრში მდებარეობდა. მოგზაურმა უყოყმანოდ გადაუხვია იქით... და დარჩა კიდეც სამუდამოდ.

„მთელი ცხოვრების მანძილზე იმაზე ფიქრსაც კი გავურბოდი, რომ გავჩერებულიყავი რომელიმე ადგილას, სადაც ჩემს ძვლებს მტვრად ქცევა ელოდა და აი, თქვენ შემომთავაზეთ, ამ სასიამოვნო პროცესს თქვენს ციხესიმაგრეში დაველოდო“ – მადლიერებით მიმართავდა მოგვიანებით გრაფს კაზანოვა თავისი რომანის – JEOSAMERON-ის წინასიტყვაობაში, რომელსაც, ავტორის აზრით, მისთვის დიდება უნდა მოეტანა.

იოზეფ კარლ ვალდშტაინმა (1755 წელს დაიბადა), ახალგაზრდობის მიუხედავად, არცთუ ისე ურიგო სამხედრო კარიერა შეიქმნა. დაოჯახებაზე ყოველგვარ აზრს თავიდან იშორებდა და მთლიანად თავისი ვრცელი, სავგარეულო მამულების საქმეებში იყო ჩაფლული. აღმერთებდა ცხენებს, ჯირითს და კარტის თამაშს, რაშიც კაზანოვა ვირტუოზი იყო. ისინი ხშირად საუბრობდნენ მაგიასა და სხვა იდუმალ საგნებზე, რითაც განათლების კეთილშობილი მოღვაწეები იყვნენ გატაცებულნი.

გრაფს უყვარდა თავის გარშემო თავშესაქცევი და უცნაური ადამიანების შემოკრება. დუხცოვის ციხესიმაგრეში, კაზანოვასთან ერთად ბინადრობდა ვენის მასონთა ლოჟის ცნობილი წევრი მაქსიმილიან იოზეფ ლინდე-

ნი. გრაფისა და კაზანოვას მსგავსად (რომელიც, სხვათა შორის, ასევე მასონი იყო) ლინდენიც მაგით იყო გატაცებული და ამ თემაზე წიგნიც კი დაწერა. ყველაზე დეტალური და ნაწილობრივ ირონიული ცნობები ვენეციელი გულთამპყრობლის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის შესახებ ჩარლზ დე ლინგემ დაგვიტოვა: „ის ძალიან ლამაზი იქნებოდა, რომ არა ზოგიერთი უცნაურობა. ტანად მაღალი იყო, ჰერკულესის აგებულებისა, მაგრამ აფრიკული კანი და თვალებში ჩაბუდებული შმაგი სული, რაღაც მოუსვენრობასა და გაღიზიანებას გამოსცემდნენ, რაც მთელ მის გარეგნობას ველურ იერს ანიჭებდა. იშვიათად იყო მხიარული, ცოტას იცინოდა, მაგრამ ხშირად თავად იწვევდა სიცილს თავისი სიტყვებით, რომლებიც არლეკინოს ან ფიგაროს გაგახსენებდათ...“

დე ლინგეს სიტყვებით, მისი ცნობილი ვნებიანობა უფრო მეტად ხორცეულისადმი ლტოლვაში ვლინდებოდა.

გონებაში მუდამ ქალები უტრიალებდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ლამაზმანები, რომელთაგან თავის დასხნა „აღარ შეეძლო“. ეს აბრაზებდა მას და ჯაკომო წყრებოდა მშვენიერთა სქესზე, საკუთარ თავზე, ბუნებაზე. შურის საძიებლად აცხრებოდა ყველაფერს, რისი ჭამა-სმაც შესაძლებელი იყო. ტყეში ნადირობის ვერშემძლე, სუფრასთან ნამდვილ მგლად იქცეოდა.

თავის თავგადასავლებს ახლა მხოლოდ იხსენებდა. ბობოქარი ორთაბრძოლები, როცა ფოლადს ჭახჭუნი გაუდიოდა და პისტოლეტები ქუხდა, დუხცოვის ჯალაბთან წვრილმანმა დავამ შეცვალა. საკმარისი იყო, გრაფ ვალდშტაინს ციხესიმაგრე დაეტოვებინა — სხვა მამულში ან ვენაში გასამგზავრებლად, რომ სიბერეში გადამდგარი არშიყი შინაყმათა უხეში დაცინვის სამიზნედ იქცეოდა. „დასცინოდნენ მის ფრანგულ ლექსებს, ცერემონიულ მისალმებებს, რომლებსაც 50 წლის წინ გადაეჩვევნენ. ყოველ მეჯლისზე იცინოდნენ მის მოძველებულ მენუეტებზე. იცინოდნენ, როცა გამოჩნდებოდა თეთრი, ფრთიანი ქუდით, აბრეშუმის ოქრომკედიანი კამზოლითა და წინდებით, რომელიც ბრჭყვიალა აბზინდიანი წვივსაკრავებით ჰქონდა შებნეული“ — გვიამბობს მოგონებებში ჩარლზ დე ლინგე.

კაზანოვა ყველაფერ ამას თავისი ტემპერამენტის შესაბამისად აღიქვამდა. გაღიზიანებული იყო და დაუსრულებლად ჩიოდა. ციხესიმაგრის ბინადრებს შორის იგი ნამდვილად მტრებს — იაკობინელებს ხედავდა, რომლებიც მისდამი დამოკიდებულებით სახლის პატრონს შეურაცხყოფდნენ. „გრაფი კი, ნებაზე მათი მიშვებით, მე შეურაცხმყოფს“ — აღშფოთებული ჩიოდა კაზანოვა. ერთი სიტყვით, დახვეწილი ფრანგული მანერების მხცოვან მქადაგებელს მისთვის საძულველი გერმანიის (მას მიაკუთვნებდა ჩეხეთსაც) უმოწყალო ნიადაგთან შეგუება უჭირდა.

დუხცოვის ბიბლიოთეკარის წერილებსა და რამდენიმე თხზულებაში სევდა გამოსჭვივის. მისი რომანტიკული ამბებიდან უკანასკნელიც ტრაგიკომიკურად იქცა. მთელი დუხცოვი ჩურჩულებდა: კარისკაცის ქალიშვილი ბავშვს ელოდება და მამა, სხვა არავინაა, თუ არა აულაგმავი იტალიელიო. კაზანოვა ქალიშვილს მართლა ანებივრებდა თავისი ძველმოდური გალანტურობით, მაგრამ ჭორებმა იგი წონასწორობიდან გამოიყვანა. მოითხოვდა მათ დასაბუთებას და აცხადებდა, რომ თუკი მართლაც ის იყო მომავალი ბავშვის მამა, მაშინ მზად იყო დაუყოვნებლივ შეერთო ცოლად.

მოწმეთა თანდასწრებით, უბედურ, აქვითინებულ ქალიშვილს, ცრემლებთან ერთად, აღიარებაც გამოსძალეს: არა, ბიბლიოთეკარი არაფერ შუაშია — ეს აქაურმა მხატვარმა, ფრანც შოტნერმა ჩაიდინაო... 8 დღის შემდეგ ქორწილი გაიმართა. ჯაკომო კაზანოვამ დაუოკებელი მივნურის როლი საბოლოოდ გაცვალა ბერიკაცის კომიკურ როლზე...

დუხცოვი სასიყვარულო თავგადასავლებისთვის ნაკლებად გამოსადეგი იყო, მაგრამ მან კაზანოვას მისცა თავშესაფარი, სადაც საშუალება ჰქონდა, უფრო მნიშვნელოვანი თხზულებანი დაეწერა. ჩეხური ციხესიმაგრის სიმყუდროვეში წარმოიშვა ფანტასტიკური რომანი JEOSAMERON-ი, ანუ „დედამიწის წიაღის მკვიდრების, მეგამიკრების ისტორია“ (1788). დაიწერა მისი „მოაზროვნის შინაგანი მონოლოგი“ და, აგრეთვე, ყველაზე ცნობილი თხზულება, რომლითაც კაზანოვა მტკიცედ დამკვიდრდა მსოფლიო კულტურის ისტორიაში. დუხცოვში დაიწერა და 1788 წელს პრაღაში გამოვიდა „ვენეციის ციხიდან ჩემი გაქცევის ამბავი“. მან გაუღო კარი ჯაკომო კაზანოვას მოგონებებს, რომლებმაც არშიყი და თავგადასავალთა მაძიებელი ევროპელ მწერლად აქცია. ■

სახელგანთქმული კანადელი მსახიობი დონალდ საზერლენდი დიდი იტალიელი რეჟისორის ფედერიკო ფელინის გრანდიოზულ ფილმში „კაზანოვა“

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ში სხვა საბჭოთა ქალაქებთან ერთად ბათუმიც ინახულა. შემდეგ, როცა ამერიკაში დაბრუნებულმა თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა, ერთ ადგილზე წერდა: „ბათუმში, ამ პატარა საპორტო ქალაქში, რომელიც ლუდხანებით, სამორინეებით და საეჭვო დაწესებულებებით უნდა ყოფილიყო სავსე, ადგილობრივი თეატრის მშვენიერი სპექტაკლი — „ოიდიპოს მეფე“ — ვნახე!“

17. ილარიონ შევარდნაძე მარილით გატენილი მისივე თოფით უკანალში ილიკო ჩიგოგიძემ დაჭრა. P.S. ნოდარ დუმბაძის რომანებში ყველას მაინც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ სჯობს.

18. ქართულ მხატვრულ ფილმში „ნერგები“ კახაბერის როლს მიხეილ მესხი (უმცროსი) თამაშობს.

19. ბასკერვილების ძაღლი დანიური დოგისა და მასტიფის ნაჯვარი იყო.

20. ენათმეცნიერები დაღესტანს „ენების მთას“ უწოდებენ. ამ პატარა რეგიონის მოსახლეობა ოცდაცამეტამდე ენასა და დიალექტზე მეტყველებს.

21. ქართულ ხალხურ სიმღერებს კორსიკელებსა და ამერიკელებზე ადრე იაპონელები ასრულებდნენ.

22. 1999 წლის საუკეთესო ფილმი — „გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი“ — რეჟისორ ტომ ტიკვერის ნამუშევარია.

23. „ერთხელ სოკრატემ მირჩია: აუცილებლად დაქორწინდი. კარგი ცოლი — ბედნიერ კაცად გაქცევს, ცუდი — ფილოსოფოსად“, — ამბობდა ბარონი მიუნჰაუზენი ამავე სახელწოდების რუსულ მხატვრულ ფილმში.

24. მცენარეთა თვითდამტვერვას კლეისტოგამია ეწოდება.

25. ალექსანდრე მაკედონელი, მერილინ მონრო, ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, სერგეი ესენინი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გურამ რჩეულიშვილი — ამ პიროვნებათაგან ვერც ერთმა ვერ მიაღწია 40 წლის ასაკს.

26. მაშინ, როდესაც კეისრის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა, ვიღაც პირებმა ბრუტუსი კეისართან დააბეზღეს. პასუხად კეისარმა საკუთარ სხეულზე მიიდო ხელი და დამბეზღებლებს მხოლოდ ეს უთხრა: ბრუტუსი მოითმენს იმდენს, რომ ამ სხეულს არ შეეხოსო. ■

ჩვენ არაერთხელ ვიყავით სამყაროს დასასრულის ზღურბლზე

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ კაცობრიობა უკვე რამდენჯერმე იდგა იმ წითელი ზოლის ზღვარზე, რომლის იქითაც შეიძლება სამყაროს დასასრული დამდგარიყო! აქ მოხსენიებულ ფაქტთაგან ზოგიერთი თავის დროზე გასაიდუმლოებული იყო, სხვებს კი ფიზიკოსები არ ანიჭებდნენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომის დასასრული, ამერიკელი სამხედროები კი, პირველი ატომური ბომბის აფეთქებას ჩქარობდნენ. თუმცა, ბომბი, როგორც ასეთი, ჯერ არ არსებობდა. უნდა აეფეთქებინათ რაღაც უზარმაზარი და მოუქნელი ნაკეთობა, რომელიც ატომურ მუხტს შეიცავდა. და აი, როცა მის ასაფეთქებლად მზადება თითქმის დასრულდა, ატომური „მანჰეტენური პროექტის“ სამეცნიერო ხელმძღვანელმა რობერტ ოპენჰაიმერმა პროგრამის სამხედრო ხელმძღვანელთან – გენერალ გროვსთან მოითხოვა აუდიენცია.

– აბა, რა პრობლემები გაქვთ? – დაინტერესდა გენერალი, ჩაკეტა თავისი კაბინეტის კარი და ყველა ტელეფონი გამორთო, გარდა პრეზიდენტისა.

– პრობლემები ჩვენ კი არა, თქვენ გაქვთ! – ჩაიცინა ოპენჰაიმერმა, – უფრო სწორად კი, ჩვენ ორივეს. პრობლემა კი სილიციუმთან არის დაკავშირებული. როგორც იცით, სილიციუმი იმ ქვიშის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ჩვენს უდაბნოში მილიარდობით ტონაა. ჰოდა, აი, ჩვენი გაანგარიშებით, აფეთქების მომენტში მყისვე გაჩნდება ცეცხლოვანი სფერო, რომლის ტემპერატურა მილიონობით გრადუსი იქნება. ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ ვარაუდი გამოთქვა, რომ ასეთ ტემპერატურაზე შეიძლება წარმოიშვას ჯაჭვური რეაქცია სილიციუმში და მაშინ, არა მარტო ჩვენი ნევადა, არამედ მთელი მსოფლიო აფეთქდება!

ოპენჰაიმერი გაჩუმდა, რომ გენერლისათვის საშუალება მიეცა, გაეანალიზებინა და გაეცნობიერებინა მიღებული ინფორმაცია.

– ეშმაკმა დალახვროს ყველანი! – იღრიალა ბოლოს გენერალმა. – თქვენი ბიჭები ახერხებენ, სწორედ მაშინ შექმნან პრობლემები, როცა არანაირი პრობლემა არ უნდა იყოს! თქვენ გინდათ, რომ ახალი ამბით პრეზიდენტი გავახარო? თუ სხვა წინადადებები გაქვთ?

– არსებობს ყველაზე მარტივი გამოსავალი – აფეთქება ჰაერში მოვაწყოთ, მიწის ზედაპირიდან შორს.

– მაგრამ ეს შემდეგი ეტაპია. რასაკვირველია, ჩვენ გვჭირდება ბომბი, მაგრამ მას მხოლოდ იმის შემდეგ გააკეთებენ, რაც მიწისზედა გამოცდა ჩატარდება!

– მაშინ შეიძლება ავაფეთქოთ პონტონზე, რომელიმე ტბის შუაგულში.

– და სად მოგინახოთ ტბა უდაბნოში? თქვენი „სათამაშოს“ სხვა რაიონში გადატანას კი, ისე, რომ საიდუმლო არ გამჟღავნდეს, ალბათ ვერ მოვახერხებთ, ამის დრო უკვე აღარ გვაქვს... როგორია თქვენი გათვლებით ამ მილიონგრადუსიანი სფეროს დიამეტრი?

ოპენჰაიმერი ჩაფიქრდა.

– პირველ აფეთქებამდე, მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სადღაც ათეულობით მეტრი, თუ უფრო ზუსტად გჭირდებათ – უნდა გამოვთვალოთ.

გენერალმა შვებით ამოისუნთქა.

– თუ ლაპარაკია ორიოდე ათეულ მეტრზე, ე.ი. ყველაზე მარტივი ვარიანტია – ავაფეთქოთ კოშკურაზე, შორს თქვენი სილიციუმიდან. დღესვე ვუბრძანებ ინჟინერთა რაზმს, აღმართონ კოშკი. თქვენ კი თქვენი ცხელი სფეროს გამოთვლა დაიწყეთ და ეცადეთ, რომ თქვენმა ბიჭებმა თავიანთი საქმე ჩემებზე ადრე დაამთავრონ, რომ „ბაბილონის გოდლის“ შემოღობვა არ მოგვიხდეს: ვინც გამოთვლებს აწარმოებს, შინაპატიმრობა დაუწესეთ, რომ ფეხებში არავის მოედონ და ზედმეტი არ ილაყბონ. არავითარი საუბარი სილიციუმის ჯაჭვური რეაქციის შესახებ – ღმერთმა დაგვიფაროს, ხმებმა ვაშინგტონამდე მიაღწიოს, ჩვენს საქმეს იქ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, ხოლო ვინც კოშკით დაინტერესდება, უთხარით, რომ ის ჰაერის დარტყმის ძალის მანძილზე დამოკიდებულების გასაზომად არის საჭირო, ჩვენ კი ერთად შევევედრებით ღმერთს, რომ თქვენი თეორეტიკოსები ცდებოდნენ სილიციუმთან დაკავშირებით...

როცა ნევადაში ატომურ აფეთქებამდე რამდენიმე წამიღა რჩებოდა, პოლიგონზე მყოფთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. და როცა ჰორიზონტზე დამაბრმავებელი ცეცხლოვანი სფერო აინთო, რომელმაც მზე დააბნელა, ზემოთ ავარდა და გიგანტურ შავ სოკოდ გაიშალა, ოპენჰაიმერმა შეშფოთებულმა წარმოთქვა უცნაური ფრაზა, რომელიც მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გახდება ცნობილი ამერიკელებისთვის: „მსოფლიოს თავზე თუ ათასობით მზე აფეთქდება, ქვეყნად სიკვდილი დაისადგურებს“.

– თქვენ ასე ფიქრობთ, კოლეგა? – შეეკითხა მას გვერდით მდგომი რომე-

ლიღაც მეცნიერი, რომელიც მონაწილეობდა „მანჰეტენის პროექტში“.

— ეს მე არ მითქვამს, ეს ნაწყვეტია ძველინდური ეპოსიდან „მაჰაბჰარატა“. როგორც ჩანს, ჩვენამდე ათასწლეულებით ადრე დაფიქრებულან ასეთი საქმის მნიშვნელობაზე.

მეცნიერმა გაოცებით შეხედა მას, უცებ ვერ ჩაწვდა ნათქვამის აზრს.

გაივლის ათ წელზე მეტი ხანი და კაცობრიობა კვლავ, ისე, რომ ვერ მიხვდება, მიუახლოვდება წითელ ზღვარს.

ამერიკა ემზადებოდა პირველი წყალბადის ბომბის წყალში ასაფეთქებლად. უკვე ყველაფერი მზად იყო, მის მომავალ ეპიცენტრში ყავლგასული სამხედრო გემები — ლინკორები და ავიამატარებლები განელაგებინათ. მათ ღირსეული სიკვდილი მოუმზადეს თერმოსაწამლავიდან გამოსულ ცეცხლოვან ქვაბში.

და კვლავ, როგორც ნევადაში აფეთქების წინ, იგივე პრობლემა ჩნდება: რომელიღაც თეორეტიკოსი ვარაუდობს, რომ წყალქვეშა აფეთქებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია ოკეანის წყალბადში. ოკეანის აფეთქება კი ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ნევადის უდაბნოს აფეთქება — მთელი პლანეტა აფეთქდება.

საჭიროა ხელახალი გამოთვლები იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს არ მოხდება. პრობლემა რთულია, არაერთი თვის გაანგარიშებებს მოითხოვს, მაგრამ დრო, როგორც წინა შემთხვევაში, უკვე აღარ არის. თუ შტორმი დაიწყება, სამიზნედ გამზადებული გემები, რომელთაც მოძრაობა არ შეუძლიათ, ხომ თავისით დაიღუპებიან. მაქსიმუმი, რისი ნებაც შეიძლება მისცენ სამხედროებმა მეცნიერებს, რამდენიმე დღეა, რომელსაც დაუთმობენ გამოთვლებისთვის, ამასთან ის მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში უნდა ჩაატაროს ერთმა ადამიანმა, რომ ინფორმაციამ არ გაჟონოს.

ფიზიკოსს, რომელმაც იკისრა ეს საშინელი პასუხისმგებლობა, ესმოდა მდგომარეობის მთელი სერიოზულობაც და ასეთ ხანმოკლე ვადებში საიმედო გამოკვლევის ჩატარების შეუძლებლობაც. მაგრამ უარის თქმა მას უკვე აღარ შეეძლო — მაშინ გამოთვლებს ნაკლებად კომპეტენტურ სპეციალისტს დაავალებდნენ...

ამჯერადაც გადავრჩით — სამყაროს ხელთქმნილი დასასრული არ შედგა.

გორკიში გადასახლებამდე ცოტა ხნით ადრე აკადემიკოსი სახაროვი ესწრებოდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული ფიზიკის განყოფილების სესიას. სახაროვი, საბჭოთა წყალბადის ბომბის ერთ-ერთი შემქმნელი, ფაქტობრივად, უკვე ჩამოშორებული იყო სამხედრო სამუშაოებს და კოსმოლოგიის პრობლემებზე მუშაობდა. იმ დღეს განიხილავდნენ ახალგაზრდა და იმედის მომცემი ფიზიკოსის, თეორეტიკოს ლინდეს (საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტიდან) მოხსენებას, რომელიც ეძღვნებოდა ეგრეთ წოდებული ჰიგსოვური ნაწილაკების მიღების შესაძლებლობას ელემენტარული ნაწილაკების ახალ დამაჩქარებლებზე. დისკუსიის დროს, სახაროვმა მოულოდნელი შეკითხვა დაუსვა: „ხომ არ გამოვიწვევთ მთელი სამყაროს აფეთქებას, როცა მატერიიდან ამ ჰიგსოვური ნაწილაკების გამოყოფას დავიწყებთ?“

თეორეტიკოსებმა დაამშვიდეს: „ჰიგსოვური ნაწილაკების ის სახეობა, რომლის მიღებაც შეიძლება თანამედროვე დამაჩქარებლების საშუალებით, სამყაროს აფეთქებას ვერ გამოიწვევს“.

სესიას ესწრებოდა ჟურნალისტი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის რედაქციიდან. მან ბევრი ვერაფერი გაიგო თეორეტიკოსთა გამოსვლებიდან, ამიტომაც სემინარის დამთავრების შემდეგ დაწერა სტატია — „სამყაროს დასასრული ლაბორატორიაში იწყება“, მაგრამ მაშინ ცენზურამ აკრძალა და სტატია მხოლოდ 90-იან წლებში დაიბეჭდა. რაც შემდეგ მოხდა, ძნელია იმას კურიოზი ეწოდოს. ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ ყაზახეთის რომელიღაც შეშინებულმა მცხოვრებმა შიმშილობა გამოაცხადა, აშშ-ში სუპერდამაჩქარებლების მშენებლობის პროტესტის ნიშნად. სუპერდამაჩქარებლებზე გათვალისწინებული იყო ამ ყბადაღებული ჰიგსოვური ნაწილაკების მიღება. კურიოზი კი ის იყო, რომ ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიაში არც კი იცოდნენ, რომ მათი მოქალაქე ტყუილად შიმშილობდა: აშშ-ში ამ დამაჩქარებლის (სუპერკოლაიდერის) მშენებლობა დიდი ხნის წინათ იყო გაყინული!

დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს უცნაური ნაწილაკები, რომლებიც ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობენ, შემდეგ კი პროტონებად და ნეიტრონებად იშლებიან და ამ დროს ენერგიასაც გამოყოფენ გამოსხივების სახით. თუმცა, თეორეტიკოსები ვარაუდობენ, რომ გარკვეულ პირობებში „უცნაური“ ნაწილაკები შეიძლება ძალზე სტაბილურნი აღმოჩნდნენ.

ბირთვული გამოკვლევების ევროპული ცენტრის მკვლევარები ცდილობენ, მიიღონ უცნაური მატერია, მაგრამ რა იქნება შემდეგ? თეორეტიკოსები გაიყვნენ პესიმისტებად და ოპტიმისტებად. პესიმისტების აზრით, დამაჩქარებელზე „უცნაური“ მატერიის მიღებისას, ჩვენ წამოვიწყებთ ჩვენი ჩვეულებრივი მატერიის „უცნაურად“ გადაქცევის ჯაჭვურ პროცესს და მაშინ არსებული სამყარო, უბრალოდ, გაქრება! ოპტიმისტები კი

უარყოფენ ამ აზრს და ამტკიცებენ, რომ ამ პროცესს ხელს შეუშლის ჩვეულებრივი და „უცნაური“ მატერიების ერთნაირი მუხტი.

ექსპერიმენტი გვიჩვენებს, ვინ არის მათგან მართალი, — ჯერჯერობით კი, მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ძმები სტრუგაცკების გამოთქმული იდეის იმედი ვიქონიოთ — ერთ-ერთ თავიანთ რომანში ისინი წერენ: „თვითონ სამყარო ან სამყაროს გონი, რომელიც მატერიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვება, არ დაუშვებს სიტუაციას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მის არსებობას!“

მოამზადა მანანა ნებიერიძემ

კანალიზაცია, რომელმაც წინ წასწია ცივილიზაცია

მას შემდეგ, რაც ხალხმა ცხოვრების ჯგუფური წესი აირჩია, კაცობრიობა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას წარმოქმნილი ნარჩენების გადაყრის პრობლემას ებრძვის. ჯერ კიდევ 4800 წლის წინ ორკნეის კუნძულებზე იყო ტუალეტები, სადაც თიხის პატარა სკამების ქვეშ სადრენაჟო ჩასადინებელი იყო მოწყობილი. უფრო განვითარებული და ხალხმრავალი ცივილიზაციები კი მეტი გონიერებით წყვეტდნენ ამ „საპასუხისმგებლო“ საქმეს. ძველ რომში აღნიშნულ საკითხს მათთვის დამახასიათებელი საფუძვლიანობით და გაქანებით მიუდგნენ.

III საუკუნეში აღნიშნული საკითხი მუნიციპალურმა ხელისუფლებამ ასე თუ ისე მოაგვარა და ქალაქში 144 საზოგადოებრივი ტუალეტი განალაგა, თუმცა საშინელი სუნის მოსპობა ვერ შეძლო. იმპერატორ ვესპასიანის განთქმული სენტენცია „ფულს სუნი არ ასდის“, როგორც ცნობილია, პასუხი იყო მისი ვაჟის კითხვაზე – რატომ დააწესა მან საზოგადოებრივი ტუალეტებით სარგებლობაზე გადასახადი. ეს ფრაზა გულისხმობს, რომ ფულს სუნი არ ასდიოდა, ტუალეტები კი ყარდა.



 სერ ჯონ ჰარინგტონის წიგნის – „აიაქსის გარდასახვის“ ფურცლები, სადაც ავტორი პოეტურად აღწერს თავის გამოგონებას

შუა საუკუნეებში სანიტარული მოთხოვნები არ იყო მაღალი, ციხესიმაგრეების კედელში გაკეთებული ნახვრეტი კი კანალიზაციის ერთადერთი ფორმა იყო და მასაც თურმე თითქმის არ იყენებდნენ, მაგრამ დრო გადიოდა, ქალაქები იზრდებოდა და სანიტარული მოთხოვნები მკაცრდებოდა. გაჩნდა მოთხოვნილება, რომ ტუალეტები ყოფილიყო განლაგებული სახლებში, მაგრამ მცხოვრებლები სუნით არ შეეწუხებინა.

ინგლისმა ამ ტიპის ცივილიზაციის განვითარებით ევროპის სხვა ქვეყნებს გაასწრო. 1582 წელს ლონდონში გაიყვანეს პირველი წყალსადენი ტყვიის მილებით. ბუნებრივია, ფეხსალაგის მოწყობის იდეაც ინგლისში უნდა დაბადებულიყო. მართლაც, ეს პირველად დედოფალ ელისაბედ პირველის ნათლულს, პოეტ სერ ჯონ ჰარინგტონს მოუვიდა აზრად. მან 1596 წელს თავი სკელსტონის მამულში ისეთი ფეხსალაგი ააწყო, რომელიც საოცრად ჰგავდა თანამედროვეს: ჰქონდა წყლის ავზი, პატარა ბერკეტი წყლის ჩასაშვებად და საკანალიზაციო ჩასადინებელი. დედოფალი კელსტონში სტუმრობისას კმაყოფილი დარჩა ნათლულის გამოგონებით და ბრძანა, ასეთივე „სამშვენისი“ მისი რიჩმონდში განლაგებული სასახლისთვის დაემზადებინათ. ნათლულს კი უხერხულობის გამო უარი განუცხადა გამოგონებისთვის ოფიციალური პატენტის გაცემაზე.

ჰარინგტონი ყველგან აღნიშნავდა, რომ „ნივთი“ ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნებოდა და მისი გამოთვლით სულ რაღაც 6 შილინგი და 8 პენსი ეღირებოდა. გამოგონება ხალხმა თითქმის 2 საუკუნით მიივიწყა.

ჰიგიენური მოთხოვნები კი სულ უფრო და უფრო მკაცრდებოდა. 1668 წელს პარიზში ქალაქის მესვეურებმა გასცეს განკარგულება, რომ ყველა სახლში ყოფილიყო ცალკე განთავსებული ტუალეტი. 1739 წელს იმავე პარიზში საზოგადოებრივ ტუალეტზე პირველად გაჩნდა წარწერები: „ქალების“ და „კაცების“.

1775 წელს ინგლისელი საათის ოსტატი ალექსანდრ კამინგსი დაუბრუნდა ჰარინგტონის იდეას და ის თავის გამოგონებად დააპატენტა. სამიოდე წლის შემდეგ ჯოზეფ ბრამამ მოიფიქრა კლაპანი, რომელიც ავზში წყლის მიწოდებას არეგულირებდა. ამის შემდეგ უნიტაზმა თითქმის თანამედროვე იერი მიიღო, მხოლოდ 1880 წელს მოუვიდათ აზრად, გაეკეთებინათ მასში დაქანება, რომელიც მანამდე არ არსებობდა. ბრამას მიერ პიმლიკოში აგებული ფაბრიკა კიდევ სხვა მრავალი გამოგონების ხორცშესხმის ადგილად იქცა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაშინაც ვერ იქცა უნიტაზი საბინაო ინტერიერის განუყოფელ ნაწილად. იგი საბოლოოდ მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო და დააფასა კაცობრიობამ. ■

ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲰ ᲘᲜᲓᲝᲑᲔᲜ

საქმე, რომელსაც ანტალიის სასამართლო იხილავს, გინესის რეკორდების წიგნშიც შეიძლება შეიტანონ. მოსარჩლე ჰასან ორხანმა მეზობლად მცხოვრებ ცოლისძმას უჩივლა. სარჩელში მოთხრობილია „სულისშემძვრელი“ ამბავი – თუ როგორ შეაღწიეს მისი ნათესავის „უგულო“ ქათმებმა სათბურში, გაანადგურეს პომიდორი და ბარდა, რომლებსაც ორხანი სათუთად ზრდიდა. სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე თემიდის წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ საჭიროა დაათვალიერონ სათბურში დატოვებული ქათმების ნაფეხურები და შეადარონ „ეჭვმიტანილთა“ ფეხებს. თუ ორხანის მიერ შარშანდლიდან შემონახული ნაკვალევი დაემთხვა „დაკტოლისკოპიური“ ექსპერტიზის შედეგებს, მაშინ დამნაშავე ქათმების პატრონს ზარალის ანაზღაურება მოუწევს.

ᲤᲘᲜᲒᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲫᲚᲔᲜᲘ ᲐᲰᲘᲐᲜ?

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში ჩატარებულ ერთდღიან ევროკავშირის კონფერენციაზე შეკრებილმა სპეციალისტებმა იმსჯელეს სამსახურში ქალებისადმი სექსუალური დევნის პრობლემაზე და ევროპაში ამ თვალსაზრისით ყველაზე სახიფათო ხუთეული გამოავლინეს. გაირკვა, რომ საგრძნობი უპირატესობით ლიდერობს ესპანეთი: იქაური ქალების 84% თანამშრომელი მამაკაცებისგან სექსუალურ შევიწროებას განიცდის. მეორე ადგილზე გასულ საბერძნეთში ეს ციფრი 60%-ს აღწევს. ჟურნალისტებს დიდად გაუკვირდათ, რომ ხუთეულში საფრანგეთი არ აღმოჩნდა, თუმცა ამას იქვე მოუძებნეს ახსნა: რა თქმა უნდა, ფრანგი ქალბატონებიც განიცდიან თანამშრომელი მამაკაცებისგან მსგავს ქმედებებს, მაგრამ ამას ყუადღებას არ აქცევენო...

ᲯᲝᲜᲢᲐᲰᲑᲐᲜᲓᲐᲓ ᲰᲝᲛ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲝᲜ?

მოგზაურობის მოყვარულთათვის ამანდა დოუკინსისნაირი მეგობარი იდეალურ თანამგზავრად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ცნობილია – ადამიანის მგზავრობა გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ერთი ჩემოდნის გადატანა. მოქნილი ამანდა კი თავისუფლად ეტევა საშუალო ზომის სამგზავრო ჩემოდანში.

ᲰᲝᲒᲝᲰᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲭᲘᲰᲔᲑᲝᲛᲓᲐ

რამდენი წყვილი ფეხსაცმელი სჭირდება ჩვეულებრივ მოკვდავს ნორმალური ცხოვრებისთვის – ორი, ხუთი თუ ათი? წელიწადის ყველა დროის შესაფერისი სასეირნო თუ საზეიმო, სპორტულ თუ სამუშაო ფეხსაცმელებთან ერთად, სათადარიგო წყვილებიც რომ გავითვალისწინოთ, ალბათ 50-ზე მეტი მაინც არ დასჭირდება. ფილიპინების ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე იმელდა მარკოსი კი, 300 წყვილ ფეხსაცმელს ინახავდა თურმე საკუთარ გარდერობში, თანაც უმეტესი ნაწილი ერთხელაც არ უხმარია.

ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ

ამბობენ, ზარმაცი ქმარი მუთაქას ჰგავსო. ეს აზრი ძალიან მოეწონა სიუზან სტოფსკის და 172 სმ სიგრძის მამაკაცის ფორმის მუთაქა დაამზადა. ასეთი „მამაკაცის“ შეძენის მსურველები მაშინვე მრავლად გამოჩნდნენ, რაც იმას ადასტურებს, რომ სიუზანს მართლაც კარგი გამოგონება ეკუთვნის: მისი „ქმარი“ ჭამას არ ითხოვს, არც ხმას იღებს, თუ მასზე წამოწექი, და რამდენიც არ უნდა უყვირო, არ შეგეპასუხება, – ერთი სიტყვით, იდეალური ქმარია.

ᲤᲐᲜᲐᲢᲔᲑᲘ

ფეხბურთის მოყვარულები ყველაფრისათვის მზად არიან, ოღონდ სათაყვანებელი გუნდის თამაში იხილონ. მათ შორის განსაკუთრებული ფანატიზმით ტიბეტელი ბერები გამოირჩევიან. ტიბეტელმა ლამამ კხენტცე ნორბუმ მხატვრული ფილმი – „თასიც“ კი გადაიღო, სადაც მთავარ როლებს მისი სულიერი ძმები ასრულებენ. მოქმედება იმ დროს ვითარდება, როცა ცივილიზაციის ნიშნებმა პირველად შეაღწია შორეულ ტიბეტში. ახალგაზრდა ბერები ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგები ხდებიან და ღამღამობით ყველაზე ახლოს მცხოვრებ იმ ერთადერთ ინდოელთან დარბიან, რომელსაც ტელევიზორი აქვს. „თასი“ კინოკრიტიკოსებმა მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორიის ყველაზე ეგზოტიკურ მხატვრულ ფილმად აღიარეს.

უკვე გაიბრწყინა ახალი წლის ღამემ, მაგრამ 13 იანვარს ათასობით ოჯახი კვლავ მიუჯდება საახალწლო სუფრას, შეისმება სადღეგრძელოები და ღამის წყვდიადს ისევ გააფერადებს საზეიმო ფეიერვერკი.

ძვირფასო მამაკაცებო, გეძლევათ კიდევ ერთი უნიკალური შანსი თქვენი რჩეულის გულის მოსაგებად. ხელიდან ნუ გაუშვებთ ამ შესაძლებლობას და, როგორც მედეა ჯაფარიძის მშვენიერი კინოგმირი იტყოდა, გულის სწორის გახარებას სარვამარტოდ ნუ გადადებთ! სიყვარულით შერჩეული საჩუქარი-სიურპრიზი თქვენი გრძნობების ლამაზი გამოხატულება იქნება.

საჩუქარი მით უფრო სასიხარულოა, რაც უფრო მოერგება მის ბუნებას და ხასიათს, ამიტომ მისი შერჩევა ნამდვილი ხელოვნებაა. ვიმედოვნებთ, ჩვენი რჩევები გაგიადვილებთ ამ ამოცანას.

სატრფოს ხასიათის ამოცნობაში დაგეხმარებათ სტიქიათა თეორია, რომლის მიხედვითაც მშვენიერ მანდილოსანთა მრავალგვარობა ოთხ ძირითად კატეგორიაში ერთიანდება.

სიყვარული – ახალ ათასწლეულში

(რჩევები მამაკაცებს)

მედეა გოგსაძე

„ცეცხლოვანი ტაიფუნი“

ამ კატეგორიას ცეცხლის სტიქია განაგებს. „ცეცხლოვან“ ბანოვანთა შორის ვერძი ყველაზე ბობოქარია. ეს არის ქალი-ტაიფუნი, რომელიც მიზნისკენ ჯიქურ მიისწრაფვის. კომპრომისები მისთვის არ არსებობს. დაუვიწყარი სკარლეტ ო'ჰარა – აი, ვერძის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი. ეს ის კატეგორიაა, რომლის მრავალი წარმომადგენელი ზურგჩანთამოკიდებული მწვერვალებს ლაშქრავს, ხოლო აკვალანგით – ზღვის სიღრმეებს. ამ ნიშნის ქალბატონებს უყვართ ხმაურიანი თავყრილობები, ეგზოტიკური სანახაობები, ხშირად მისდევენ სპორტს და აქტიური დასვენების მომხრენიც ბრძანდებიან.

თუ თქვენი სატრფო ბობოქარი ვერძია, ეგზოტიკური საჩუქრებით ძალზე ასიამოვნებთ. ეს შეიძლება იყოს მასიური, მთიულურ-დაღესტნური ტიპის სამკაული, სპორტული აქსესუარები. ვერძი უპირატესობას ანიჭებს მძაფრი არომატის, „მამაკაცურ“ სუნამოებს, ამდენად, იისა და ვარდის სურნელი აქ სრულებით უადგილოა.

ლომი ბუნებით დედოფალია. მისი მედიდურობა გემოვნებაზეც აისახება. ძირითადად, აკადემიური სტილის ანტიკვარიატი ხიბლავს. ამ ქალბატონის სიყვარული, ცოტა არ იყოს, ძვირად ღირებული სიამოვნებაა, რამეთუ ზამთარში ბეწვეულით იწონებს თავს, ხოლო სამკაულებში – ბიჟუტერიას ყურადღებას არ აქცევს. ლომის ამაყ შუბლზე დაბადებიდანვე უხილავად ციმციმებს ბრილიანტით მოოჭვილი სამეფო დიადემა.

ალბათ, შეშინდით, მაგრამ შეგვიძლია, დაგამშვიდოთ – თქვენი გულის სწორი, მართალია, პრეტენზიულია, მაგრამ მერკანტილიზმს, ნამდვილად ვერ დავწამებთ; თუ საქმე გაჭირდა, თავი საშინაო ხალათშიც დედოფლური ღირსებით უჭირავს, ამიტომ მოწყალედ მიიღებს ნაკლებად ძვირფას, მაგრამ უზადო გემოვნებით შერჩეულ, ნატიფ (არავითარი ეგზოტიკა!) სამკაულს, მით უმეტეს, თუ შეამჩნია, რომ საგანგებოდ შეუხამეთ მის ახალ კაბას, ან თვალების ფერს – მედიდურ ქალბატონს ამით უკიდურესად ასიამოვნებთ. სუნამოებში უპირატესობას აკადემიურ, თბილ სურნელს ანიჭებს. ასეთია, თუნდაც, ფირმა ლანკომის „პოემა“.

მშვილდოსანი ყველაზე ქალური და მაცდურია „ცეცხლოვან“ ბანოვანთა შორის. ეს არის ტაიფუნი, რომელიც აგიტაცებთ და ვნებათა ქარბუქის ეპიცენტრში გადაგისვრით (გაიხსენეთ დაუვიწყარი კარმენი!). ამ ქალბატონს მოხდენილი, ქალური აქსესუარებით მოხიბლავთ, იქნება ეს კოხტა სამაჯური, გრძელი, ეფექტური საყურე, თუ ორიგინალური თმის სამაგრი. რომანტიკული მოგზაურობაც მისთვის არის მოგონილი. ახალი წლის ღამეს „გაიტაცეთ“ ქალაქგარეთ – ეს ავანტიურა მძაფრ სიამოვნებას მიანიჭებს. ბუნების წიაღში უძღვენით სუნამო „აღმოსავლური“ არომატით, მისი თბილი, შემპარავი არომატი სამიჯნურო ტალღაზე გადართავს. შეარჩიეთ მიხაკის, ამბრის მძაფრი გამა, ან რაიმე „სალვადორ დალის“ სერიიდან – ასეთ შემოტევას ნამდვილად ვერ გაუძლებს; ბოლოს „დამაგვირგვინებელი“ აკორდი – ამბორი და... თქვენია!

(ისე, ჩვენში დარჩეს, და ასეთი სცენარი ნებისმიერ ქალთან ჩინებულად მუშაობს!)

„ჰაეროვანი ლედი“

„ცეცხლოვანი“ ბანოვანი თუ ტაიფუნია, „ჰაერის ასულებზე“ უფრო ხავერდოვანი ბრიზი ითქმის. ცეცხლი ვნებებს აგიზგიზებს, ჰაერი კი, გონებას ემორჩილება. ამდენად, მასთან ხუმრობას არ გირჩევთ, შესანიშნავად იცის, რა უნდა და შემთხვევითობაზე არ დახურდავდება.

„ტყუპი“ – უფრო მეცნიერული ინტელექტისაა. ნივთის ფასს სადღაც მეშვიდე ადგილზე აყენებს, სამაგიეროდ, ორიგინალური საგნები იზიდავს. ეს უნდა იყოს, ანტიკვარი თუ არა, უნიკუმი მაინც. ამდენად, ბრილიანტისთვლიანი მასიური ბაჯაღლოს ბეჭედი, შეიძლება, ვულგარულობაშიც ჩაგითვალოთ და მის თვალში სამუდამოდ მეჯღანუაშვილი დარჩეთ. შეარჩიეთ სადა, მაგრამ მოხდენილი, ელეგანტური სამკაული. ქალური აქსესუარების თანაბრად, კარგი წიგნითაც ასიამოვნებთ. მიართვით, მაგალითად, სპარსუ-

ლი პოეზიის უნიკალური გამოცემა და... ეფექტი გამაოგნებელი იქნება – სიხარულისაგან კისერზე ჩამოგეკიდებათ. არანაკლებ მოხიბლავს ეთნოგრაფიული სუვენირი, თუ ზედ მის ისტორიას, ან მასთან დაკავშირებულ მაგიური რიტუალის აღწერასაც დაურთავთ – „ტყუპი“ ჯეროვნად შეაფასებს თქვენს ინტელექტს და ერუდიციას. სუნამოებიდან, ამ ქალბატონს, თბილი, ყვავილოვანი გამა ხიბლავს. შროშანის, ჟასმინის, იასამნის, აკაციის არომატი ყველაზე მეტად შეეფერება მის ბუნებას.

„მერწყული“ ბევრ რამეში ენათესავება „ტყუპს“, მაგრამ უფრო მოწესრიგებული და მიზანმიმართულია. ამდენად, შეგიძლიათ, ზემოხსენებული რეკომენდაციებით იხელმძღვანელოთ. სუნამოებში „აღმოსავლური“ გამა იზიდავს ლავანდის, ამბრის, მიხაკის ან წითელი ვარდის გამაბრუებელი სურნელით.

„სასწორი“ ყველაზე ნაზი და ქალურია „ჰაერის ასულთა“ შორის; ალბათ, იმიტომ, რომ ვენერა მფარველობს. მის შემთხვევაში პრიორიტეტულია პარფიუმერია, კოსმეტიკა, ბიჟუტერია, სამკაულები. ძალზე გაახარებს კოხტა, მოხდენილი აქსესუარები: მომინანქრებული ჯიბის სარკე, ლამაზი საპუდრე, ნესესერი, კოპწია კოსმეტიკური ჩანთა და მისთანანი. სუნამო ნაზი, ყვავილოვანი გამიდან შეურჩიეთ – ტყუპის რეკომენდაციები ამ შემთხვევაშიც გამოგადგებათ. ანდა, თუ გსურთ „ათიანში გაარტყათ“, ნუღარ იმკითხავებთ და მიუძღვენით „შანელი №5“.

„წყლის ალქაჯი“

„წყლის ასულთა“ მაგიური ხიბლი ლოგიკას არ ექვემდებარება. ყველაზე მეტი საბედისწერო ქალი უნდა ვეძიოთ სწორედ წყლის სტიქიაში, რომელიც ხალხურმა ფანტაზიამ სირინოზებითა და ქალთევზებით დაასახლა. ხსენებული ბანოვანნი მშვენიერი სიმღერით აჰიპნოზებდნენ და სიღრმეში ითრევდნენ მამაკაცებს (გავიხსენოთ, თუნდაც, ჰაინეს ლორელაი). წყლის მაცდურის მისტიკური ინტუიცია ფსიქოლოგიური რენტგენივით მოქმედებს. იმისი იმედი ნუ გექნებათ, რომ ვერ შეამჩნევს, ან არ გამოიყენებს თქვენს სისუსტეებს.

„კირჩხიბი“ ყველაზე უწყინარია „წყლის მტაცებელთა“ შორის და მისი გულის მოგებაც, შედარებით, ადვილია. უყვარს ნაკლებად მყვირალა, ელეგანტური ნივთები, ეგზოტიკა კი, ამ შემთხვევაში, სრულებით უადგილოა. მისი იდეალი ოჯახია. ამდენად, საოჯახო სუვენირებითაც ასიამოვნებთ. ძალზე ხიბლავს ბროლისა და მინის ნატიფი ნაკეთობანი, ფაიფურის ფილიგრანული ჭურჭელი და სხვა. სუნამოებში „მოტკბო“ გამა აჯობებს. ასეთია „ანაისი“ და „ლუჟარდინი“.

„თევზები“ ზღაპრული ქალთევზას რეალური ეკვივალენტია. მამაკაცის „ჩათრევა“ მისი ჰობია; ხშირად გითრევთ მხოლოდ „სპორტული“ ინტერესით და არა იმიტომ, რომ ნამდვილად სჭირდებით. შეეცადეთ, ისიც ჩაითრიოთ, თორემ ფსკერზე აღმოჩნდებით. ის კი, თქვენი ნაჩუქარი სამკაულით დამშვენებული, მორიგ მსხვერპლს დაუდარაჯდება. საბოლოოდ, ოჯახში პოვებს სიმშვიდეს, თუმცა, პროფილაქტიკისთვის, მეუღლესაც დროდადრო „აყურყუმალავებს“. საჩუქრის შერჩევისას „კირჩხიბის“ ყველა კანონზომიერება ძალაშია, მაგრამ არომატებში უპირატესობას ნაზ გამას ანიჭებს. „კრისტიან დიორის“ სერიიდან მისთვის მოსაწონ სუნამოს ადვილად შეარჩევთ.

„ჯრიანკალი“ ყველაზე რთული შემთხვევაა. ეს არის ტახტის მაძიებელი, რომელსაც მხოლოდ იმპერატორის ტიარა თუ დააკმაყოფილებს. დარწმუნებული იყავით, ვერ აიტანს სხვის პრიორიტეტს ვერაფერში – იქნება ეს პროფესიული სფერო, სახლის დიასახლისობა, თუ მამაკაცის „ყურებით დაჭერა“. ეს ის შემთხვევაა, როდესაც „ლომი“ მეტოქეობის ფაქტს აღიარებს, ხოლო „თევზი“ მართლა თევზივით მუნჯდება, თორემ ფხებიანად შესანსლავენ. ხელმოჭერილობა თუ შეგატყოთ, ახლოსაც აღარ გაგიკარებთ. თუ ფინანსები მაინცდამაინც ხელს არ გიწყობთ, რაიმე მახვილგონივრული გადაწყვეტილება ეძიეთ. „მეტეხი-პალასს“ შეცვლის ინტიმური „კაფე-ბარი“, ეგზოტიკური ინტერიერით და სანიმუშო მომსახურებით, სადაც საკუთარი მანქანა თუ არ გყავთ, გამოძახებული ტაქსით წააბრძანეთ. მიართვით ეგზოტიკური სუვენირი; აღმოსავლური მოტივები, ამ შემთხვევებში, ზედგამოჭრილია. არომატებში მისტიკური გამა ხიბლავს. ასეთია „ოპიუმი“ და „შავი მაგია“.

„ადგილის დედა“

„მიწის ასულნი“ ყველაზე ჰარმონიულნი არიან, თავის ჯიქურად შემტევ, მეტისმეტად ინტელექტუალურ და ზედმეტად ამბიციურ დებს შორის. სწორედ მათზეა ნათქვამი – საოჯახო კერის მფარველიაო.

„ქალწული“ – დიასახლისობისთვის არის დაბადებული, „თხის რქა“ – ყველაზე მოწესრიგებული და პუნქტუალურია, ხოლო კურო – ძალზე თბილი და მგრძნობიარე. სამივე ნიშანს სიამოვნებს, როდესაც საყოფაცხოვრებო აქსესუარებს უძღვნიან. იგულისხმება სერვიზები, დანების ნაკრები, სუვენირული ქვაბები, არამსხვრევადი ჭურჭელი. პრაქტიკულობა – მთავარი კრიტერიუმია ამ მანდილოსანთათვის, რომლებიც მიწაზე მყარად დგანან და ზეცისკენ თვალების ცეცება ნაკლებად უყვართ. კურო, უაღრესად შემოქმედებითი ნატურაა. ხშირად ბრწყინვალედ ეხერხება ხელსაქმე და სიხარულისგან ცას ეწევა, თუ დეფიციტურ საქსოვ ძაფს, ან პაწია მძივებს მიართმევთ. სამივე ბანოვანს უყვარს სამკაული: ქალწულს – სადა, უპრეტენზიო, თხის რქას – კლასიკურ სტილში, კუროს შემთხვევაში დასაშვებია ეგზოტიკური მოტივები. სუნამოებში ქალწულს თბილი, მოტკბო გამა შეშვენის, თხის რქას – აკადემიური სურნელი, ხოლო ვნებიანი კურო ჭკუას კარგავს აღმოსავლური ტიპის არომატებზე – „ათას ერთი ღამიდან“ კარგად ცნობილი ჯავზისა და ამბრის სურნელი მისთვის ზედგამოჭრილია.

ამ რეკომენდაციების გულისყურით გააზრება და შემოქმედებითი გამოყენება შედეგს აუცილებლად გამოიღებს და სიყვარულის გაზაფხული (ან ცხელი ზაფხული – გემოვნების და სიტუაციის მიხედვით!) ზამთარშივე დაგებედებათ. ■

ერთხელ მოხუც „მეჭურჭლეთუხუცესს“ შინ ბრძანება მიუტანეს, რომელშიც ეწერა, რომ ის გათავისუფლებული იყო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტიდან, სალექციო საათების უკმარისობის გამო. ექვთიმეს არ გაჰკვირვებია. ალბათ ელოდა კიდეც ამ გადაწყვეტილებას კომუნისტებისაგან. დაუჩივლია კიდეც ახლობლებთან: „ეს უკანასკნელი იმედიც წამერთვა ხალხში გასვლის. უნივერსიტეტი დავაფუძნეთ, კარი-კარ დავდიოდით, რომ მოწყალება გაეღოთ უნივერსიტეტის მშენებლობისათვის და დღეს კი... ალბათ, ჩემი აღსასრულის დრო დადგა და იმიტომ დამითხოვეს.“

საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი

ლელა ჯიყამვილი

ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში 1863 წლის 5 ივნისს აზნაურ სიმონ ნიკოლოზის ძე თაყაიშვილსა და ნინო გიტოს ასულ ნაკაშიძეს ვაჟი შეეძინათ. ახალშობილის მოვლინებას ჩვეული ყიჟინა არ მოჰყოლია, არც თოფი გაუსვრია ვინმეს, არც მრავალჟამიერი დაუგუგუნებია... იმავე სახლში მომაკვდავი იწვა ბავშვის მამა და იმიტომ. სიმონ თაყაიშვილმა მართლაც რამდენიმე დღეღა იცოცხლა პატარა ექვთიმეს დაბადების შემდეგ...

არც დედის სითბოთი გარემოცვა ეწერა დიდხანს ექვთიმე თაყაიშვილს. 5 წლისა უკვე ორივე მშობლით დაობლებული, თავის დედმამიშვილებთან ერთად ბედისა და ახლო ნათესავების ამარა დარჩა. თვითონ გაუხსენებია ერთხელ: „ხუთი წლის ვყოფილვარ, რომ დედის გვერდიდან ავუყვანივარ ბებიას. დედა გარდაცვლილიყო და მე კი ისიც არ ვიცოდი, რას ნიშნავდა სიკვდილი. უფრო ის დამამახსოვრდა, რომ ტიროდნენ და ამბობდნენ: რა ეშველებათ ობლებსო!“

ამ ტრაგედიის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი თავის მაკა ბებიასთან და მაკა მამიდასთან იზრდებოდა. პატარას სიყვარულსა და მზრუნველობას არ აკლებდა დიდედა: „არავისგან ისეთი მოფერება, ალერსი და მზრუნველობა არ მახსოვს, როგორიც ამ ბებიასაგან“, — ამბობდა უკვე სახელგანთქმული მეცნიერი. ხშირად ღამით ზღაპრებს უამბობდა და წიგნს უკითხავდა შვილიშვილს საჯავახოელი შარაშიძის ასული — მაკა. თვითონ მრავალ საქმეში გაწაფულმა, „აქიმობაში“ გარკვეულმა, „ვეფხისტყაოსანიც“ ზეპირად იცოდა, თურმე“... ავადმყოფობისაგან ლოგინად ჩავარდნილი მაკა ბებია მის ბიძაშვილს, ვარდან შარაშიძეს რომ მოუნახულებია, მისთვის რუსთაველის პოემის ნაწყვეტი წაუკითხავს. როცა ვარდანმა ერთი სიტყვა განგებ შეცვალა ტექსტში, სულთმობრძავმა მაკამ თვალი გაახილა: სტყუი, სტყუი!.. მანდ შენ ხარ?.. „მისი წილი“ კი არა, „მისი ეტლი“ წერიაო...

დაობლებულ, თანაც ნაბოლარა ყმაწვილს, ბებიას გარდა, სხვა ნათესავებიც დიდი ზრუნვით ეპყრობოდნენ. მაინც ახერხებდა პატარა ექვთიმე ცელქობას. პირველი, ყველაზე დიდი მარცხი ჯერ კიდევ დედის სიცოცხლეში მოუვიდა. თვითონვე იხსენებდა: „სამი წლისა ხეზე გავსულვარ, გადმოვვარდნილვარ და მარჯვენა ფეხი მომიტეხია. მე არ მახსოვს ეს ამბავი: მახსოვს მხოლოდ, თუ ერთ ღამეს როგორ ამომივარდა მოტეხილი წვივის ძვალი“. ეს ნაიარევი ფეხი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჯოხით სიარულს აიძულებდა ექვთიმე თაყაიშვილს. როცა ბავშვებში თამაშისას ვინმეს გააჯავრებდა შემთხვევით, ყმაწვილები ხშირად ამ ფიზიკურ ნაკლს წამოაძახებდნენ ხოლმე. ალბათ ძალიან სტკიოდა გული ამის გამო ექვთიმეს. წლების შემდეგ ხომ გაიხსენა კიდეც: კოჭლაბუხას მეძახდნენო.

პატარაობისას, ძირითადად, ლიხაურში იზრდებოდა. მისი ნათესავები — თავად ნაკაშიძის, აზნაურ თაყაიშვილის ოჯახები საკმაოდ შეძლებულები იყვნენ. ხშირად დადიოდა სტუმრად მათთან. ობლობის სიმწარე, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სხვა იყო! აი, შვიდი წელიც შეუსრულდა და ოზურგეთის სასწავლებელში შეიყვანეს ნათესავებმა. კაცი, რომელიც მომავალში მთელი საქართველოს საგანძურის მფარველი და დამცველი გახდებოდა, პირველად სასწავლებელში წასასვლელად გამოაწყვეს: „მამიდა მაკამ შემიკერა ახალუხი და სკალატის (მაუდის) ჩოხა; მიყიდეს წუღები (მანამდის ფეხშიშველი დავდიოდი). ჩოხას ჩვეულებრივი საქილეები არ გაუკეთეს. მე, ამის ჩამცმელს, დიაკვანს მეძახდნენ. ეს იყო ბავშვობაში პირველი და უკანასკნელი ხეირიანი ჩაცმა ჩემი: შემდეგ ზამთარზაფხულ პარუსინის ბლუზის მეტი არა მცმია რა“.

კოჭლობის მიუხედავად, საოცრად სწრაფი და ონავარი ბავშვი, გონებაგახსნილი და ნიჭიერი მოწაფე იყო. აქ ორი წელი ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად სწავლობდა ნიკო მარიც. შემდეგ ფოთში სამაზრო სასწავლებელში ჩარიცხეს. სამიკიტნოს უკანა ოთახში ცხოვრობდა სხვა 3 მოწაფესთან ერთად. ხშირად მეცადინეობაში ხელი ეშლებოდა, მაგრამ ბეჯითად მიიწევდა დასახული მიზნისკენ.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გიმნაზიაში უნდოდა სწავლის გაგრძელება. 1876 წელს, ძლიერ ცივი ზამთრის დღეს ძმას — ნიკო თაყაიშვილს დიდი ხვეწნითა და მუდარით, 100 მანეთი საჩუქრით (რომელიც ექვთიმემ მეურვეს მიაცემინა თავისი წილი მემკვიდრეობიდან ძმისთვის, ოღონდ კი მას ქუთაისში წაეყვანა) გადაუწყვეტინა, ქუთაისამდე ჩაეყვანა. ექვთიმეს მხოლოდ წაღები და პარუსინის ბლუზა ეცვა, „არავის გახსენებია ჩემთვის საზამთრო ტანისამოსის გამზადება“. იმ დღეს ჩოხატაურს ვერ გასცილებიან... ნიკო ჩინოსან ერისთავთან მისულა სტუმრად. ექვთიმე კი, შიშველ-ტიტველი, მგზავრთა უცეცხლო და ულოგინო თავშესაფარში დარჩა.

ქუთაისში ჩასული ექვთიმე იქ დაბინავებულა, სადაც „უჩებნაია კომანდა“ იდგა. ნიკო თავის ოთახში შესულა, მისთვის კი ყაზარმაში მიუჩენიათ ბინა. წიგნს მაინც არ ღალატობდა, რეპეტიტორობდა, ცოდნას იღრმავებდა.

გიმნაზიაში გამოცდები ჩააბარა, ჩარიცხეს პროგიმნაზიის მეორე კლასში და არა მესამეში (ლათინური ენის ცოდნა დაუწუნეს). მეორე კლასიდანაც დაითხოვეს გადასახადის ვერშეტანის გამო. დიასახლისთან დარდიანი დაბრუნებულა. როცა მიზეზი უთქვამს, გულკეთილ ქალს გაუხსნია დანაზოგის ყულაბა და შიგ 6 მანეთზე მეტი ძველი და ახალი ქართული და რუსული ლითონის ფული ყოფილა. გადასახადი სულ 6 მანეთი იყო და

გახარებულმა მოწაფემ ეს ფული ინსპექტორს მიუტანა. განცვიფრებულა გიმნაზიის მოხელე: სად იშოვე ნუმიზმატიკის ეს კოლექციაო?!.. შემდეგ შესცოდებია ობოლი და უფულო ექვთიმე და 8 მანეთი დახმარება დაუნიშნავს. 1883 წ. ქუთაისის კლასიკური გიმნაზია ვერცხლის მედლით დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე მოეწყო.

მთელი სიცოცხლე მამულიშვილურ საქმიანობას მიუძღვნა. პედაგოგად მუშაობდა, მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა.

1895 წ. შეერთო თბილისელი იურისტის ივანე პოლტორაცკის ქალიშვილი – ნინო. ამ მშვენიერ ასულზე ექვთიმეს მეგობარს – ლუარსაბ ანდრონიკაშვილსაც ეჭირა თვალი. თურმე შემდეგ ხშირად შეახსენებდა ხოლმე ლუარსაბი: ბატონო ექვთიმე, თავშივე მაჯობეო... ნინოს არანაკლები ღვაწლი მიუძღვის ქართული საგანძურის ხელუხლებლად დაბრუნებაში.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს მუზეუმების კომიტეტისა და ქართული დრამატული საზოგადოების წევრი. 1894 წელს აურჩევიათ პეტერბურგის რუსული არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრად, 1901 წლიდან კი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპოდენტად.

1889 წ. მან და დ. ბაქრაძემ დააფუძნეს „საქართველოს საეგზარქოსო მუზეუმი“, ხოლო 1907 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ეს მაშინ დიდ გამბედაობას მოითხოვდა. მისივე შეწირულობებით დაიწყო ნუმიზმატური კოლექციის შედგენაც. შემდეგ კი „თბილისის სახალხო უნივერსიტეტი“ დააარსა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ მენშევიკური მთავრობა საფრანგეთში გაიქცა და თან გაიყოლა სებანკო ვალუტა, ჩვენი ისტორიისა და კულტურის სამუზეუმო განძეულობა, ხელნაწერები... მათ მცველად გაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ. სულ 249 ყუთი იყო გატანილი. აქედან გამოიყო 39 ყუთი ეროვნული განძეულობით და ჩაბარდა საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას. დანარჩენი ზურაბ ავალიშვილმა და იოსებ ელიგულაშვილმა მოათავსეს პარიზის ბანკ „გარდმებლში“. 1921-24 წლებში საგანგებო კომისიის მიერ „სარეალიზაციოდ“ მიჩნეული 128 ყუთის „სებანკო ვერცხლეულობა“ გადაუტანიათ და გაუყიდიათ 1.200.000 მანეთად. 1922 წ. თანხის ნაწილით შეუძენიათ მამული და სახლი ლევილში. ამ სახლის მეორე სართულზე 2 ოთახი მიუჩინეს ექვთიმე თაყაიშვილსა და მის მეუღლეს. ამავე ოთახებში დაუწყვიათ 15 ყუთი საეკლესიო ნივთებითა და არქეოლოგიური მასალებით. კედლებზე 7 ყუთით მიტანილი 91 სურათი დაუკიდიათ.

უკიდურეს გაჭირვებასა და შიმშილში მყოფი მამულიშვილი საკუთარი ჯანმრთელობისა და დიდი ენერგიის ფასად იცავდა განძის თითოეულ მისხალს. იყო დრო, როცა ზედიზედ 4 ან 6 დღე სადილს ვერ ჭამდნენ ექვთიმე და მისი მეუღლე, სხვადასხვა ცნობილი მუზეუმები კი დაჟინებით სთხოვდნენ ნივთების გამოფენის უფლებას დიდი ანაზღაურების გარანტიით. შეუვალი და შეუპოვარი ექვთიმე თაყაიშვილი არანაირ ცდუნებას არ აჰყოლია. ეს ყუთები სამშობლოში წაღებამდე მხოლოდ ერთხელ გახსნილა: როცა ვიღაცის მიერ დასმენილი ექვთიმე გაჩხრიკა განძის მაძებარმა სამმა ნაცისტმა. „სათავისო“ ოქრო იქ ვერ უნახავთ და თავი დაუნებებიათ.

უცხოელთა გარდა, განძეულს შინაურნიც მტრობდნენ. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ასულმა სალომე მინგრელსკაია-ობოლენსკაიამ 1934 წ. მიმართა პარიზის სასამართლოს – განძის დიდი ნაწილის ერთადერთი მფლობელი მე ვარო. 7 წელი იცავდა ამ ასულისგან თავს ექვთიმე. ბოლოს ობოლენსკაიამ სარჩელი წააგო. სასამართლომ კი განაჩენი გამოიტანა: „მენშევიკების მთავრობა აღარ არსებობს. განძი უპატრონოა“. ახლა იმის მტკიცება მოუხდა: განძი მთავრობას კი არა, ქართველ ხალხს ეკუთვნისო. 1935 წელს ყოფილმა მთავრობამ იმის საბუთი მისცა, რომ თავად უარს აცხადებს განძეულის მეურვეობაზე და მის დაცვას ე. თაყაიშვილს ანდობს. სამშობლოს საგანძურზე გადაფოფრილი მამულიშვილი გაჭირვების გამო იძულებული იყო, თხა ეყიდა. თვითონვე აძოვებდა და წველიდა. „წველის დროს ჯანმრთელი ფეხი თხის თოკზე მედგა. დაიძრა თხა, წამაქცია და შევძახე: მლუპავ, ჩემო მარჩენალო, ფეხს მტეხო!“

1931 წელს გარდაიცვალა ნინო. ექვთიმე თაყაიშვილის გაუნელებელ ტკივილად დარჩა ბოლომდე, რომ მისი მეუღლე საფრანგეთის მიწაში განისვენებდა და საქართველოში მისი ჩამოსვენება მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა.

სასოებით შენახული საქართველოს განძი, როგორც იქნა, სამშობლოში დაბრუნა. უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისაგან ეს საქციელი ზოგმა მოხუცის ახირებად მიიჩნია, ზოგმაც ცოლის საფლავთან სამუდამო განშორების სიმძიმილის გამოხატულებად. როცა თვითონ ექვთიმეს ჰკითხეს მიზეზი, მორიდებითა და სიმწრით აღიარა: „წარსდგა მშიერი და ვერა ტიტუელი“. ერისკაცს საზოგადოებაში გამოსაჩენი ერთი კოსტიუმიც კი არ აღმოაჩნდა. საელჩოშიც მხოლოდ მაშინ გაიგეს, რომ დიდი განძის თავგანწირული დარაჯი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა... მოხუცს აღუთქვეს ტანსაცმლის შეძენა და გზად შეუსრულეს კიდეც ეს პირობა.

თბილისში დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი ვერაზე, ვაშლოვანის №6-ში ცხოვრობდა. მისი ოთახი სულ 16-17 კვ. მეტრი თუ იქნებოდა... მის გვერდით ცხოვრობდნენ მისი მეუღლის – პოლტორაცკების ნათესავები... აქ, უნივერსიტეტში მოღვაწეობდა ღვაწლმოსილი მეცნიერი, სანამ ის ავადსახსენებელი ბრძანება არ მოუტანეს, რომელმაც ათქმევინა: ალბათ, ჩემი აღსასრულის დრო დადგა და იმიტომ დამითხოვესო...

1953 წ. 21 თებერვალს გარდაიცვალა ღრმად მოხუცი. მის ნეშტს სულ 50 კაცი თუ მიაცილებდა. გიორგი ჯიბლაძეს – მაშინდელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს – გაოცებულს უკითხავს: „ეს რა ხდება, რატომაა ასე ცოტა ხალხი, სადაა ქართველი ინტელიგენცია?“ „ქართველი ინტელიგენცია მხოლოდ ეს ხალხია“, – უპასუხია შალვა ნუცუბიძეს სინანულით... ჩვეულებრივი სატვირთო მანქანით მიასვენებდნენ ნეშტს. უნივერსიტეტის შენობიდან არავინ გამოსულა გამოსამშვიდობებლად, როცა პროცესიამ ჩაიარა. ნაბრძანები იყო – მანქანა არ შეეჩერებინათ, თითქოს მკვდრისაც კი შეეშინდათ, თვალი ვერ გაუსწორეს...

ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი (მარცხნივ)

XXI საუკუნის ამერიკელი მსახიობი

რენი ზელვეგერი

რენი ზელვეგერისა და ჯიმ ქერის რომანი ჰოლივუდში სეზონის სენსაციად იქცა, მათმა ერთობლივმა ფილმმა — „მე, ისევ მე და ირენი“ კი, საშემოსავლო რეკორდი დაამყარა. ტეხასელი უბრალო გოგონა უეცრად ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მსახიობთა რიგში აღმოჩნდა. დღეს მას „XXI საუკუნის მსახიობად“ მოიხსენიებენ.

რენი ზელვეგერი არ ჰგავს ვარსკვლავს, თუმცა საოცარი ღიმილი, მოდელის აღნაგობა და ულამაზესი თმა აქვს. მაგრამ ეს ყველაფერი ბუნების წყალობაა. რენის არ უვარჯიშია ტრენაჟორებზე, არ დაუცავს დიეტა და არ უვლია კოსმეტოლოგთან — ამით ის სხვა კინოვარსკვლავებისგან მკვეთრად განსხვავდება.

წლების მანძილზე ის მონაწილეობდა ფილმებში, რომლებიც თავად აინტერესებდა. უმეტეს შემთხვევებში, ეს მცირებიუჯეტიანი სურათებია, თუმცა ხანდახან ჰიტებშიც მიუღია მონაწილეობა — მაგალითად, „ჯერი მაგუაიერში“ და ფილმში — „მე, ისევ მე და ირენი“.

ამ სურათის სცენარის კითხვისას რენი ისტერიკულად ხარხარებდა, მეორე დღეს კი სინჯებზე წავიდა და როლიც მიიღო.

„ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ რენი ნამდვილი ირენი იყო, — იხსენებს რეჟისორი პიტერ ფარელი. — რომელ ჩვენგანს არ განუცდია უიღბლო სიყვარული?! მაგრამ ამის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, ხვდები ქალს, რომელიც ყველა სულიერ ტკივილს დაგიამებს. სწორედ ეს ქალია ირენი, იგივე რენი“.

ჯიმ ქერიმ ორი მძიმე გაყრის პროცესი გადაიტანა, რამაც მისი შემოსავლების დიდი ნაწილი „შთანთქა“. გადაღებების წინ სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაგრამ ერთ დღეში რენის მომხიბლაობამ დაატყვევა, გადაღებების ბოლოს კი 37 წლის კერი და 30 წლის რენი სეზონის ყველაზე პოპულარული წყვილი გახდა.

„ჩვენ ერთმანეთს პირველივე სიტყვიდან გავუგეთ, — აღნიშნავს რენი, — ძალიან მხიარულად ვმუშაობდით ერთად, მთელი დღეები ვიცინოდით. ჯიმი ყველაზე სათნო, სასაცილო და კეთილი ადამიანია მთელ ქვეყანაზე“.

თვით ჯიმ ქერის საკმარისად აქვს მიღებული მწარე გამოცდილება, ამიტომ კატეგორიულად ამბობს უარს თავისი ახალი რომანის შესახებ საუბარზე, თუმცა ცნობილია, რომ გადაღებების შემდეგ რენი მასთან გადავიდა საცხოვრებლად. ცოტა ხნის წინ კი ქერიმ თავის სატრფოს ბეჭედი უძღვნა, რომელსაც უზარმაზარი ბრილიანტის თვალი ამშვენებს.

რენი სიცილით აღნიშნავს, რომ ეს ბეჭედი „მეგობრობის და სიმპათიის სიმბოლოა და მეტი არაფერი“. ის ამასთანავე აღნიშნავს, რომ აქამდე არასოდეს უფიქრია გათხოვებაზე. „მე ნაკლებად მაღელვებს ჩვენი ურთიერთობის ქაღალდზე გაფორმება“. მთელი ჰოლივუდი კი დარწმუნებულია, რომ რენი და ჯიმი დაინიშნნენ და ყველა მოუთმენლად ელის ქორწილს, თუმცა შეიძლება ეს სავსებით მოულოდნელად მოხდეს, რადგან წყვილს ძალიან უყვარს სიურპრიზები.

რენი ემიგრანტების შვილია. ის თავს არა უბრალო ამერიკელად, არამედ ტეხასის მკვიდრად თვლის. ტეხასი კი კოვბოური შტატია და მოუხეშავი ადათ-წესებით გამოირჩევა, რენის უყვარს ქანთრის სტილის მუსიკა, ბუნების წიაღში ხეტიალი და პიკნიკები. ის ამბობს, რომ ხშირად ბრუნდება შინ, რათა ხელახლა დაიმუხტოს — ჰოლივუდი ხომ სწრაფად შთანთქავს მთელ მის ენერგიასა და ძალას.

რენის განსაკუთრებით უყვარს ტეხასის დედაქალაქი — ოსტინი. მას იქ ბევრი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი ჰყავს, სამსახიობო კარიერის შექმნაც იქ



დაიწყო, ტეხასის უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლისას ის სტუდენტური თეატრის დადგმებში მონაწილეობდა. ამას მოჰყვა ადგილობრივ სარეკლამო რგოლებში გადაღება, შემდეგ ადგილობრივი წარმოების სამი ფილმი. ამის შემდეგ რენი ჰოლივუდში გაემგზავრა.

მშობლებს არ გაუწევიათ წინააღმდეგობა შვილის გატაცებისთვის – იცოდნენ, რომ რენი გადაწყვეტილებას არ შეიცვლიდა. ერთადერთი, რაც გოგონას მშობლებმა ბავშვობიდან ჩაუნერგეს, ცხოვრებაზე ევროპული შეხედულებაა, რომლის მიხედვითაც ფული და კარიერა სულაც არ არის მთავარი.

რენის მშობლები ამერიკაში 60-იანი წლების დასაწყისში გადავიდნენ საცხოვრებლად. მამა შვეიცარიელია, დედა ნორვეგიელი. ისინი იმ პერიოდში ჰიპური იდეებით და „თავისუფალი სიყვარულით“ იყვნენ გატაცებულნი. რენის მშობლების სიყვარულმა ცხოვრების მიერ მოწყობილ გამოცდებს გაუძლო, ბავშვების დაბადების შემდეგ კი ჰიპურ ცხოვრებასაც წერტილი დაესვა. მამა ინჟინერი გახდა, დედა კი – ექთანი.

რენი და მისი ძმა ოსტინის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქში აღიზარდნენ. მშობლები მათ არ უშვებდნენ კინოში, არ ჰქონდათ ტელევიზორი, თავისუფალ დროს წიგნებს კითხულობდნენ ან ბუნების წიაღში თამაშობდნენ. რენის საყვარელი გმირი ტომ სოიერი იყო, მის მსგავსად იგი საათობით იწვა ქუჩაში, მტვერში და ღრუბლების ცქერით ტკბებოდა. ქუჩის ყველა ბიჭი გოგონას „თავისიანად“ მიიჩნევდა.

დადგა დრო, როცა მშობლიური სახლიდან რენი ოსტინში, კოლეჯში სასწავლებლად უნდა გამგზავრებულიყო. 16 წლის პროვინციელი გოგონა მძიმედ ეგუებოდა ცივილიზაციას. როცა რენიმ პირველად დაიწყო კოსმეტიკის ხმარება, მასწავლებლები შოკში ვარდებოდნენ, რადგან ის კლეოპატრას მსგავს მაკიაჟს იკეთებდა. კინოში პირველად წასვლის შემდეგ რენი საეკრანო ხელოვნების სამუდამო ტყვე გახდა.

იმ დროს რენის აზრად არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა კინო მისი პროფესია გამხდარიყო. უნივერსიტეტში სწავლისას ის დრამის ხელოვნების კურსებზე იმიტომ ჩაეწერა, რომ უთხრეს – იქ სწავლა ძალიან საინტერესო იქნებაო. ცოტა ხანში მასწავლებელმა არაერთხელ აღნიშნა გოგონას ბუნებრივი შესაძლებლობები.

მას ახლაც უნდა, იყოს მსახიობი – და არა ვარსკვლავი. ახლახან ამერიკის ეკრანებზე გამოვიდა „შავი კომედიის“ ჟანრის ფილმი „დაიკო ბეტი“. აქ რენი მოსულელო, ბრიყვი ოფიციანტის როლს ასრულებს, რომელიც გაუგებრობის შედეგად დაქირავებული მკვლელების სამიზნე ხდება.

ამჟამად რენის იღებენ ფილმში – „ბრიჯეტ ჯონსის დღიური“. მისი გმირი უშნო, დაკომპლექსებული ინგლისელია, რომელიც ბევრ მარცხს განიცდის პირად ცხოვრებაში. რამდენადაც არ უნდა ეცადოს რენი, იყოს უშნო და ნაკლებმიმზიდველი, ის „მთელი ამერიკის საყვარელ გოგონად“ რჩება, უფრო სწორად რომ ვთქვათ – „XXI საუკუნის მთელი ამერიკის საყვარელი გოგონას ნიმუშად“.

■

გაუგებრობა

მეტროში, ბაქანზე ერთი მსუქანა და ოფლად გახვითქული კაცი იდგა. საახალწლო ხორაგით გატენილ ჩანთებში იგი ძირმსხვილ პალმასავით ამოზრდილიყო. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და წამდაუწუმ, უშველებელი ცხვირსახოცით იწმენდდა ოფლიან შუბლს.

ბაქანი ნელა-ნელა ხალხით შეივსო. ყაყანმა და რია-რიამ იმატა. „უჰ, რამ ჩამომიყვანა მეტროში... ათრიე ახლა მარტომ ამხელა ჩანთები... არა, ზემოთაც რა აბრუნდება, თუ კაცი ხარ... — ფიქრობდა მსუქანა და ოფლად გახვითქული, — თან, ამ „მარშრუტკებსაც“ უნდა ელრიჭინო — დაიწყებენ, რა ამბავია ამდენი ჩანთაო...“ მატარებელი ივვიანებდა. ხალხმა და რია-რიამ კიდევ უფრო იმატა. ბაქანზე ერთი გამწლიკული, ტყავის კეპიან-ქურთუკიანი ბიჭი შემოვიდა. ბევრი არაფერი, ერთი ტყავის ქურთუკიანი თბილისელი უნდა ყოფილიყო — შეიძლება ქუთაისელი, ან ხობელი. რას გაიგებ. მხრებში აწურულმა ტყავის ქურთუკიანმა გარემო იმ მელასავით დაზვერა, საქათმეში შეპარვას რომ აპირებს. მსუქანა და ოფლში გახვითქული თვალში მოუვიდა. „ნავაჭრით არის, ბევრი აღარაფერი ექნება... „ზატო“, იოლი სამუშაო ჩანს... გაიფიქრა მეესეულად და მსუქანას მიუახლოვდა. ასეთ საქმეებზე მარტო არ დადიან. სანამ ტყავის ქურთუკიანი მოდელიერ-დიზაინერივით ათვალიერებდა მსუქანას სამოსელს — უფრო კი, ჯიბეებს, — მეორე მხრიდან მომლოდინე მგზავრებს შორის დაახლოებით ისეთივე გარეგნობის კეპიან-ქურთუკიანი ამოისვეტა (რატომღაც, ეს ხალხი ერთმანეთს ჰგავს ხოლმე), ჯიბიდან უშველებელი, დაჭმუჭვნილი პარკი დაადრო და მის უთავბოლოდ კეცვა-სწორებას შეუდგა. პარკი უსიამოდ ჭრაჭუნებდა — მგზავრთა, მათ შორის მსუქანას ყურადღებას იპყრობდა და უფრთხობდა.

— რას შვრები, შენ, კაცო! უყურე ამას! ვის უბედავ შენ! ამოიღე ჯიბიდან ხელი! — სულ ცოტა ხანში გაისმა ახვნეშებულ-ამოძრავებული მსუქანას და გახვითქულის საყვედურნარევი მუქარა თუ მუქარანარევი საყვედურები.

— რა გაყვირებს შენ, თუ იცი?! — არ დაბნეულა კეპიან-ქურთუკიანი. აშკარად, ქუთაისურად რომ უქცევდა. — გპარავ, შე კაცო, ძალით ხომ არ გართმევ! — არ შემიყარა ქვეყანა?!

მსუქანა, ცოტა არ იყოს, დაიბნა:

— მერე, მოპარვა რა კაცობაა. თუ გიჭირს, გეთხოვა მაინც — იქნებ, გაძლევდი...

— ჰო, კაი აპა. მიჭირს და მომეცი. — მორჩილად გადგა განზე კეპიან-ქურთუკიანი. ამან ჩვენი მსუქანა სულ მთლად გამოაშტერა — თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და თავგზაარეული რაღაცას ლუღლუღებდა.

— კაცო, ვერ გევიგე შენი ვერაფერი — გპარავ, არ მოგწონს, გთხოვ, არ იძლევი, წართმევა შენ არ გინდა და რა ვქნათ ახლა, ვიდგეთ ასე?

გარს შემოჯარულ გამვლელებში სიცილი ატყდა... არსად ჩანდა ამ სიტუაციისთვის დამახასიათებელი გაღიზიანება.

თახთახით იცინოდა ოფლში გახვითქულიც. — იცინოდა კეპიან-ქურთუკიანიც — რომელიც ჰპარავდა და ისიც, „დაფარვას“ რომ უკეთებდა პარკის ჭრაჭუნით.

— შენ რა გითხარი, კაცო. ახალი წელი მოდის — აჰა, ალალი იყოს... ამოიღო მსუქანამ ხუთლარიანი. მეტი არ მაქვს, ბიძიკო. მაგის დახურდავება რომ არ მინდოდა, იმიტომ ჩამოვედი მეტროში. კი ვიქნებოდი ღირსი, რომ ამოგეცლია...

სიყვარული

უცნაური სევდა მოეძალა. საერთოდ, ვერანაირ საახალწლო-საზეიმო განწყობას ვერ გრძნობდა. პირიქით, ათასი პრობლემა ჰქონდა — ბაზარი, „წაიღე-მოიტანე“... აბა, რა უნდა გახარებოდა? იქნებ, ორი დღით „ნაჩუქარი“ უწყვეტი ელექტრობა? ამასაც რა თავში იხლიდა — უკვე ერთი თვე იყო, მისი ტელევიზორი უნუგეშოდ დადუმებულიყო.

პაატამ მეტროსკენ ჩაუხვია. უმისამართოდ მოძრავი შუშის კარი. რიგი სალაროსთან. ჟეტონი და ესკალატორი. იქვე, ესკალატორის ბოლოს, გვირაბის კუთხეში ერთი უსინათლო, მოხუცი ქალი იჯდა.

ჯიბე მოიჩხრიკა და ოც თუ ათთეთრიანი გამოწვდილ ხელში ჩაუდო. მოხუცებულს მუჭში ხურდები ეკავა და პაატას ხელის შეხებაზე ინსტინქტურად მოკუმა თითები... ამათი დედა ვატირე. ამას რომ ფულს ააცლი ხელიდან, რაზე უნდა ილაპარაკო... დაიბოღმა პაატა. მეტროს ბევრი ხალხი ელოდა. დაგვიანებით მოსულ მატარებელში თავისთავად „შეიტანა“ მგზავრთა ნაკადმა და კართან მიკუნჭა. ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. აიხედა. ზუსტად მის წინ, ნათია იდგა, უფრო სწორად, ძალაუნებურად, ეხუტებოდა. და ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერ გაეცლებოდა.

„...მშვიდობით, გთხოვ, ყველაფერი დაივიწყო — რაც კი ჩვენ შორის არსებულა. მე მჯერა შენი. ვიცი, რომ თავს მოერევი და ჩემს დავიწყებას შეძლებ. ძალიან გთხოვ. მუდამ მეხსომები და მეყვარები — როგორც საუკეთესო მეგობარი. მხოლოდ და მხოლოდ, როგორც მეგობარი...“

ეს სიტყვები პაატას დღემდე ზეპირად, წერტილ-მძიმეთი ახსოვდა. ახსოვდა კი არა, თითქმის ხუთი წელი გადიოდა, რაც ბორკილებად დაათრევდა, სადაც არ უნდა წასულიყო, ვისაც არ უნდა ჰყვარებოდა და ვინც არ უნდა ჰყვარებოდა. ნათიას თხოვნას დღემდე ბეჯითად ასრულებდა — თუმცა, რის ფასად, ეს უკვე სხვა საქმე იყო...

„ჩაპრესილი“ მგზავრები ტაატით

ირწეოდნენ მატარებლის რყევის რიტმზე. არც ერთს ხმა არ ამოუღია. ეგ იყო, პაატამ რატომღაც ქვემოთ, ხელებისკენ დაიწყო ყურება — ბეჭედს ეძებდა, საქორწინო ბეჭედს ნათიას თითზე.

კვლავ წეღანდელი, დაჟინებული და მწვავე მზერა იგრძნო. ნათიას ამოხედა და მის დიდ — ლამაზ, უსასრულოდ თაფლისფერ თვალებში ჩაიკარგა.

როდესაც მატარებელი მორიგ განათებულ ბაქანზე გაჩერდა, მათ ახლომახლო მგზავრებს (შედარებით აქტიურებს), აღშფოთებულმა, თუ გამკილავმა ჩურჩულმა გადაუარა „ერთი უყურე, რა კოცნაობა გააჩაღეს...“ „სულ წავიდა ხელიდან ეს ახალგაზრდობა“.

ერთმა ულვაშიანმა ძიაკაცმა, ზუსტად ნათიას და პაატას გვერდით რომ იყო „ჩაკვეხებული“, ვერ მოითმინა და აწითლებულ, უცნაურად აღტაცებულ პაატას მიმართა: „სახლი არ გაქვთ, ბიძიკო?!“

პაატას არც აღშფოთება უგრძვნია, არც ქილიკი და დაცინვა. ძიაკაცს ულვაშზე ჩამოქაჩა — სახლიც გვექნება, ბიძაჩემო, სიყვარულიც და სხვა რამერუმეებიც! უთხრა შეცბუნებულს და თვალი ჩაუკრა.

ხელოვნება და საზოგადოებრივი წესრიგი

დედაქალაქის მეტროპოლიტენში გვიანი საღამოსთვის დამახასიათებელი ხალვათობა და მთვრალების მომრავლება შეინიშნებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ მეორე დილას შობა თენდებოდა, ზოგიერთ „წინდახედულს“ თადარიგი დაეჭირა და უკვე გვარიანად გამოთრობაც მოესწრო. გვირაბის კედლებს ალაგ-ალაგ მაინც შერჩენოდა ერთი-ორი მათხოვარი, გარე მოვაჭრე და გაზეთების გამყიდველი.

ვაგზალი. გადასასვლელი საბურთალოს ხაზზე. ფრთხილად, კარი (ხან) იღება (და ხან) იკეტება.

მატარებელი ეს-ეს არის, გავიდა. უკაცრიელ ბაქანს კანტიკუნტად ემატებიან მგზავრები. აგერ, ჩანთებით დატვირთული, გაზეთების გამყიდველი. ხნიერი ქალბატონიც ჩამოვიდა კიბეზე. იქვე, სამი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ერთს შალითაში ჩასმული ინსტრუმენტი — ალბათ ჩონგური ეჭირა. ხმადაბლა საუბრობდნენ, მაგრამ დარბაზის აკუსტიკა მათ ჩურჩულს ბარიტონად აქცევდა. ტონალობაზე და ხმებზე კამათობდნენ — როგორც ჩანს, პროფესიონალი მომღერლები იყვნენ.

გვიანი საღამო იყო. მატარებელი ჩვეულებისამებრ იგვიანებდა.

ორი „წინდახედული“ ქართველიც მოდის — უფრო სწორად, მობობღავს — „ბოევიკებში“, ცეცხლწაკიდებული ტანკიდან რომ მოცოცავს ხოლმე შვარცენეგერი, ზუსტად ისე. სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანის ფიზიკური მონაცემებიც ამას მოგაგონებდათ და ე.წ. „შენიღბვაც“ — ეტყობა, მეტრომდე ტალახში გაკოტრიალებაც მოესწრო... მეორე, შედარებით მომცრო, უფრო მხნედ გამოიყურებოდა — თუმცა დროდადრო „ამუხრუჭებდა“, გამოცდილ „მოტორისტს“ რომ ენახა, იტყოდა — „სვეჩი“ აქვს დასველებულიო.

მოკლედ, როგორც იქნა, მოაღწიეს ბაქნამდე. აქ, „შვარცენეგერმა“ სული მოითქვა — ალბათ სამშვიდობოს დაიგულა თავი. ჯიბე მოიჩხრიკა და პირში სიგარეტი გაირჭო. თუმცა, მალევე შეიკურთხა — ფუ, უკუღმა ჩამიდიაო, და შეაბრუნა. ცოტა ხანში კვლავ ხმამაღლა შეიგინა — „ისევ უკუღმა ჩამიდია, ამის დედა...“ მისმა თანამეინახემ სიცილით შეუსწორა — ე ბიჭო, უფილტროა მაგ სიგარეტი, რას აბრუნებ წაღმა-უკუღმაო?! „შვარცენეგერს“ ხუმრობა არ ეჭაშნიკა, იუკადრისა, პანღურამოკრული ბუღასავით მიუბრუნდა შემცბარ მეგობარს, ჩასისხლიანებული თვალები დაქაჩა და მძიმედ ამოიქშინა. — ისე მძიმედ, რომ ახლოს მდგომმა მგზავრებმა ცოტა მოშორებით გადაიწიეს, მომცრო ტანისა კი ისევე დარჩა — ზოროს ცხენივით გაკრეჭილი. „კაი, ახლა, რა მოგივიდა, შე კაცო? რა ჩემი ბრალია?“ ლუღლუღებდა საცოდავად, მაგრამ გვიანღა იყო. „ვინაა შენი „ბიჭო“?! არა, შე... ვინ არის შენი „ბიჭო“?! ღმუოდა „შვარცენეგერი“, მომცრო ტანისას ბაქნის სიღრმისკენ მიათრევდა და მოზომილად, „დაგემოვნებით“ ურტყამდა. „ამას უყურე ერთი... მაშ, მე სმენა არა მაქვს, არა?! მაშ, ორ წიწაკას ერთად ვერ შევჭამ, არა?!“ — ვიღას ახსოვდა შენი უფილტრო სიგარეტი?!

— ვაიმე, შვილებო, იქნებ გააშველოთ, ცოდვაა! ამ შობის წინა ღამეს არ შემოაკვდეს ის უბედური... — ეხვეწებოდა გაზეთების გამყიდველი ხნიერი ქალი იქვე მდგომ ბიჭებს.

— როგორ გეკადრებათ ქალბატონო?! ლომების მომთვინიერებელი კი არ ვარ. მაგას ახლა ბულდოზერი ვერ გააჩერებს... — შეიცხადა იქვე მდომმა ახმახმა.

— არა უშავს, წეივარჯიშებს პაწა ბოვში და გომოუშვებს მერე — აპა, ძმაკაცს ხომ არ მოკლავს ცემაში... — ჩაილაპარაკა ერთმა დაწკეპილულვაშიანმა იმერელმა.

— უჰ, ერთი შენზე ივარჯიშოს მაგისთანა „ბოვშმა“... — გამოეხმაურა ხნიერი ქალბატონი.

ის სამი ბიჭი, რომელთაგან ერთ-ერთს შალითიანი ინსტრუმენტი ეჭირა, მოსაუბრეებს მიუახლოვდა — ნუ ღელავთ, ქალბატონო, ყველაფერს მოვაგვარებთ... კაი მოსაგვარებელი კი იყო უკვე — კიბის მეორე მხრიდან ისეთი კვნესა, ტირილი, ბრახუნისა და ფხრეწის ხმა ისმოდა, სიმფონიური კონცერტის წინ, ასკაციანი ორკესტრი რომ ინსტრუმენტებს აწყობს ხოლმე, იმ ქაოსსაც კი გადაფარავდა.

ბიჭებმა შალითიდან მართლაც, ჩონგური ამოიღეს, უშველებელი დარბაზის შუაგულში დადგნენ. ერთ-ერთმა ჩონგური გამართა. სიმი მოსინჯა.

... წკრიალა პირველმა სივრცე გაკვეთა. მეორე ფოლადად მიჰყვა. ბანი, მოგუგუნე ბანი, „ნისლად“ მიჰყვებოდა „ჩაკრულოს“. — ღმერთო, რა მაგრად მღერიან!..“ — ჩაიჩურჩულა ხნიერმა ქალბატონმა და პირჯვარი გადაიწერა.

ხმა, ნაფერები და ნალოლიავები, მერე კი ღვარად მოვარდნილი, გაგიჟებული ზღვის ტალღებად ასკდებოდა ერთი, ჩვეულებრივი მეტროს ბაქანს. ვიღას ახსოვდა მატარებელი?! ახლა, ზემოდან, კიბიდან ჩამომავალი, საკმაოდ უცნაურ სურათს წააწყდებოდა: დარბაზის ცენტრში სამი ბიჭი „ჩაკრულოს“ მღეროდა — ისე, რომ არავინ და არაფერი ახსოვდა. ბაქანზე მომლოდინე მგზავრები ლიანდაგისკენ ზურგშექცევით იდგნენ და პირდაღებულ მსმენელებად ქცეულიყვნენ. და რაც მთავარია — მოჩხუბრები, რომლებიც აღარავის ახსოვდა: „შვარცენეგერს“, კიბის „მოფარებულიდან“ ბავშვივით ატატებული გამოეყვანა მომცრო ტანისა. თვალები ცრემლით ავსებოდა... ხალხისკენ დარცხვენილი იყურებოდა და მომცრო ტანისას, ახლა მართლა ბავშვივით კიბეზე დაყენებულს შარვალს უფერთხავდა და ცდილობდა, ჩამოფხრეწილი ქურთუკის კალთა როგორმე თავის ადგილას დაემაგრებინა. „თქვენი ჭირიმე, რა, ბიჭებო! ჯიგრები ხაართ, ჯიგრები!“ — ბურტყუნებდა გულაჩუყებული...

ლაჩი გრძელიშვილი



ჰიბრიდული ყველგანმავალი

Dodge Powerbox

კომპანია „დაიმლერ-კრაისლერის“ უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა ტრევორ კიდმა საინტერნეტო საიტებზე, ბუნებრივ აირზე და ელექტრობაზე მომუშავე ჰიბრიდული ჯიპი წარმოადგინა. კომპანიის მესვეურები იმედოვნებენ, რომ მიაგნეს ოქროს შუალედს, რომელიც ერთდროულად დააკმაყოფილებს, როგორც გაზრდილ ეკონომიკურ, ისე ეკოლოგიურ მოთხოვნებს. POWERBOX-ი პირველად ამ ერთი კვირის წინ – 4 იანვარს უჩვენეს ლოს-ანჯელესის საერთაშორისო ავტოშოუზე. მანქანა V8 ტიპის უმძლავრეს ძრავას მოიხდენდა, მაგრამ ამჯერად ბუნებრივ აირზე მომუშავე V6 ძრავითა და კომპანია „სიმენსის“ მიერ შექმნილი ელექტროძრავით იყო აღჭურვილი. ასეთი აგრეგატიანი ავტომობილი 60%-ით ეფექტურია საწვავის ხარჯვის თვალსაზრისით, ვიდრე მისი ანალოგი, ჩვეულებრივი „ყველგანმავალი“.

„ფაუარბოქსი“ ენერგიას ორი დამოუკიდებელი წყაროდან იღებს. 2,7 ლიტრიანი V6 ძრავა გადაცემათა ავტომატური კოლოფით, უკანა ბორბლების ამუშავებას უზრუნველყოფს, „სიმენსის“ ელექტროძრავა კი დამატებით ენერგიას ანიჭებს წინა ბორბლებს. V6 ბუნებრივ აირზე მუშაობს, 250 ცხ. ძალას ავითარებს, ხოლო ელექტროძრავა კიდევ 70 ცხ. ძალას ჰმატებს მანქანას. ელექტროძრავა ხელს უწყობს აირის ძრავას სისწრაფის აღებისას და უბრუნებს ენერგიას, რომელიც ჩვეულებრივ ავტომობილებს დამუხრუჭების დროს ეკარგება. მექანიკური და ელექტროძრავები ერთმანეთზე გადაბმული არ არის და მათი ურთიერთკავშირი მხოლოდ გზის მეშვეობით ხორციელდება. „ფაუარბოქსი“ 100 კმ/სთ-მდე შვიდიოდე წამში აღწევს.

ამ მანქანით, დამუხტვისა და დატუმბვის გარეშე, 560 კმ-ზე მეტს გაივლით, რაც ორჯერ აღემატება ბუნებრივ აირზე მომუშავე სხვა ავტომობილების გარბენს. ჰიბრიდული მოდელის სიჩქარე 195-მდე კმ/სთ-ს აღწევს.

ამ ავტომობილის მეორე ძირითადი ტექნოლოგიური მიღწევა ძარაა, რომელიც მსუბუქი თერმოპლასტიკისგან არის დამზადებული. ეს სიახლე ცოტა ხნის წინ ორ ავტომობილში – DODGE ESX3-სა და JEEP COMMANDER-ში იხილეს ავტომოყვარულებმა.

„ფაუარბოქსი“ და „დაიმლერ-კრაისლერის“ სამი სხვა კონცეპტუალური ავტომობილი ამ დღეებში დეტროიტის ჩრდილოამერიკულ საერთაშორისო ავტოშოუზე იქნება წარმოდგენილი.

სხვა ავტომწარმოებლები, მათ შორის FORD MOTOR KO და კორპორაცია GENERAL MOTORS-ი ასევე ამუშავებენ ე.წ. ჰიბრიდულ ავტომობილებს, რომლებშიც გამოყენებულია ელექტროძრავა და ტრადიციული ბენზინის ძრავა.

ლოს-ანჯელესში „ფორდმა“ წარმოადგინა „საპარკეტო ყველგანმავალი“

ESCAPE, რომელიც ელექტრობაზე და აირზე მუშაობს. ელექტროძრავა 35 კმ/სთ-მდე სიჩქარით მოძრაობას უზრუნველყოფს და აირის ძრავის ამუშავებას აჩქარებს. ეს მანქანა მომხმარებელთათვის 2003 წელს იქნება ხელმისაწვდომი.

„ჯენერალ მოტორსმა“ ჯერ კიდევ აგვისტოში გამოაცხადა აირულ-ელექტრული CHEVY SILVERADO-სა და დიდი პიკაპის GMC SIERRA-ს შექმნის შესახებ. ეს მოდელები სერიულ წარმოებაში 2004 წლისათვის ჩაეშვება.

კომპანია „კრაისლერი“ ჰიბრიდულ მოდელს – DODGE DURANGO-ს 2003 წლისათვის გეგმავს. კომპანიის აზრით, ამ მანქანას მომხმარებლისათვის მიმზიდველი ფასი უნდა დაედოს, ამდენად, ჩვეულებრივ მოდელზე სულ 3.000 დოლარით მეტი ეღირება.

რვა მგზავრისთვის გათვალისწინებული „ფაუარბოქსი“ გაცილებით ტევადია, ვიდრე ამავე ზომის „დურანგო“. უკანა სკამები ეკეცება, თუ ტვირთამწეობის გაზრდა დაგჭირდათ.

როგორც „დაიმლერ-კრაისლერის“ განვითარებისა და ხარისხისათვის პასუხისმგებელმა აღმასრულებელმა ვიცეპრეზიდენტმა რიჩარდ შაუმმა განაცხადა, „ფაუარბოქსი“ კლიენტებს სახსრებს დააზოგვინებს. ქვეყნის ყველა „ყველგანმავალი“ ამ ჰიბრიდული სისტემით რომ იყოს აღჭურვილი, წელიწადში 142 მლნ გალონი (538 მლნ ლიტრი) ბენზინი დაიზოგებოდა“.

სხვა კონცეპტუალური ავტომობილების მსგავსად, არც „ფაუარბოქსის“ სერიული წარმოებაა გათვალისწინებული. თუმცა, შესაბამისი საზოგადოებრივი რეაქციის შემთხვევაში, ასეთი ავტომობილის სერიაში გაშვება სავსებით რეალურია, მაგრამ მაშინაც კი, თუ მოდელს წარმოებაში არ ჩაუშვებენ, მასში ხორცშესხმული იდეები გამოყენებული იქნება ჰიბრიდული და ეკოლოგიურად სუფთა სხვა ავტომობილების შექმნისას.

ალპინისტთათვის განკუთვნილი Ford Expedition Himalaya

დეტროიტის ჩრდილოამერიკულ საავტომობილო შოუზე სადემონსტრაციოდ მომზადებულ კონცეპტუალურ სიახლეებს შორის გამორჩეული ნამდვილად იქნება განახლებული FORD EXPEDITION HIMALAYA, რომლის სახელწოდებაში იკითხება პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ ჰიმალაის მთებში ამსვლელთა მტვირთავებს შეიძლება საქმე გამოელიოთ: მათ როლს სწორედ ეს მანქანა შეასრულებს, თუმცა მის სერიულ წარმოებამდე სულ ცოტა ორი წელი მაინც დარჩა.

სპორტულ სტილში შექმნილ ამ მანქანას, საბაზო „ფორდ ექსპედიშინისგან“ განსხვავებით, ექნება:

– გაძლიერებული საბურავები 37X1.25;
– უსაფრთხოების რკალები;
– საიარაღო ნადნობისგან დამზადებული საბორბლე დისკები;
– ჰალოგენური მანათებლები;
– ალუმინის სპორტული პედლები;
– ღია სატვირთო განყოფილება.

საბაზო „ექსპედიშნის“ ისედაც დიდი კლირენსი, ამ მოდელში კიდევ უფრო გაიზარდა.

კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ავტომობილი საგანგებოდ არის გათვალისწინებული მაღალმთიან პირობებში საექსპლუატაციოდ. უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, გაძლიერებულია მისი სამუხრუჭე სისტემა, სალონი აღჭურვილია უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშებით, მინებს და სარკეებს ელექტროგამათბობელი აქვს. ბარგის ხელშეუხებლობისთვის სატვირთო განყოფილება სპეციალური ბადით იფარება.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის პირველმა რესპუბლიკამ ზუსტად 5 წელი იარსებება — 1789 წელს ბასტილიის აღებიდან — 1794 წლის 9 ტერმიდორის შეთქმულებამდე, რომლის დროსაც რობესპიერი და მისი მომხრე იაკობინელები ჩამოაგდეს, ფრანგებმა სულის მოთქმა ვერ მოასწრეს, რომ რესპუბლიკის ეპოქიდან მონარქიის რესტავრაციის ეპოქაში გადავიდნენ ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ ამ ისტორიული ეტაპების ასეთი სწრაფი ცვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა ბარონ ჟან დე ბატცის მიერ კარგად მოფიქრებული და უნაკლოდ დადგმული სპექტაკლი. „ლუდოვიკო XVI-ის „რუხი კარდინალი" რევოლუციის შემდეგ გადადგა და საბირჟო სპეკულაციებს მიჰყო ხელი. მისიე ბატცის მთავარი სარეფისორო ამოცანა თავისი საკუთრების გადარჩენა იყო, რომელიც მას ქვეყნის უდიდეს მონოპოლიაში — ოსტ-ინდურ კომპანიაში ჰქონდა ჩადებული.

ინტრიგების უგვირგვინო მეფე

დ'არტანიანის შვილთაშვილი

ბარონი ჟან დე ბატცი გასკონელი აზნაურების შთამომავალი გახლდათ. მისი წინაპარი იყო შარლ დე ბატცი, სწორედ ის კასტლმორ დ'არტანიანი, რომლის საგმირო საქმენი ასე ხატოვნად აღწერა ალექსანდრე დიუმამ.

მომავალი „რევოლუციის ჯალათი" 1754 წელს, გასკონიაში დაიბადა. 18 წლისა, დ'არტანიანის მსგავსად პარიზის დასაპყრობად გაემართა და დედოფლის დრაგუნთა პოლკში ჩაეწერა. ექვსი წლის შემდეგ კი, სამხედრო სამსახურს თავი მიანება და ხელი მიჰყო საფინანსო სპეკულაციებს, კერძოდ კი ინდოეთთან მოვაჭრე კომპანიის აქციების ფასის აწევაზე დაიწყო თამაში. ამ საქმიანობაში მას მნიშვნელოვანწილად დაეხმარა სამეფო კარის ოფიცრობის ხანაში გაბმული კავშირები გავლენიან ფრანგ ბანკირებთან და მოწინავე მეწარმეებთან. დროთა განმავლობაში ის ერთგვარ შუამავლადაც კი იქცა საფრანგეთის უმაღლეს საზოგადოებასა და საბირჟო სამყაროს შორის. არისტოკრატიული ოჯახების დავალებით ის აწარმოებდა ოპერაციებს ფასიან ქაღალდებზე, რომელთა აფიშირება მავანთ და მავანთ სხვადასხვა მიზეზის გამო არ სურდათ.

ახალგაზრდა გასკონელმა საიდუმლო სამსახური გაუწია თვით ლუდოვიკო XVI-ს, რომელმაც ბატცის მეშვეობით საკუთარი ქონება ერთი-ორად გაზარდა. სამეფო ოჯახისგან დე ბატცი, ღებულობდა აგრეთვე ოფიციალურ დაკვეთებს, სახელმწიფო სესხების განთავსებისა და ამოღების შესახებ, რისთვისაც პოლკოვნიკის ჩინიც მიიღო. ლუვრში ჭორები დადიოდა, თითქოს დე ბატცს ფინანსთა მინისტრობას უპირებდნენ, მაგრამ მოქნილი ფინანსისტისა და მეფის საიდუმლო კავშირი სწორედ რომ საპირისპიროს მიუთითებდა – დე ბატცი ოფიციალურ პოლიტიკას ახლოსაც არ უნდა გაჰკარებოდა. ლუდოვიკო და მარია-ანტუანეტა პირადად იყვნენ დაინტერესებულები იმით, რომ ასეთი საჭირო კაცი უშტატო კონსულტანტის ამპლუაში, მუდამ გვერდით ჰყოლოდათ. 1789 წლის რევოლუციამდე რამდენიმე ხნით ადრე მეფემ 35 წლის ბარონს საფრანგეთის უდიდესი კომპანიის „ოსტ-ინდის" აქციების სახელმწიფო პაკეტის მართვა დაავალა. ეს კომპანია ინდოეთთან ვაჭრობის მონოპოლისტი იყო, ინდურ რუპიას ჭედავდა, უზარმაზარ ფლოტსა და აფრიკასა და აზიაში რამდენიმე ათეულ ქალაქ-ფაქტორიას (საწარმოს ირგვლივ წარმოქმნილი დასახლება) ფლობდა. „ოსტ-ინდის" აქციების ფასი რატომღაც დღითი დღე ეცემოდა და დე ბატცს ქვეყნის შიდა და გარე ბირჟებზე „თამაშის" მეშვეობით მათთვის პირვანდელი ღირებულების დაბრუნება დაევალა. მაგრამ სულ ცოტა ხანში მეფე დააპატიმრეს და რამდენიმე წელიწადში სიკვდილითაც დასაჯეს. ბარონს კომპანიის აქციების 60% დარჩა, რომელსაც ახალი ხელისუფლება რატომღაც თავის საკუთრებად თვლიდა.

გლეხური წარმოშობის „აზნაური"

ბარონის „პატარა სამშობლოს" მცხოვრებთა ყურამდე მალე მიაღწია ამბავმა მათი თანამემამულის თავბრუდამხვევი წარმატებებისა და მისი ფენომენალური ფინანსური ნიჭის შესახებ და ბატცმა სულ იოლად მოახერხა განთავისუფლებული საფრანგეთის საერთო სახალხო დამფუძნებელი კრების არჩევნებში გამარჯვება.

როგორც ამ რევოლუციური ორგანოს სრულუფლებიან წევრს, ბარონს „სახელმწიფოს ვალის ლიკვიდაციისათვის" ზრუნვა დაეკისრა. ლაპარაკი იყო კომპენსაციების გაცემაზე იმ პირთათვის, რომლებსაც ნაყიდი ჰქონდათ სხვადასხვა თანამდებობა. ახლა კი, რევოლუციურმა საკანონმდებლო ორგანომ ეს თანამდებობები გააუქმა.

ბატცის ამჟამინდელი მდგომარეობა, რაღა თქმა უნდა, უწინდელს ვერც კი შეედრებოდა, მაგრამ ეს თანამდებობა მის-

ლუი XVI დე ბატცის მეშვეობით ხაზინის ფულს გაასესხებდა და მიღებულ პროცენტებს თვითონ იტოვებდა.

თვის ხელშეუხებლობის გარანტია იყო და ეს იმ დროს, როცა მარატი „რევოლუციის გამარჯვებისთვის ასი ათას მოჭრილ თავს“ მოითხოვდა.

„რევოლუციური“ მოღვაწეობის პარალელურად ბატცი საბირჟო მაქინაციებს განაგრძობს და აყალიბებს იატაკქვეშა როიალისტურ წრეს, რომლის მიზანია – მონარქიის რესტავრაცია. მას კომპენსაციის მისაღებად თანამდებობადაკარგული ყოფილი არისტოკრატები მიმართავენ და როგორც კი ნახულობენ, რომ რევოლუციურ მთავრობაში მათი ძველი ნაცნობი ზის, რომელიც ამჟამადაც ინარჩუნებს კარგ ურთიერთობას მეფის ოჯახთან, მაშინვე უარს ამბობენ საკომპენსაციო თანხაზე – რა თქმა უნდა, ბატცის სასარგებლოდ. ეს შენაწირი ფორმალურად როიალისტური კლუბის ერთგვარ საწევრო გადასახადად ითვლება.

ბატცი სამეფო ოჯახის რამდენიმე წევრის საპყრობილიდან გაქცევას აფინანსებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველი ცდა კრახით მთავრდება. საბოლოო ჯამში, მისი იატაკქვეშა მოღვაწეობა სააშკარაოზე გამოდის და საფრანგეთის რესპუბლიკის ყველაზე მდიდარი მოქალაქე იძულებულია, გადაიმალოს. ამასობაში, ლუდოვიკო და მარია-ანტუანეტა ეშაფოტზე ადიან და ხელისუფლება კონვენტის ხელში გადადის.

ბატცი დროს არ კარგავს – აგენტურულ ქსელს აყალიბებს და რევოლუციური პოლიციის ჩინოსნების მოსასყიდად კოლოსალურ თანხებს ხარჯავს. არქივებში შემონახულია იმ პოლიციელთა ანგარიშები, რომლებსაც მოუხელთებელი ბარონის დასაპატიმრებლად აგზავნიდნენ. ამ დოკუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმ ბინაში მისულ პოლიციელებს, რომელშიც აგენტურის ინფორმაციით რესპუბლიკის მტერი უნდა ყოფილიყო, კარს თავად ბარონი უღებდა და კანონის დამცველებს „ატყუებდა“ – ბატცი ეს წუთია გავიდაო. პოლიციელები აჩრდილს დაედევნებოდნენ, ამასობაში კი დე ბატცი „აორთქლებას“ ასწრებდა. ერთ-ერთი ასეთი „გულუბრყვილო“ ინსპექტორი მიშონისი მას შემდეგ დაიჭირეს, რაც ხელმოკლე პოლიციელმა ცოლის სახელზე შამპანში უზარმაზარი ვენახი შეისყიდა.

ამ პერიოდში კონვენტი ოსტ-ინდური კომპანიის ლიკვიდაციის საკითხს განიხილავდა. კონვენტს გადაწყვეტილი ჰქონდა, აქციების მცირე პაკეტის მფლობელთათვის მინიმალური კომპენსაცია მიეცა, ხოლო ის 60%, რომელიც უწინ ხაზინას ეკუთვნოდა, რესპუბლიკის საკუთრებად გამოეცხადებინა. კიდევ ერთი მსხვილი პაკეტი – დაახლოებით 25% – ფრანგული მონოპოლიის კონკურენტს – ინგლისურ ოსტ-ინდურ

...დედოფალი მარია-ანტუანეტა დე ბატცში განუყრელ უშტატო კონსულტანტს ხედავდა

კომპანიას ეკუთვნოდა და ახლა კონვენტი სწორედ ინგლისელ მეპაიეთა „გადაგდების“ სხვადასხვა ვარიანტს განიხილავდა. მიუხედავად იმისა, რომ მსჯელობა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, კარგად განვითარებული ბრიტანული სადაზვერვო ქსელის – „კორესპონდანსის“ წყალობით, ინფორმაციამ გაჟონა და ძალიან სწრაფადაც მიაღწია ინგლისელ დაინტერესებულ პირებამდე.

ინგლისური „ოსტ-ინდის“ კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ – პაპილიონმა, ისევ და ისევ „კორესპონდანსის“ მეშვეობით ბატცი იპოვა და შეუთვალა, რომ ყველაფერი უნდა ეღონათ, რათა „კანონიერ მფლობელთა ინტერესების შელახვა არ დაეშვათ“. თუმცა, პაპილიონმა ისიც გაითვალისწინა, რომ ბატცის უფლებები საკონტროლო პაკეტის მფლობელობაზე საკმაოდ საეჭვო იყო და მას „ნაციონალიზებული დათვის ტყავის“ ახლებურად გაყოფა შესთავაზა – ორმოცდაათი ორმოცდაათზე.

მაგრამ, სანამ ქვეყანას სათავეში რობესპიერი ედგა, ყოველგვარ გადანაწილებას აზრი ეკარგებოდა. ამიტომ პაპილიონმა ბატცს პატარა პუტჩის მოწყობა შესთავაზა, თუმცა, ფრანგული რეალობის არცოდნის გამო გადატრიალების მოხდენის დეტალები არ უცნობია, მაგრამ მზადყოფნა გამოთქვა, კოლეგის განკარგულებაში გადაეცა სადაზვერვო „კორესპონდანსი“, რომელიც ისე იყო მოდებული მთელ საფრანგეთს, რომ თვით კონვენტშიც კი ჰყავდა საკუთარი აგენტები. ყოველივე ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ბატცს ინტრიგების ხლართვა დაეწყო.

მან გადაწყვიტა რობესპიერისა და კონვენტის ურთიერთობის ყველაზე მტკივნეულ წერტილში დაერტყა. რესპუბლიკური პარლამენტი მთლიანად კორუმპირებული იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა რამდენიმე არანორმალური ფანატიკოსი, რომელთაც უფრო მოხერხებული კოლეგები თავიანთ ჭკუაზე „აბურთავებდნენ“. მაქსიმილიენ რობესპიერს წესიერი და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა – მეტსახელად „მოუსყიდველიც“ კი შეარქვეს. რობესპიერის ინიციატივით, მექრთამეობაში გამოაშკარავებული და უბრალოდ, სახელგატეხილი

ჩინოვნიკები გილიოტინაზე იგზავნებოდნენ. ხოლო იმის გამო, რომ კორუფციამ მთელი ფრანგული ადმინისტრაცია მოიცვა, „მოუსყიდველი“ რობესპიერი ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდა. ბატცმა გადაწყვიტა – ახლა ყველაზე ხელსაყრელია გრანდიოზული კორუფციული სკანდალის მოწყობაო.

მან დაამუშავა სქემა, რომლის წყალობითაც თავადაც ჩრდილში დარჩა და საკუთარი ხარჯებიც მინიმუმამდე დაიყვანა.

დაბეზღება

ზუსტად იმ პერიოდში პარიზში იმყოფებოდნენ ავსტრიელი ბანკირები, ძმები ფრეიები. ისინი იმ ღარიბი ჩეხი ებრაელის შთამომავლები იყვნენ, რომელიც ავსტრიის არმიის მომარაგების ხარჯზე წარმოუდგენლად გამდიდრდა. საფრანგეთში ბანკირი ძმები ავსტრიის იმპერატორის დელიკატურ დავალებებს ასრულებდნენ. ამასთან, თავს რომელიღაც რევოლუციური კლუბის წევრებად ასაღებდნენ და შეძლეს, როგორც რევოლუციურ წრეებში, ასევე საფრანგეთის მაღალ საზოგადოებაში ნდობის დამსახურება. მათ კონვენტის წევრზე, კაპუცინ ბერზე – შაბოზე, თავიანთი დის გათხოვებაც კი მოახერხეს. ამ ძმებზე უკეთეს იარაღს ინტრიგისათვის დე ბატცი ვერც კი იპოვიდა. ინგლისური აგენტურის დახმარებით მან ავსტრიელ ძმებს მაცდური ინფორმაცია მიაწოდა – ოსტ-ინდური კომპანიის ლიკვიდაციის ამბავი შეატყობინა და მიანიშნა, რომ ამ საქმეზე ისინი შეიძლება გამდიდრებულიყვნენ კიდეც.

ბანკირი ძმები შაბოს (სიძეს) საინტერესო წინადადებით მიმართავენ, ასი ათას ლივრს სთავაზობენ და უარის შემთხვევაში შანტაჟით ემუქრებიან – კონვენტს შევატყობინებთ, რომ ცოლად ავსტრიელი ჯაშუში გყავსო. შაბო კონვენტის კიდევ რამდენიმე წევრს მოისყიდის, მათთან ერთად კომპანიის შემფასებელ საბუთებს გააყალბებს და ძმები ფრეიების სასარგებლოდ კომპანია „ოსტ-ინდის“ საკუთრების 10%-ს „მოტეხავს“. შაბოს მაშინვე უკავშირდება ბატცი და მუქარით, რომ ამ მაქინაციების შესახებ კონვენტს აცნობებს, ბანკირი ძმებისა და კონვენტის 5 წევრის „ჩაშვებას“ მოითხოვს. შაბო გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტს მიმართავს და აცხადებს, რომ ირგვლივ ყველა მოსყიდულია და თვითონ არის ერთადერთი წესიერი ადამიანი, რომელსაც მუქარით ფულის აღება და სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა აიძულეს. მტკიცებულების სახით ის კომიტეტს 100 ათას ლივრს უჩვენებს და ყველა თავისი ქვეშევრდომის „ჩაშვებას“ ჰპირდება. შაბო ასახელებს დროსა და ადგილს, სადაც მან და დანარჩენმა კორუმპირებულებმა ძმებ ფრეიებს ყველა საჭირო დოკუმენტი უნდა გადასცენ.

დე ბატცმა დააშინა და მოისყიდა კონვენტის წევრი შაბო (ზემოთ) და მოახერხა გილიოტინაზე გაეგზავნა თვით რობესპიერი (მარცხნივ)

„ძვირად ღირებული“ საკითხი

გარიგების მონაწილეთა თავის მოკვეთით სკანდალი არ ჩამცხრალა – ამაზე თავად ბარონმა იზრუნა. სკანდალი უფრო მეტადაც გაღვივდა. გაზეთები წერდნენ, რომ პარლამენტის ყველა წევრი მექრთამეა და რომ თვით „მოუსყიდველიც“ არ არის მთლად უცოდველი.

რობესპიერმა მსგავსი ჭორების გასაქარწყლებლად, საიდუმლო გამოძიება დაიწყო, რომელმაც კონვენტის 47 ყველაზე მსხვილი მექრთამის გამოაშკარავება შეძლო. „კორესპონდანსმა“ ამ 47 კაცის სია ხელში ჩაიგდო და ერთ ღამეში მისი ასლები ყველა მოხსენიებულ პირს დაუგზავნა.

1794 წელს 9 ტერმიდორის კონვენტის დილის სხდომაზე რობესპიერს თავხედურად შეაწყვეტინეს მექრთამეთა მამხილებელი გამოსვლა. „სიის წევრებმა“ მისი დაპატიმრება პირდაპირ სხდომათა დარბაზში მოიწადინეს. რობესპიერმა დარბაზიდან გაქცევა და თავისი პირადი გვარდიის ყაზარმამდე მიღწევა მოახერხა. მაგრამ მცირე ხნის შეტაკების შემდეგ, ის მაინც შეიპყრეს და რამდენიმე თვეში ახალმა კონვენტმა, რომელმაც მონარქიის რესტავრაცია გამოაცხადა, მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. როგორც კი ამ ინფორმაციამ ინგლისამდე მიაღწია, ბრიტანულმა „ოსტ-ინდმა“ ხელში ჩაიგდო საფრანგეთის შვიდი ქალაქი-ფაქტორია და ოთხი კუნძული, რომელიც თურმე, ფარული გარიგების თანახმად, დე ბატცს ეკუთვნოდა.

ამ ორომტრიალისას თავად ბატციც დააპატიმრეს, მაგრამ რადგანაც მთელი მისი საქმიანობა რესპუბლიკის დამხობისკენ იყო მიმართული, მალევე გაათავისუფლეს. ამის შემდეგ მან მთელი თავისი აქციების პაკეტი საფრანგეთის ახალ როიალისტურ ხელისუფლებას 4 მილიონ ფრანკად მიჰყიდა და შოტლანდიაში გადასახლდა.

მოამზადა ნატო ჩხაიძემ

დისციპლინა

- კრივში: დარტყმა ქვევიდან ზევით
- პრივილეგ. წოდების წარმომადგენ. ძველად
- ცალკეული მოძრაობა ცეკვაში
- მუხის ნაყოფი
- მზა სანოვაგით და წვრილმან. მოვაჭრე
- მუსიკალური ბგერის გამოსახულ.
- თავსაბურავი
- უარყოფითი პასუხი თხოვნაზე
- ფიზიოლოგიური მდგომარეობა
- მიწისძვრის შემსწავლელი მეცნიერება
- განზრახვისიმე შეცდენა, მოტყუება
- საფრანგეთ. „ზღვისიქითა ტერიტორია“
- აფხაზეთის პოლიტიკური მოღვაწე
- რიო-დე-ჟანეიროს განთქმული პლაჟები
- სითხის გადასასხმელი საშუალება
- მლაშეტბა
- საჩუქრად მირთმეული რამ
- საერთაშორისო ელშეკრულების დამტკიცება
- „შვიდი სამურაი“, „რასემონი“ (მსახიობი)
- ძვირფასი ქვა
- ვულკანიდან ამოფრქვ. გავარვარებული მასა
- თვალის ფერადი გარსი
- მდიდრული, უზრუნველი ცხოვრება, განცხრომა
- გეომეტრიული სხეული
- ქართული ისტორიული ძეგლი თურქეთში
- შინაური ჩლიქგაუყოფელი ცხოველი
- თაღი
- ოჯახი, ოჯახის წევრები სახლეული
- ქალაქ შეიცარიაში (მოხსენიება 974 წ-დან)
- ასოების უხეიროდ გაურკვევლ. დაწერა
- მემარცხენე
- ძველბერძენი მათემატიკოსი
- ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
- ყვავილი
- ლეგენდარ. თასი, ქრისტეს სისხლით
- შეადგინა რამაზ ალანიამ



10-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ.

19-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ; 4-ა.

კვირის (15-21 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი

თხის რქა – 22/XII-20/I

ცოტათი დაბნეული ხართ, ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ მნიშვნელოვან შეხვედრებს ოთხშაბათისთვის გადადებთ. ხუთშაბათს, სრულიად მოულოდნელად ფულს იშოვით. პარასკევს კოლეგებთან ურთიერთობებს მოაგვარებთ, ხოლო შაბათ-კვირა მყუდრო ატმოსფეროში გაატარეთ.

მერწყული – 21/I-19/II

თუკი რაიმეს ძირფესვიანად შეცვლას აპირებთ ან რაღაც წარმოუდგენელი პროექტის განხორციელებას გეგმავთ, თამამად შეუდექით საქმეს! ეს კვირა იდეალურია ახალი წამოწყებებისათვის: ჯერ ერთი, ყველა აღფრთოვანებით შეხვდება თქვენს იდეებს, კარგადაც გაგიგებთ და დაგეხმარებათ კიდეც.

თევზები – 20/II-20/III

პარასკევამდე თქვენი თავის გამომჟღავნების შესაძლებლობა არ მოგეცემათ. უმჯობესი იქნება, თუ ამ დღეებს მშვიდ საქმიანობასა და ფიქრში გაატარებთ. კვირის ბოლოს კი, ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და კარგი იქნება, თუ უქმეებს შინ არ გაატარებთ.

ვერძი – 21/III-20/IV



მთელი კვირა დაძაბული მუშაობა მოგიწევთ. სამაგიეროდ, სიამოვნებას არა მარტო მიღებული შედეგი, არამედ თვით სამუშაო პროცესიც მოგგვრით. ოთხშაბათი თქვენთვის კრიტიკული დღე იქნება, ამიტომ მოვლენების ფორსირებას ნუ ეცდებით. შაბათ-კვირა კი შვილებს ან ახლობელთა ბავშვებს მიუძღვენით.

კურო – 21/IV-21/V

ამ კვირაში ძალიან მდიდარ და გავლენიან ადამიანებთან მოგიწევთ შეხვედრა. თუმცა, ამ შეხვედრების პერსპექტივა ჯერ კიდევ ძალზედ ბუნდოვანია. ყველაფერი თქვენზე იქნება დამოკიდებული, ეცადეთ მათზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ – ეს თქვენს საქმეს აუცილებლად წაადგება.

მარჩხი – 22/V-21/VI



კვირის დასაწყისს დინამიკურად და ნაყოფიერად გაატარებთ, შუა კვირაში კი მცირედი დაბრკოლებები შეგექმნებათ. რაღაც პრობლემები გამოგიჩნდებათ, შესაძლოა, ურთიერთობებიც გაგიმწვავდეთ კოლეგებთან და ოჯახის წევრებთან. ამ დღეებში ყურადღება მიაქციეთ ყოველ წვრილმანს და თითოეული სიტყვა კარგად აწონ-დაწონეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ცხოვრების სტილის შეცვლაზე ფიქრობთ, მაგრამ საქმეებს მხოლოდ საკუთარი ძალებით თავს ვერ გაართმევთ. მეგობრების იმედი გქონდეთ. წარმატებას მხოლოდ კოლექტიური საქმიანობით მიაღწევთ.

ლომი – 23/VII-23/VIII



კვირის დასაწყისში განსაკუთრებით მომხიბლავი, ენამოსწრებული და მეგობრული, მაგრამ აბსოლუტურად შრომისუუნარო იქნებით! ოთხშაბათისთვის მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობა მოგეცემათ და ყოველგვარი სიტუაციიდან სწორ გამოსავალს გასაოცარი სისწრაფით მონახავთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX



განსაკუთრებით ფაქიზად შეიგრძნობთ მოვლენებს, თანაუგრძნობთ ადამიანებს და მათი გულისტკივილი გულთან ახლოს მიგაქვთ. ეს, რა თქმა უნდა, ურთიერთობაში გეხმარებათ, მაგრამ, შესაძლოა, უარყოფითადაც იმოქმედოს: ზედმეტი მგრძნობელობა გულჩათხრობილსა და დარდიანს გაგხდით.

სასწორი – 24/IX-23/X

ორშაბათსა და სამშაბათს სერიოზულ საქმეზე ყურადღების კონცენტრირება ძალზედ გაგიჭირდებათ. გუნებაგანწყობა ელვისსისწრაფით გეცვლებათ. პარასკევისთვის უკვე დადინჯდებით და ახალი საქმის კეთებასაც გულდასმით შეუდგებით.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ამ კვირაში მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს თქვენს მომავალს. ამიტომ წინდახედულება და სიფრთხილე გამოიჩინეთ. შეუმოწმებელ ინფორმაციას ნუ დაეყრდნობით და საეჭვო წინადადებებზე უარი თქვით.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

პირადი ცხოვრებისა და სამსახურებრივი პრობლემების გამიჯვნა ძალზედ გაგიჭირდებათ – სამსახურებრივი რომანი ხომ არ გაგიბამთ? ასეა თუ ისე, გაითვალისწინეთ, რომ კვირის პირველი ნახევარი განსაკუთრებით ხელსაყრელია საქმიანი შეხვედრებისა და პერსპექტიული ნაცნობობისათვის. პარასკევს კი ნებისმიერი თქვენი წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდება.

მხოლოდ ქალებისათვის

ხართ თუ არა ემოციური?

1) თუ დაძაბული და ნერვული დღის ბოლოს შინ დაბრუნებულს გსურთ განიტვირთოთ, ამისათვის:

ა) იღებთ თბილ შხაპს;

ბ) ჯდებით ფანჯარასთან და უყურებთ შებინდებას;

გ) მთელ საღამოს ტელევიზორთან ატარებთ.

2) გსიამოვნებთ, როცა ხელით ეხებით:

ა) შალის ქსოვილს;

ბ) აბრეშუმის პერანგს;

გ) ბუნებრივ ბეწვს.

3) თუ გარეგნობის მკვეთრად შეცვლა გადაწყვიტეთ, ამას დაიწყებთ ვიზიტით:

ა) მასაჟისტთან;

ბ) კოსმეტოლოგთან;

გ) მანიკიურით.

4) სუფრასთან, შესაბამისი არჩევანის შემთხვევაში, ამჯობინებთ:

ა) შემწვარ კარტოფილს;

ბ) ბუტერბროდს კარაქით და ხიზილალით;

გ) შოკოლადის ნაყინს.

5) ფილმი, რომლის ცქერისას თვალზე ცრემლი მოგადგებათ, არის:

ა) „ქარწაღებულნი“;

ბ) „ტერმინატორი 2“;

გ) „9 1/2 კვირა“.

6) თუ უეცრად ბუნებაში გასეირნება მოგინდათ:

ა) დაათვალიერებთ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს;

ბ) ისეირნებთ ტბის ან მდინარის პირას;

გ) წაიკითხავთ წიგნებს, რომლებშიც ლამაზად არის აღწერილი ბუნება.

7) თქვენი საყვარელი მუსიკაა:

ა) ჩქარი, რადგან ძალიან გიყვართ ცეკვა;

ბ) კლასიკური – ის თქვენში წარმოსახვას აღვიძებს;

გ) პოპულარული – მუსიკას აჰყვებით და თავს შესანიშნავად იგრძნობთ.

8) თმის შესახებ ფიქრობთ, რომ:

ა) ის ქალის გარეგნობის ძირითადი ატრიბუტია და მუდამ მოვლილი და კარგად დავარცხნილი უნდა გქონდეთ;

ბ) თქვენი შინაგანი სამყაროს ანარეკლია და ადამიანის ინდივიდუალურობას უსვამს ხაზს;

გ) მხოლოდ გარეგნობის უმნიშვნელო დეტალია, ამიტომ ვარცხნილობას დიდი დრო არ უნდა დაუთმო.

9) ზაფხულის გრილ საღამოს თქვენ ჩაიცვამთ:

ა) გრძელმკლავიან მსუბუქ ჟაკეტს;

ბ) კაპიუშონიან ქურთუკს;

გ) თბილ სვიტერს.

10) თუ არჩევანი შემოგთავაზეს, სამოგზაუროდ გირჩევნიათ:

ა) ავტომობილი;

ბ) თვითმფრინავი;

გ) ველოსიპედი.

11) თქვენს შეყვარებულთან ურთიერთობაში ყველაზე ამაღელვებელი მომენტი იყო:

ა) პირველი კოცნა;

ბ) მზერა, რომელმაც გაგრძნობინათ, რომ ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილი;

გ) მისი ალერსი.

12) მამაკაცში ყველაზე მეტად გიზიდავთ:

ა) სიმაღლე;

ბ) აღნაგობა;

გ) თვალები.

ახლა კი სამ დამატებით კითხვაზე უპასუხეთ „კი“ ან „არა“ და თითოეულ დადებით პასუხზე, ქულათა ჯამს 5 ქულა დაამატეთ.

1) ლითონის საგნის შუაზე ფხაჭუნი საოცრად მაღიზიანებს და ნერვებს მიშლის.

2) ძალიან მიყვარს სეირნობა ზაფხულის თბილ წვიმაში.

3) ცხოვრებაში რაც უფრო მეტი კარგი ამბავი ხდება, მით უფრო მიხარია.

თქვენს პასუხებს შეუსაბამეთ ქულები ცხრილის მიხედვით და დააჯამეთ შედეგები:

კითხვა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ა	6	2	10	2	10	2	6	10	2	2	10	2
ბ	10	10	6	10	2	10	10	6	10	6	6	6
გ	2	6	2	6	6	6	2	2	6	10	2	10

52 ქულა და ნაკლები

თქვენ მეტისმეტად სერიოზულად აღიქვამთ ცხოვრებისეულ მოვლენებს, ამით კი ბევრ სიხარულსა და სიამოვნებას აკლებთ თავს. ემოციურობის გასაღვივებლად, უფრო მეტი დრო გაატარეთ ბუნებაში, უსმინეთ მუსიკას, ხშირად ეწვიეთ გამოფენებს და, რა თქმა უნდა, არ თქვათ უარი სიყვარულზე. გამოამჟღავნეთ მეტი სინაზე გარშემომყოფთა მიმართ და მალე რადიკალურად შეგეცვლებათ წარმოდგენა სამყაროზე.

53-81 ქულა

როგორც ჩანს, წარსულმა სიყვარულმა თქვენში წარუშლელი კვალი დატოვა. შეიძლება, ამას ვერ აცნობიერებთ, მაგრამ მოუშუშებელმა ჭრილობამ თქვენს ემოციურობას დიდი ზიანი მიაყენა. შეეცადეთ, დაივიწყოთ წარსული და იცხოვროთ დღევანდელი დღით, იფიქროთ მომავალზე. დაივიწყეთ შიში და სიფრთხილე, ეცადეთ, მეტი სიამოვნება მიანიჭოთ თავს. სულ ცოტაოდენი ძალისხმევა და თქვენ თამამად შეხედავთ მომავალს, რომელიც საინტერესო ცხოვრებას გიქადით.

82-110 ქულა

თქვენ გაქვთ უნარი, მიიღოთ ცხოვრებისგან ყველაფერი საუკეთესო. იმითაც კი ხარობთ, რაც ცხოვრებისგან თავისთავად მოგდით. ზაფხულის გრილი ნიავი თუ მინდვრის ყვავილების თაიგული თქვენში ბუნებრივ ემოციებს ბადებს, მაგრამ ეცადეთ, ამან არ დაგავიწყოთ თქვენი ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები და ამოცანები.

111 ქულა და მეტი

ცხოვრება თქვენთვის სიამოვნებაა. თავს ისე გრძნობთ, როგორც თევზი წყალში. ყველაფერი, რაც თქვენ გარშემოა, გახარებთ და სიამოვნებას განიჭებთ. თქვენც უშურველად უზიარებთ ამ სიხარულს მეგობრებს და ახლობლებს. თუმცა, ზედმეტად მგრძნობიარე ხართ და მცირედ წარუმატებლობასაც მტკივნეულად განიცდით. ეცადეთ, მთლიანად არ აჰყვეთ საკუთარ ემოციებს.

ტრიუკები თავდაყირა

შახიდ მალიქმა, რომელსაც ახალ გარი გუდინს ეძახიან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: გიუების დასაშოშმინებელი პერანგისგან სულ რაღაც 40 წამში გათავისუფლდა. ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე შეკრებილი მაყურებლის თვალწინ, თავდაყირა ჩამოკიდებულმა ტრიუკების ოსტატმა მოახერხა პერანგის ნასკვების გახსნა და სახელოდან ხელის ამოღება. გამოსვლა ისე სწრაფად დამთავრდა, რომ ბევრმა მაყურებელმა სანახაობით ტკბობა ვერც მოასწრო. უკვე 41-ე წამზე შახიდ მალიქი გამარჯვების ნიშნად თავს ზემოთ ფეხბურთელის მაისურივით იქნევდა დასაშოშმინებელ პერანგს. აღსანიშნავია, რომ მალიქმა საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა: წინა შედეგი – 45 წამიც მას ეკუთვნოდა.

ᲯᲝᲕᲖᲘ ᲜᲐᲪᲐᲰᲨᲘ ᲩᲐᲣᲕᲐᲰᲓᲐ

უილშირის (ინგლისი) აუქციონზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სუფრის ვერცხლეულმა, რომელიც ფაშისტური გერმანიის რაიხსმარშალ ჰერმან გერინგს ეკუთვნის. ვერცხლის სასადილო ნაკრები სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ არგენტინაში აღმოაჩინეს, სადაც ორმოცდაათ წელზე მეტხანს ინახებოდა. არგენტინის მაშინდელი პრეზიდენტი პერონი უპრობლემოდ იფარებდა ფაშისტური გერმანიის მაღალჩინოსნებს და გერინგმა, როგორც კი საფრთხე იგრძნო, საკუთარი ავლადიდების არგენტინაში გაზიდვას შეუდგა, მაგრამ რომ იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: ბერლინის დაცემის შემდეგ ის შეიპყრეს და ნიურნბერგის პროცესზე სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა მის აღსრულებას არ დაელოდა და თვითონვე მოისწრაფა სიცოცხლე.

სასადილო ნაკრები დიდებულ მოოქრულ კეისშია მოთავსებული და 71 ნივთისგან შედგება, რომლებსაც რაიხსმარშლის მონოგრამები ამშვენებს. აუქციონის ორგანიზატორებმა სასადილო ნაკრების საწყისი ფასი 12.000 გირვანქა სტერლინგად განსაზღვრეს, მაგრამ იმედოვნებენ, რომ ის გაცილებით ძვირად გაიყიდება.

ᲨᲐᲦᲐᲨᲘᲜᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲢᲐᲰᲝᲗ



ავეჯის ხელოსანი ვუდი დარწმუნებულია, რომ ავტომობილების ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადების მომხრეები მხარს დაუჭერენ მის წამოწყებას: მანქანა, რომელიც 180 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, მან აფრიკული წითელი ხისგან და ფანერისგან ააწყო. ასეთი ავტომობილის მფლობელს, ჩვეულებრივი იარაღების გარდა, სადურგლო ხელსაწყოებიც უნდა ედოს მანქანაში – აცხადებს ნიჭიერი გამომგონებელი.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

კიდევ ერთი რევოლუცია იწყება ქალთა მოდაში. მანდილოსნებისთვის განკუთვნილმა მკერდის თავების სილიკონის სამაგრებმა უდიდესი ეფექტი მოახდინა, განსაკუთრებით მამაკაცებზე. ამასთან, ბიუსტჰალტერზე გაცილებით მოხერხებული და ადვილად სახმარიაო – აცხადებენ ქალები. გამოგონება იმდენად მარტივია, რომ განცვიფრებას იწვევს – აქამდე როგორ ვერავინ მოიფიქრაო. სილიკონის თავები, წყვილი 20 დოლარი ეღირება, მომხმარებელს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს, ჩვენ კი საკმაო მოგებას მოგვიტანსო – იმედოვნებენ დამამზადებლები და მართლებიც არიან, რადგან გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ქალთა უმეტესობა სულმოუთქმელად ელის ამ სიახლეს.

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ!

ᲛᲐᲡᲚᲐᲠᲔᲑᲘ

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (16 იანვრის) 13 საათამდე.



მასხარებმა რა ვქნათ?!
მთვლი ქვეყანა ისედაც
ცირკად აქციეს ჩვენმა
მასხარა პოლიტიკოსებმა...

№3.14

624/3

ახალი სახე

ნათია ხუჭუა

მოგსიბლავთ გოგონებო!

აქ შეიძლება თქვენი ფოტო დაიბეჭდოს!

თქვენი ფერადი სურათი, საკონტაქტო ტელეფონის მითითებით გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით.

„გზის“ ფოტოგრაფები მზად არიან ახალი ფოტოსახეების შესაქმნელად!